ცარიელი ნამორჩევი

ჯადოსნური ჭადრები

მოგზაურობა

თბილისი
გამომცემლობა „წინ და ზევით”
2012

ჯადოსნური ჯადრები

(არასამეცნიერო-ფანტასტიკური პაროდია
დეტექტიური ელფერით და ზომიერი ოხუნჯობით)

ეძღვნება სოსო აბრამიძეს და დათო ჭელიძეს

რედაქტორი: **დავით ჭელიძე**
მხატვარი: **ჯემალ ზენაიშვილი**

© ტარიელ ნამორაძე

ISBN- 978 - 9941 - 0 - 4651 - 3

ნაწილი პირველი

ფისო იაბედა

თავი პირველი

დავალება

2299 წლის გაზაფხულის სევდიანი დილა გათენებულიყო. მეფის მანათობელი შუშებიანი სასახლის ასმეხუთე სართულზე უზარმარ კაბინეტში პატარა ტაბურეტზე მჯდომი მძლემინისტრი შეშინებული შესცქეროდა მის წინ მდგომ დიდ ვეზირს. ვინაიდან იგი პატარა სამფეხა ტაბურეტზე დასვეს და არა ოთხფეხა სკამზე ან ხუთფეხა სავარძელში, თავიდანვე ცხადი იყო, რომ წინ სასიამოვნო არაფერი ელოდა. მართლაც, მძლემინისტრი მთელი არსებით გრძნობდა მეფის მრისხანებას.

– მდგომარეობა ძალზე დაძაბულია! – დიდმა ვეზირმა ჰაერში ხელებით ნახევარწრე მოხაზა, თითქოს მძლემინისტრს ენერგიის ამორთმევას უპირებდა, შემდეგ სახე ახლოს მიუტანა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო ლაპარაკი. ამ ჩურჩულის მოსმენა კი მეტად დამთრგუნველი იყო, რადგანაც დიდი ვეზირი ოსტატურად იცვლიდა ტემბრს – ხმას ხან იბოხებდა, ხან იწვრილებდა და სრულ გამოთაყვანებანდე მიჰყავდა მსმენელი.

– ზუსტად სამ თვეში ჩვენი საყვარელი რევან მეექვსე, მეფე სრულიად ევრაზია-საქართველოსი, პლანეტა XXI-ზე მოხსენებით უნდა გამოვიდეს ჰემიგალაქტიკურ სახელმწიფოთა ოცდამეორე ყრილობაზე. ჩვენ საამაყო ბევრი გვაქვს, მაგრამ არის საჩოთირო საკითხიც – ნუთუ ჩვენს ციხეებში მხოლოდ ცუდი ბიჭები და გოგოები უნდა ისხდნენ? მე თქვენ გეკითხებით, როდის გყავდათ დაპატიმრებული უკანასკნელად ჩვენს აყვავებულ-აბიბინებულ ციხეებში რომელიმე ინჟინერ-გენეტიკოსი, ექოსკოპისტი ან ზოოლოგიის მასწავლებელი? რომ არაფერი ვთქვათ არქეოლოგებზე, პოეტებზე ან სპელეოლოგებზე! ხომ არ გავიწყდებათ იუპიტერიდან გამოგზავნილი მილიონები ან ურანიდან ჩამოტანილი სამშენებლო მასალები? ხომ არ გავიწყდებათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ მხნე-გულად ასატურს და პირმოცინარე მასატურს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს კეთილდღეობას? **მქუკ**-ის (მძლევამოსილი ქვეყნების ურღვევი კავშირი) წევრობა მარ-

ტო უფლება კი არა, მოვალეობაცაა! ჩვენ დროს არ უნდა ჩამოვრჩეთ! მეფის მოხსენებაში უნდა გამოჩნდეს, რომ აქ ციხის კარები ღიაა ყველასთვის, ამიტომ გამოიყენეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი და უმოკლეს პერიოდში საქმე ისე მოაწყეთ, სირცხვილი არ ვჭამოთ, თორემ...

პაუზა იყო უხმო, ხანგრძლივი და დრამატული. მოსმენილზე პასუხის გაცემას აზრი არ ჰქონდა. მძლემინისტრი მზად იყო, დასტურის ნიშნად ოთხზე დამდგარიყო და უკუსვლით კაბინეტიდან გასულიყო. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეც მოიქცა, თან სიმხნევისთვის მხიარული ჰიმნი წაიღიღინა, თუმცა მისამღერი „დიახ-დიახ“ ცოტა უნიჭოდ კი გამოუვიდა, რადგან ასო-ბგერა „დ“-ს ბავშვობიდან გამართულად ვერ გამოთქვამდა, „ძ“-ს ამსგავსებდა.

იმავე დღეს მძლემინისტრმა კაბინეტში დეტექტივპროკურორი აირტონი გამოიძახა. აირტონმა უკვე იცოდა დიდი ვეზირის მძვინვარების ამბავი, გულის სიღრმეში იმედი ჰქონდა, იქნებ ეს საშარო საქმე სხვას დაავალონო, მაგრამ იმედი გამოძახებისთანავე გადაეწურა.

– თქვენ ყველაფერი მშვენივრად მოგეხსენებათ, ძღესვე შეუძექით საქმეს – მკაცრი და საზეიმო ტონით მიმართა მძლემინისტრმა. გამოითხოვეთ ყველა ინფორმაცია, გაძაქექეთ არქივებში ბოლო ორასი წლის მანძილზე კორუფციის შემთხვევები, მოიძიეთ მოსასმენი საშულებები, მე მგონი, გასაგებად ვლაპარაკობ?! სასურველია, ანკესზე წამოაგოთ ინჟინერ-გენეტიკოსი, ექოსკოპისტი ან ზოოლოგიის მასწავლებელი. სამ ძღეში მოქმედების გეგმა-რუკა მაგიძაზე უნდა მეძოს.

აირტონს კრინტი არ დაუძრავს, სასწრაფოდ გაიძურწა კაბინეტიდან და ცენტრალურ გალაქტონეტ-ყავახანა „ეფსილონ ტუკანას“ მიაკითხა. კარი თავაზიანად მომდიმარმა ბიჭმა-რობოტმა გაუღო, შეიპატიჟა და ნანოსაინფორმაციო მერხთან დასვა. აირტონმა იდაყვის ვენაში მეგანოოტროპილის ჟელე იისფერი ფუნჯით შეიზილა და თავის ტვინის მუშაობის სისწრაფე სუბმაქსიმალურ დონეს მიუახლოვა. აირტონი გვიან საღამომდე იწოვდა ინფორმაციას როგორც თვალ-ყურით, ისე ყნოსვით და ხელისგულებითაც კი.

გვიან ღამით აირტონი შინ დაბრუნდა, ტკბილად დაიძინა, სიზმრებში ინფორმაცია საბოლოოდ გადახარშა და დილით კარგ გუნებაზე გამოიღვიძა. ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა

– შერჩეული ჰყავდა როგორც ქრთამის პოტენციური ამღები, ისე მიმცემიც. კონტროლის მექანიზმი შემუშავებული ჰქონდა ისე, როგორც ორი საუკუნის წინ ხდებოდა ჩვენთან. გარდა ამისა, აირტონს ერთი უცნაური აზრი მოუვიდა თავში, ისეთი საოცარი და საინტერესო, რომ თვითონაც კი გაუკვირდა და სიამოვნებისგან გაიზმორა. მოლაპარაკე მოწმე – ოთხფეხა ცხოველი – ძაღლი ან კატა, ალბათ უფრო კატა! აი, რა დაამშვენებდა გამოძიებას და სასამართლო პროცესს. ეს თავის დაზღვევის საუკეთესო საშუალებაც იქნებოდა რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევაში. თან, წარმოიდგინეთ, როგორი ეფექტი ექნება მოლაპარაკე ფისოს! ამას დიდი რეზონანსი მოჰყვება მედიაში, აირტონი გაზეთების პირველ გვერდზე გამოჩნდება ფისოსთან ერთად, საჰაერო-ვირტუალურ სიახლეებში ინტერვიუებს მისცემს და ანუკას შოუში ფისოსთან დიალოგს გამართავს. ამ და სხვა ტკბილმა ოცნებებმა იგი მძლემინისტრის პირველი მოადგილის რბილ სავარძლამდე მიაფარფატა. აირტონს ოცნებები მთქნარებაში გადაეზარდა და კინაღამ ჩათვლიმა. შემდეგ ნებისყოფა მოიკრიფა, მაგიდას მიუჯდა და ეკრანზე მოქმედების გეგმა-რუკა აკრიფა.

ქრთამის ამღები უნდა ყოფილიყო ქარახევის საშუალო სკოლის პედაგოგი, ზოოლოგიის მასწავლებელი გოგია. გოგია მასწავლებლის დოსიეში ჩანდა, რომ იგი დაუოკებელ სისუსტეს განიცდიდა ჩურჩხელების მიმართ და თუ როდისმე რაიმეს ქრთამად აიღებდა, ეს მხოლოდ ჩურჩხელა იქნებოდა. საერთოდ, იგი ხელგაშლილად ცხოვრობდა და საჭმელ-სასმელი არ აკლდა, მაგრამ შეთავაზებაზე უარს რომ არ იტყოდა, ეს დღესავით იყო ნათელი.

ქრთამის მიმცემად მოიაზრებოდა გოგიას მეზობელი გაიოზიკი, რომლის შვილს ბორია ლენჩს მეთხუთმეტე კლასში ჩარჩენა ემუქრებოდა, თუ გოგია სამიანს არ დაუწერდა. აირტონმა გაიოზიკზე ისეთი ინფორმაცია მოიპოვა, მისი დაყოლიება ნამდვილად არ გაუჭირდებოდა, მაგრამ სად ეშოვა ჩურჩხელები, აი, ეს კი დიდი პრობლემა იყო. ქრთამად მისაცემი ჩურჩხელები და შოკოლადები პოლიციაში უფროსებს თავად შეეჭამათ და ახლების ყიდვაზე არავინ ფიქრობდა. რა ექნა აირტონს? შეიძლებოდა ბოლოს და ბოლოს სომალიდან გამოეწერათ თხილის ჩურჩხელები. სპეცრეისის დანიშვნა ორი დღით გადადებდა დაკავების ოპერაციას, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა.

რვაშაბათს დილით აირტონმა გეგმა-რუკა მძლემინისტრს

მაგიდაზე დაუდო. მინისტრი ყველაფერს გაეცნო, პროექტი მოიწონა, აირტონი გაამხნევა და მიუგო:

– კარგია, კარგი. მაგრამ შენ ძარწმუნებული ხარ, რომ ის ოთხფეხა მოწმე ჩვენს სასარგებლოძ მისცემს ჩვენებას? მე კატების პატიოსნებაში ცოტა ეჭვი მეპარება, მით უმეტეს, მარტია კარს მომძგარი.

– მაგის დარდი არ გქონდეთ, ბატონო მინისტრო, ყველაფერი გათვლილი მაქვს! – დამაჯერებლად მიუგო აირტონმა.

თავი მეორე

გოგიას საგვარეულო ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი. გოგიას დახასიათება

დაახლოებით ორასი წლის წინ გოგიას დიდი პაპის პაპის ოჯახში ცხოვრობდა გერმანიიდან ჩამოსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ფროილაინ ჰერტა შტულცბერგი. ფროილაინ ჰერტა, ანუ როგორც ბავშვები ეძახდნენ, ჰერტა მასწი, გულდასმით და მუყაითად შრომობდა ქარახევის დაწყებით სკოლაში და მოსწავლეებს პედანტურად უტენიდა თავში გერმანული ენის ფონეტიკას, მორფოლოგიას და, თქვენ წარმოიდგინეთ, სინტაქსსაც კი, შემდგომში სქელტანიან რომანებზე და სახალისო ლექსებზე გადასვლის პერსპექტივით. ეს გადასვლა მოულოდნელად მოხდა. ბავშვებმა გერმანულად აატლიკინეს ენები და მშობლიურ ენაზე უცხო აქცენტი გაუჩნდათ. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ შავტუხა გოგო-ბიჭებს კანის ფერი გაუბაცდათ, ქოჩრებში კი ქერა თმები გამოერიათ, თანდათან ქერა თმებმა შავებს აჯობეს და ზუსტად სამ თვეში ბავშვებს ვეღარ იცნობდით, გეგონებოდათ, თავებზე ხორბლისფერი პარიკები დაუდიათო. იმისდამიხედვით, რაც უფრო კარგად მეტყველებდნენ ბავშვები გერმანულად, თვალები თანდათანობით უცისფრდებოდათ. წლის ბოლოს ბავშვებს მშობლიური მხოლოდ სახელი და გვარიღა შერჩათ. აქ კი იხუვლეს და აღშფოთდნენ ქარახეველები – ე რა გვიქნა ჰერტა მასწმაო – და გოგიას პაპის პაპის სახლს მიაშურეს.

ჰერტა მასწი აივანზე იჯდა და კავკასიის მზით ირუჯავდა ფუმფულა სხეულს, ხალხი რომ დაინახა, გადმოსძახა – მაინე

ფროინდლებო, ახლავე ჩავიცვამ, ქვემოთ ჩამოვალ და ვილაპარაკოთო. მართლაც, რამდენიმე წუთში უკვე ეზოში იყო ხალხის წინ, სკამზე იჯდა, მარცხენა ფეხი მარჯვენაზე გადაედო საკმაოდ მომხიბლავად და სხაპასხუპით ლაპარაკობდა ქართულად:

– ვიცი, რაზეც შეწუხებულხართ, ყველაფერი მესმის, მინდა აგიხსნათ ამ გაუგებრობის მიზეზი. სამწუხაროდ, ბავშვებს არ სცოდნიათ, რომ ცნობილი სიმღერა „ტურფავ, ტურფავ, რას მემდური, მოაცურე ჩემსკენ ნავი“ გერმანულიდან იყო ნათარგმნი. ამის შესახებ, ვაგლახ, მეც არაფერი ვიცოდი და აი, როდესაც სიმღერა ბავშვებს გერმანულად ვასწავლე, მათ გონებაში მოხდა ქვეცნობიერ-ცნობიერი კონფლიქტი, რამაც გამოხატულება ჰპოვა ოცდამეორე ქრომოსომის 22q11 გენის ათვლის ჩარჩო მუტაციაში. რაც მივიღეთ შედეგად, თქვენც მშვენივრად ხედავთ **(აქ ფრიოლაინ ჰერტამ შეგნებულად იცრუა, რადგან იცოდა, რომ მის ვერსიას მაინც ვერავინ გადაამოწმებდა. ვფიქრობთ, ბავშვების ფერის უცნაური ცვლილებები დაკავშირებული იყო ან ჰერტა მასწის გადაჭარბებულ მონდომებასთან სასწავლო პროცესში, ან საიდუმლო ინსტრუქციებთან დასავლეთიდან, ქარახეველებზე ზეგავლენის გასაძლიერებლად, რითიც პედაგოგები ჯერ კიდევ გამგზავრებამდე მარაგდებოდნენ თავიანთ სამშობლოში, ანდა ორივესთან ერთად. ფრიოლაინ ჰერტას თავის დასაძვრენი გზები წინასწარ ჰქონდა მოძიებული; მოსაჩვენებლად – ტაბლეტებით მკურნალობა, ხოლო რეალურად – სასწავლო პროცესის ინტენსივობის თანდათანობითი რედუქცია).**

– ჩვენ ჩარჩო მუტაციები არ გვაინტერესებს, ჩვენ გვინდა, რო ჩვენი შვილები ისევ ჩვენ დაგვემსგავსნონ! – ერთხმად შესძახა ხალხმა – გასაგებია?!

– გასაგებია, გასაგები, კეთილო ხალხო. არის ერთი საშუალება, მართალია, ცოტა ძვირი დაგიჯდებათ, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. ესაა ანტიმუტანტინის ტაბლეტები (ოღონდ შვეიცარიული ან გერმანული, თურქულს არ გირჩევთ). დანიშნულება – თითო ტაბლეტი დღეში სამჯერ ჭამის შემდეგ სამი კვირის განმავლობაში, შემდეგ ვისვენებთ სამი კვირა და ბოლო სამი კვირის მანძილზე დოზას ვაორმაგებთ – ორ-ორი ტაბლეტი დღეში ისევ სამჯერ. მთელი კურსი ხუთი ლარი ჯდება – თქვა ჰერტა მასწმა და მარჯვენა ფეხი მარცხენაზე გადადო.

ხალხი შეიშმუშნა. თანხა დიდი არ იყო, მაგრამ ამის გადახდაც არ უნდოდათ. ისიც იცოდნენ, შევაჭრება არ შეიძლებოდა. რომ არ დათანხმებულიყვნენ, მეზობელი სოფლელების დაცინ-

ვას ვერ გადაურჩებოდნენ. აკი უკვე მოდიოდა ხმები, მეზობლებმა გუბერნატორ ანზორას წერილი მისწერეს, სოფელს სახელი გადაარქვი და ნაბიჭვრიანთხევი უწოდეო. ვაი და, გუბერნატორმა თანხმობა მისცეს, მერე სოფელს თავი სად გამოგვეყოფაო. ისევ ჯობია, ამ ხუთ ლარს შეველიოთ და სამარცხვინო სახელი ავიცილოთო.

მართლაც, ცხრა კვირის თავზე ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდა, ბავშვები კვლავ მშობლებს დაემსგავსნენ. ჰერტა მასწის ავტორიტეტმა ზენიტს მიაღწია.

ამავე დროს გახმაურდა ერთი საინტერესო ამბავიც, მას გერმანიიდან ჩამოყვანილი ჰყოლია ორი მწვანეთვალება ფისო და გოგიას პაპის პაპის ოჯახში გაუმრავლებია. ფისოები არნახული დისციპლინით, ჭკუითა და გერმანული შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ, თუმცა ადგილობრივ კატებს, ცოტა არ იყოს, ზემოდანაც კი უყურებდნენ.

როდესაც სამშობლოში დაბრუნების დღე დადგა, ჰერტა მასწმა მთელი სოფელი იხმო და განუცხდა – საყვარლებო! მოწმენი ხართ, როგორი თავდადებით გემსახურეთ ორი წელიწადი, დღეს ვბრუნდები ჩემს მშობლიურ ქალქ უნტენდენლინდენშტადტში და გულის მცირე ნაწილი აქ მრჩება (აქ კი ხანმოკლე პაუზა გააკეთა და თვალები აუწყლიანდა), გარდა ჩემი გულის აღნიშნული ნაწილისა, გიტოვებთ ჩემს საყვარელ კატებს. ერთი თხოვნა მაქვს, რომელზეც, იმედია, უარს არ მეტყვით. ბედნიერი ვიქნები, თუ ამ ლამაზ და საყვარელ ფისოებს დაუტოვებთ ჩემს გვარს, შტულცბერგს, რამდენი ხანიც უნდა გავიდეს, თუნდაც ქვეყნიერების დასასრულამდე.

ხალხი აყაყანდა, მაგრამ დაბალ ხმაზე. ხალხის ემოციური ნაწილი დაეჭვდა, რამე ცუდი არ გამოვიდესო, უფრო შეუპოვარმა ნაწილმა კი თქვა – მაგის დედაც ვატირე, კატა კატაა, გვარად გინდა შტულცბერგი იყოს, გინდა მიაუძედუნიო, ფეხებზე არა გვკიდიაო? მცირე და პრინციპული თათბირის შემდეგ სოფლის მამასახლისი წინ გამოვიდა და თქვა – ჩვენ თანახმა ვართ იმ სიკეთის გათვალისწინებით, რაც ჩვენს ბალღებს დამართეთ, ამ თხოვნას აუცილებლად შეგისრულებთ, თავდებად ე ჩემი მკერდიდან ამოგლეჯილი თეთრი თმის ღერი იქნებაო, მართლაც, თმის ღერი სუფთა ცხვირსახოცში გაახვია და ჰერტა მასწს საზეიმოდ გადასცა.

აღფრთოვანებული ქარახეველები ტაშს უკრავდნენ და ხან „ვაუს“ გაიძახოდნენ, ხანაც „აუს“.

* * *

გოგია მეთორმეტე წელში იყო, როდესაც ზაფხულში ოჯახმა სამთო კურორტზე წაიყვანა დასასვენებლად. აქ ზაფხულში ბევრი ხალხი ჩამოდიოდა, ყველა ოჯახს სამი-ოთხი სხვადასხვა ასაკის ბავშვი ჰყავდა ჩამოყვანილი. ერთ საღამოს მეზობლის ეზოში ბავშვებმა საკუთარი ძალებით „კარნავალი“ მოაწყვეს, ზოგი ცეკვავდა, ზოგი მღეროდა, ზოგიც კიდევ ათას სისულელეს იგონებდა. იყო კარგი მუსიკა და ბევრი ხილი. გოგია შესცქეროდა ბავშვებს, განსაკუთრებით გოგონებს და მათ შორის ერთს – გამორჩეულს, პუტკუნას, რომლის სახელი ზაირა შემთხვევით გაიგო. ზაირა ძირითადად „კარნავალის“ ორგანიზაციით იყო დაკავებული და თითქოს გოგიასთვის წესიერად არც შეუხედავს.

ძალიან რომ დაღამდა, ბავშვები დაიშალენ და თავიანთ სახლებს მიაშურეს, გოგიაც მივიდა შინ, საძილე ოთახში შევიდა, გაიხადა, დაწვა და დასაძინებლად მოემზადა, თვალები დახუჭა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჯერ იყო, გონება ისე გაუნათდა და გაეხსნა, რომ მოენდომებინა, ოცდაშვიდს თექვსმეტს ზეპირად მიუმატებდა, მაგრამ რა თავში იხლიდა მიმატებას და გამოკლებას! დახუჭული თვალებით კვლავ კარნავალს და ორომტრიალს, მუსიკას და ცეკვებს ხედავდა. საინტერესო ის იყო, რომ ბავშვების სახეებს ისე თვალნათლივ უყურებდა, რომ თვალების ფერსაც არჩევდა. გოგია შეწუხდა, იფიქრა, ესე რანაირად უნდა ჩავიძინოო, თვალები გაახილა და გულაღმა დაწვა, ეს სანახაობა კი გაქრა, მაგრამ ახლა გულმა დაუწყო გაუგებარი ბრაგაბრუგი – ჯერ ერთი-ორჯერ ძლიერ დაარტყა, ეგონა, მიწა იძრაო, შემდეგ თითქოს გული საერთოდ გაჩერდაო. შიშმა რომ ცოტათი გადაუარა, გულმა ახლა ისე სწრაფად დაიწყო მუშაობა, თითქოს მეათე სართულზე ფეხით აერბინა. ვიდრე ბავშვი მიხვდებოდა, რა სჭირდა, უცებ ზაირა წარმოუდგა თვალწინ, შემდეგ კი ოთახში მზის სინათლე შემოვიდა და მიხვდა, რომ გათენებულიყო.

მთელი დღე უცნაურად დაბორიალობდა, რაღაც კი უხაროდა, თუმცა რა, თვითონაც არ იცოდა. ფიქრობდა, ნეტავ ეს „კარნავალი“ იქნებ კიდევ გამართონ და თანახმა ვარ, ეს ღამეც თეთრად გავათენოო. დღის განმავლობაში ზაირა ზოგჯერ ახსენდებოდა, მაგრამ ამას თავის მდგომარეობას ვერ უკავშირებდა. რამეზე ჩაფიქრდებოდა და უნებურად ზაირას სახე წარმოუდგებოდა

თვალწინ – მოდიმარი და საქმიანი. ასე გაიარა ნახევარმა დღემ, შემდეგ მეგობარი, 14 წლის გურამი შეხვდა, ყველაფერს მოუყვა და შეეკითხა, ნეტა რა მჭირს, დედაჩემს ხომ არ დავეკითხოო. გურამს ჩაეცინა, ბიჭო შენ შეყვარებული ყოფილხარ, დედას კი არა, ზაირას უნდა დაელაპარაკოო. გოგიას სიყვარულის ამბავი მოეწონა, მაგრამ ზაირასთან გასაუბრებაზე შეყოყმანდა, რა სისულელეა, წესიერად არ ვიცნობ, ალბათ ხმასაც არ გამცემსო. შემდეგ იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, ერთი წელი დაეცადა და გაისად ზაფხულში რომ შეხვდებოდა „კარნავალზე“, მაშინ დალაპარაკებოდა და ყველაფერი ეთქვა.

გოგიამ წელიწადი ბედნიერად გაატარა, არც უძილობას შეუწუხებია და არც უმადობას. დადგა ზაფხული, მაგრამ, ოჯახმა ზღვაზე გადაწყვიტა წასვლა დასასვენებლად, იქ კი არც მსგავსი ამბები დატრიალებულა და, რა თქმა უნდა, ზაირაც არ გამოჩენილა...

შემოდგომაზე ისე მოუნდა ზაირასთან ლაპარაკი, რომ სატელეფონო საცნობარო ბიურო ნოლ-ცხრაზე დარეკა და სთხოვა – შარშან ზაფხულში ზაირა რო ვნახე „კარნავალზე“, მაგის ტელეფონი მინდაო. ნოლ-ცხრამ ჩართო ნეიტრონულ-პროტონული მძებნელი, ყველაფერი მოაგვარა და ახალწვერულვაშამოყრილი რობოტის ხელით ტელეფონის ნომერი შინ გაუგზავნა. ქვევით კი მიაწერა – წარმატებას გისურვებო. გოგიამ ტელეფონის ნომერი გულში ჩაიკრა, შემდეგ ზაირას დაურეკა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ შეძლო. ზაირამ გოგია მისი დუმილით იცნო და პაემანი დაუნიშნა. შეხვედრა ორი დიდი ჭადრის ქვეშ განხორციელდა. აქ ერთი მხარე – ზაირა ლაპარაკობდა, ხოლო მეორე, ანუ გოგია, დუმილის უფლებას ინარჩუნებდა. ზაირას საამაყო წინაპრები ჰყავდა – პაპის პაპა იყო ქიმიის დარგში ობელის პრემიის ლაურეატი და პატრიოტი, სამაგიეროდ გოგია იყო მუყაითი და უყვარდა ზოოლოგია. ამრიგად, მათ სიყვარულს წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

ახალგაზრდებს ბევრი არ უფიქრიათ, ხუთ წელიწადში დაქორწინდნენ, სამი ტყუპი გოგონა ეყოლათ და ისე ბედნიერად ცხოვრობდნენ, რომ ბევრს მათი შურდა კიდეც. ტკბილ ყოფაში დრო ნელა გადიოდა, შინ საყვარელი ფისოები – იაბედა და იადვიგა შტულცბერგები იზრდებოდნენ, ლამაზდებოდნენ და ჭკუა-მოხერხებულობით აოცებდნენ ქარახეველებს. ცოლქმარი მუხლჩაუხრელად შრომობდა. ზაირას ეზოში საკუთარი ლაბორატორია ჰქონდა, სადაც სახელოვანი წინაპრების საქმეს

აგრძელებდა – ახალ პრეპარატებს ასინთეზირებდა, ხოლო გოგია მასწავლებელი სკოლაში გატაცებით ასწავლიდა ბავშვებს ზოოლოგიის მიღწევებს. ზაირას ღამის ცა უყვარდა, ვარსკვლავები მოსწონდა და ეალერსებოდა მათ, ერთხელ გოგიასაც უთხრა თავისი გატაცების შესახებ, ნეტავი ოდესმე L პლანეტაზე მოვხვდე, ამისთვის არაფერს დავიშურებო, გოგიამ უთხრა, სადაც შენ იქაც მე, L პანეტაზე კი არა, ქვეყნიერების კიდეზე წამოგყვებიო.

ზოოლოგიის გარდა გოგიას ხელოვნებაც შეუყვარდა – მხატვრობა, განსაკუთრებით აბსტრაქციონიზმი, კუბიზმთან და გარკვეულწილად სიურრეალიზმთან ერთად, ხოლო პიკასო და, მით უმეტეს, მალევიჩი თავის სულიერ წინაპრებად მიიჩნია, მართალია, გოგია არ გახლდათ დიდი, მაგრამ მის გამოფენებზე ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. ბევრი კრიტიკოსი აზრის გამოთქმას პირდაპირ ვერ ბედავდა, შიშობდა, ვაი და, უცხოეთში აღიარონ, მერე კი უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთო, ანდა გოგია უცებ მოკვდეს, მაშინ ხომ მის სურათებს ფასი დაედებათ და შევრცხვებითო. ამიტომ შეფასებები იყო ბუნდოვანი – ერთდროულად არაფრის და ყველაფრის მთქმელი. გოგია სიკვდილს არ აპირებდა, თანაც დაჟინებული ხატავდა, სიტუაციას ალღო აუღო და თავგზას უბნევდა დამთვალიერებლებს თუ ხელოვნებათმცოდნეებს. იმდენი მოახერხა, რომ ფერწერული ტილო „ნარინჯიფერი მართკუთხა პარალელეპიპედი“ ერთ უცხოელს კარგა გვარიან თანხად მიჰყიდა, ხოლო „თავწაკვეთილი მწვანე პირამიდა“ – ერმიტაჟს შეასყიდა, ასევე სარფიანად. ამის შემდეგ გოგია დამშვიდდა, გამოიფიტა და ხატვა-გამოფენებს ნელ-ნელა დაემშვიდობა.

გოგია ზაირას მიმართ შინაგანად მოწიწებას და პატივისცემას განიცდიდა, თითქოს გული უგრძნობდა, რომ ზაირა კოსმოსური მასშტაბების წარმატებებს მიაღწევდა ფარმაკოლოგიაში, მაგრამ ურთიერთობებში ამას გარეგნულად არ იმჩნევდა, ცხოვრობდნენ როგორც მოყვარული და შვილებზე გადამკვდარი ცოლ-ქმარი. გოგიას გიტარაზე უყვარდა დაკვრა, დაჯდებოდა, სიმებს ააჟღერებდა და საყვარელ ცოლს მიუმღერებდა – ბესამე, ბესამე მუჩოო...

ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ მოუვიდათ მცირე უთანხმოება, მიზეზი კი კვლავ და კვლავ გოგიას დაუოკებელი ლტოლვა გახლდათ ჩურჩხელების მიმართ. პირველად იყო და ოცდახუთი ჩურჩხელა ისე შეახრამუნა, არც ცოლი გახსენებია,

არც შვილები და არც მშობლები. მეორედ ზაირამ გოგიას ბალიშისქვეშ დამალულ ოთხ ჩურჩხელას მიაგნო, რომელთაგან ერთს, სანახევროდ შეჭმულს, უკვე ძაფი გამომძვრალი ჰქონდა. და ბოლოს, გოგიამ ჩურჩხელები უბრალოდ მოიპარა – მეზობელი ჟორჟიკას დაბადების დღისთვის, რომელიც ნაძვის ხის დღეებს ემთხვეოდა, ზაირამ ყუთში ტრადიციული საბჭოური საახალწლო ძღვენი ჩაალაგა – ხუთი მანდარინი, ერთი კოლოფი ნამცხვარი „საიუბილეო“, ხუთი კანფეტი, ათი კეხურა ვაშლი და ათიც არატრადიციული საჩუქარი – ჩურჩხელა. როდესაც მასპინძლის სახლში შევიდნენ და ჟორჟიკას ცოლმა ყუთი გახსნა, შიგ ჩურჩხელები აღარ იყო. როგორ და როდის მოასწრო გოგიამ ჩურჩხელების აწაპვნა და ნაქურდალის გადამალვა, ზაირასთვის ამოუხსნელ ამოცანად დარჩა. ეს იყო და ეს. სხვა რაიმე ცუდს ზაირა თავის საყვარელ გოგიაზე ვერაფერს გაიხსენებდა.

ჩურჩხელების ისტორია, როგორც მთელი მათი ცხოვრების ყოველი დეტალი, საიდუმლო დოსიეში ინახებოდა, რომელში შეღწევაც აირტონმა ორიოდ დღეში შეძლო ბიუროკრატიული წინააღმდეგობების ოსტატურად გადალახვის შემდეგ.

თავი მესამე
გაიოზიკი

გაიოზიკი სრულწლოვანი რომ გახდა, მშობლებმა იგი მიატოვეს და მწვანე პლანეტა შუშუკაზე გადასახლდნენ, სადაც განმარტოებით ცხოვრებაზე და სიყვარულის ოკეანის ლურჯ ტალღებზე დიდი ხანი ოცნებობდნენ. მანამდე კი გაიოზიკი საქონო კოლეჯში მოაწყვეს, მეთვალყურედ გარე ბიძაშვილი კაკო მიუჩინეს და დეპოზიტზე დიდი თანხა დაუტოვეს. ამის შემდეგ გაიოზიკზე ფიქრი შეწყვიტეს და მთელ დროს პლანეტის და ერთმანეთის სხეულის დეტალურ შესწავლას უთმობდნენ.

ამასობაში ბიჭმა კოლეჯი დაამთავრა და კარგი სამსახურიც იშოვა. თითქოს ბედნიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის, რაც ბავშვობიდან ყოველდღე, უფრო ზუსტად, დღეში სამ-ოთხჯერ აწუხებდა და რაც მოურჩენლად ეჩვენებოდა, სიცოცხლეს უმწარებდა. გაიოზიკის უბედურების შესახებ ალბათ არავინაც არ იცოდა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ვინმეს შემთხვევით დაენახა, გოგოსავით ჩაცუცქული რომ შარდავდა? ასეთ დაცინვას ვერ

აიტანდა, ალბათ თავსაც მოიკლავდა. გაიოზიკს კარგად ახსოვდა, პატარაობიდან საუკეთესო ექიმებთან რომ ატარებდნენ. საუბედუროდ, ყველა ერთი და იმავეს ამბობდა – თქვენი შვილი კაცივით ვერასდროს მოშარდავს და ამას სამივე უნდა შეეგუოთო. ეს იშვიათი დაავადებაა და ბარრევ-დეშან-მენდელსონის სინდრომი ჰქვიაო. ამ დროს შარდის ბუშტის გამხსნელ-დამხურავი კუნთი, საბედისწერო მუტაციით გაჩენილი გრძელი ნეირონით, უადგილო ადგილას – ორივე მუხლთანაა მიმაგრებული. თუ ოპერაციას გავაკეთებთ და ამ ბედკრულ ნეირონს გადავკვეთავთ, ან მიზანმიმართული ქიმიურ-ფიზიკური თერაპიით დავშლით, მაშინ თქვენი გაიოზიკი გოგოდ გადაიქცევაო. მშობლებმა იფიქრეს, ჯობს ისევ ბიჭი იყოს და ჩაცუცქული შარდავდეს, ვიდრე გოგო გახდეს და მერე მაგის გათხოვებაზე ვინერვიულოთო.

დრო გადიოდა. გაიოზიკი დავაჟკაცდა, ცოლის მოყვანის გუნებაზეც დადგა და ერთი გრძელთმიანი, ძალიან გამხდარი, მაგრამ მზითვიანი ქალი მოიყვანა, რომელმაც ერთ წელიწადში ბიჭი ბორია აჩუქა. გაიოზიკმა ისე მოახერხა, რომ ცოლმა მისი ნაკლის შესახებ ვერაფერი შეიტყო, თუმცა მას ერთი კოშმარული სიზმარი აეკვიატა, კვირაში ერთხელ მაინცდამაინც ცხრაშაბათს ნახულობდა, თითქოს დაპირებული ოპერაცია გაუკეთეს, გოგოდ გადაიქცა, კაბა ეცვა და ეზოში კლასობანას თამაშობდა, მერე შეშინებული კანკალებდა, ვინმე კაცს შეურაცხყოფა არ მიეყენებინა. გამოიღვიძებდა და სევდიან რეალობას უბრუნდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ვირტუალური გაზეთის „ხმა და ბიზნესი“ მეასე გვერდზე რუბრიკაში *„ემკურნალობ”* წაიკითხა – „უცხო პლანეტაზე ნასწავლი და დედამიწაზე მოწვეული პროფესორი დაუელი მკურნალობს გარანტიით ნერვოზებს, შიშებს, ოფლიანობებს, პრასტატს და ბარრევ-დეშან-მენდელსონის სინდრომს. უშედეგობის შემთხვევაში ფულს მთლიანად ვაბრუნებ უკან, რაც არასდროს მომხდარა“.

გაიოზიკი თავისი თანდაყოლილი გასაჭირის გამო უნდობი და ეჭვიან-ნერვიული იყო, ამიტომ უნებურად გაზეთს შეჰყვირა:
– რა არ მომხდარა, რა, უშედეგობა თუ ფულის არდაბრუნება?

მოულოდნელად გაზეთიდან პროფესორ დაუელის ხმა გაისმა:
– ნუ ღელავ, ჩემო ჩიტუნა, მომენდე, ყველაფერს მოგიგვარებ, ყველაფერს!

გაიოზიკმა გადაწყვიტა გაერისკა..

...საოპერაციო ოთახი იყო მზიანი, თეთრი კედლებით, ჰაერში დამათრობელი სურნელი იდგა, რადგან კლინიკაში მხოლოდ

ია-ვარდის ნარკოზს იყენებდნენ. საოპერაციო მაგიდაზე დაწოლილმა გაიოზიკმა თვალები დახუჭა და პროფესორის ბრძანებით დათვლა დაიწყო ერთიდან ზემოთ. როგორც კი 2003-მდე ავიდა, ტკბილად ჩაეძინა. რომ გააღვიძეს, სახლში, თავის საყვარელ სავარძელზე იყო მისვენებული.

– როგორ ვარ? იკითხა მან სუსტი ხმით.

– ალბათ კარგად, არაფერი დაგშავებია. 1500-ზე რომ ახვედი, შენი პროფესორი დაუელი უკვე კოსმოდრომზე იყო და რეგისტრაციას გადიოდა. ახლა უკვე თავის უცხო პლანეტაზეა, როგორც ჩანს, ახალ გეგმებს აწყობს. ლენჩი ჩვენი ბორია მეგონა, და შენ აღმოჩნდი, როგორ შეიძლებოდა უცხოპლანეტელების ნდობა! – მსუბუქად ქვითინებდა გაიოზიკის ცოლი...

* * *

აირტონს მაგიდაზე ედო გაიოზიკის დოსიე, რომელიც მსხვილტანიან ილუსტრირებულ წიგნს წააგავდა, ისეთს, ამ ორი საუკუნის წინ რომ უშვებდნენ სკოლის დაბალკლასელი მოსწავლეებისთვის. აირტონს დოსიე პირდაპირ მონიტორიდან ჰქონდა გამოღებული და ფურცლავდა. ფურცლებზე ხელის შეხება შინაგან სიამოვნებას ანიჭებდა, რადგან ეს ადამიანებს გენეტიკურად მოსდგამდათ, თუმცა ცოტა დამღლელი კი იყო. აი, პირველ გვერდზე გამოსახულია გაიოზიკის ჩასახვის წინა მომენტები – ის ერთადერთი და საოცრად მოძრავი ასეული ათასიდან, რომელიც ჯერ კიდევ ნახევარ-გიოზიკი იყო; შემდეგ შეერთება, გაზრდა და გარეთ გამოსვლა. ფურცვლა-ფურცვლაში აირტონი იმ ადგილს მიადგა, სადაც გაიოზიკი ჩაცუცქული შარდავდა, მერე ავანტიურსტ დაუელთან საბედისწერო ოპერაცია გამოჩნდა და აირტონს გონება გაუნათდა – ჩემია ეს საცოდავი, ჩემი!

გაიოზიკთან მოლაპარაკება სწრაფად დამთავრდა. იგი მომენტალურად მოტყდა, თავი ჩაქინდრა და თქვა – ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს, ოღონდ ჩემი დოსიე არ გახმაურდეს. დღესვე შევუდგები საქმეს.

აირტონმა მოსასმენი აპარატი გააწყო, მიკროფონი კისერზე ჩამოკიდებულ გულის ფორმის გიშერის ავგაროზში ჩაუმონტაჟა, ათი ცალი მსხვილი, სომალიდან დილაადრიანად ჩამოტანილი ახალამოვლებული არომატული ჩურჩხელა პარკში ჩაუწყო, ხოლო გაიოზიკის წიგნი-დოსიე ლაზერულ-ნეიტრონულ გამძლე

სეიფში შეინახა. სეიფის კოდირებულ გასაღებზე დამონტაჟებული საათი 20.30-ზე დააყენა და გაიოზიკს გადასცა. სწორედ ამ დროისთვის მოქრთამვის ოპერაცია უკვე დამთავრებული უნდა ყოფილიყო და გაიოზიკს ნება ეძლეოდა, თავისი დოსიესთვის რაც მოესურვებოდა, ის ექნა.

თავი მეოთხე
აირტონის ნანატრი დღე. ბუნების აღწერა

და აი, აირტონის ნანატრი დღეც დადგა, უფრო ზუსტად, საღამოს 6 საათი. ზაირა ეზოში განთავსებული პაპის პაპის სახელობის ლაბორატორიაში თანამშრომლებთან ერთად განაგრძობდა მუშაობას სუპერ-ასპირინის სინთეზზე. გოგია მასწავლებელი დივანზე იყო წამოწოლილი, კედელ-ტელევიზორს შესცქეროდა გაღიმებული და პირდაღებული – ალვის ხეზე პინგვინები ორსართულიან ბუდეებს იშენებდნენ.

უცებ კარი გაიღო და მოკლე ნაბიჯებით ოთახში გაიოზიკი შემოვიდა. იგი პერიოდულად წელში იხრებოდა და ირიბად მოძრაობდა, თითქოს რაღაც გაუგებარ რიტუალს ასრულებდა. გოგია მასწავლებელმა მზერა გაიოზიკს მიაპყრო და სახეზე მსუბუქი გაოცება გამოეხატა. საქმე ის იყო, რომ გოგიას გაიოზიკის ვალი ჰქონდა – სამი ცალი ჭიკარტი, რომლითაც კედელზე კალენდარს აკრავენ ხოლმე. ამის გამო გაიოზიკი ზოგჯერ უბღვერდა, ერთხელ შეუთვალა კიდეც, თუ ჩემ ჭიკარტებს არ დამიბრუნებ, საკონტინენტო სასამართლოში გიჩივლებო, მაგრამ ყველაფერი ძველებურად რჩებოდა – არც გოგია უბრუნებდა ჭიკარტებს და არც გაიოზიკს შეჰქონდა საჩივარი სასამართლოში. სიმართლე უნდა ითქვას და თავიდან ოთხი ცალი ჭიკარტი ითხოვა გოგიამ, მაგრამ, როგორც ჩანს, გაიოზიკმა ისიც იანგარიშა, მოდი, სამ ცალს მივცემ და თუ არ დამიბრუნა, ნაკლებად ვიზარალებო, თან აუხსნა, რომ კალენდარი სამი ცალითაც შეიძლება გაჩერდეს კედელზე – ორ ცალს ზევით მარჯვენა და მარცხენა კუთხეებში მიაკრავ, დარჩენილ მესამეს კი ქვევით ცენტრშიო. ამის შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა და გოგიას ეს ყველაფერი მშვენივრად ახსოვდა. ახლა კი უყურებდა გოგია გაიოზიკს და თავის თავს ეკითხებოდა, ნეტა რას უნდა ნიშ-

ნავდეს მისი მოულოდნელი გამოჩენა ან ეს მიხვრა-მოხვრაო, მაგრამ ვიდრე კონკრეტული აზრი ჩამოუყალიბდებოდა, გაიოზიკმა პირი გააღო და წარმოთქვა: – ჩემო ტკბილო მეზობელო, მაპატიე ჩემი სულმოკლეობა, დაივიწყე ყოველი უთანხმოება, ჯანდაბამდის გზა ჰქონია ჭიკარტებს და ჩვენ შორის განხეთქილებას. გევედრები, მომიტევე, მით უმეტეს, მეტად სერიოზულ საქმეზე გაწუხებ, ეს ჩემი ბორია-ლენჩი მგონი მეთხუთმეტე კლასში რჩება, იქნებ ერთი გაძვალტყავებული სამიანი დაუწერო ზოოლოგიაში და გადაგვარჩინო.

გოგია მასწავლებელი ჩაფიქრდა, ერთი კი გადაწყვიტა, მოდი, გავუხსენებ ჩამოთვლილ მუქარებს და კარგად გავჯორავო, მაგრამ ცელოფნის პარკში გახვეულ ჩურჩხელების წვერებს რომ მოჰკრა თვალი, მოლბა და გადაიფიქრა.

– აბა რა გიყო, ჩემო (ეს „ჩემო“ ძალიან ტკბილად გამოუვიდა) გაიოზიკ, მეტი რა გზაა, დავუწერ ამ ბავშვს ნიშანს. მართლაც მეთხუთმეტე კლასში ხომ ვერ დავტოვებ, ოღონდ ხვალ ერთ შეკითხვას მაინც მივცემ კლასში – რამდენი კუდი ჰქონდათ ძაღლებს ჩვენს პლანეტაზე 2020 წელს. ხომ გესმის, უბრალოდ უხერხულია სხვა მოწაფეებთან, შეკითხვის გარეშე ნიშნის დაწერა.

აქ კი გაიოზიკი მადლობის ნიშნად მოიხარა და მოსასმენი მოწყობილობა გამოუჩნდა, რომელიც მარტო ფისო იაბედამ დაინახა. გოგია მასწავლებლის მზერა ჩურჩხელებისკენ იყო მიპყრობილი და სხვას ვერაფერს ხედავდა. მაშინვე გაიოზიკმა მოწყობილობა გოგიასკენ მიამარჯვა და მაღალი ხმით წარმოთქვა – საჩუქრად მოგართმევთ ჩურჩხელებს!

გოგიამ მაგიდაზე დადებულ ჩურჩხელებს შეხედა და სიამოვნებისგან გაიტრუნა. გაიოზიკმა გოგია მასწავლებელს თავი დაუკრა და მსუბუქი ნაბიჯებით ოთახიდან გავიდა. როგორც კი კარი დაიხურა, გოგიამ სასწრაფოდ ამოარჩია ყველაზე დიდი ჩურჩხელა, წვეტიანი ბოლოთი პირში ჩაიდო, ჩაკბიჩა და დაღეჭა. მთელ სხეულში სასიამოვნო სიტკბო ჩაეღვარა. ჩურჩხელის მეორე ბოლოდან ძაფი გამოაძრო, პირი გააღო, მეორე ლუკმის ჩასაკბეჩად მოემზადა, რომ უეცრად კართან ხმაური მოესმა. აშკარად მფრინავი მოტოციკლეტის ხმა იყო. მართლაც, კარი გაიღო, ოთახში მოტოციკლეტი შემოთუხთუხდა და იქიდან ორი შავულვაშიანი ლოყებღაჟღაჟა მუშაკი გადმოვიდა. მათ მოტორი გამორთეს. ხელბორკილები ამოიღეს, გოგია გასკვანჩეს, მოტოციკლეტში ჩასვეს და უფლებები წაუკითხეს. ნივთმტკიცება –

ეროვნულ ენციკლოპედიის...

ჩურჩხელები ცელოფნის პარკში გაახვიეს, გოგიას შესაჭმელად გამზადებული ჩურჩხელა რიგრიგობით მოკბიჩეს და ასე დაპატარავებულ-დამოკლებული სხვებთან ერთად ჩადეს. შემდეგ მოტოციკლეტი დაქოქეს, ჰაერში წრე მოხაზეს და პირდაპირ დიდი ბულვარებისკენ გაუდგნენ გზას. გოგია სასახლეში წინასწარი დაკავების კამერა №302-ში შეიყვანეს და კარი მიუხურეს.

გოგიამ აირტონის ბრალდებები მოისმინა. ჯერ უარზე დადგა, ჩურჩხელები ზაირას ამოვლებული არისო, მაგრამ მადალ ხმაზე ჩაწერილი სიმღერის მოსმენას ვეღარ გაუძლო, ცრემლები წამოუვიდა და ყველაფერი აღიარა. მართალია, სიმღერის ზემოქმედებით აღიარებითი ჩვენება უკანონოდ ითვლებოდა, მაგრამ აირტონს იმედი ჰქონდა, რომ ამას ვერავინ გაიგებდა, ამიტომაც უდრტვინველი გამოვიდა სასახლიდან და მსუბუქი სტვენა-ხტუნვით გაუდგა გზას შინისკენ, სადაც საყვარელი ცოლი, შავთვალა ლამზირა ელოდა..

იმ დღეს გულის გამაწვრილებლად წვიმდა და ბუნება ძალზე ცუდად გამოიყურებოდა, ისე ერთფეროვნად, რომ მისი აღწერაც არ ღირდა.

თავი მეხუთე
ადვოკატ ბრაინის ღვაწლი

ზაირას მამიდაშვილის ბიცოლის პირველი ქმრის – სერგის კარის მეზობელი ალექსი, ადვოკატ ბრაინის მამის ალალი დეიდაშვილის გერი იყო. ამ წლებში ნათესაური კავშირების ინსტიტუტი თითქმის მივიწყებული იყო, მაგრამ ზაირა რა ქალი იყო, ეს ყველაფერი არ გამოეყენებინა და უჭკვიანესი-ტვინიკოსი ბრაინი გოგიასთვის დამცველად არ დაეყენებინა! ჯერ მარტო ბრაინის მონოგრაფია – ბესტსელერები რად ღირდა, წაიკითხეთ ნებისმიერი, რომელიც გნებავთ — „სამართალი ჭამს პურს!“, „როგორ გავამართლოთ დამნაშავე და არ ჩავსვათ ციხეში“, „საბრალონი ანუ განკიცხულნი“ – ან სხვა მრავალი და თავად მიხვდებით ზაირას არჩევანის სიღრმეს. ეს რაც შეეხება თეორიებს.

პრაქტიკაზე მოკლედ ვიტყვით: ყოველი ათი საქმიდან ბრაინი შვიდს იგებდა და, ბუნებრივია, პროკურორებს არასდროს სიამ-

ოვნებდათ სასამართლო პროცესებზე მისი გამოჩენა.

იმ სადამოს ადვოკატი ბრაინი თავის საყვარელ ყვითელ სავარძელში იჯდა და მუხლებზე გოგია მასწავლებლის საქმე ედო. ბრაინის ტვინის მუშაობის სიჩქარე მაქსიმალურ დონეზე იყო დაინსტალირებული. ასეთ სიჩქარეებს იგი ბოლო წლებში ადვილად აღწევდა კორეაში აწყობილი იაპონური მცირე ზომის ხოჭო-რობოტის კეფაში იმპლანტირების საშუალებით.

მაინც რა აქვს ხელში ამ გაიძვერა პროკურორ აირტონს? როგორც ჩანს, რეალური არაფერი – სათვალთვალო კამერები იმ დღეს მთელ სამეფოში გამორთული იყო რევან მეფის საყვარელი ძაღლის – კუსკუნას დაბადების დღის აღსანიშნავად, მოსასმენი მოწყობილობაც ბედად სწრაფად გამოვიდა მწყობრიდან და მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ჩაიწერა: „საჩუქრად მოგართმევთ ჩუ...“ ასე რომ, ეს შესაძლებელია ჩურჩხელა სულაც არ ყოფილიყო, რადგან სიტყვა დამთავრებული არ გახლდათ. რაც მთავარია, არ ჰყავს ცოცხალი მოწმე, რომელიც ქრთამის გადაცემას დაადასტურებს. აირტონს მხოლოდ იმ პროვოკატორ-გაიოზიკის წერილობითი ჩვენება აქვს, სადაც წერია, რომ იძულებული იყო, ქრთამი მიეცა და გოგია მასწავლებელი ორიანის ნაცვლად სამიანს დაუწერდა მის გონებაჩლუნგ ბორიას.

მართალია, წინასწარ გამოძიებაში გოგია მასწავლებელი აღიარებს ჩურჩხელების გამორთმევის ფაქტს, მაგრამ ბრაინმა სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ თურმე დაკითხვის დროს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს მოასმენინეს ძალიან მაღალ ხმაზე ჩაწერილი სიმღერა „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“, ისე აუჩუყეს გული და აღვრევინეს სინანულის ცრემლები, ბევრი სხვა გაუხსენლი საქმეების აღიარებაც მოუნდა, რომელთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა. აქ კი, აირტონმა ჭკუა იხმარა და გოგია მასწავლებელს ხელიდან კალამი სასწრაფოდ გამოგლიჯა, თორემ კიდევ რას დაიბრალებდა ეს საცოდავი, არავინ იცოდა.

ბრაინი წინასწარ ტკბებოდა, სასამართლოზე როგორ გამოაშკარავდებოდა სიმღერის მოსმენინების ფაქტი და შეიძლება ბრალდებული პირდაპირ დარბაზიდან გაეთავისუფლებინათ.

მაგრამ, თუ მოძებნიდნენ მოწმეს, რომელიც ბრალდებას დაუჭერდა მხარს? – აი, მაშინ, ყველა ვარიანტია გასათვლელი, ყველა ვარიანტი, მოსაძებნია ჩურჩხელებით მოქრთამვის საქმეები, გადასახედია კოდექსების შესწორებები, სამოქალაქო კოდექსები – ამ ფიქრებით მიადგა თავის საყვარელ საძიებელ-ვირტუალურ

სისტემას, რომლის შესანახად რატომდაც ძველისძველი საბჭოური ტელევიზორი „Рубин 110“ გამოეყენებინა. მან შიგ მარცხენა ხელის ხუთივე თითი შეყო და გონებაში ინფორმაციის ნაკადი შეიყვანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გაოცებული და გახარებული ფეხზე წამოხტა – თორმეტი, თორმეტი, თორმეტი! 220/AB/7ყ, 220/AB/7ყ – ხმამაღლა ყვიროდა აღგზნებული ბრაინი. ვინმეს შორიდან რომ შეეხედა, ნამდვილად ვერაფერს მიხვდებოდა, შეიძლება ეჭვიც კი შეჰპარვოდა მის ჯანმრთელობაში – ო, როგორ ავუფრიალებ ცხვირწინ ამ ყველაფერს პროფან აირტონს და ბატონ მოსამართლეს, გოგია მასწავლებელს კი პირდაპირ სასამართლოს დარბაზიდან გავანთავისუფლებინებ, ო, როგორ, ოჰ როგორ, ოოჰ როგორ! – ბრაინი ყვირილიდან თანდათანობით პოპულარულ სიმღერაზე გადავიდა, შემდეგ ხელოვნური ბროწეულის წვენი მოსვა, მეორე ოთახში გავიდა და ცოლს გადაეხვია, რომელსაც ბოლო წლებში განშტოებულჯაჭვიანი ამინომჟავების და ცხიმოვანი მჟავების მეტაბოლიზმის დარღვევები აწუხებდა, ბევრსაც მკურნალობდა, მაგრამ ყველაზე დიდ შვებას მაინც ბრაინის ალერსი ჰგვრიდა.

თავი მეექვსე
პროცესი

სასამართლოს დარბაზი გადაჭედილი იყო. სენსაციური პროცესის მოლოდინში აქაურმა ჟურნალისტებმა ისეთი აჟიოტაჟი ატეხეს, რომ დედამიწელების გარდა ასსამი ცნობისმოყვარე პლანეტა MR-იდან და ასოთხი ჟურნალისტი პლანეტა Q10-დანაც კი ჩამოფრინდა. სამთავრობო და ოპოზიციური ტელეარხების კორესპონდენტები ერთმანეთს ეპაექრებოდნენ პროგნოზების გაკეთებაში. დარბაზში კი ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ოფიციალური ტოტალიზატორის გვერდის ავლით აზარტული მაყურებლები ერთმანეთში „მაზავდნენ“ გოგიას განაჩენზე, ეს, რა თქმა უნდა, კანონის სერიოზული დარღვევა იყო, მაგრამ „მაზავშჩიკები“ ისე ოსტატურად ინიღბებოდნენ, რომ პატივცემულ საზოგადოებას ამაზე ეჭვიც არ გასჩენია. საოცარი იყო, რომ მიუხედავად ადვოკატ ბრაინის ფაქტორისა, გოგიას გამართლებაზე მხოლოდ ოცდაათ პროცენტს დაედო ფული...

განსასჯელის სკამზე ბუთქუნა გოგია მასწავლებელი იჯდა, ყურებჩამოყრილი უბედურად გამოიყურებოდა. მის გვერდით მჯდომი ადვოკატი ბრაინი მხოლოდ მისთვის ცნობილი სიამოვნების მოლოდინში ეშმაკურად იღიმებოდა.

– ისმინება საქმე ქრთამის აღების თაობაზე. სიტყვას ვაძლევთ პროკურორ აირტონს, წარმოთქვა მოსამართლემ.

მოსამართლე ბელაფონტე ასორმოც წელს მიტანებული საშუალო ასაკის სათვალებიანი მამაკაცი იყო და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. სახე აბსოლუტურად მშვიდი და მსუბუქად მოღიმარი ჰქონდა, სწორედ ისეთი, გეროსტარის მომხმარებლებს რომ აქვთ ხოლმე **(გეროსტარი სინთეზირებული იყო 2198 წელს ქალაქ ქარახევში ჩვენი გამოჩენილი გერონტოლოგების თაოსნობით კორპორაციაში „ნატრიუმ-კალიუმის ტუმბო“, რომელსაც ზაირას პაპის პაპა ხელმძღვანელობდა. პრეპარატი 70 წლით ახანგრძლივებს სიცოცხლეს. ამ გამოგონებისთვის 2200 წელს, დიდ პაპას ობელის პრემია მიენიჭა).**

– ბატონო მოსამართლე! გოგია მასწავლებელმა ჩირქი მოსცხო ჩვენს ქალაქს, ჩვენს პლანეტას და მთელს ჩვენს გალაქტიკას. დღეს, როცა ვფლობთ გარდამავლ დროშას „კორუფციას ნული“, რას აკეთებს ბატონი გოგია? ის ქრთამს იღებს მეზობლისგან, რათა გაძვალტყავებული სამიანი დაუწეროს ბორია ლენჩს და დაამთავრებინოს სკოლა. საქმის მასალებს თქვენ გაცნობილი ხართ. ბრალდება მოითხოვს დაკვალიფიცირდეს გოგია მასწავლებლის ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის AU/0808-პრიმა მუხლით, ანუ მიესაჯოს თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა დედამიწაზე ან ოცი წლით გადასახლება პლანეტა L-ზე.

ბელაფონტემ სათვალე ზემოთ ასწია და პროკურორს მიმართა:

– გყავთ ბრალდების მოწმე?

– დიახ, თქვენო ღირსებავ, გვყავს, ეს არის ფისო იაბედა! – უსიამოვნო ხმაზე დაიხრიალა აირტონმა და დარბაზს ამაყად გადახედა.

– ?!

– ყველაფერს მოგახსენებთ. ჩვენ მოლაპარაკება გვქონდა მაღალ-დაბალი მოლეკულური გენური ინჟინერიისა და მრგვალი ატომების ბომბარდირების ინსტიტუტის სახელმოხვეჭილ დირექტორთან, მისტერ დალასთან ოთხფეხა მეგობრების ალაპარაკების თაობაზე. ჩატარდა ბუმბერაზული სამუშაო, რომლის ანგარი-

ში საბუთებს თან ერთვის. შედეგად, ფისო იაბედამ ხმა ამოიღო. მე მაქვს სერთიფიკატი ინსტიტუტის დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს წევრების ხელმოწერით, სადაც მითითებულია, რომ დღეიდან ფისო არის კონტაქტურ-ადექვატური, შესაძლებელია მისი ჩვენების გამოყენება სასამართლოში. მას აგრეთვე მიღებული აქვს ელექტრონულ-პოზიტრონული პირადობის მოწმობა და საზღვარგარეთის პასპორტი.

ბელაფონტემ სათვალე კვლავ ცხვირზე მოირგო, ცოტათი ფერი დაკარგა, მაგრამ სიმხნევე მოიკრიბა და განაცხადა – სასამართლო იღებს შესვენებას, ერთ საათს.

ზუსტად ოცდაათ წუთში, მოსამართლე თავის ადგილს დაუბრუნდა და თქვა:

– შემოიყვანეთ მოწმე!

კარი გაიღო და დარბაზში მორთულ-მოკაზმული იაბედა შემოვიდა. თეთრ ბეწვს ოქროსფერი ზოლი უმშვენებდა, რომელიც კისრიდან კუდამდე მიჰყვებოდა. მოწმისთვის განკუთვნილ კათედრაზე დასკუპდა, ყურები დაცქვიტა, ფუმფულა კუდი წინა ფეხებთან მიიტანა და ლამაზი მწვანე თვალებით მოსამართლეს მიაჩერდა. კისერზე ვარდისფერი აბრეშუმის ბაბთა ჰქონდა გაკეთებული, რომელსაც ორი სამგანზომილებიანი ფოტო ამშვენებდა – ერთზე თვითონ იყო გამოსახული, სკოლაში ბოლო ზარის დღესასწაულზე, მეორეზე კი მშობლებთან და ქმარ-შვილთან ერთად ეროვნული დღის ზეიმზე.

– უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ, ფეხზე ადგეთ – მიმართა ბელაფონტემ.

იაბედა მყისვე დაემორჩილა, ფეხზე დადგა და კუდი მაღლა აპრიხა.

– თქვენი სახელი, გვარი, დაბადების წელი და ადგილი, სხაპასხუპით შეეკითხა მოსამართლე.

– იაბედა შტულცბერგი, დაბადებული 2282 წელს ქალაქ ქარახევში მდიდარი მიწათმოქმედის ოჯახში.

– დაიფიცეთ, რომ იტყვით სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა, გფარავდეთ მეფე!

– ვფიცავ!

– რა შეგიძლიათ გვითხრათ საქმის შესახებ?

– თქვენო ღირსებავ, მოგახსენებთ, ოჯახში, სადაც მე ვცხოვრობ, ჩემი პატრონი დეიდა ზაირა, ქმარს რომ გაისტუმრებს სამუშაოზე, მთელი დღე რჩება მარტო და დროსტარების მიზნით შინ მოყავს ნაცნობ-მეგობარი ქალები, მართავენ ტაშ-ფანდურას,

ახმაურებენ ზურნა-დუდუკს და ყველაფერს თვითონ მიირთმევენ. ჩემთვის არაფერი რჩება. მე კი არა, ზოგჯერ გოგია მასწავლებელიც მშიერი იძინებს ხოლმე!

– მოწმე იაბედა, ჩვენ არ გვაინტერესებს ზაირას თავგადასავლები, გთხოვთ მოგვიყვეთ, რა ნახეთ იმ დღეს, აიღო თუ არა ქრთამი გოგიამ და რა ვითარებაში.

– რა ვნახე? ჩემს და თქვენს მტერს, რაც მე იმ დღეს ვნახე, ბატონო მოსამართლევ! საღამოს სახლში ჩვენი მეზობელი გაიოზიკი შემოსრიალდა, ჩემს საყვარელ პატრონს, გოგია მასწავლებელს ქათინაურები უთხრა, თავი მოასაწყლა, სამიანის დაწერაზე დაითანხმა და ათი ჩურჩხელა აჩუქა, მერე ისევე ნაზად წავიდა, როგორც მოვიდა. საწყალ გოგიას ჯერ ერთი ჩურჩხელაც კი არ ჰქონდა შეჭმული, რომ ცუდი პოლიციელები მოფრინდნენ, მოტოციკლეტში ჩასვეს და წააფრინეს, მე კი უცებ საიდანღაც პროკურორი აირტონი მომეპარა, დამიჭირა, ინსტიტუტის დირექტორ პროფესორ დალასთან მიმიყვანა, მან კი ოპერაცია გამიკეთა და ლაპარაკი მასწავლა. ამის შემდეგ გავხდი მოლაპარაკე. რა მოგახსენოთ, კარგია, ლაპარაკი რომ შემიძლია, თუმცა სასამართლოზე ყოფნა მოწმის სახით ნამდვილად არ მომწონს. რა გაეწყობა, მე სახელმწიფოებრივად ვაზროვნებ და რადგან ეს საჭიროა, ყველაფერს ვყვები! თქვა იაბედამ და წითელი ტუჩები გაილოკა.

პროკურორმა აირტონმა შვებით ამოისუნთქა, დარბაზს გადახედა და, მისდა გასაოცრად, ბრაინის მხიარულ თვალებს შეეფეთა.

– გაქვთ რაიმე შეკითხვა მოწმის მიმართ? – შეეკითხა მოსამართლე ადვოკატს.

– დიახ, თქვენო ღირსებავ, მაქვს! – მოწმე იაბედავ, დაგვიზუსტეთ, რამდენი ჩურჩხელა გამოართვა გოგიამ გაიოზიკს?

– ათი ჩურჩხელა, ათი, როგორც რამდენიმე წუთის წინ მოგახსენეთ, ბატონო ადვოკატო ბრაინ, ნაზად უპასუხა იაბედამ.

– ბატონო პროკურორო, იაბედას ჩვენებაში შეიძლება ეჭვის შეტანა? – ახლა აირტონს დაუსვა შეკითხვა ადვოკატმა.

– არა, რა თქმა უნდა, არა, რიხიანად მიუგო აირტონმა.

– ჰოდა, თქვენო ღირსებავ! – მიმართა მოსამართლეს ადვოკატმა ბრაინმა და თვალი თვალში გაუყარა – ბრაინს შინაგანი წვა მოემატა და აშკარად რამდენიმე სანტიმეტრით გაიზარდა, როგორც სიგრძეში, ისე სიგანეშიც. ეს არ იყო რაიმე განსაკუთრებული მისტიური ტრიუკი, იმ წლებში სასამართლოზე

ადვოკატებს სხეულის ასეთი ხანმოკლე დეფორმაცია ხშირად ემართებოდათ სასურველი განაჩენის მოსმენის მოლოდინში – მე ხელში მიჭირავს სამოქალაქო კოდექსის შესწორება ნომერი 220/AB/7ყ, სადაც ნათლად ჩანს, რომ ქრთამად მიიჩნევა მხოლოდ თორმეტი და მეტი ჩურჩხელა. ბატონებო, გოგიას კანონი არ დაურღვევია! ამიტომ ვითხოვ მის დაუყოვნებლად გათავისუფლებას!

ბელაფონტემ ჯერ თვითონ სწრაფად გადაიკითხა შესწორება, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, მერე აირტონს წააკითხა და შეეკითხა:

– მისტერ აირტონ, რაიმეს ხომ არ იტყოდით?

აირტონმა „არა“ ისეთ ტონალობაში ამოთქვა, რომ მისი ხმა მოსამართლეს გარდა ვერავინ გაიგო. ამ დროს დარბაზი გაისუსა და მიხვდა, რომ მოსამართლეს რაღაც მნიშვნელოვნი ჰქონდა სათქმელი.

ბელაფონტე ფეხზე წამოდგა, მარცხენა ხელი წინ გაიშვირა, მარჯვენა კი გულზე მიიდო და მაღალი ბოხი ხმით განაცხადა:

– სამოქალაქო კოდექსის შესწორების 220/AB/7ყ-ის საფუძველზე გოგია მასწავლებელი მიჩნეულია უდანაშაულოდ, შეუძლია შინ დაბრუნება და ჩურჩხელების მირთმევა. სხდომა დამთავრებულია. დიდება მეფეს!

დარბაზში მქუხარე ტაშმა დაიგუგუნა, ისმოდა აღტაცების გამომხატველი სტვენა. ნათელი იყო, განსაკუთრებით აქტიურობდა ის ოცდაათი პროცენტი, რომელმაც გოგიას გათავისუფლებაზე დადო ფული.

ოვაციების ფონზე ისმოდა შეძახილები – გაუმარჯოს ჩვენს სამართლიან სასამართლოს! ვაშა ადვოკატ ბრაინს! დღეგრძელობა საყვარელ მოსამართლე ბელაფონტეს! სირცხვილი ჩამშვებ გაიოზიკს და ინსპირატორ აირტონს! ვიღაცამ პატარა კუპლეტიც დააგუგუნა სიმღერიდან „სამართალმა პური ჭამა“, რომლის მთლიანი ტექსტი ბრაინის იგივე სახელწოდების მონოგრაფიაში იყო მოხსენებული.

პირდაპირ ეთერში ოთხივე მთავარი სატელევიზიო არხის თეთრი, შავი, ყვითელი და წითელი კანის ფერის დიქტორები დეტალურად ყვებოდნენ ამ ამაღელვებელი, ისტორიული პროცესის ყველა ნიუანსზე.

გოგიამ ხალხში ამაყად გაიარა, რეპორტიორები უკან ჩამოიტოვა, ერთი მგრძნობიარე ქალბატონის მიერ ნასროლი მიხაკი მარჯვედ დაიჭირა, საყვარელ ზაირას ხელკავი გაუყარა, შემ-

დეგ ქუჩაში გავიდა, ოთხფრთიანი ცე კლასის „4x4“ მერსედესის ტაქსი გააჩერა, მფრინავ მძღოლს მისამართი უთხრა, გაიზმორა, ზაირას ხელი გულზე მიიდო და ოცნებებს მისცა თავი. ზაირა მიუხვდა ოცნებას და ნაზი ხმით მიუგო, მართალი ხარ გოგიკუნა, გადავსახლდეთ თბილისში, საყვარელო, მე ვერაზე მირჩევნია ცხოვრება, შენ? გოგიამ მეტყველი თვალებით შეხედა ზაირას და თავი დაუქნია რაც ნიშნავდა – ჰო, ჩემო ერთადერთო!

მეორე დღეს გაზეთში „ტექნიერება და მეცნიკა“ გამოქვეყნდა სახელდახელო ინტერვიუ უკვე სახელმოხვეჭილ ფისო იაბედასთან. ინტერვიუს ატარებდა მაღალრეიტინგული ახალგაზრდა კორესპონდენტი-გოგონა კეკ-კელა მაზალლო. გთავაზობთ მცირე ნაწყვეტს ამ გახმაურებული ინტერვიუდან.

კორ.: – დღეს, ვფიქრობთ, ყველაზე პოპულარული ფისო ბრძანდებით ქვეყანაში და იქნებ ინტერვიუზე დაგვთანხმდეთ!

იაბ.: – სიამოვნებით, გისმენთ, ახალგაზრდავ!

კორ.: – როგორ გრძნობთ თავს?

იაბ.: – გმადლობთ, არა მიშავს. ცოტა გაორებულად, ერთი მხრივ, სიმართლე ვთქვი და მოსამართლეს დავეხმარე, მეორე მხრივ კი ცოტათი დაბეზღება გამომივიდა.

კორ.: – კარგია, რომ ლაპარაკობ?

იაბ.: – კი, რა თქმა უნდა, მშვენიერია, თუმცა წერა-კითხვა არ ვიცი, ალბათ ვერც ვისწავლი, რადგან თქვენნაირი თითები არა მაქვს, ნაწერებსაც ვერ ვარჩევ, სათვალეს ხომ ვერ გავიკეთებ, უხერხულია – სათვალიანი კატა.

კორ.: – რატომ, ხომ არსებობს ჩექმებიანი კატა?

იაბ.: – ეს, გენაცვალე, ძველი ზღაპარია!

კორ.: – ჰოო?

იაბ.: – კი, ძვირფასო, ზღაპარი სხვაა, ცხოვრება – სხვა.

კორ.: – რომელი ფერი გიყვარს?

იაბ.: – ნაცრისფერი, ცოტა სევდიანია, მოღრუბლულ დღეს მაგონებს, სამაგიეროდ კატები მახსენდება!

კორ.: – თქვენ თაგვები გიყვართ? იჭერთ და ახრამუნებთ?

იაბ.: – საყვარელო კორესპონდენტო, ხომ არ გავიწყდებათ, რომ კატა ვარ, კატა. ოღონდ მოლაპარაკე, კეტმენში ხომ არ გერევი?

კორ.: – კეტმენი, კეტმენები, ვინ არიან ისინი?

იაბ.: – რა, არ გაგიგონია? ისინი L პლანეტის მეცხრე კუნძულზე ცხოვრობენ. სხვათა შორის, აირტონი და მძლემინისტრი იქ უნდა გადაასახლონ, რადგან ჩემი პატრონი გოგია ვერ დაი-

ჭირეს! რადა დაგიმალოთ და ძალიან ბედნიერი ვარ, გოგია რომ გადარჩა.
კორ.: – ვინ არის თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
იაბ.: – აი, გვარი არ მაგონდება, მელოდია კი კარგად მახსოვს – ია, აი, ოო ო, ია, აი უუ უ (მღერის)
კორ.: – მივხვდი, სმეტანა!
იაბ.: – ჰო, ალბათ, კარგი მუსიკა კი არის და...
კორ.: – თქვენი საყვარელი მხატვარი?
იაბ.: – ჩემი პატრონი გოგია, კედელზე ხედავთ სურათებს? მისი ნახატებია.
კორ.: – ვაი, არ ვიცოდი! თქვენი პირადი ცხოვრების შესახებ მინდა გკითხოთ.
იაბ.: – ბრძანეთ!
კორ.: – შეყვარებული გყავთ?
იაბ.: – როგორ არა, მყავდა შავი ხვადი კატა ხოზე ხუანი. მაგრამ როგორც კი ლაპარაკი დავიწყე, დაფრთხა და სადღაც გადაიკარგა. გულდათუთქული ვარ. ალბათ სხვაგან კოტრიალობს, სხვებთან!!! ოღონდ დამიბრუნდეს, მზად ვარ დავმუნჯდე, ყველაფერს ვაპატიებ.
კორ.: – განა ეს შესაძლებელია? განმეორებითი ოპერაცია დაგჭირდება? ამას პროფესორი დალასი გააკეთებს?
იაბ.: – არა მგონია, ამდენ ფულს ვინ გადაიხდის, დაზღვევის პოლისი მე არა მაქვს, ჩემმა პატრონებმა იმდენი ინერვიანეს, მაგათ ფულს ვერ მოვთხოვ! წესით, მთავრობამ უნდა დააფინანსოს ეს ოპერაცია, როცა სჭირდებოდათ, ხომ ამალაპარაკეს? ხოზე ხუანს ძალიან უყვარდა, ვნებიანად რომ ვკნაოდი, ეჰ, ჩემი სანატრელი ბიჭი!

აქ იაბედამ თავი ვეღარ შეიკავა და ცრემლები წამოუვიდა.

კორ.: – მაპატიეთ, არ მინდოდა მგრძნობიარე სიმები ამეჟღერებინა, ბოდიშს ვიხდი. გემშვიდობებით, ძვირფასო. მადლობა ინტერვიუსთვის!

პირველი ნაწილის ეპილოგი

დიდი ლილოს რევან პირველის სახელობის აეროკოსმოდრომის შენობას ორი აქოშინებული მგზავრი მიადგა. ორივე ერთნაირად იყო ჩაცმულ-დახურული – თავზე მწვანე ქუდები ეხურათ, ფეხებს ზოლიანი ჩექმები, სახეს კი ლამაზი წვრილი შავი ულვაშები უმშვენებდათ. მძლემინისტრს და პროკურორ აირტონს ორ-ორი ჩემოდანი ეჭირათ და L-500 რეისს ეძებდნენ. თავაზიანმა რობოტებმა ისინი ხომალდამდე მიიყვანეს და გზა მშვიდობისა უსურვეს.

რამდენიმე ხანში ხომალდმა დაიღრიალა და კოსმოსური სიჩქარით მიწას მოსწყდა. მძლემინისტრს და აირტონს თვალებზე ცრემლები მოადგათ. საქაღალდეში, რომელსაც ზევიდან ეწერა „папка для бумаг“, იდო ლამაზად დაბეჭდილი წერილი:

„პლანეტა L მე-9 კუნძული, კეტმენების მეფე კრუტუნ მეხუთეს

საყვარელო კრუტუნ,

გეგზავნებათ ორი უიღბლო დედამიწელი ორმოცდაათი წლის ვადით. ფისოების ენას ჯერჯერობით ცუდად ფლობენ. იმედია, თქვენთან კარგად დახელოვნდებიან. მონაცემები: შრომისმოყვარეობა – საშუალო; მოხერხებულობა – დაბალი, ინტელექტი – ძალიან დაბალი. ვფიქრობთ, ამ პერიოდში გარკვეულ პროგრესს მიაღწევენ. წინასწარ გიხდით მადლობას.

დიდი ვეზირი“.

ხომალდში მუსიკის დრო დადგა და ჩასტუშკები გაისმა. ლა-ლა-ლა, ლა-ლა-ლა, პიისატ ლეტ, პიისატ ლეტ, პიისატ ლეტ, ბისტრა, ბისტრა ბისტრა, ბისტრა პრაიდუტ. თუმცა მუსიკას არავინ აჰყვა და ცეკვაც არავის დაუწყია. ილუმინატორიდან დედამიწა თანდათანობით პატარავდებოდა, პატარავდებოდა და ბოლოს საერთოდ გაქრა.

ნაწილი მეორე

მეცხრე კუნძულზე კეტმენებთან ერთად

თავი მეშვიდე
ჩამოსვლა

მგზავრობა არ აღმოჩნდა მომქანცველი. მას შემდეგ, რაც სააქციო-სამგზავრო საზოგადოებამ „მიწა-კოსმოსი“ რეის L-500 -ისთვის ზესინათლისსხივური სიჩქარის კოსმოსური ხომალდები „შორეთი 001“ იყიდა, მგზავრობა მეტად სასიამოვნო და კომფორტული გახდა. მართალია, ძია ალბერტის ნაწინასწარმეტყველევი მასის ცვლილებები გარკვეულ დისკომფორტს იწვევდა ასეთი სიჩქარეების დროს, მაგრამ ხომალდის ეკიპაჟი ამ შემთხვევაში საძილე-იავნანურ მუსიკას რთავდა და ამ რთულ პერიოდს ვერავინ გრძნობდა.

ბოლო დღეების ტრაგიკული მოვლენებით დათრგუნული აირტონი და მძლემინისტრი ჩუმად ისხდნენ, ლაპარაკის ხალისი დაჰკარგვოდათ. თავში საზარელი ფიქრები მოსდიოდათ და ერთმანეთს ვერ უზიარებდნენ. საბედნიეროდ, თავის შეკავების უნარი ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ, მიფრინავდნენ და შიშით ელოდნენ ბუნდოვან მომავალს.

ზუსტად სამ დღეში კოსმოსური ხომალდი პლანეტა L-ის მე-9 კუნძულზე დედაქალაქ პანტერვილის კრუტუნ პირველი დიდის სახელობის საერთაშორისო-საპლანეტშორისო აეროკოსმოდრომის მეხუთე ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე დაჯდა. ტრაპიდან ჩამოსულებს ორი ლამაზი ფისო დახვდათ, რომლებმაც გამართული ინგლისურით დაიწყეს საუბარი. ჩვენს უიღბლო დედამიწელებს ავბედით პროცესზე დატრიალებული კატასტროფის შემდეგ კატების დანახვა კი არა, ამ სიტყვის გაგონებაც კი ზარავდა და შოკში აგდებდა. სად უნდა ეცხოვრათ და რა უნდა ეკეთებინათ მომავალი ორმოცდათი წელი დიდი ვეზირის ახირების გამო, წარმოდგენაც არა ჰქონდათ. ახლა კი, ამ ფისუნიების დანახვაზე, მთელი თავიანთი ჩაფლავებული ავანტიურა გაახსენდათ და ტირილი მოუნდათ. ეს ალბათ სინანულის პირველი ნიშანი იყო.

ათიოდე წუთში უკვე კუნძულის მეფე კრუტუნ მეხუთის მო-

ეინფონი და ძაღლმინისფრი ჯოუფუნ მეხუთესთან

საცდელში ისხდნენ. მდივან-კნუტუნიამ ისინი სარეგისტრაციო ჟურნალში გაატარა და ფინჯანი ყავა შესთავაზა. ნამგზავრებმა თითო ფინჯანი ყავა „გარინჩა“ შესვეს, ამასობაში კარი გაიღო და ცერემონმაისტერმა დედამიწელები მეფეს წარუდგინა.

მეფე საწერ მაგიდასთან იჯდა, ხელში კუბური სიგარა ეჭირა, წინ კონიაკ „კურვუაზიეს“ ნახევრად სავსე ბოთლი ედო, თვალები მოჭუტული ჰქონდა, გეგონებოდათ, სთვლემსო, შემდეგ სტუმრებს ცისფერი თვალები შეანათა და მათი ბიოგრაფიები დაწვრილებით მოყვა. ბიოგრაფიები ასე იწყებოდა — აირტონი დაიბადა... მძლემინისტრი დაიბადა...

ყველაფერი ისეთი პირუთვნელი სიზუსტით იყო აღწერილი მათი დაბადებიდან მეფესთან შეხვედრამდე, რომ დედამიწელები ჯერ აღელდნენ, შემდეგ კი მოიხიბლნენ მეფის ინფორმატიულობით და განსწავლულობით. ცოტათი რომ დამშვიდდნენ, კაბინეტს თვალი შეავლეს. კაბინეტი თბილი ოქროსფერი მოლივლივე სინათლით იყო ავსებული, საიდან მოდიოდა იგი, აირტონი და მძლემინისტრი ვერ მიხვედრილიყვნენ, რადგან არც ჭაღი ჩანდა, არც ბრა და არც სინათლის რაიმე სხვა წყარო. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგეს, რომ სინათლე თვით მეფიდან გამოდიოდა, ფიზიკის ყველა ბანალური კანონის გვერდის ავლით, რადგან კანონებს დამორჩილებული მოვლენები სულიერებას ვერ გუობენ. როდესაც მეფე ლაპარაკს იწყებდა, სინათლე, შვიდ შემადგენელ ნაწილად დაშლილი, ერთმანეთში გადადიოდა და ერთმანეთს ენაცვლებოდა. დუმილის დროს კაბინეტში კვლავ ბაცი ოქროსფერი გამობრწყინდებოდა ხოლმე.

აღმოსავლეთის კედელზე თანამიმდევრობით იყო ჩამოკიდებული ხუთივე მეფის ფერწერული პორტრეტი. ყველაზე დიდი და მონუმენტური, რა თქმა უნდა, კრუტუნ პირველი დიდის გამოსახულება გახლდათ, სადაც იგი ტახტზე იყო დაბრძანებული. გვერდს ცოლი, შვილები და დიდებულები უმშვენებდნენ, უკანა პლანზე ჩანდა მთელი მეცხრე კუნძული, იმგვარად გამოსახული, რომ შეიძლება რუქა გგონებოდათ. თავზე სამეფოს გერბი იყო ჩახატული – ორი ხის ქვეშ ადამიანი და კეტმენი ჩანდნენ, უფრო ზუსტად, შედიოდა ადამიანი და გამოდიოდა კეტმენი, ამ უკანასკნელს ირგვლივ ბავშვები ეხვია. გერბის ზევით – მარცხნივ, ცენტრში და მარჯვნივ, შესაბამისად გამოხატული იყო ვერცხლის დარიშხნის, ოქროს დარიშხნის და ჩვეულებრივი დარიშხნის ზოდები – კუნძულის სასარგებლო და საამაყო წიაღისეული, რასაც უდიდესი შემოსავალი მოჰქონდა სახელმწიფოსთვის.

ჩრდილოეთის კედელი დათმობილი ჰქონდა გარდამავალ დროშებს, ვიმპელებს, სერთიფიკატებს, დიპლომებს, ლიცენზიებს, თასებს, ოლიმპიურ მედლებს, რომლებიც ჩემპიონებს და პრიზიორებს ჰქონდათ შემოწირული. ამ კედელზე აგრეთვე თავს იწონებდა სხვადასხვა დროს და სხადასხვა ბრძოლებში მოპოვებული ნადავლ-ალაფი – მუსიკალური ინსტრუმენტები, მისნობის ხელსაწყო-მოწყობილებები, მხატვრული ლიტერატურა, ფერწერულ-გრაფიკული ტილოები, წნევის აპარატები და ერთჯერადი შპრიცები.

დასავლეთის კედელი ეს იყო ფაქტობრივად კედელი-წარსული, კედელი-მატიანე და კედელი-აწმყო. აქ თავმოყრილი იყო უამრავი შავ-თეთრი და ფერადი ფოტომასალა, კინოფირები, აუდიოჩანაწერები, მიტინგებიდან შერჩენილი და გადარჩენილი ტრანსპარანტები, სქელტანიანი ისტორიული, ისტორიულ-მხატვრული მონოგრაფიები, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კოდექსები, ზნეობის, ეთიკისა და ესთეტიკის სახელმძღვანელოები და ყველაზე მნიშვნელოვანი – მეფე კრუტუნ პირველი დიდის ანდერძი და ანდერძის განმარტებები, ტესტებითურთ თარგმნილი ორმოცდაცხრა ენაზე.

სამხრეთის კედელი პრაქტიკულად მთლიანად დაკავებული ჰქონდა უზარმაზარ მაცივარ-სასადილო კარადას, რომელიც იყო გამჭვირვალე და შიგნით ჩამწკრივებული სასმელ-საჭმელი მიმზიდველად გამოიყურებოდა.

ჭერი იყო გუმბათოვანი, და ობსერვატორიას მოგაგონებდათ. შესანიშნავად ჩანდა ჰემიგალაქტიკა, მისი ყოველი თანავარსკვლავედი, აგრეთვე, პლანეტები, მაგიდაზე არსებული პულტით ნებისმიერ პლანეტას გაადიდებდით სასურველ ზომამდე რეალურ დროში. სტუმრებს ისე მოუნდათ თავიანთი ქვეყნის, სახლების და ახლობლების დანახვა, რომ გრძნობები მოეძალათ და კინაღამ მეფეს სთხოვეს ამის შესახებ, მაგრამ გაახსენდათ თავიანთი სტატუსი და ხმა გაიკმინდეს.

კრუტუნ მეხუთეს ტანი ლამაზი შავი მბზინავი ბეწვით ჰქონდა დაფარული, რომელიც გვერდებზე თანდათან ბაცდებოდა, ხოლო მუცელზე, გულმკერდზე, ყელზე და სახეზე სრულიად ქათქათა თეთრი ხდებოდა. როდესაც სავარძლიდან წამოდგა, დედამიწელებიც იმავ წუთს ფეხზე დადგნენ, შეხედეს და მიხვდნენ, რომ იგი მათზე ერთი თავით მაღალი იყო, შესანიშნავად გამოიყურებოდა და შავ პანტერას წააგავდა. მეფემ დინჯად დაიწყო სიარული კაბინეტში და სტუმრებს მიმართა:

– მე პატივს ვცემ დიდ ვეზირს. თქვენთან დაკავშირებით უკვე ჩამომიყალიბდა საინტერსო გეგმები. პირველ რიგში, უნდა შემომფიცოთ, რომ იქნებით პატიოსნები, კეთილნი და მეფის ერთგულნი.

აირტონმა და მძლე მინისტრმა გახარებულებმა, სწრაფად და ერთხმად შესძახეს – ვფიცავთ, ვფიცავთ, ვფიცავთ!

მეფემ უპასუხა:

– ასეთი სულსწრაფობა და ამჩატება არ გეკადრებათ, ბატონებო! ყველაფერს თავისი წესი აქვს. ჯერ უნდა წახვიდეთ ქოხსამკითხველოში ან სახალხო ბიბლიოთეკაში, გაეცნოთ კუნძულის ისტორიას, კანონმდებლობას, ჩვენს ზნეობის კოდექსს და ყველაზე მნიშვნელოვანს – მეფე კრუტუნ პირველი დიდის ანდერძს, თავისი განმარტებებით და ტესტებით. აი, შემდეგ მოხდება საზეიმოდ და სახალხოდ ფიცის დადება მისივე სახელობის სპორტის სასახლეში. გარდა ამისა, ჩვენს კუნძულზე თქვენ უკვე ექსმინისტრი გერქმევათ, აირტონს კი კვლავ აირტონი. და ყველაზე, ყველაზე მნიშვნელოვანი – თუ კარგად მოიქცევით, ერთი დღე ათ დღედ ჩაგეთვლებათ, ხოლო თუ ისევე ცუდად მოიქცევით, როგორც დედამიწაზე, მაშინ პირიქით – ათი დღე – ერთ დღედ.

– დიდი მადლობა, მეფევ ბატონო – გულწრფელად აღმოხდა მძლემინისტრს და უცებ თავისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ ასო ბგერა „დ“ სავსებით გამართულად წარმოთქვა.

რა იყო ეს? – კუნძულის გრავიტაციული მიმზიდველობის ზემოქმედება, მეფის თვალებიდან გამომავალი მკურნალი სითბო თუ მოულოდნელად გაჩენილი მომავლის იმედი – ამაზე ფიქრით მძლემინისტრს თავი ნამდვილად არ შეუწუხებია, იგი უბრალოდ ბედნიერი გახლდათ.

აირტონმაც გაიმეორა მადლობა, ოღონდ უფრო დინჯად, რათა მეფეზე დაფიქრებული და ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილება მოეხდინა, თუმცა ეს იაფფასიანი ხერხი მეფეზე არ მოქმედებდა, მას ადამიანებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

ამის შემდეგ მეფეს სხვა არაფერი უთქვამს, აუდიენცია დამთავრებული იყო. დედამიწელები მეფის პირადმა მცველებმა სასტუმრო-სახლებში მიაბრძანეს, ავახშმეს და ძილი ნებისა უსურვეს.

თავი მერვე

ა) ვინ იყო ნკვამე იჯანა, ანუ რა ისწავლეს აირ-ტონმა და ექსმინისტრმა

ხალხები, ხალხები, ბევრი ხალხები
(ვატო)

სისხამ დილით ექსმინისტრი და აირტონი ქოხ-სამკითხველოს მიადგნენ. ორივე ისე იყო სწავლას მოწყურებული, რომ ათი დღე გარეთ არ გამოსულან, თვალები სულ დაიწითლეს კითხვით. შესვლისთანავე ბიბლიოთეკის გამგემ, კოხტა და ლურჯთვალა მიმიმ წინ დაულაგა აუცილებლად წასაკითხი მონოგრაფიების მცირე ნაწილი: „აფრიკის გარიჟრაჟი“, „ნკვამე იჯანა – ჩვენი მამულის შუქურა“, „ჯერ ვარსკვლავები და შემდეგ რევოლუცია“, „მეცხრე კუნძული გუშინ, დღეს და ხვალ“, „კეტმენების ტრადიციები, ადათ-ჩვეულებები და მისწრაფებები“ და კიდევ ბევრი სხვა წიგნი, ლექსები, მთავრობის რეზოლუციები, კრუტუნ პირველი დიდის ანდერძი, ანდერძის განმარტებები, მორალ-ზნეობის ტესტები, ხალხური ეპოსი და სხვა მრავალი – გონების, გულის და სულისთვის სასარგებლო ნაწერები.

მეთერთმეტე დღეს მათ უკვე იცოდნენ, რომ პლანეტა L-ი პირველად სამასი წლის წინ იმ აფრიკელმა მონადირემ აღმოაჩინა, რომელიც შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. ახალგაზრდობაში მას ნკვამე იჯანას ეძახდნენ.

მარტორქების მონადირების შემდეგ დაღლილი ნკვამე თვითნაკეთ ჭოგრიტს მოიმარჯვებდა და ღამის აფრიკის ცაზე ვარსკვლავებს ათვალიერებდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნკვამეს თვითნაკეთი ჭოგრიტი ყველა პარამეტრით მნიშვნელოვნად აღემატებოდა გალილეის მსოფლიოში აღიარებულ ცნობილ ჭოგრიტს, პირველ რიგში, ძირითადი და სათადარიგო ნაწილების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით დამზადების გამო. გარდა ამისა, ღრმა შიდა, გარეთა და გვერდითი ოპტიკური სისტემების დაპროექტებაში ნკვამემ მისი წინაპარი ტომის ბელადების და ქურუმების შენახული საიდუმლო ცოდნა გამოიყენა, რომლის ნაწილი ანტილოპის ტყავზე იყო დაწერილი, ნაწილი კი – მამა-პაპისეული გადმოცემით გახლდათ შენარჩუნებული. ეს შორსმხედი აპარატი ისე ოსტატურად იყო მოწყობილი, რომ სურვილის შემთხვევაში შეგეძლოთ მისი ბინოკლად გადაკეთება.

სოფლელებს ნკვამე გულით უყვარდათ და დაცინვას ვერ უბედავდნენ, თუმცა პირად საუბრებში და ჭორაობის ყოველ ხუთშაბათ საღამოს აღშფოთებას ვერ მალავდნენ, მიაჩნდათ, რომ ნკვამე ტყუილუბრალოდ კარგავდა ღამის საათებს ვარსკვლავების ჭვრეტაში და უმჯობესი იყო პოლიტიკისთვის დაეთმო ძვირფასი დრო, მით უმეტეს, საზარელი დიქტატორი ბანგუ-მანგუ ყოველ წელს ძალას იკრეფდა და ხალხს უფრო და უფრო სტანჯავდა.

ნკვამეს ყველაფერი კარგად ესმოდა, მაგრამ თავის კრედოს – „ჯერ ვარსკვლავები, შემდეგ რევოლუცია“, არ დალატობდა. ამ პრინციპს ჯერ კიდევ მისი წინაპრები მისდევდნენ. მართლაც, ნკვამემ ბევრი იღვაწა და ჩვენი გალაქტიკის უკიდურეს მარცხენა ზედა კუთხეში, ანუ შესაბამისად იმ ადგილას, მეოცე საუკუნის ფეხბურთის ქომაგები „ცხრიანს“ რომ ეძახდნენ, ჯიხვის რქის თანავარსკვლავედში, იპოვა ლამაზი, გამორჩეულად კოკროჭინა პლანეტა, რომელსაც სახელად XL უწოდა. სახელი ზუსტად შეესაბამებოდა პლანეტის ზომებს, მაგრამ ყინულების გადნობის შემდეგ, რაც მომდევნო ორასი წლის მანძილზე მოხდა, პლანეტაზე მიწების ფართობი შემცირდა, პლანეტა ცხრა დიდ კუნძულად დაიყო, ამიტომ მეცნიერები იძულებული გაახდნენ მისთვის სახელი გამოეცვალათ და პლანეტა L ეწოდებინათ.

ნკვამემ პლანეტის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების და აღმოჩენაზე პატენტის აღების შემდეგ მეგობრებისთვის დაპირებული ფოლკლორული სოციალისტურ-დემოკრატიული რევოლუციისთვის მზადება დაიწყო. თავდაპირველად საჭირო იყო ლიტერატურის გაცნობა. ამისთვის მან საჯარო ბიბლიოთეკაში მოითხოვა ცნობილი ბაბა-ნგუანელი **(ბაბა-ნგუა განვითარებული დემოკრატიულ-სოციალისტური სამეფო სამხრეთ აღმოსავლეთ-ჩრდილო დასავლეთ აფრიკაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ასოცი მლნ. მაცხოვრებელი. სახელმწიფო რელიგია – ათეიზმი)** პოლიტოლოგ-ისტორიკოსის, ფილოსოფოსის, მოაზროვნის და ვეტერინარის მანა გუ იჩკოკის უკვდავი მონოგრაფია-მეთოდური სახელმძღვანელო და ამავე დროს ბესტსელერი – „პლანეტის ოცი ყველაზე მნიშვნელოვანი რევოლუციის ფსიქოფიზიოლოგიური ასპექტები და პრაქტიკული რეკომენდაციები“.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა წიგნი, რა თქმა უნდა, არ გაატანა, მოატყუა, ერთი გვქონდა და ვიღაც არაპუნქტუალურმა მკითხველმა დაგვიკარგაო.

ნკვამე გაბრაზდა, დირექტორის სახე დაიმახსოვრა და დაი-

ქადნა, ნკვამე არ ვიყო, რევოლუციის შემდეგ ეს ტყუილი თუ არ განანოო. დირექტორს, რომელიც საკმაოდ მამაცი იყო, არ შეეშინდა და იქედნურად ჩაიცინა, შენ პრეზიდენტობას ვინ მოგცემს, შე უწიგნუროო.

ამ სიტყვის გაგონებაზე ნკვამემ უკვე მსუბუქად დაიღრინა.

– სწორად გაიგე, – ფრთხილად განაგრძო მამაცმა დირექტორმა – უწიგნურები ისინი არიან, ვისაც მანა გუ იჩკოკი წაკითხული არა აქვთ, შენ კი მის ნაშრომებს ვინ მოგაშავქვავებსო?!

ნკვამემ ეს ყველაფერი რომ მოისმინა, ბიბლიოთეკა და მისი თავზეხელაღებული დირექტორი საჩქაროდ მიატოვა. ნკვამემ აამუშავა გეგმა B – ღრმა იატაკქვეშეთში ჩავიდა, ქვეყნის უხუცესი პოლიტიკოსი, ას წელს მიტანებული, უცხოურ და ადგილობრივ რევოლუციებში ჭიპმოჭრილი, აფრიკის ცოცხალი მატიანე და ბერმუხა სუკე ტურე მოძებნა, ფეხებში ჩაუვარდა და მანა გუ იჩკოკის წიგნი სთხოვა.

– ხომ იცი, ამ წიგნს არავის ვაძლევ. თუ შენ მართლა აპირებ რევოლუციის მოხდენას, გათხოვებ ორი დღით, მეტი არაა საჭირო. ორ დღეში დამიბრუნე და დაგლოცავ! უთხრა მოხუცმა. თუ მომავალში როდისმე პრობლემა შეგექმნა, აქ მოდი, ჩემს მოადგილედ დაგნიშნავ!

ნკვამემ წიგნი გულში ჩაიხუტა, შინ მივიდა, ოთახში ჩაიკეტა და ორი დღე გარეთ არ გამოსულა, მერე წიგნი დიდ მოხუცს დაუბრუნა. მესამე დღეს რევკომი შექმნა, ტრიალ მინდორში გავიდა, პირი ხის ხუთმეტრიან ალპურ რქას მიუმარჯვა, შიგ ჩაჰბერა და ხალხი შეაგროვა.

გაზაფხულის პირველ დღეს, სისხამ დილით, ნკვამემ, რომელიც შინაგანად მასონური ტენდენციების მოტრფიალე ქრისტიან-მარქსისტი გახლდათ, ექვსმილიონიანი, ეროვნულ ტანისამოსში ჩაცმული მიტინგი დიქტატორის სასახლესთან ფეხაკრეფით და მდუმარედ მიიყვანა. მდუმარება ისეთი ღრმა და უთქმელი იყო, რომ დიქტატორის ახლობელ ამალას, ისევე, როგორც თვითონ ბანგუ-მანგუს, ეგონათ, ხალხი მალე ასევე უსიტყვოდ დაიშლებოდა, მაგრამ მოხდა მათთვის გაუთვალისწინებელი რამ – ნკვამემ, რომელიც დროშააფრიალებულ დაჯავშნულ მანქანაზე იდგა, მარცხენა ხელი მაღლა აღმართა და მარჯვენით ჰაერში კვადრატი მოხაზა, ისეთი, მალევიჩს რომ ეხერხებოდა ხოლმე. ამის დანახვაზე მომიტინგეებმა ერთადერთი სიტყვა **მო-გვშორდი** ისეთი სიძლიერით წარმოთქვეს, რომ სასახლე გაიბზარა, ჭერი და კედლები დაინგრა და ბოროტი დიქტატორი თავის ყვე-

ლაზე საზიზღარ ექვსას სამოცდაექვს მომხრესთან ერთად შიგ ჩაიტანა. დაშავებულები ემერჯენსში მოათავსეს, ხოლო ნკვამე იჯანა პრეზიდენტად აირჩიეს.

პრეზიდენტმა იმავე დღეს ხალხს მიმართა:

– პირსისხლიანი დიქტატორი გადადგა!!! – მოედანზე გაისმა ხანგრძლივი და ხმამაღალი ტაში.

გაისმოდა შეძახილები – გაუმარჯოს ახალარჩეულ პრეზიდენტ ნკვამეს!!! სირცხვილი და თავის მოჭრა დიქტატორ ბანგუ–მანგუს!!! მთელი ძალაუფლება საყვარელ ნკვამე იჯანას!!! (ამ შეძახილებში აშკარად ქალების ხმები სჭარბობდა).

– ამჟამად ის საავადმყოფოშია – განაგრძო ნკვამემ, როდესაც ხალხი ცოტათი დაშოშმინდა, ის ცოცხალია, ჩქარა გაეწერება და შემდეგ ამბულატორულ მკურნალობას ჩაიტარებს. როგორც გავიგე, იგი გულწრფელად ნანობს ჩადენილ დანაშაულებს, მაგრამ რა ვუყოთ მის მოპარულ ქონებას? აქ მომიტინგეებში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

– ჩვენთან უნდა ზეიმობდეს სამართლიანობა. რევკომმა გადაწყვიტა, დიქტატორის მილიარდები განაწილდეს თანაბრად ანუ გაიყოს ორად! – აქ კვლავ გაისმა ხანგრძლივი მქუხარე ტაში. პირველი ნაწილი დაგირიგდებათ თქვენ, ესე იგი, მომიტინგეებს, ხოლო დარჩენილი მეორე ნაწილი მე, ესე იგი, პრეზიდენტს. ჩვენი მეზობელი ლოთბოსების ქვეყნიდან უკვე ისმის იარაღის ჟღარუნის ხმა. ჩვენ გვჭირდება საუკეთესო თავდაცვითი იარაღი, რომელიც ძმა ქვეყნებში უნდა ვიყიდოთ! – ამ სიტყვებზე კვლავ გაისმა ტაში – შედარებით ნაკლები ხანგრძლივობისა და სიძლიერის.

– მინდა გაგახაროთ და გაგაცნოთ პრეზიდენტის ახალი დეკლარაცია, იგივე მცნებანი:

1. მე ვარ თქვენი პრეზიდენტი და ყოველთვის ვიქნები;
2. მადიდეთ და მე თქვენ გაგახარებთ;
3. თაყვანი მეცით და დიდხანს გაცოცხლებთ;
4. მენდეთ მე და არ ენდოთ მტრებს;
5. თუ ცუდად მოიქცევით, ცუდად იცხოვრებთ;
6. თუ კარგად მოიქცევით, შეიძლება კარგად იცხოვროთ;
7. ერთი ყველასთვის და ყველა ჩემთვის;
8. ჯანმრთელობა მშრომელებს;
9. ჩემი ჭირი – თქვენი ჭირი (სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი);
10. ვმოძრაობთ მხოლოდ წინ და ზევით.

ამის მოსმენაზე ზოგს გული აუჩუყდა და მსუბუქად ჩაიქვი-

თინა, ზოგმა წინაპრების გმირული სიმდერა შემოსძახა, ზოგმა კი წინ და ზევით დაიწყო ყურება.

– ძმებო და დებო, შვილებო და დედმამავ, მამა-პაპანო! ჩემო დევგმირო და დამჯერო ხალხო, მინდა კიდევ გაგახაროთ და გაგაცნოთ ახალი დეკრეტი. დღეიდან თქვენ გექნებათ ათდღიანი სამუშაო კვირა, რომელიც მეთერთმეტე დღეს თორმეტსაათიანი დასვენების დღით დაგვირგვინდება. ყოველ წელიწადს გექნებათ სამდღიანი შვებულება, რომელსაც მხიარულ ზეიმში გააატარებთ. რაც შეეხება თვეებს, მოხდება მათი გამსხვილება და ჯერჯერობით ორმოცდაათ დღემდე აყვანა, რა თქმა უნდა, მათ შეეცვლებათ სახელები, ეს სიახლე დამუშავების პროცესშია. კიდევ ერთი სიკეთე გელით – სამუშაოზე ივლით საათების და მობილური ტელეფონების გარეშე, დროს დაგინიშნავენ თქვენი ბრიგადირები. სამშობლოს აყვავებისთვის სამუშაო დღე შემცირდება თოთხმეტ საათამდე და რაც მთავარია, აღარ იქნება ყველა სიბოროტის სათავე – კერძო საკუთრება. არამედ იქნება საერთო-სახალხო საკუთრება. ერთი სიტყვით, ჩვენ ავაშენებთ გრანდიოზულ საერთო სახლს, რომელიც ვერ ააშენეს დიდმა ევროპელმა მეცნიერებმა და პროფესორებმა კმარქმა და ფენგელმა. ამ სახლში იმეფებს პრინციპი: ყველასგან შესაძლებლობის მიხედვით, ყველას სურვილის მიხედვით, ამას ზუსტად ოცი წელი დასჭირდება – ათი და კიდევ ათი. მეტი უკეთესი რაღა გითხრათ, ახლა წადით სახლებში და მიხედეთ საქმეს. გაუმარჯოს თქვენს საყვარელ პრეზიდენტ ნკვამე იჯანას, ვაშა!!!

მიტინგზე რომელიღაც უცნობმა მომიტინგემ ლექსი დასჭექა:

ვაშა, ვაშა, ვაშა ნკვამეს
გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას
მოიფიქრებს ბევრს კარგს რამეს
საყვარელი იჯანა!

ეს ლექსი ხალხს ისე მოეწონა, რომ იქვე სიმღერად გადააქციეს და ორ კვირაში ქვეყნის ჰიმნად აღიარეს.

ნაკვეთი ოჯახნი ხალხთან ნინ

თავი მერვე
ბ) დედამიწელების გადასახლება-დასახლება პლანეტა L-ზე

ნკვამე, როგორც ჩვეულებრივი დიადი ადამიანი, რა თქმა უნდა, მხოლოდ რევოლუციით და პლანეტის აღმოჩენით არ დაკმაყოფილდა. ის ამ ახალი პლანეტის დასახლების საკითხითაც დაინტერესდა და ღრმად ჩაფიქრდა. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, თავში მშვენიერი აზრი დაებადა. რევოლუციის ტალღით დარეტიანებულ-დამარცხებული ექსდიქტატორის მომხრეები, დაახლოებით ხუთი მილიონი თანამემამულე, რეაბილიტაციის კურსს გადიოდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, რომელსაც ადრე ბანგუ-მანგუს სახელი ერქვა, ახლა კი აბრა ჩამოგლეჯილი ჰქონდა და კაცი ვერ გაიგებდა, რა დაწესებულება იყო ეს. რევკომის გეგმა-გადაწყვეტილებით, ასეთი სასარგებლო და უფასო რეაბილიტაცია სიცოცხლის ბოლომდე უნდა გაგრძელებულიყო. ექსპრეზიდენტის მომხრეები საავადმყოფოში მეტად ვიწროდ იყვნენ, რადგან დაწესებულება ოთხმილიონნახევარ საწოლზე იყო გახსნილი. ყველაზე გონივრული ჩანდა, რეაბილიტაციის პროცესი ახალ პლანეტაზე გაეგრძელებინათ. პაციენტები ამ გადაწყვეტილებას დიდი სიხარულით შეხვდნენ, რადგან ყოველდღიური ტაბლეტების ყლაპვა, ნემსების ჩხვლეტა და ფსიქოთერაპია ყელში ამოუვიდათ, ახალ ადგილას გადასახლება ბედნიერ გადაწყვეტილებად მიაჩნდათ, ისტორიიდან იცოდნენ, როგორ აყვავდნენ ახალი კონტინენტები და კუნძულები დედამიწაზე ხალხთა გადასახლებების შემდეგ. მათ შეჰფიცეს ნკვამეს, ოღონდ უცხო პლანეტაზე გადაგვასახლეთ, წმინდანად გაღიარებთ და კოლოსალურ ძეგლს დაგიდგამთო.

ჭკვიანი კაცი იყო ნკვამე იჯანა! მან ექსპრეზიდენტის მომხრეების დეკლარირებული ფიცი ნოტარიუსს დაამტკიცებინა, თავისი ფონდიდან შესაბამისი თანხა გამოყო, კოლონისტები დალოცა, საღამოს კი ახალი სამწვადის პრეზენტაციას დაესწრო, რომლის უცხოელი მეპატრონეებისგან დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოგებას ელოდა, მეპატრონეები კი პრეზიდენტის მობრძანებას დიდ პატივად მიიჩნევდნენ. სამწვადეში ბევრი საკითხი დალაგდა, მათ შორის კოსმოსური ექსპედიციის მენეჯმენტი.

ახალგაზრდობაში დაწერილ ლექსებს ნკვამე მხოლოდ საყვარელ ადამიანებს, ანდა პოლიტიკურ პარტნიორებს და უცხოელ

მეფეებს უკითხავდა. ამ საღამოსაც ნკვამე პოეზიის გუნებაზე დადგა და სტუმრებს ორი კუპლეტი წაუკითხა თავისი ადრეული შემოქმედებიდან. ლექსის სრულყოფილი თარგმნა, მოგეხსენებათ, შეუძლებელია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთარგმნელმა ***(ლექსები აფრიკული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა ღვაწლმოსილმა ზაირელმა ქართველოლგმა ჟან კლოდ ნგბენდუმ)*** საჭიროდ მიიჩნია, აქცენტი შინაარსის გადმოცემაზე გადაეტანათ პოეტური მომხიბვლელობის შემცირების ხარჯზე. აი ეს კუპლეტებიც:

აფრიკულო ავო სპილო,
შავმა მიწამ ჩაგიტანა?!
ეს ამბავი საზარელი
თეთრმა ჩიტმა მომიტანა!

ეს არის ნაწყვეტი ნკვამეს ადრეული ახალგაზრდობისდროინდელი პოემიდან, როდესაც მის სამშობლოში გრანდიოზული მიწისძვრა მოხდა, რომლის დროსაც ავი აფრიკული სპილოებიც კი დაზარალდნენ, ერთი მათგანი მიწამ საერთოდ შიგ ჩაიტანა, ხოლო თეთრი ჩიტები (იგულისხმება საფოსტო მტრედები) ამბის მიტან-მოტანით იყვნენ დაკავებულები. ყრმა ნკვამემ სწორუპოვარი სულიერებით იგრძნო და გაისიგრძეგანა ტრაგიკული კანკალი ნაცრისფერ მდუმარებაში და ცრუაპოკალიფსში. თუმცაღა მიწისძვრა დამთავრდა, ლექსები კი გადარჩა. სპილოები არ გადაშენებულან.

მეორე კუპლეტი სულ ახლახანს, რევოლუციის წინა დღეებში დაიწერა:

ოჰ მარტორქავ, მარტორქავ,
საყვარელო გოგონავ,
ქვეყანაზე ფიქრით ჩემი
გმირი გული ჩამოხმა.

აქ ნათლად იგრძნობა რევოლუციისწინა სულიერი მღელვარება, დიადი გარიჟრაჟის მოლოდინი, სამშობლოზე, მის მომავალზე ზრუნვა და თავგანწირვა, თანაც ჩანს, რომ გარეგნულად თითქოს ჯერჯერობით თითქოს არაფერი ხდება და მომავალი გმირი ნკვამე ყოველდღიური საზრუნავით, საყვარელი გოგონა მარტორქითაა დაკავებული.

პოლიტიკურმა და ამავე დროს, ეკონომიკურმა პარტნიორებმა ლექსების მოსმენის შემდეგ თავი ვეღარ შეიკავეს, ანტილოპას

ყანწები მოითხოვეს და პოეზიის სადღეგრძელო ვახტანგურად შესვეს, როცა ყანწები გადმოაბრუნეს, შიგ წვეთიც აღარ იყო ჩარჩენილი, შემდეგ კაცურად ჯიბეზე ხელი გაიკრეს და მომავალი კოლონისტების ფონდში სოლიდური თანხა ჩაუშვეს.

ამ ყველაფერს პრეზიდენტი უყურებდა და სიამაყის ცრემლები ორივე თვალში უციმციმებდა

* * *

და დაიძრა მანგუისტებით დახუნძლული კოსმოსური ექსპედიცია L პლანეტისაკენ, მათ მოხალისე ასი ათასი იჯანისტიც გაჰყვა. ხუთ მილიონზე მეტი დედამიწელი სერიოზულ ძალას წარმოადგენდა, თუ გავითვალისწინებთ მათ შეიარაღებას – შვიდი საკონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა „ტოპოლი“, დიდი და მცირე რაკეტები „ბუკ“-ი, სამი ათასი ტანკი, ტყვიამფრქვევები, კალაშნიკოვები, ჯაყვები, ინდური წარმოების პისტოლეტები TT, აგრეთვე დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა და ნარკოტიკები. ამ ყველაფერს ადგილობრივი გმირი მებრძოლები შუბებით, შურდულებით და ხმლებით უნდა დაპირისპირებოდნენ. აბორიგენები რვა უდიდეს კუნძულზე ცხოვრობდნენ, მეცხრე კუნძული კეტმენებს ჰქონდათ დასაკუთრებული.

როდესაც მანგუისტები აბორიგენებს შეხვდნენ და თავიანთი შეიარაღება დაათვალიერებინეს, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ისინი უბრძოლველად დანებდებოდნენ. თუმცა როგორც კი აბორიგენებმა მათ თავიანთი ჯადოსანი მისნები წარუდგინეს, მანგუისტები დაფრთხნენ. საქმე ის იყო, რომ მისნებს დედამიწელების ნებისმიერ ცხოველად გადაქცევა შეეძლოთ. მაშინ ექსპედიციის ხელმძღვანელმა ჭკუა იხმარა და ჯადოსან მისნებს პირდაპირ მოლაპარაკების მაგიდასთან ლორფი გაასინჯა. პირველივე გაკეთებაზე მისნებმა ძალა დაკარგეს, მაგრამ კარგ ხასიათზე დადგნენ და სიცილი დაიწყეს. სიცილი მთელ მოსახლეობას გადაედო. მართალია, ამაზე ნახევარი ტონა ლორფი დაიხარჯა, სამაგიეროდ მანაშის მარაგს მისხალიც არ მოჰკლებია. ამრიგად, შეხვედრა დედამიწელების სრული ტრიუმფით დასრულდა და სისხლისღვრა თავიდან იქნა აცილებული. მართალია, პლანეტაზე ლორფინისტების რაოდენობამ სწრაფად მოიმატა, როგორც ადგილობრივებში ისე კოლონისტებში, მაგრამ უფროსობამ გამოსავალი ოპერატიულად მოძებნა – ყველა

ნარკუშა მეტადონის პროგრამაში ჩართო და ჯანსაღი ცხოვრების სახელმძღვანელო ბუკლეტები დაურიგა. რამდენიმე თვეში მთელ პლანეტაზე ლორფინისტს მიკროსკოპითაც ვერ იპოვნიდით.

მადლიერ შთამომავლობას პლანეტაზე ნკვამესთვის კოლოსალური ზომების ძეგლი დაედგათ, რომელიც კოსმოსიდანაც მოჩანდა და დღედაღამ ანათებდა. ფაქტობრივად ეს იყო ძეგლი – მუზეუმი, ძეგლი – ისტორია, ძეგლი – აკადემია და ძეგლი – დედაქალაქი.

ფეხებში განთავსებულიყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტები, მუცლის მიდამოში – სტადიონები და სპორტული მოედნები, გულმკერდის არე დაკავებული ჰქონდა დრამატულ და საოპერო თეატრებს, ხოლო თავში გახლდათ ბიბლიოთეკა, საინფორმაციო ცენტრები და მეტეოსადგური.

რაც შეეხება გასართობ დაწესებულებებს, ღამის კლუბებს და მსგავს საეჭვო რეპუტაციის ორგანიზაციებს, მათი განთავსებისთვის, ადგილების უქონლობის გამო, პლანეტელებმა გადაწყვიტეს ქანდაკების სასქესო ორგანოები გამოეყენებინათ, თან ფიქრობდნენ, ეგებ კაცებს შერცხვეთ და ასეთ ადგილებში შესვლას მოერიდონო. ამ ეშმაკურმა ხერხმა ფანტასტიკური შედეგი გამოიღო –– მამაკაცებმა პროტესტი განაცხადეს, ნკვამე ძალიან გვიყვარს, მაგრამ იმ დონეზე კი არა, ყოველდღე მის ორგანოებში ცხვირი შევყოთო, ამიტომ საერთოდ მიატოვეს ორგიული სიამტკბილობები და ცოლებს მიუბრუნდნენ. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება პლანეტაზე დემოგრაფიული აფეთქება – თითოეულ L პლანეტელს ხუთზე ნაკლები შვილი არა ჰყოლია, ერთგულმა ცოლებმა იგრძნეს ქმრები და ტკბილი ცხოვრება. უნამუსო ქალებმა, რადგან კლიენტურა გაუქრათ, პატიოსანი ცხოვრება დაიწყეს – ზოგმა არასამთავრობო ორგანიზაცია (ასო) ჩამოაყალიბა, ზოგმა გარევაჭრობას და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი, ზოგი კი სამთავრობო ელიტას მიეტმასნა.

თავი მერვე
გ) მეცხრე კუნძულის მოკლე ისტორია

კეტმენი გაკეტმენებულა, საკეტმენეში ჩაკეტმენებულა
(ძველკეტმენური ენისგასატეხი)

მაგრამ მარტო ეს არ იყო კოლონისტების საზრუნავი. აღმოჩნდა, რომ ყველაზე საუკეთესო პირობები – სუფთა ჰაერი, რადიაციის დაბალი დონე, ბეტონის ავტობანები, ოცდაოთხსაათიანი დენი, ბუნებრივი აირი, უგრაფიკოდ მიწოდებული წყალი, სადღეღამისო კაფე-ბარები და რესტორნები, ინფლაციის დაბალი დონე, დაბალი სიკვდილიანობა და მაღალი შობადობა სწორედ მეცხრე კუნძულზე გახლდათ. მაგრამ იქ გადასვლაზე ყველა თავს იკავებდა, რადგან...

როგორც აირტონმა და ექსმინისტრმა გაარკვიეს, იქაური კატები, უფრო სწორედ კეტმენები, თავის დროზე, ანუ დაახლოებით სამასი წლის წინ, ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ. შემდეგ მოხდა საოცარი და მოულოდნელი რამ – ჩრდილოდასავლეთის ქარებმა უცხო ჯიშის ჭადრის ხის თესლები შემოიტანა, კაცმა არ იცის, საიდან. ხეები სწრაფად გაიზარდნენ, უზარმაზარ ზომებს მიაღწიეს და თითქმის მთელ კუნძულს მოედვნენ. მაგრამ ეს არ იყო პრობლემა, კატასტროფა ორ ხეს შორის გასვლა იყო, რაც საოცარ მუტაციებს იწვევდა. არადა, ნებისმიერი მოძრაობა და გადაადგილება, გინდოდა თუ არა, სწორედ ორ ხეს შორის ხდებოდა, მოსახლეობის 99,99% ტოტალურად ჩაერთო მუტაციის პროცესში. ეს საკმაოდ სწრაფად მოხდა და თავიდან ვირუსული ინფექცია ეგონათ. სიმართლე მაშინ გაიგეს, როდესაც ეს გრანდიოზული მუტაციური პროცესი დამთავრდა. ადამიანებს ადამიანური მხოლოდ გონება, მეტყველება და ოთხივე კიდურზე ხუთ-ხუთი თითი დარჩათ, სხვა მხრივ მათ ფისოებისგან ვერ გაარჩევდით.

პირველად ეს, რა თქმა უნდა, მეტად დამთრგუნველი ჩანდა, ზოგმა თვითმკვლელობაც კი სცადა, თუმცა ეს მხოლოდ მცდელობა იყო. შემდგომ მდგომარეობა თანდათან დაწყნარდა და კეტმენებმა ამ გარდაქმნაში სასიკეთო მოვლენებიც კი აღმოაჩინეს – მოძრაობები გრაციოზული გაუხდათ, შეეძლოთ თავისუფლად ახტომა და ჩამოხტომა თხუთმეტი მეტრის სიმაღლიდან, ვერტიკალურად დგომა და სიარული სურვილის მიხედვით, ტანსაცმლის ყიდვის პრობლემა აღარ არსებობდა. ღამე ისევე

კარგად ხედავდნენ, როგორც დღე. მუტაციის შედეგად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ ასოც წელს მიაღწია. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ის იყო. რომ ამპარტავნობის გენმა საოცარი სტრუქტურულ-ფუნქციური რღვევები განიცადა, შესუსტდა და გაქრობის გზას დაადგა. ამ გენის შინაგანი მზაობა მომავალში თვითგანადგურებისაკენ შესანიშნავი ნიადაგი აღმოჩნდა მეფის მიერ შედგენილი ანდერძის აღსასრულებლად.

კარგი ცხოვრებისგან კეტმენებმა ნელ-ნელა ზომა-წონაში მოიმატეს და ზოგიერთი ვეფხვსაც კი დაემსგავსა. ისეთი ძლიერები გახდნენ, ერთი ერთზე ნებისმიერ სხვა კუნძულელს თავისუფლად ერეოდნენ ძიუდოშიც და კარატეშიც, ამიტომ მათ მთელ პლანეტაზე პატივისცემით ეპყრობოდნენ.

პირველი გადაწყვეტილება, რაც კეტმენებმა მოიფიქრეს გადარჩენისთვის (რადგან ასეთ მდგომარეობაში კაცთაგან ჯერ არავინ მოხვედრილიყო და გადაწყვეტილება მართლაც, ისტორიული გამოდგა მათთვის), მეფის არჩევა იყო. კეტმენები მიხვდნენ – თუ მეფე არ ეყოლებოდათ, მომავალი არ ექნებოდათ. მეფის არჩევა საოცრად ადვილად და ლამაზად მოხდა. დიდ ბორცვზე შეიკრიბა ოცდაოთხი წარჩინებული კეტმენი, ისინი ფეხზე წამოდგნენ და სიტყვა ყველაზე ასაკოვანს და უდრეკს, სახელად ვიტამინას მისცეს.

– თანაკუნძულელებო, დღეს გვაქვს ერთადერთი საკითხი – მეფის არჩევა. არ გვეყოლება მეფე, არ ვიქნებით ჩვენ, როგორც ქვეყანა და ერი. ვფიქრობ, გონივრული იქნება, ჩვენი მეფე გახდეს ყველასთვის საყვარელი პიროვნება ბატონი კრუტუნი, რომლის ნიჭიერებაში ეჭვი არავის ეპარება.

გაისმა საყოველთაო თანხმობის ხმა – არ გვინდა სხვა, გვინდა მხოლოდ კრუტუნის მეფობა, შემდეგ უკვე გაისმა აღტაცებული შეძახილები:

– ვაშა კრუტუნ პირველ დიდს. ეს შეძახილი უკვე ნიშნავდა საოცარ წინასწარმეტყველებას, ამ დღეს გადაწყდა კუნძულის ბედი მომავალი სამასი წლისთვის.

სიტყვა-ტერმინი კეტმენი სწორედ კრუტუნ პირველი დიდის გონივრული მიგნება იყო. აქ ნათლად ჩანს მთელი სიღრმე იმ პროცესისა, რაც აბორიგენებმა განიცადეს და შესანიშნავად ასახავს საქმის არსს, ანუ ქართულად რომ გადმოვთარგმნოთ, გამოდის, რომ ესაა კატის და კაცის ერთობა – კატკაცი. ვინაიდან კრუტუნ პირველმა ქართული ენის ინჩი-ბინჩი არ იცოდა,

ვფიქრობთ, სჯობს დარჩეს მისი დანერგილი ტერმინი – კეტ-მენი.

მეფის ძალისხმევით კეტმენებმა სანიმუშო ქვეყანა მოაწყვეს, შეინარჩუნეს ისტორიულ-ნაციონალურ-ფოლკლორული ტრადიციები, ასრულებდნენ მეფის ანდერძს, რასაც თანდაყოლილი დისციპლინისა და ალტრუიზმის გრძნობა ყოველთვის ამაგრებდა და ამ პროცესს სასიამოვნოს ხდიდა.

მეფე კრუტუნ პირველ დიდმა ანდერძი გამეფების ერთი თვის თავზე გამოსცა. ეს იყო უნიკალური შემთხვევა არა მარტო პლანეტის, არამედ მთელი ჰემიგალაქტიკის პრაქტიკაში. სხვაგან მეფეები ჯერ მეფობდნენ და სიკვდილის წინ წერდნენ ანდერძს, სადაც ძირითადად, ქონებას უყოფდნენ ახლობლებს. კრუტუნ პირველი დიდის ანდერძი კი პირველ რიგში მოქმედების პროგრამა იყო და რაც მთავარია, იგი გახლდათ სტაბილურად-მდგრადი, მასზე არ მოქმედებდა ისტორიული ქარტეხილები, ვიწროპარტიული კონიუნქტურა.

სხვათა შორის, კუნძულზე ორი წამყვანი პარტია მოქმედებდა, რომელიც სამშობლოს სიყვარულში ეჯიბრებოდა ერთმანეთს – აბსოლუტისტების და რელატივისტების პარტიები. პირველნი ამბობდნენ, რომ არსებობს აბსოლუტური სიკეთე და აბსოლუტური ბოროტება. რელატივისტებსაც მიაჩნდათ, რომ არსებობს აბსოლუტური სიკეთე, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ არ არსებობს აბსოლუტური ბოროტება. ყოველ ბოროტ პიროვნებაში, უფრო ზუსტად მათ ქმედებებში არის სხვადასხვა დოზის სიკეთე. ბოროტება განიხილება, როგორც სიმცირე-დეფიციტი სიკეთისა. ეს იდეა რელატივისტებს დედამიწაზე დაწერილი ბიბლიიდან ჰქონდათ მოწიწებით გადმოღებული. საგულისხმოა, რომ კუნძულზე ამ საკითხში იდეოლოგიური დაპირისპირება არასდროს გამხდარა სერიოზული შეხლა-შემოხლის მიზეზი განსხვავებულად მოაზროვნეთა შორის.

რითი იყო კრუტუნ პირველი დიდის ანდერძი ასეთი შორსმჭვრეტელური, რომ თითქმის სამასი წელია მეცხრე კუნძული გამორჩეული გახდა მთელს პლანეტაზე? თავი და ბოლო კრუტუნ პირველის მსოფლმხედველობაში იყო უანგარო დახმარების პრინციპი ერთმანეთის მიმართ, ანუ უმაღლესი ზნეობრივი მორალი, თუ გნებავთ, მორალური ზნეობა ან ორივე ერთად. მკითხველი რომ არ დაიბნეს, აგიხსნით, როგორ ხდებოდა ანდერძ-პროგრამის მოქმედება კეტმენებზე. კრუტუნ პირველი დიდი მოსახლეობაზე ზემოქმედებდა პირადი მაგალითებით.

„გასუფთავდი თვითონ და ყველა გასუფთავდება“ – აი, მეფის კრედო, ოღონდ ეს არ იყო მხოლოდ თეორია, ეს არ იყო ლოზუნგი, ეს იყო მისი ცხოვრება, ყოველი წუთი, ყოველი წამი.

„იყავი კეთილ მეფეო“ – მიმართავდა საჯაროდ თავის თავს კრუტუნ პირველი დიდი დღეში სამჯერ, ჭამის წინ. კეტმენები ყველაფერს ხედავდნენ, პატარა კეტმენები იმას ოცნებობდნენ, ნეტავ ჩქარა გავიზარდო და კეთილ მეფეს დავემსგავსო სიკეთის კეთებაშიო. ამა სოფლის სიამეების მიმართ მეფე საოცრად გულგრილი იყო; იკვებებოდა ისე, როგორც საშუალო შემლების კეტმენი, ყოველდღიური საქმიანობისთვის სარგებლობდა 2,0 ძრავის მოცულობის მწვანე „ოპელ-ვექტრა“-თი, ხოლო შავ „ტოიოტა პრადოს“ მხოლოდ უცხო ქვეყნების და პლანეტების მეფეებთან შეხვედრების დროს იყენებდა. ერთი სიტყვით, მეფისთვის სიტყვა „ფუფუნება“ ფუჭი და ყოველგვარ გონივრულ აზრს მოკლებული გახლდათ, ისევე, როგორც პრაქტიკულად კუნძულის მთელი მოსახლეობისთვის.

ანდერძი-პროგრამა გამართული ენით იყო დაწერილი და ხელმისაწვდომი გახლდათ მოსახლეობის ყველა ფენისთვის, ანუ მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისთვის, ანდერძს თან ახლდა განმარტებები და ყოველდღიური ტესტები მორალ-ზნეობაში. ცალკე გამოიცემოდა ტესტები ბავშვებისათვის. ტესტებს კრუტუნ პირველი თვითონ ჰქმნიდა. მოსახლეობა ყოველდღე ახალ-ახალ ტესტებს იღებდა ამოსახსნელად. ტესტების მიწოდებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მორალ-ზნეობისა და განათლების სამინისტროს და მის ცხრა ათას თანამშრომელს. სამინისტრო უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო განთავსებული და დღეში სამ ცვლად მუშაობდა.

მოზარდებს ევალებოდათ ყოველდღიურად 50-50 ტესტის ამოხსნა ერთ საათში, მოზრდილებს – ასორმოცდაათისა საათნახევრის განმავლობაში.

პროგრამის დეტალურად გაცნობის შემდეგ აირტონი და ექსმინისტრი ტესტებით დაინტერესდნენ. ბუნებრივია აქ იმის საშუალება არ არის, ერთი დღის ტესტებიც რომ წარმოვადგინოთ, ამიტომ მოგვყავს ორი ტიპიური მაგალითი მოზრდილებისა და მოზარდების ტესტებიდან:

ტესტი № 2224 მოზრდილთათვის – შეკითხვა: თქვენ გაქვთ ერთი პატარა წრუწუნა, რომელიც ვახშმად უნდა მიირთვათ. მეზობელს კი არც ერთი არა აქვს. როგორია თქვენი სწორი მოქმედება. შემოხაზეთ ერთი სწორი პასუხი

ა) წრუწუნას შუაზე გაუყოფთ მეზობელს.

ბ) წრუწუნას მთლიანად მიართმევთ მეზობელს.

გ) მეზობელს აჩვენებთ სამი თითის კომბინაციას და მის დასანახად ივახშმებთ.

დ) მეზობელს არაფერს არ აჩვენებთ და ჩუმად ვახშმობთ.

საინტერესოა, რომ კეტმენების სამეფოს გარიჟრაჟზე, ორი კვირის თავზე ოთხივე პასუხი თანაბარი სიხშირით ივსებოდა რესპონდენტებს შორის, ხოლო შემდგომში, როდესაც კეტმენები უკვე მორალ-ზნეობის ეკლიან ბილიკებს დაადგნენ და გზიდან აღარ გადაუხვევიათ, სწორ პასუხს, ანუ ვარიანტ ბ-ს პასუხობდა გამოკითხულთა 99 პროცენტი.

მოზარდებისთვის ანდერძი და განმარტებები ტესტებთან ერთად, რა თქმა უნდა, უფრო შემოკლებული და გამარტივებული გახლდათ, იგი უხვად იყო ილუსტრირებული.

აი, ერთი მაგალითი. ტესტი № 3002 მოზარდებისთვის:

შეკითხვა: ჩემო პატარავ, შენ ზიხარ საბავშვო ბაღის სასადილოში და მიირთმევ აჯაფსანდალს. ამ დროს მოგიახლოვდა თქვენი ჯგუფელი ბიჭუნა და თეფშში ჩაგიფურთხა. როგორია შენი სწორი მოქმედება. შემოხაზეთ ერთი სწორი პასუხი

ა) თეფშს თავზე დაამხობთ ბიჭუნას.

ბ) ბიჭუნას სთხოვთ პატიებას, დაანამუსებთ, შეარცხვენთ და აატირებთ.

გ) რეკავთ და ეძახით პატრულს.

დ) ჩვენთან ასეთი რამ არ ხდება.

პატარა კეტმენები ერთხმად პასუხობდნენ სწორ პასუხ დ-ს.

* * *

კუნძულის საგარეო პოლიტიკის შესახებ აირტონმა და ექსმინისტრმა შეიტყვეს, რომ კუნძული ინარჩუნებდა სრულ ნეიტრალიტეტს. კუნძულს აბეზარი მტრისგან იცავდა ორმოცდარვა სხვადასხვა ასაკის ბრძენი ჯადოსანი კეტმენი, ისინი განლაგებულები იყვნენ კუნძულის პერიმეტრზე და ნებისმიერი მტრის გადაქცევა შეეძლოთ ვირთაგვად. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი მტარვალი მოინდომებდა და აგრესიული მიზნით ფეხს შემოდგამდა კუნძულზე? სხვათა შორის, დღეს, კუნძულზე მოსეირნე ერთეული თეთრი და შავი ვირთაგვები სწორედ იმ არაშორსმჭვრეტელი აგრესორების შთამომავლები არიან, რომელთაც ეს

საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. ორმოცდაათი წლის წინ მეორე, მესამე და მეოთხე კუნძულების აგრესიული წრეები ამზადებდნენ შეჭრის გეგმებს და ბრძენ-ჯადოსანი კეტმენების ლიკვიდაციისთვის საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული იარაღის – კალიუმის ციანიდის აეროზოლის შესაძენად მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მილიტარისტული პლანეტა ბორისუსის ლიდერებთან. საბედნიეროდ, კეტმენების კონტრდაზვერვამ მათი უსუსური გეგმა-ოცნებები გაშიფრა და აგრესორები შეარცხვინა ჰემიგალაქტიკური მასშტაბით. შერცხვენილმა აგრესორებმა იმავე დღეს საჯარო განცხადება გააკეთეს ყოველგვარი შეტევითი იარაღის შესყიდვის მორატორიუმზე ორასი წლის განმავლობაში.

კუნძულის ეკონომიკა ეფუძნება სასარგებლო-საამაყო წიაღისეულის (ოქრო, ვერცხლი, დარიშხანი) გამოყენებას, მეცხოველეობას, მებოსტნეობა-მევენახეობას და ნანოტექნოლოგიებს. *საექსპორტო* საქონელია რომი, ჭანჭურის არაყი და ტეკილა, აგრეთვე, გაყინული საქონლის ხორცი, შებოლილი მწყერი და ცოცხალი წრუწუნები (L პლანეტაზე დიდი მოთხოვნაა გაწვრთნილ წრუწუნებზე, რომლებიც საცირკო სპექტაკლებში შეუდარებელნი არიან). *იმპორტი* – მეზობელი კუნძულებიდან შემოაქვთ კოსმეტიკური საშუალებები, კატაბალახას ჰომეოპათიური წვეთები და სამუხრუჭე სითხე მსუბუქი ავტომობილებისთვის. ეროვნული ვალუტაა კრუ. 1 კრუ უდრის 100 ტუნს.

კულტურა და სპორტი – კულტურა. პოპულარული და განვითარებულია როგორც ერთი, ისე რამდენიმე მსახიობის თეატრი, ოპერა-ბალეტისთვის პატარა კეტმენები ჯერ კიდევ სკოლიდან ემზადებიან. ეროვნული კინემატოგრაფის პროდუქცია მოწონებით სარგებლობს მეზობელ პლანეტებზეც. *სპორტი* – სპორტული სახეობებიდან პრიორიტეტი ენიჭება მეკლდეურობას, სახლის სახურავებზე ცოცვას (სპორტის ეროვნული სახეობა) და მშვილდოსნობას. კუნძულზე ამჟამად ცხოვრობენ პლანეტის მოქმედი ჩემპიონები კრივში (მიუ-მიუ) და ძიუ დოში (ტაი-ფუნი).

სახვითი ხელოვნება – ყველა ეპოქის საუკეთესო ფერმწერ კუნ-კუნის (2167 – 2277) შემოქმედებითი დანატოვარი ბიუჯეტის შევსების წყაროდ და ეკონომიკის ლოკომოტივად მოგვევლინა. მან სახელმწიფოს დაუტოვა ორი მილიონი წყვილი ზეთის საუკეთესო საღებავებით შესრულებული ფართო და უნივერსალური თემატიკის ტილოები. მისი ნახატები იყიდება ჩვენი ჰემიგალაქტიკის ნებისმიერ განვითარებულ პლანეტაზე, მართლაც

რომ ასტრონომიულ ფასებად. მაგალითად, პლანეტა დედამიწაზე კუნ-კუნის ახალგაზრდობაში შესრულებული შედევრი „მეფის ნადირობა ზაზუნებზე“ პრადოს მუზეუმმა სამ მილიონ ამერიკულ დოლარად შეიძინა, ხოლო საშუალო ასაკში დაწერილი ტრიპტიქი „წრუწუნების და კალიების ომი“ ლუვრმა – ორ მილიონად. ამის გათვალისწინებით და ყველა გათვლებით კუნძულის ბიუჯეტის დიდების გვირგვინი სულ ცოტა ასი წელი შეულახავ-შეუბღალავი უნდა დარჩეს.

რელიგია – კუნძულზე არ არის რელიგია, არც ათეიზმი. სულიერი მდგომარეობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად ეყრდნობიან კრუტუნ პირველის ანდერძს, მის განმარტებებს და ტესტებს.

თავი მეცხრე
კვლავ დავალება

ჩამოსვლიდან ზუსტად მეთორმეტე დღეს, აირტონი და ექსმინისტრი კვლავ მეფის კაბინეტში ისხდნენ.

– ვნახე, კარგად გიმუშავიათ, ამაზე თქვენი სწორად შევსებული ტესტებიც მეტყველებენ. ყოჩაღ, ბიჭებო! მეგობრულად მიმართა მეფემ.

– შეიძლება მითხრათ, მეფევ, რამდენი შეცდომა დავუშვი ტესტებში? იკითხა აირტონმა.

– ასორმოცდაათი შეკითხვიდან ოთხი შეცდომა არაა ურიგო შედეგი, თქვენ კი ექსმინისტრო, მხოლოდ სამი შეცდომა გაქვთ. ამრიგად, ტესტები ჩაბარებულია, თქვენ უკვე შეგიძლიათ ფიცის დასადებად მოემზადოთ, რომელიც ხვალ გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ზნეობის ტესტები ყოველდღე ჩაგიტარდებათ, ვიდრე კუნძულზე იქნებით.

ახლა თქვენ გეძლევთ საშუალება შეასრულოთ მეტად საპასუხისმგებლო მისია, ანუ შეგიძლიათ მოიქცეთ კარგად, და მიიღოთ შესაბამისი პოზიტიური შედეგები, რაზეც პირველ შეხვედრაზე გელაპარაკეთ.

რაც შეეხება საქმეს; თქვენს ჩამოფრენამდე ორი დღით ადრე აქ მოხდა ქურდობის უპრეცედენტო შემთხვევა – მოიპარეს ჩვენი სასარგებლო და საამაყო წიაღისეულის – ოქროს დარიშხნის

მოპოვების ადგილის და ტექნოლოგიური დამუშავების ჯადოსნური წიგნი. ეს წიგნი იყო, არის და იქნება ერთადერთი და განუმეორებელი, ვინაიდან და რადგანაც არ შეიძლება მისი ფოტოგრაფირება, დაქსეროქსება და ხელით გადაწერაც კი. რაც მთავარია, იგი ჩვენი კრუტუნ პირველი დიდის ხელითაა შესრულებული! ამ ჯადოსნური წიგნის მფლობელს შეუძლია კუნძულიდან გაიტანოს ოქროს დარიშხანი და ჩვენი ეკონომიკა სერიოზულად შეარყიოს. რა ღირებულება აქვს ოქროს დედამიწელებისთვის, ამის ახსნა ზედმეტად მიმაჩნია, დარიშხანს კი გარდა სტომატოლოგიისა და კომპიუტერმშენებლობისა, ვიყენებთ მავნე მღრღნელების წინააღმდეგ, რადგან კუნძულზე გენეტიკურად სუფთა ჯიშის კატები არ გვყავს. რაც შეეხება თვითონ ოქროს დარიშხანს, ეს უნიკალური შენაერთია ჩვენს გალაქტიკაში და მისი გამოყენების სარგებლიანობაზე ვერ ვისაუბრებ, რადგან ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა – აქ მეფემ მორცხვად ჩაიღიმა.

ჩვენ გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ ჯადოსნური წიგნი მოიპარა რომელიმე მეოთხეკუნძულელმა ტურისტმა, როდესაც ექსკურსანტების ჯგუფი პარლამენტის ბიბლიოთეკას ათვალიერებდა. ვიდეოთვალში ნათლად ჩანს, როგორ ასხურებს უცხოელი ტურისტი წიგნის მცველს კატაბალახას აეროზოლს. რანაირად შემოიტანეს კონტრაბანდული ტვირთი – კატაზოლი საბაჟოს გვერდის ავლით, ეს ჩვენ უკვე გავარკვიეთ და ზომებიც მივიღეთ. ახლა აუცილებელია სასწრაფოდ დავიბრუნოთ ჯადოსნური წიგნი, ამაში თქვენ უნდა დაგვეხმაროთ, რადგან მეოთხე კუნძულზე კეტმენების კონსპირაციულად გამოჩენა შეუძლებელია. ოპერაციას პირადად მე ვუხელმძღვანელებ და დეტალებსაც მე გაგაცნობთ. გეგმა ესეთია:

თქვენ წყალქვეშა ტიკჭორით შეიპარებით მეოთხე კუნძულზე, მიხვალთ ქალაქ ტაუნში და მოძებნით ჩვენს საიდუმლო აგენტს – ასაკოვან ქალბატონს, რომლის კოდური სახელია ცალკბილა ეფო. მას გადასცემთ ჩემს დაშიფრულ წერილს და იგი მოგცემთ მომავალი მოქმედების გეგმას.

დედამიწელები ჩაფიქრდნენ – ისევ დავალებები, ისევ საშარო საქმე, ამჯერად ათჯერ უფრო სერიოზული, შეიძლება დავალებიდან ცოცხლები ვეღარც კი დაბრუნდნენ, ჯანდაბას მაგათი წიგნები, ჩეულებრივიც და ჯადოსნურიც.

უცებ მეფის ხმა გაისმა – შეგიძლიათ უარი თქვათ – მაშინ არაფერი იქნება, დედამიწაზე ორმოცდაათ წელიწადში დაბრუნ-

დებით, ვინც არ რისკავს, ის კონიაკს არ სვამს, ასეთია ძველი მეცხრეკუნძულური ანდაზა. ნუ აჩქარდებით, კარგად მოიფიქრეთ, ხვალ ფიცის დადების ცერემონიაა დაგეგმილი და იქ ბრძანეთ საბოლოო პასუხი.

სასტუმრო სახლში რომ დაბრუნდენ, ექსმინისტრმა აირტონს უთხრა – ვფიქრობ, პირველ რიგში ერთგულების, პატიოსნების და სიკეთის ფიცი აუცილებლად უნდა დავდოთ.

– მართალია, უნდა დავდოთ, მაგრამ როგორ შევასრულებთ მას? აი, ესაა საკითხი! მე ჩემს თავში ეჭვი მეპარება, ამდენი წლები როგორ ვცხოვრობდი, ჩემზე უკეთ შენ იცი!

– ანგელოზი მეც არასდროს ვყოფილვარ, შენთან რა მაქვს დასამალი, მაგრამ ამ კუნძულელების ისტორიას რომ გავეცანი, მართლაც შემრცხვა, რა იქნებოდა, ადრე მცოდნოდა რომ შესაძლებელი ყოფილა ასე ცხოვრება. ნახე, აირტონ, რამდენი პატიმარი ჰყავთ ციხეში – ერთი, ერთადერთი პატიმარი კატაბალახას დათესვაში ეჭვმიტანილი და რომელსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის საბოლოოდ დადგენის შემდეგ შეიძლება მოუხსნან კიდეც სასჯელი. მოდი, ამაღამ კიდევ გულით მოვინდომოთ, რომ ხვალ პატიოსნად შევფიცოთ მეფეს, მით უმეტეს, მას ჩვენი ფიქრებიც ესმის, პირადად ზრუნავს ჩვენზე.

– მეც მაგ აზრზე ვდგები, მივენდოთ კრუტუნ მეხუთეს, ვიმუშაოთ ჩვენს თავზე, ჩვენს ზნეობაზე, ვაკეთოთ ყოველდღიური ტესტები. რაც მთავარია, ნუ დავივიწყებთ, რომ პროფესიონალები ვართ, და არ უნდა გაგვიჭირდეს ჯადოსნური წიგნის დაბრუნება!

ამ ოპტიმისტურ-პათეტიკურ საუბარში თანდათან დაბნელდა, დედამიწელებს ჩაეძინათ და ორივეს მსგავსი სიზმრები დაესიზმრა – თითქოს მეოთხე კუნძულზე იყვნენ, ქალაქ ტაუნში შევიდნენ, ცალკბილა ეფოს ეძებდნენ, ის კი თითქოს შინ იყო და არც იყო. იქ სხვა ტიპები დახვდნენ, მაძიებლებს ძლიერ მოუნდათ ეფოს იდენტიფიკაცია და ამ აზარტში გაეღვიძათ კიდეც. გათენებულიყო. ორივე უსიტყვოდ მიხვდა, ვისი გამოგზავნილიც იყო ეს შავ-თეთრი სიზმარი.

ფიცის დადება

საღამოს 6 საათზე კრუტუნ პირველი დიდის სახელობის სპორტის სასახლე სხვადასხვა ასაკის, ფერისა და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებით შეივსო. როდესაც საქმე ფიცის მოსმენას ეხებოდა, მოსახლეობა საოცრად ერთსულოვანი ხდებოდა, მათთვის კუნძულის დიდება და სიყვარული ყველაზე მთავარი იდეა გახლდათ – ჯერ კუნძული და შემდეგ ვიწროპარტიული ინტერესები.

აირტონმა და ექსმინისტრმა თეთრი შესამოსლები მოირგეს, თავზე ლამაზი შავი გაუნები დაიხურეს, ტრიბუნაზე ავიდნენ და რიგრიგობით წარმოთქვეს ერთი და იმავე შინაარსის ფიციმტკიცი:

ა) გავეცანით რა მეცხრე კუნძულის ორიგინალურ ისტორიას,

ბ) შევისწავლეთ რა მეფე კრუტუნ პირველი დიდის ცხოვრება, ღვაწლი და ანდერძი, ასევე თვით ანდერძის განმარტებები,

გ) ვასრულებთ რა ჩამოსვლის დღიდანვე ზნეობრივი მორალის ტესტებს საკმაოდ კარგი შედეგებით (მხოლოდ სამოოთხი შეცდომა ასორმოცდაათი ტესტიდან),

დ) გვსურს რა გავხდეთ კუნძულის ღირსეული მოქალაქეები და მორალურ-ზნეობრივად ვემსახუროთ მეფე კრუტუნ მეხუთეს,

ე) შევიგრძენით რა უდიდესი პასუხისმგებლობა კეტმენების სახელმწიფოსა და კეტმენი ხალხის წინაშე,

ვ ფ ი ც ა ვ თ მ ე ფ ე ს,

რომ ვიქნებით: 1) პატიოსნები 2) კეთილნი 3) ერთგულნი.

ამ სიტყვებს სპორტის სასახლეში მქუხარე ტაში მოჰყვა. გაისმოდა შეძახილები – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მეცხრე კუნძულზე!

– ვაშა და სალამი აირტონს და ექსმინისტრს!

– გაუმარჯოს ხალხთა შორის მეგობრობასა და ძმობას!

შემდეგ სიტყვით გამოვიდა თვითონ მეფე;

– თანაკუნძულელებო, საყვარელო და მორალურო კეტმენებო! დღეიდან ჩვენთან იცხოვრებენ, ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას გაიზიარებენ, ჩვენთან ერთად გაიხარებენ დედამიწელი მეგობარ-ამხანაგები აირტონი და ექსმინისტრი, მოხდება მათი ინტეგრაციის პროცესი ჩვენს რეალობაში და იმედია, ეს ყველაფერი წარმატე-

ბით დაგვირგვინდება. მე, ისევე როგორც თქვენ, მათ სიტყვებში უკვე ეჭვი აღარ მეპარება, ასე რომ, მივიღოთ და დავამტკიცოთ მათი ფიცი! ალბათ ყოველგვარი კენჭისყრის გარეშე!

– დავამტკიცოთ! დავამტკიცოთ! ერთხმად შესძახა მთელმა სასახლემ.

– o.k. თქვა მეფემ, იყოს ნება კეტმენებისა!

ამრიგად, პროცესუალური მხარე დამთავრდა. ახლა საჭირო იყო დავალების შესასრულებლად მომზადება.

თავი მეათე
ჯადოსნური წიგნის ძიებაში

წყალქვეშა ტიკჭორის შესახებ აირტონმა და ექსმინისტრმა არაფერი იცოდნენ. ინფორმაციის მოსაძებნად კატაპედიას მიმართეს. გაირკვა, რომ დიდი შოტლანდიელი მეცნიერ-გამომგონებლის და მოაზროვნის არტურ მაკ-ფის (Artur Mc Fee) ნაშრომებმა ცხადყვეს მართული წყალქვეშა ტიკებისა და ტიკჭორების უდიდესი ჰიდროდინამიური უპირატესობები ტრადიციული წყალქვეშა ნავებისა და ბატისკაფების წინაშე. როგორც ყველა დიდი აღმოჩენა რაიმე შემთხვევასთანაა დაკავშირებული, ეს აღმოჩენაც ავტორის ახალგაზრდობის ასაკში, ლოხ-ნესის ტბაში მოულოდნელად ჩავარდნილ გუდასტვირთანაა ასოცირებული. გუდასტვირმა წყალზე ტივტივი და სასიამოვნო ბგერების გამოცემა განაგრძო. ახალგაზრდა არტურს ეს საოცარი მოვლენა მოსვენებას არ აძლევდა და ოცი წლის თავდადებული შრომის შემდეგ მიაღწია საწადელს – გამოსცა ექვსი მსხვილტანიანი მონოგრაფია წყალქვეშა ტიკების და ტიკჭორების შესახებ. ამ ფუნდამენტური ნაშრომების გათვალისწინებით მეცხრე კუნძულზე, ნანოტექნოლოგიური მიდგომებით, წყალქვეშა ტიკჭორების მშენებლობის ბუმი დაიწყო... შეიქმნა ტიკჭორების მშენებელი ფაბრიკა-ქარხნები, დასაქმდა თითქმის ხუთასიათასი მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი. შედეგად სულ რაღაც ორ წელიწადში წყალქვეშა ტიკჭორა ექპორტის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა. სად, რომელ პლანეტაზე არ ნახავდით მეცხრეკუნძულზე დამზადებულ გონიერებისა და ნიჭიერების მართლაც რომ დიდებულ ჰიმნს? მორალურად მოძველებულმა წყალქვეშა ნავებმა და ბატისკაფებმა მუზეუმებში გადაინაცვლეს.

ტიკჭორა „F-12“, რომლითაც ექსმინისტრი და აირტონი მეოთხე კუნძულისკენ გაემართნენ, კომფორტული და ადვილად სამართავი იყო. საჭესთან აირტონი იჯდა და ოსტატურად მიასრიალებდა საინჟინრო აზრის ამ საოცრებას დასახული მიზნისკენ. გზაში მცირე უსიამოვნება შეემთხვათ – ტიკჭორას თავს დაესხა ბოროტი რვაფეხა, რომელსაც ლუკის გატეხვა სურდა, მაგრამ აირტონი მას შემზარავად დაეჯღანა და შეშინებული მოლუსკი-მონსტრი ოკეანის სიღრმისკენ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

გვიან დამით, როდესაც კუნძულზე ყველას ეძინა, მათ შორის სანაპირო დაცვას, ჩვენი დეტექტივები ჩუმად გადავიდნენ ნაპირზე, ტიკჭორა ჩაფუშეს და ქვიშაში ჩაფლეს, თვითონ ბუჩქნარში შევიდნენ, ტანსაცმელი გამოიცვალეს და ქალაქ ტაუნისკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

დილაბნელაზე ქალაქის კარიბჭეს მიადგნენ, ქალაქის საბაჟოს უფროსი ყალბი დოკუმენტებით გააცურეს და ქალაქში უპრობლემოდ შევიდნენ.

ცალკბილა ეფოს მისამართი კი იცოდნენ, მაგრამ მთავარი იყო, შინ დახვედროდათ. დეტექტივებისთვის ცნობილი გახდა, რომ საიდუმლო აგენტი ეფო საღამოს საათებში თავზე პარიკს იდებდა, პირში ოცდათერთმეტკბილა მარგალიტის პროტეზს იკეთებდა, სუპერმინი კაბას იცვამდა და სტრიპტიზკლუბში მიდიოდა სამუშაოდ. კლუბის შავ-წითელ სინათლეში ასაკი, ასსამი წელი არ ემჩნეოდა. სამსახური, ბუნებრივია, კონსპირაციისათვის და კონტრდაზვერვის თვალის ასახვევად სჭირდებოდა, რათა საშემოსავლო დეკლარაციები შეევსო და გადასახადები გადაეხადა. სინამდვილეში აგენტი ეფო დიდი ქონების პატრონი იყო. რაღა დასამალია, რომ ზოგჯერ მობეზრდებოდა კიდეც ასაკოვან ქალბატონს ბოძზე ჩამოკიდება და ტრიალ-პროწიალი, აღტაცებული პუბლიკის გმინვა-ხვნეშის სმენა, მაგრამ ყველაფერს ეგუებოდა, ის პროფესიონალი გახლდათ, მომთმენი და ამასთან ერთად შეუდრეკელი.

ეფოს სახლს რომ მიადგნენ, ბედად ახალი მოსული დახვდათ სამუშაოდან, კარი რომ გაუღო, ეფომ სტუმრებს გაუღიმა და გაკრიალებული მარცხენა ზედა მესამე კბილი მიანათა. დეტექტივებმა იმწამსვე პაროლი უთხრეს – მიაუ უაიმ და მეფის დაშიფრული წერილიც გადასცეს. ეფო წერილს დააკვირდა, სტუმრები შინ მიიპატიჟა, ტანსაცმელი გამოიცვალა, დედამიწელები სასტუმრო ოთახში ბუხრის წინ დივანზე დასვა და თქვა:

– ჯადოსნური წიგნის დაკარგვა კატასტროფა იქნება მეცხრეკუნძულელებისთვის. ჩემმა დაზვერვამ ეჭვი მიიტანა დედამიწელ ცოლ-ქმარზე, რომლებიც აქ მწვანე პლანეტა შუშუკიდან ჩამოფრინდნენ. ქურდობის მოტივია პლანეტა შუშუკაზე ან სულაც დედამიწაზე ოქროს დარიშხნის მოძიება-მოპოვებითი სამუშაოების დაწყება. ჩვენი ამოცანაა – მოვპაროთ წიგნი ამ სინდისგარეცხილ ცოლ-ქმარს. დიახ, ყოველგვარი აურზაურის, სროლებისა და საერთაშორისო სკანდალების გარეშე. თუ წიგნს მოვიპარავთ, უსირცხვილოები ხმის ამოღებას ვერ გაბედავენ. როგორ აღიარებენ თავიანთ ქურდობას? აი, ჩვენი კოზირი! ხომ გახსოვთ ძველი დედამიწური ანდაზა: ქურდის ქურდი კარგი კაციაო, ჰოდა, თქვენც სინდისის ქენჯნა ნუ გექნებათ, ჩემო ლამაზებო!

სიტყვა „ჩემო ლამაზებო“ ისე გაისმა, რომ ექსმინისტრს და აირტონს ერთნაირი აზრი დაებადათ – ემანდ, ამ ბებერმა ეფომ რამე მგრძნობიარე სიურპრიზი არ შემოგვთავაზოსო, მაგრამ ყველაფერი ნორმალურად წარიმართა, უექსცესოდ.

– ვინაა ეს ცოლ-ქმარი? სად არიან გაჩერებულები? სად მალავენ წიგნს? – იკითხა აირტონმა

– მათი ნამდვილი სახელები არ ვიცით. პასპორტებში, რომლებიც, რა თქმა უნდა, ყალბია, გამოგონილი სახელები უწერიათ – უღუ და თეთი – მწერალ ნ. ნაკაშიძის დედამიწაზე დიდი ხნის წინ დაწერილი წიგნის პერსონაჟების სახელები. აქაურები თანამედროვეთა წიგნებსაც არ კითხულობენ, არათუ ძველებს, თორემ ეჭვი ხომ მაშინვე უნდა დაბადებოდათ! მოკლედ, სავარაუდოდ ესენი არიან დედამიწელი ჩამშვები გაიოზიკის მშობლები, ანუ დედა და მამა.

ამის გაგონებაზე ორივემ ერთდროულად ამოიხვნეშა – ისევ გაიოზიკი, ისევ მისი ბიოგრაფია და მშობლები, ოჰ, ოჰ, რა დავაშავეთ ასეთი, რა?

– ისინი ცხოვრობენ, – განაგრძობდა ეფო – მეექვსე პროსპექტისა და მრგვალი ბაღის გადაკვეთაზე ხის სამსართულიან სახლ-სასტუმროში. ოთახის ნომერია 3002. მე ისიც ვიცი, სადაა დამალული ჯადოსნური წიგნი! ის ძევს სამშრიან თუჯის სეიფში, თითოეულ შრეს საკუთარი გასაღები აქვს. მე ვფიქრობ, თქვენ, გაქვთ რამდენიმე არჩევანი:

1. რამეფრად იშოვოთ ორიგინალი გასაღები.
2. ჩახვიდეთ მეცხრე საავადმყოფოს წინ მიწისქვეშა გადასასვლელში და სოსო ხელოსანს სთხოვოთ გააკეთოს გასაღების დუბლიკატები, ორიგინალების გარეშე.

3. ჩაეშვათ კრიშან ჩანდრის „დაყირავებულ ხეში“ და გასაღების კოდები სთხოვოთ მოჰანის ბიძაშვილს, რომელიც ამ ბიზნესითაა დაკავებული **(ინდოელმა მწერალმა კრიშან ჩანდრმა (1914–1977) დაყირავებული ხის ადგილსამყოფლად ინდოეთი მოიხსენია, მაგრამ გაირკვა, რომ მსგავსი ხე L პლანეტაზე გადასახლებულ აფრიკელებს მეოთხე კუნძულზეც დახვდათ).**

4. შეიპაროთ მძინარე ცოლ-ქმართან და ბალიშის ქვეშიდან ამოუღოთ გასაღები.

5. ადგეთ და მოიპაროთ სეიფი წიგნიანად, გადაიტანოთ მეცხრე კუნძულზე და იქ გაჭრათ სეიფი ვერცხლისდარიშხნიანი ხანჯლით.

6. თუ ვერაფერს ვერ მოიფიქრებთ, მაშინ უნდა დაახვიოთ აქედან და უთხარით მეფეს, რომ ხართ უძლურ-იმპოტენტები.

ამის თქმის შემდეგ ეფო დაიღალა, თვალები მილულა და ძილისთვის მოემზადა. დეტექტივებმა კი ბინა ღრმად დაფიქრებულებმა დინჯად დატოვეს, წინ ექსმინისტრი მიდიოდა, აირტონი – მის უკან. შემდეგ სახლის გვერდით პარკში სკამზე ჩამოსხდნენ და გეგმების დალაგებას შეუდგნენ. აირტონს რეკომენდაციები დიქტოფონ-პრინტერიდან ამოებეჭდა და ფურცლავდა.

– მოდი, დავიწყოთ ფიქრი, რომელი ვარიანტია ყველაზე კარგი. ჯერ ლოგიკურად გამოვრიცხოთ მიუღებლები. მეექვსე, ანუ, აქედან სასწრაფოდ აბარგება, ვფიქრობ, მიუღებელია!

– მეც გეთანხმები, აირტონ, ეს კატასტროფა და ჩვენი დაღუპვა იქნება.

– რაც შეეხება მეხუთე ვარიანტს ანუ სეიფის გადატანას ჩვენს კუნძულზე, ვფიქრობ, ეს ძალიან ძვირი დაჯდება და კუნძულის ბიუჯეტს სერიოზულად შეარყევს. ხომ იცი აქაური საბაჟოს ტარიფები. ხოლო უჩუმრად, საბაჟოს გვერდის ავლით ამხელა სეიფის გადატანა არარეალურია! მოდი, ვიფიქროთ მეცხრე საავადმყოფოს წინ მიწისქვეშა გადასასვლელში მჯდომ გასაღების ხელოსანთან მოლაპარაკებაზე.

– მშვენიერი აზრია, მაგრამ ჩვენ დროის გაფლანგვის ფუფუნება არა გვაქვს. შენ წადი ხელოსანთან, მე კი ამასობაში დაყირავებულ ხეს მოვძებნი და იქ ვცდი ბედს!

– მოსულა! უპასუხა აირტონმა. მათ ერთმანეთს ჯერ ხელისგულები მიუტყაპუნეს, შემდეგ მუშტები, ცოტათი ახტნენ და მხრებით ერთმანეთს მსუბუქად შეეხნენ, ისე, როგორც NBA-ს კალათბურთელებმა იცოდნენ ხოლმე.

ასეთი სახის, ახალი ტიპის ურთიერთობა აირტონსა და ექს-

მინისტრს შორის თავმდაბლობის, ერთობის და უანგარო თანამშრომლობის პირველი, მაგრამ უტყუარი ნიშანი იყო.

დეტექტივები გაიყვნენ. აირტონი მეცხრე საავადმყოფოს გზას დაადგა, ექსმინისტრი კი დაყირავებული ხის საძებნელად გაეშურა. აირტონმა მისამართი არ იცოდა და გადაწყვიტა, ვინმე უცნობისთვის ეკითხა, რათა მეოთხე კუნძულის კონტრდაზვერვას ეჭვები არ გასჩენოდა. რა თქმა უნდა, ასე სჯობდა უსაფრთხოებისთვის. ქუჩაში ლამაზი ქალი შენიშნა, გაუღიმა და შეეკითხა:

– საათის რომელია, ქალბატონო? რატომღაც ავლაბრული აქცენტით დასვა კითხვა აირტონმა.

– შენ დრო კი არ გაინტერესებს, მეცხრე საავადმყოფოს მოძებნა გინდა! აირტონი დაიბნა, მაგრამ ბოლომდე არა.

– როგორ მიმიხვდით მშვენიერო ქალბატონო?

– აი, ასეთი მიხვედრილი ვარ. დაბრძანდით 3008 ნომერ სამარშრუტო-საფრენ აპარატზე და ხუთ წუთში იქ იქნებით.

– მადლობა, მადლობა – წელში ოდნავ მოიხარა აირტონი. ის მიხვდა, რომ კონტრდაზვერვის უფროს ლეიტენანტს გადაყროდა, ამიტომ ფრთხილად და სწრაფად უნდა ემოქმედა. ბედად, მარცხნივ გაიხედა თუ არა, 3008 სამარშრუტო დაინახა, შიგ მოთავსდა და მართლაც ხუთ წუთში უკვე ადგილზე იყო.

აქ კი საინტერესო რამ ნახა. საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი თავის ავლადიდებას – დოკუმენტებს, მედიკამენტებს, აპარატურას და საწოლებზე მწოლიარე ავადმყოფებს დიდ საბარგო მანქანებში ტენიდა.

– რა ხდება? შეეკითხა აირტონი თეთრხალათიან შავწვერა ნევროპათოლოგს.

– გადავყავართ ქალაქგარეთ, ახალ საავადმყოფოში, იქ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა!

– მიწისქვეშა გადასასვლელში მჯდომი ხელოსანიც ხომ არ გადაჰყავთ?

– მე მაგისი არაფერი ვიცი, ჩვენ ჩვენი დარდი გვაქვს! – უპასუხა ექიმმა.

აირტონმა კიბეებზე ჩაირბინა, მიწისქვეშა გადასასვლელის კუთხეში ჯიხურის თავზე დაინახა დიდი ლამაზი და ფერადი წარწერა: „ყველა ტიპის გასაღების გაკეთება-გამრავლება-აღდგენა, იტალიური მასალით“. აირტონმა ჯიხურში თავი შეჰყო და სოსო ხელოსანს აუხსნა თავისი გაჭირვება, თან დააყოლა, ეს სამი გასაღები ძალიან გვეჩქარებაო. ხელოსანმა უპასუხა,

ორიგინალების გარეშე ასეთი გასაღებების გაკეთებას ნახევარი მილიონი სჭირდება. ფასი თუ ხელს გაძლევთ, ახლავე გადავურეკავ ჩემ ძმაკაცს ჟ. ბურატინიოს, რომელსაც მსოფლიოს ყველა გასაღების კოდი აქვს თავის კომპიუტერში და დუბლიკატებს ათ წუთში დაგიმზადებთ.

აირტონი ასეთ თანხას არ ელოდა, ამიტომ ნაღვლიანად მიუგო:

– მოვიფიქრებ და დაგირეკავ.

ამასობაში ექსმინისტრიც ხელმოცარული დაბრუნდა დაყირავებული ხიდან. აღმოჩნდა, რომ მოჰანის ბიძაშვილს, დევი გუპტას გასაღების ქარხანაში საგადასახადო ყოფილა შესული და მუშაობა დროებით შეეჩერებინათ.

რამდენიმე საათში დეტექტივები კვლავ ერთად ისხდნენ პარკში, თუმცა ექსმინისტრს მოსვლა რატომღაც ნახევარი საათით დააგვიანდა.

– როგორც ვატყობ, მოგვიწევს მძინარე ცოლ-ქმართან საწოლ ოთახში შეპარვა და გასაღებების აწაპვნა – თქვა აირტონმა.

– აირტონ, მართალი ხარ, მაგრამ გასაღები ცხოვრებაში არასდროს მომიპარავს. რანაირად მოვახერხო ეს? – წარმოთქვა შეწუხებულმა ექსმინისტრმა.

– ჩემო კარგო, შენც კარგად იცი, მეც შენნაირ დღეში ვარ, მაგრამ რაღაც უნდა ვიღონოთ, უკან დახევა დაღუპვის ტოლფასია! ვფიქრობ, ხომ არ გამოგვეყენებინა ინჟინერ გარინის მეხუთე თაობის ჰიპერბოლოიდი HY-5 დიმედროლ-ნოქსირონის აეროზოლური დამიზნების სისტემით? სხვათა შორის, HY-5-ებს ამ დამიზნების სისტემის გარდა აქვთ ღრმა ეროგენური სიზმრების გამომწვევი ნანო-პრინციპული მიმდგმელ-მისაყენებელი, რომელიც ფერომონებითაა უხვად გაჯერებული. ასეთი კომბინირებული ზეგავლენის გაძლება პრაქტიკულად შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, ექვს საათს ისინი ტკბილ ძილში გაატარებენ. რას იტყვი ამაზე?

– ძალიან ნიჭიერი ხარ, აირტონ, ძალიან ნიჭიერი. მაგრამ სადაა HY-5?, სადაა მიმდგმელ-მისაყენებელი? სად ვიშოვოთ ჩვენი გადამრჩენელი იარაღი? – ზომიერ-ისტერიულად იკითხა ექსმინისტრმა.

აირტონმა ეშმაკურად ჩაიცინა, თვალები მორცხვად დახარა და გამოტყდა:

– ცალკბილა ეფოს მოვპარე, ოთახიდან რომ გამოვედით, რა თქმა უნდა, ვერც შენ დაინახე.

– შენ გაიხარე აირტონ, მგონი გადავრჩით! ეზოში მოდარაჯე ავ ჩიჰუაჰუებს რა ვუქნათ?

– ო, მაგათთვის მთიულური და ქალაქური ხინკლის კუჭები მაქვს წამოღებული, თითოეულისთვის ას-ასი ცალი. ვიდრე კუჭებს გადაყლაპავენ, ჩვენ საქმე დიდი ხნის მოთავებული გვექნება!

იმავე საღამო-შეღამებისას დეტექტივები უღუ და თეთის საცხოვრებელს მიადგნენ. აირტონს ცალ ხელში HY-5 ეჭირა, მეორეში – ცელოფანის პარკი ხინკლის კუჭებით. ექსმინისტრს კი თავის დაზღვევის მიზნით საიდანღაც ორი ამძუვნებული ჩიჰუაჰუა ეშოვნა, იქნებ ძაღლებმა საკვები არ იკმარონ და მაშინ ძუკნებზე გადავრთავო, მაგრამ როგორც გაირკვა, ტყუილად გაისარჯა, ავმა ძაღლებმა ხინკლის კუჭები რომ მიირთვეს, ჯიგრულად დააბოყინეს, შემდეგ გაიზმორეს და ტკბილ ძილს მისცეს თავი, ძუკნებისკენ არც კი გაუხედავთ.

აირტონმა HY-5-ის ლულა ცოლ-ქმარს დაუმიზნა. ისინი ამ დროს სანთლის შუქზე ვახშმობდნენ, ტყიბულის შავ ჩაის აგემოვნებდნენ და სახლის გვერდით ბაბინო დეიდას საცხობიდან შეკვეთილი ნაზი ფახლავით ყელს იკოკლოზინებდნენ. ისინი ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ, უზრდელურ აზრებს კითხულობდნენ და ხითხითებდნენ.

როგორც კი აირტონის გატყორცნილი აეროზოლის პირველი მოლეკულები და ინფორმაციული ნაწილაკები მათ სხეულში შეიჭრნენ, ორივემ მაგიდა სასწრაფოდ მიატოვა და საწოლ ოთახში გაიქცა, ერთადერთი, ყველასთვის ადვილად მისახვედრი მიზნით. თუმცა, როგორც კი გასისინებულ საწოლში მოთავსდნენ, ყველაფერი გადაავიწყდათ და გემრიელად დაეძინათ, მაგრამ მაინც გაუმართლდათ ფერად სიზმრებში.

აირტონმა და ექსმინისტრმა საძილე ოთახს კიბე მიადგეს, დინჯად აცოცდნენ და მძინარე ცოლ-ქმრის საწოლის გვერდით აღმოჩნდნენ. აირტონმა რეზინის ხელთათმანები გაიკეთა, მძინარე წყვილის ბუმბულის დიდი საერთო ბალიშის ქვეშ ხელი შეაცურა და სუნთქვაშეკრულმა სამივე გასაღები ფრთხილად გამოიღო. გახარებული დეტექტივები მეორე ოთახში გავიდნენ და უზარმაზარ სეიფს გადააწყდნენ. გასაღებები ამოიღეს, სამივე კარი თანამიმდევრულად გახსნეს, შიგნით შეიხედეს და გაოცებისგან პირები დააღეს – თაროზე მდებარე წიგნს ზევიდან ცისფერი შარავანდედი ედგა. შარავანდედი ლივლივებდა და ხან წიგნის ფორმას იმეორებდა, ხანაც მეცხრე კუნძულის კონტურე-

ბისას. დეტექტივებს გაოგნების მეხი დაეცათ და ხელის მიკარებას ვერ ბედავდნენ. მათ მყისიერად იგრძნეს, რომ ჯადოსნური წიგნი ნამდვილად იყო წიგნი-სიხარული, წიგნი-სიმფონია და წიგნი-სიბრძნის წყარო. კულტურული შოკიდან პირველი ექსმინისტრი გამოვიდა, ხელი გაიწვდინა, წიგნი ხელში დაიჭირა, თავი დახარა და სიხარულის ცრემლები წამოუვიდა. შარავანდედი ახლა წიგნს და ექსმინისტრს ერთდროულად მოეფინა. აირტონი მოხიბლული, მაგრამ ჯერ კიდევ რაციონალურად მოაზროვნე, წელში გაიმართა, ექსმინისტრს ხელკავი გაუყარა და მასთან ერთად ფრთხილად დაეშვა კიბეზე. ექსმინისტრს წიგნი მაისურის ქვეშ გულზე მიედო, რათა იგი კონტრდაზვერვის თანამშრომლებს არ დაენახათ.

ეზოდან რომ გამოვიდნენ, აირტონმა მარჯვენა ხელით ჯიბიდან კომპასი ამოიღო, მარცხენა ხელის სალოკი თითი პირით დაისველა, ზევით აღმართა და ის მიმართულება განსაზღვრა სადაც ბუჩქნართან ტანსაცმელი ჰქონდათ დამალული. იარეს სწრაფად, პირდაპირ და უხიფათოდ, მიადგნენ მონიშნულ ადგილს. ტანსაცმელი გადაიცვეს, კვალის დასაფარავად ძველი სამოსელი დაწვეს, ქვიშიდან ჩაფლული ტიკჭორა ამოიღეს და შვებით ამოისუნთქეს. ახლა შეიძლებოდა რამდენიმე წუთს დასვენება. წინ გრძელი გზა ელოდათ.

სამწუხაროდ, ტიკჭორის გასაბერი ტუმბო-ნასოსი დაკარგოდათ, შეიძლება ვიღაცამ მოპარა კიდეც, თუმცა ამის ძიების დრო არ იყო. დეტექტივებმა რიგრიგობით დაიწყეს ტიკჭორის პირით ბერვა, კარგად იშრომეს და ოციოდე წუთში წყალქვეშა ტიკჭორა, გაბერილ-გამზადებულ მდგომარეობაში უკვე მეცხრე კუნძულისკენ უხმობდათ ჩვენს გმირებს. დეტექტივები კაიუტაში შევიდნენ, მაგიდას მიუსხდნენ, ჯადოსნური წიგნი წინ დააბრძანეს და უკან, მეცხრე კუნძულზე დაბრუნების გეგმები დააწყეს. აირტონმა მეგა პოზიტრონულ გამთვლელში შეიყვანა დავალება-პაროლი – „წინ, მეცხრესკენ“, ხოლო სიჩქარის შეკვეთა 45 კვანძზე ანუ 83 კმ/სთ-ზე დააყენა.

ექსმინისტრი ცოტათი აფორიაქებული გამოიყურებოდა და აირტონისთვის თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა. აირტონმა იგრძნო ეს და თვითონ მიმართა მეგობარს:

– რამის თქმა ხომ არ გინდა, გენაცვალე?

– არ გაგიკვირდეს და პატიება-აღსარება უნდა გითხრა, აირტონ!

– პარკში რომ დაიგვიანე ნახევარი საათი, ამ ისტორიის მოყ-

ოლა გენდომება ნამდვილად.

– როგორ მიხვდი? რა საოცარია ეს ყველაფერი.

– მე განა მარტო მივხვდი, ვიცი კიდევაც, რაც მოხდა, უბრალოდ მაინტერესებდა, თვითონ როდის მომიყვებოდი ამ სიტუაციას, ჩემო პარტნიორო!

– კარგი, ხომ ხედავ, თვითონ გადავწყვიტე ჩემი ღორული ქმედების მოთხრობა. მაშ, ჯერ მომისმინე, შემდეგ თვითონ მითხარი. თუ რამეს დავაკლებ ამ ისტორიას და მერე ისიც მომიყევი, როგორ მოახერხე ამ ინფორმაციის მოპოვება.

– კარგი, თანახმა ვარ, გისმენ!

– აირტონ, დაყირავებული ხიდან შეწუხებული რომ ამოვედი, ნკვამე იჯანას სახელობის გამზირს დავადექი და სამარშრუტო საფრენი აპარატის ძებნა დავიწყე, პარკში შენთან შეხვედრაზე რომ არ დამგვიანებოდა. გამვლელებმა მირჩიეს გზის მეორე მხარეს გადასვლა და იქ დალოდება გაჩერებასთან. ოი, მუხთალო სოფელო! ამ გადასვლამ დამღუპა სწორედ! ვხედავ, განათებული ვიტრინის უკან ლამაზ ყდაში ჩასმული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები იყიდება, მე სულელი, დავდექი და თვალიერება დავიწყე. ამ დროს მაღაზიიდან გამოვიდა მდიდრულად ჩაცმული საოცარი, პირმშვენიერი ქერათმიანი იისფერთვალება სრულყოფილება და მაღაზიის დირექტორად გამეცნო.

– მივხვდი, რომ თქვენ პლანეტა დედამიწიდან ხართ, – მითხრა ამ ქათქათა საოცრებამ – მაქვს უმორჩილესი თხოვნა, თუ შემისრულებთ, თქვენი მონა-მორჩილი გავხდები.

მე დავიბენი, ასეთ დაძაბულ დროს, ასეთ ცაიტნოტში, რა უნდა მომესმინა, ანდა რა უნდა გამეკეთებინა! მაგრამ გამოვიჩინე გულისხმიერება და გულუბრყვილოდ დავთანხმდი.

– გისმენთ, ქალბატონო, თქვენს სამსახურში მიგულეთ!

– როგორც მიყურებთ, არც ოქრო-ვერცხლი მაკლია და არც თვალმარგალიტი. ერთადერთი, რაც მსურს და რაც ნამდვილად მაკლია ცხოვრებაში, ესაა ჩვენი დიდი წინამძღოლის ნკვამე იჯანას რომელიმე ლექსის მოსმენა თანამედროვე დედამიწელი მამაკაცის პირიდან!

მე გამახსენდა ბიბლიოთეკაში ერთი კვირის წინ წაკითხული ლექსი გოგონა მარტორქაზე და ეს კუპლეტი გამომეტყველებით წავუკითხე. ჩემს წინ მდგომ თეთრ ვარდს თვალებიდან თითო ცრემლი გადმოუვიდა, შემდეგ ხელი მომკიდა, მაღაზიის პირველ სართულზე საწოლ ოთახში შემიყვანა და თავი დამაკარგვინა. ეს ოცდაათი წუთი, რის გამოც შენთან დავიგვიანე, ისეთი

ფანტასტიკურ-საოცარი იყო, ზოგჯერ ისიც ვიფიქრე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი. აი, ასე იყო ყველაფერი, ჩემო აირტონ, ახლა, რომ მოვყევი, ცოტა გულზე მომეშვა.

– არა, შენ არაფერი მოგჩვენებია, ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც მოყევი. როგორც კი ხუთი წუთი დაიგვიანე, ჩემი ასტრო-მობილური ტელეფონი „ნუკია“ თანამგზავრ-სპუტნიკს მივუმარჯვე, შენი კოორდინატები მივუთითე და რეალურ დროში ყველაფერს ვაკვირდებოდი. ახლა, ოპერაციის ტრიუმფით დამთავრების შემდეგ ყველაფერზე შეგვიძლია ლაპარაკი. მეფემ შეგინდოს შენი ცოდვები ექსმინისტრო, მეფემ!

– მოდი, თითო ბოკალი შუშხუნა ღვინით გავისველოთ პირი და საყვარელი მეფე კრუტუნ მეხუთე ვადღეგრძელოთ!

ასეც მოიქცნენ.

თავი მეთერთმეტე
დახვედრა-დაჯილდოება და შრომითი მოწყობა

ზუსტად სამ საათში წყალქვეშა ტიკჭორა F 12 მეცხრე კუნძულის სანაპირო წყლებში შეცურდა. კუნძულზე მათ საზეიმო დახვედრა ელოდათ. ნაპირზე თინეიჯერი კეტმენები წითელ-ყვითელ-იისფერ პიონერულ-ბოისკაუტურ სამოსელში იყვნენ გამოწყობილნი, ხელში ყვავილების თაიგულები და სახელმწი-ფო დროშები ეჭირათ. ოთხმოცდაერთი მოზარდი ცხრა-ცხრა ჯგუფად იყო დაწყობილი, რაც სიმბოლურად მეცხრე კუნძულის კვადრატში აყვანილ დიდებას განასახიერებდა. დასავლეთიდან გამოჩნდა და ნაპირს მიუახლოვდა ბოლო გამოშვების შავ-წითლად შეღებილი, ოცნება ყველა კუნძულელისა, საოცარი სილამაზის „პიკაპ-გრანდიოზა“, ზომებით ათი მეტრი-ოცზე, სადაც ჯადოსნური წიგნი უნდა დაებრძანებინათ.

ტიკჭორის ტრაპზე აირტონი და ექსმინისტრი გამოჩნდნენ, ხელში მაღლა აღმართული ჯადოსნური წიგნი ეპყრათ, ნელა მოაბიჯებდნენ. გაისმა სასულე მუსიკის ხმა, შესრულდა კუნძულის ჰიმნი. დეტექტივებმა წიგნი პიკაპზე მოათავსეს, სადაც ცხრა ჯარისკაცი შუბებით ხელში საპატიო ყარაულში იდგა. აირტონი და ექსმინისტრი წიგნის გვერდით ჩამოსხდნენ, ჰიმნი დამთავრდა და კუნძულის ავტოსიამაყე მეფის სასახლისკენ დაიძრა.

სასახლის შესასვლელთან დეტექტივებს მეფის გვარდია დახვდათ საზეიმო-საბრძოლო მდგომარეობაში. ორ რიგად დამწკრივებული შვიდასოცდაცხრა თეთრი ფაფუკბეწვიანი გმირი კეტმენი დერეფანში ლამაზ წითელზოლიანი ლურჯი ხალიჩის კიდეზე განლაგებულიყო. თუკი სანაპიროზე ოთხმოცდაერთი მოზარდი კეტმენი კუნძულის კვადრატში აყვანილ დიდებას განასახირებდა, ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, დიდების კუბში აყვანილი შვიდასოცდაცხრა კეტმენის პოდიუმთან გამობრწყინების სიმბოლიზმი. პოდიუმზე აირტონი და ექსმინისტრი გამოჩნდნენ, აირტონს ზევით აწეულ მარჯვენაში ჯადოსნური წიგნის მარჯვენა მხარე ეჭირა, ხოლო ექსმინისტრს პირიქით, მარცხენა ხელით – მარცხენა.

ასე გადაჯვარედინებულ-ჩახუტებულნი სამივე ერთ მთლიან დიდებულ მონოლითურ ქანდაკებას წააგავდა, რომელიც ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მეფის კაბინეტისკენ მიცურავდა. მონოლითი მეფის კაბინეტთან შეჩერდა. კარი გაიღო და მეფე კრუტუნ მეხუთე, რომელიც თავმდაბლობის სიმბოლოდ მიიჩნეოდა კუნძულზე, გარეთ გამოვიდა და შეეგება:

– შვილებო!

ამ სიტყვაზე დეტექტივებს კანი აებურძგლათ და კინაღამ ცრემლებიც მოადგათ თვალებზე.

– გელოდით გამარჯვებულებს, გელოდით მოხერხებულებს და გმირებს. ჩემი ბრძანებით მოგენიჭებათ კრუტუნ მეორე თავისგამწირველის სახელობის ორდენი. თქვენ დღეიდან შეგეცვლებათ სტატუსი და მიიღებთ კუნძულის მოქალაქეობას, თუ გსურთ, ორმაგ მოქალაქეობასაც. მე საჯაროდ ვაცხადებ, რომ ხორცი შეესხა ჩემს დანაპირებს – „ერთი დღე ათ დღედ“, ანუ გაისად ორმოცდაათის ნაცვლად დაგრჩებათ მხოლოდ ხუთი წელი. ამასობაში ბევრი ვიფიქრე თქვენი შრომითი მოწყობის შესახებ, არის კონკრეტული და საინტერესო ვარიანტები. ჩემი შემოთავაზება ვალდებულებად რომ არ მიიჩნიოთ, ყველაფერს ეიჩარი სი-სი მოგახსენებთ.

ამასობაში კაბინეტში სპეციალური დანიშნულების ჯანიანი თანამშრომლები შემოვიდნენ, ცხრა რჩეული კეტმენი, მათ ჯადოსნური წიგნი ნეიტრონულ და ატომურ-წყალბადის ბომბის აფეთქებაგამძლე სეიფში რუდუნებით მოათავსეს, საზოგადოებას თავი დაუკრეს, სეიფი ხელში აიტაცეს და თვალს მოეფარენ.

დეტექტივებიც სიამაყენარევი მორიდებით პატარა ნაბიჯებით გასასვლელისკენ გაემართნენ და კადრების განყოფილებას მი-



ჯადოსნური წიგნის დაბრუნება

ადგნენ. განყოფილების ხელმძღვანელი ლამაზი ეიჩარი კეტმენი, თაფლისფერთვალება ქალბატონი სი-სი სავარძელში იჯდა და მონიტორის ეკრანს შესცქეროდა. დედამიწელები რომ დაინახა, ფეხზე წამოდგა და ხელი ჩამოართვა.

– თქვენთვის ბევრი შემოთავაზება მაქვს, იქნებ თქვენ ბრძანოთ პრიორიტეტები, ასე უფრო ადვილად მივაღწევთ შედეგს.

– ჩვენი მთავარი პრიორიტეტია ჩვენი დადებული ფიცი! ანუ პატიოსნება, სიკეთე და ერთგულება (პსე), დანარჩენიც გვაინტერესებს, მაგრამ შედარებით ნაკლებად. – უპასუხეს ერთხმად აირტონმა და ექსმინისტრმა.

– ასეც ვფიქრობდით, მეფის რეკომენდაციაა თქვენი დასაქმება სასოფლო-სამეურნეო სექტორში, სუფთა ჰაერზე, გონებაც გაგეხსნებათ, ტესტებსაც უფრო ადვილად გააკეთებთ, პროდუქციასაც შექმნით ადგილობრივი და პლანეტის ბაზრისთვის. რას იტყვით პრინციპულად ამ მიმართულებაზე?

– რა მშვენიერი აზრია, რა შორსმჭვრეტელია მეფე, თითქოს ჩვენს ქვეცნობიერ ფსიქიკურში იხედებოდა, ამას ჩვენ როდის მივხვდებოდით დამოუკიდებლად? არა, რაღაცას კი ვგრძნობდით, ძირითადად სიზმრების საშუალებით, მაგრამ დედამიწაზე სადღა არიან ჭეშმარიტი ფსიქოანალიტიკოსები! რა ბედნიერებაა აირტონ, სიმოვნებისგან წინასწარ მაურიალებს ტანში, ვიშრომებთ ბაღჩა-ბოსტნებში, მოვიყვანთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, გვეყო გენმოდიფიცირებული პომიდორი, კარტოფილი და ბოლოკი. მზად ვართ, დღესვე შევუდგეთ შრომას.

– შესანიშნავია! თქვენი შესაძლელობების წარმოჩენის საშუალება რომ გეძლევათ. თქვენ წაბრძანდებით სოფელ ფრემისმანში, რომელიც უდიდესია რეგიონში ნახევარი მილიონი მცხოვრებით, მოძებნით მსხვილ მიწათმეურნეს და მილიარდერ ლონგოს, რომელმაც, სხვათა შორის, პომიდვრისა და კიტრის სათბურებით დაიწყო ბიზნესი, მუყაითი შრომით კი ასეთ სიმაღლეებს მიაღწია. თქვენ მას გადასცემთ წერილს ჩვენი სამინისტროდან და შეუდგებით საზოგადო-სასარგებლო შრომას. გფარავდეთ მეფე! – უპასუხა ქალბატონმა სი-სი ეიჩარმა.

დეტექტივები კმაყოფილები გამოვიდნენ განყოფილების უფროსის კაბინეტიდან. მათ უკვე ბევრი რამ იცოდნენ მეცხრე კუნძულის შესახებ და მილიარდერ ლონგოსთან მისასვლელად არავითარ უხერხულობას არ გრძნობდნენ. საქმე ის იყო, რომ მილიარდერი, გინდაც მილიონერი დედამიწაზე პრინციპულად განსხვავდებოდა აქაური მილიარდერისაგან. მეცხრე კუნძულელ

მილიარდერს თავისი ფული სახელმწიფო ბიუჯეტში ჰქონდა ინტეგრირებული, ანუ სამეფო და თვითონ თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ თანხის განკარგვაში, გარდა ამისა, არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ნებისმიერ მოქალაქე კეტმენს შეეძლო ნებისმიერი მილიარდერის თანხის გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის.

აი, აქ კი მივედით ამ პრინციპულ განსხვავებაზე, რაც დედამიწელებსა და მეცხრეკუნძულელებს შორის არსებობდა ფულის ხარჯვის ასპექტით. კეტმენები არასდროს ჭამდნენ ზედმეტს და იყვნენ სპორტულები და მოხდენილები. დედამიწელები კი ფულს იმისთვის შოულობდნენ, რომ ეჭამათ იმაზე ბევრად უფრო მეტი, ვიდრე მათი არსებობისთვის იყო საჭირო, გაემართათ ღრეობა-ნადიმები, წვეულებები, ბანკეტები, სუფრასთან მოეწვიათ წარჩინებულნი, რათა შემდეგ ეამაყათ, აი, ვისთან ერთად ვჭამდითო პურს.

შემდეგი საკითხი – დედამიწელები დიდ ყურადღებას უთმობენ სექსს სექსისთვის, ერთ ან მრავალსაყვარლიანობის ინსტიტუტს, რაზეც კოლოსალურ რესურსებს ხარჯავენ, იგულისხმება დასასექსი ობიექტის ან ობიექტების გამოკვება, ჩაცმა-დახურვა, დასაჩუქრება იაფფასიანი ან ძვირფასი საჩუქრებით, ზოგჯერ აგარაკებით ან მსუბუქი ავტომობილით, მათი დაცვა სხვა პოტენციური და რეალური მსურველებისგან, რომანტიკული მოგზაურობების ორგანიზაცია, სატრანსპორტო ხარჯები, ამ ყველაფრით ტრაბახ-ტრიპაჩობა და მსმენელებში შურის გამოწვევა, საკუთარი თავის მაჩოდ, ანუ სექსსიმბოლოდ მიწოდების მცდელობა სოციუმში. სექსი დედამიწაზე საწოლის ვიწრო ჩარჩოებიდან გამოდის და საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან სეგმენტს იკავებს.

სამაგიეროდ კეტმენები მიიჩნევენ, რომ სექსი სპორტი არ არის, რეკორდების დამყარება დაისახო მიზნად და ამაში გრანდიოზული ინვესტიციები ჩადო. სექსი არ გახლავთ არც ეკონომიკა, მით უმეტეს, პოლიტიკა. „თითო ბავშვის მოსავლენად მხოლოდ თითო სექსი“ – ეს ძველი მეცხრეკუნძულური ანდაზა დღესაც პოპულარულია მოსახლეობაში **(სექსი – ზოგიერთი ენციკლოპედიის გამარტებით, ესაა ჩვეულებრივ უგულო, იშვიათად გულიანი სიყვარული თანმხლები ხვევნა-კოცნა მტლაშა-მტლუშით. თუმცა არსებობს სხვა განმარტებებიც.)**

აირტონმა და ექსმინისტრმა მშვენივრად იცოდნენ, რომ დედამიწაზე ბოლო ორი საუკუნეა მორალურ-ზნეობის თვალსაზ-

რისით მდგომარეობა კრიტიკული გახდა. ზოგ ქვეყნებში (მათი ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ) მთავრობა იძულებული იყო, ხელფასის დარიგება შეეწყვიტა, რადგან ფული, რომელიც ჯიბეში ედოთ მშრომელებს, მათ გარყვნილების უფსკრულისკენ უბიძგებდათ. იმ პერიოდში ყველაზე ბედნიერი ცოლები ისინი იყვნენ, რომელთა ქმრებს დაბალი ან საშუალო შემოსავალი ჰქონდათ, რადგან ასეთი ტიპის ქმრებს გარყვნილების და ცოლის ღალატის გზები პრაქტიკულად ჩაკეტილი ჰქონდათ.

ამ ქვეყნებში მთავრობამ ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა, მოჭარბებულ სექსუალურობა-გარყვნილობასთან და ღორმუცელობასთან ბრძოლა დაეწყო. გამოცხადდა დეკლარაციები: „ვისწავლოთ ზომიერი ჭამა და სექსი“, „ბევრი ჭამა – ცოტა სიცოცხლე“, „ძირს ზედმეტი სექსი და ღორმუცელობა“ და ა.შ.

რადგან მშრომელები თვითონ ვერ არეგულირებდნენ ამ პრობლემას, მთავრობამ ხელფასების გაცემის მაგივრად დაიწყო ლიმიტირებული კვებისა და სექსის ტალონების დარიგება. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მონაცემთა გათვალისწინებით თითოეულ ზრდასრულს ეძლეოდა თვეში სამი სექსის და საშუალოკალორიული საკვების დღეში ოთხჯერადი კვების ტალონი. პროცესები კონტროლდებოდა და დამრღვევებს დიდი ჯარიმები და პატიმრობაც კი ელოდათ. ასეთმა ღონისძიებებმა საკითხი რადიკალურად ვერ გადაჭრა, თუმცა პირველ ხანებში ხალხი დაშინდა და აფოფრებული ვნებები ოდნავ დაიცხრო. რამდენიმე ხნის შემდეგ ზრდასრულებმა გამოსავლის ძიებას მიჰყვეს ხელი, დაიწყო ტალონებით სპეკულაცია, დიდი აღებ-მიცემობა. მოღორმუცელო და ღორმუცელა ადამიანებმა თავიანთი სექსის ტალონები საკვების ტალონებზე გადაცვალეს, ვნებიანმა სექსის მოყვარულებმა კი – პირიქით. შედეგად ღორმუცელათა შთამომავლობა თანდათან მცირდებოდა, რადგან ცოლებთან პრაქტიკულად საქმეს აღარ იჭერდნენ, ხოლო სექსის მოყვარულებმა კატასტროფულად დაიკლეს წონაში.

როდესაც დედამიწაზე ასეთი დაძაბულობა იყო მოსახლეობასა და მთავრობას შორის, მეცხრე კუნძულზე სულ სხვა ატმოსფერო სუფევდა. მეფე კრუტუნ პირველი დიდის ანდერძზე აღზრდილ კეტმენებს ასეთი დაპირისპირება ფიქრადაც არ მოსვლიათ.

მეცხრე კუნძულზე მილიონერი და მილიარდერი კეტმენები ლონგოს მსგავსად მოსახლეობისთვის ლამაზ მრავალსართულიან კორპუსებს აშენებდნენ და თვითონაც მათთან ერთად

ცხოვრობდნენ. მოსაზრება, რომ დიდი ბინა კარგია, ხოლო პატარა – ცუდი, გაბათილებული იყო ანდერძის მეშვიდე თავში. საცხოვრებელი ბინის ფართები კუნძულზე თითქმის გათანაბრებული იყო და ბინით ტკბობის ვნება აქ პრაქტიკულად ჩამქრალი გახლდათ.

კოპწია-კოხტა-მდიდრული სამოსით შემოსვის ვნებას ანდერძის მერვე თავის მეორე პარაგრაფი აბათილებდა, ხოლო ამ ვნების თანდათანობით შესუსტებას ხელს უწყობდა კეტმენების ბუნებრივად ლამაზი სხეული.

* * *

... ამასობაში აირტონი და ექსმინისტრი სოფელ ფრემისმანს მიადგნენ და ლონგოს ოფისი იკითხეს. ოფისი თავწაკვეთილი პირამიდის ფორმის ოცდაათსართულიან სათბურს წარმოადგენდა.

თავმდაბალი ლონგო, რომელიც პირველ სართულზე იჯდა, გარეთ გამოვიდა, სტუმრებს შეეგება. ხელში სეკატორი ეჭირა. სტუმრებმა სამინისტროდან წამოღებული წერილი მორიდებით წარუდგინეს, ლონგომ წერილი წაიკითხა და თქვა:

– ძმებო, დღეიდან ამ სათბურის პირველი ხუთი სართული თქვენი იქნება, თქვენ იქნებით პატრონებიც, მუშა-გლეხებიც და გამყიდველებიც. გეძლევათ მთელი ქონება და თავისუფლება, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, მე და ჩემი გუნდი ყოველთვის თქვენს გვერდით ვიქნებით.

სტუმრებმა უპასუხეს:

– ეს ჩვენთვის დიდი პატივია, თავს არ დავზოგავთ მეფისთვის და საქმისთვის!

მართლაც, აირტონმა და ექსმინისტრმა ხელები დაიკაპიწეს და თავდაუზოგავად დაიწყეს შრომა. ბეჯითმა შრომამ ნაყოფი მალე გამოიღო და ორთვენახევარში პომიდვრის რეკორდული მოსავალი მიიღეს. მათ დამკვრელურ შრომას და წარმატებებს პირველად კუნძულის ყველაზე პოპულარული გაზეთი „ინდ. მეწარმის სიტყვა“ გამოეხმაურა:

„ჩვენს საყვარელ კუნძულზე სულ რაღაც სამი თვის წინ ჩამობრძანებულმა ბატონებმა აირტონმა და ექსმინისტრმა ამ მოკლე პერიოდში მთელი კუნძული აალაპარაკეს. ჯერ იყო ყველასთვის ცნობილი მოვლენები, როდესაც მათ კუნძული და მთელი ჩვენი

ცივილიზაცია შერცხვენა-განადგურებას გადაარჩინეს, და თუ გახსოვთ, ამაზე პირველად ჩვენი გაზეთი წერდა – „ჩვენი საყვარელი მეფის კრუტუნ მეხუთის ისტორიული გამარჯვება“.

ახლა მათ შრომით ფრონტზე გამოიჩინეს თავი! აბა, ვინ გაიხსენებს უკანასკნელად სათბურში როდის იყო მოყვანილი ხუთასი ტონა პომიდორი? აბა ვინ? ვერავინაც ვერ გაიხსენებს, იმიტომ, რომ პომიდვრის ასეთი მოსავალი არავის ახსოვს! გვაქვს დადასტურებული ინფორმაცია, რომ პარლამენტში მზადდება პროექტი ამ ორი გამოჩენილი დედამიწელის მეფე კრუტუნ მესამე დიდმეურნის სახელობის ორდენით დაჯილდოების შესახებ“.

ეს იყო მცირე ამონარიდი იმ გრანდიოზული სტატიიდან, რომელიც ყველასთვის საყვარელმა გაზეთმა დაბეჭდა.

თავი მეთორმეტე
ისტორიული გადაწყვეტილება

დრო კი გადიოდა. აირტონი და ექსმინისტრი მეფე კრუტუნ მესამე დიდმეურნის სახელობის ორდენით დაჯილდოების შემდეგ გაათკეცებული ენერგიით შრომობდნენ კუნძულისა და მეფის სადიდებლად. ერთ მშვენიერ დღეს აირტონმა ექსმინისტრს ჰკითხა:

– მე რაც უნდა შეგეკითხო, შენ უკვე იცი! როდის გვეღირსება კრუტუნ პირველი დიდის სახელობის ორდენი?

– ოჰ, ეს რა თქვი აირტონ, ნუთუ შენც მზადა ხარ ამისთვის?

– კი, ვფიქრობ, რომ ვარ! ყველაფერთან ერთად იმასაც ვფიქრობ, მამაკაცისთვის აუტანელი იქნება ხუთწლიანი თავის შეკავება, კეტმენები რომ გავხდებით, ეს უხერხულობაც მოგვშორდება! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალგაზრდა კაცი ვარ.

– აირტონ, იქნებ დავბრუნდეთ დედმიწაზე, ვადა ხომ ფაქტობრივად მოვიხადეთ! დარჩენილ წლებს კიდევ ჩამოგვიმეათედებენ!

– მართალია, ბევრი აღარ დაგვრჩა, მაგრამ რა გველოდება იქ? დიდი ვეზირი, რევან მეფე, პროვოკაციების მოწყობის დავალებები, მონობა და მუხლებზე ხოხვა, კორუფცია, დოლარის კულტი, ნარკომაფია, მომხვეჭელობაზე ზრუნვა, გაუთავე-

ბელი სუფრები – ქორწილები, დაბადების დღეები, ქელეხები და ორმოცები, ღვინო, დუდუკი, ქალები – ეს გარყვნილების მორევი, რაშიც მთელი შრომის ანაზღაურება უნდა ჩავდოთ! ჩემი საყვარელი ცოლი ლამზირა კი იმავე დღეს გათხოვდა, როდესაც დედამიწიდან გამოვფრინდით! აი, ასეა საქმე.

– ჰო, მართალი ხარ, იქ სახარბიელო არაფერია დარჩენილი!

– აქ კი ხომ ხედავ, ჩემო ექსმინისტრო, სულ სხვაა, სხვა სამყაროა! როგორ მწვერვალებს მიაღწია მორალ-ზნეობამ! ბრწყინვალე შესაძლებლობა გვაქვს ყოველდღე ასორმოცდაათ-ასორმოცდაათი ტესტი ვაკეთოთ და გასუფთავება-განწმენდის საფეხურებზე ავმაღლდეთ! კუნძულზე სიტყვა ღორმუცელობაც კი არ იციან კარგად, გარყვნილობის ფაქტებიც ბოლო ორასი წელია, არაა დაფიქსირებული, რა კეთილია მეფე კრუტუნ მეხუთე, როგორ გვიწოდა შვილები! დღესაც მახსოვს მისი მამობრივი გამომეტყველება, ეს მილიარდერი ლონგო თავმდაბლობის და ერთგულების განსახიერებაა, როგორ გვეხმარებოდა თავისი ფულით და ხელით პომიდვრის ჩითილების შეწამვლაში! საკუთარი მონდომებით ჩვენს სადგურში კიტრის თესლების დათესვა ახლაც თვალწინ მიდგას, რა გმირული წარსული აქვს მეცხრე კუნძულს, როგორი დიადია მისი აწმყო და მომავალი. ცოტათი კი მეშინია, უარი არ გვითხრან ორ ჯადოსნურ ხეს შორის გასვლაზე.

– მე ამაში მეფის კეთილგანწყობის იმედი მაქვს

– რაღა დაგიმალო და მეც. მოდი ვცადოთ და წერილობით ვთხოვოთ მეფეს ჩვენი გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე.

დედამიწელები შეთანხმდნენ, დასხდნენ, განცხადების ტექსტი შეადგინეს და ფოსტალიონს გაატანეს.

მესამე დღეს, როდესაც მეცხრე არხზე ახალ ამბებს უყურებდნენ, გამოშვება შეწყდა და წამყვანმა გამოაცხადა:

– როგორც ახლა მაცნობეს, ჩვენი საყვარელი მეფე კრუტუნ მეხუთე საგანგებო განცხადების გაკეთებას აპირებს.

აირტონი და ექსმინისტრი ამის გაგონებაზე დაიძაბნენ და სუნთქვა შეეკრათ.

– ნუთუ რამე ცუდი მოხდა? ომი ხომ არ იწყება? ან სტიქია ხომ არ გვიტევს? – ჩურჩულებდნენ შეშინებულები.

ამ დროს ეკრანზე მეფე გამოჩნდა სამხედრო-საზეიმო ფორმაში გამოწყობილი, თავზე კი გვირგვინი ედგა. ასეთ ფორმაში მეფე ყოველთვის მნიშვნელოვან და სერიოზულ განცხადებებს

აკეთებდა ხოლმე ტელევიზიით.

– ჩემო თანამემამულენო, შვილებო და მშობლებო, ბებიებო, ბაბუებო! ჩვენ საოცარი დღე გაგვითენდა! შემოვიდა განცხადება, სადაც ჩვენს მიწა-წყალზე გამოგზავნილი ორი დედამიწელი – ექსმინისტრი და აირტონი ითხოვენ ორი ჯადოსნური ჭადრის ხის შორის გავლას. ყველას მოგეხსენებათ მათი ღვაწლი კუნძულისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოპარული წიგნის დაბრუნების გმირულ ეპოპეაში, რისთვისაც ისინი დაჯილდოვდნენ მეფე კრუტუნ მეორე თავისგამწირველის სახელობის ორდენით, ამას მოჰყვა პომიდვრის რეკორდული მოსავლის მოყვანა, რამაც წელს კუნძულზე ამ კულტურით მომარაგების პრობლემა მოხსნა და ისინი დაჯილდოვდნენ მეფე კრუტუნ მესამე დიდმეურნის სახელობის ორდენით. და ახლა, როცა მე წინ მიდევს მათი განცხადება, სადაც მათ სურთ გახდნენ ჩვენნაირი კეტმენები, დაგვემსგავსონ ჩვენ და ჩვენთან ერთად გაიზიარონ წუთისოფლის ჭირ-ვარამი, მე ვაძლევ მათ ლოცვა-კურთხევას!

ჭადრებს შორის გავლის რიტუალი გაიმართება ორშაბათს დილის 9 საათზე დედაქალაქის მთავარ პარკში, შადრევნის უკან. დასწრების მსურველებს გთხოვთ შეუკვეთოთ ბილეთები. ჩვენო დედამიწელო ძმებო, წინასწარ გილოცავთ ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას და გილოცავთ თქვენც, ჩემო კეტმენო ხალხო, ამ დიდებული დღის დადგომას! გფარავდეთ მეფე!

აირტონი და ექსმინისტრი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

– აი, ბედნიერება, მშვიდობით, ცოდვიანო წარსულო, მშვიდობით მონურო ცხოვრებავ, მშვიდობით ყველა უმსგავსოებავ და მანკიერებავ – არ აცლიდნენ ერთმანეთს ლაპარაკს აღფრთოვანებული მომავალი კეტმენები.

ნაწილი მესამე

დიდი გამონათება

თავი მეცამეტე
შვიდი ღამე, რომელმაც შესძრა ქვეყანა

ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც აირტონმა და ექსმინისტრმა მილიარდერი ლონგო გაიცნეს და სოფლის მეურნეობისთვის თავი გადადეს, დედამიწაზე უცნაური ამბები დატრიალდა. ეს მოვლენები პირადად მეფე რევან მეექვსეს და მის სამშობლოს შეეხო. ყველასთვის ცნობილი იყო რომ, მეფე რევან მეექვსის სულგუნის ფორმის საზაფხულო რეზიდენცია ოცდაოთხი საათის განმავლობაში მზის სხივებით ნათდებოდა. მეფე სხვა სახის სინათლეს არ აღიარებდა, ამიტომ მზის სხივებს დღის განმავლობაში უზარმაზარ სკივრში ინახავდა, საღამოს საათებში სკივრს თავს ახდიდა და სხივები სპეცდამიზნებული პლაზმური კრისტალების და კრისტალოიდების გავლით ოთახებს ეფინებოდნენ მზის მეორედ ამოსვლამდე.

ღორმუცელობით ცნობილ რევან მეფის ერთ-ერთი სისუსტე ელარჯი და გებჟალია გახლდათ, ოღონდ აუცილებლად მეგრული სულგუნით მომზადებული, ერთხელ გაუგებრობა მოხდა და მზარეულებმა დედოფლისწყაროს სულგუნი გამოიყენეს, რადგან მეგრულმა ძროხებმა იმ დღეებში წველა შეწყვიტეს. დახვეწილი გემოვნებით გამორჩეული რევანი, რა თქმა უნდა, ყველაფერს მიხვდა და მატყუარა პერსონალი ეშაფოტზე გაგზავნა. დიახ, რევანი სასტიკ-მრისხანე იყო, მაგრამ უსამართლო. მხოლოდ კეთილი დედოფალი გულსუნდას ძალისხმევამ გადაარჩინა ისინი გარდაუვალი სიკვდილისაგან.

იმ ისტორიულ-საოცარ-დიდებულ საღამოს რევან მეექვსემ შენახული მზის სხივების სიძლიერე შეასუსტა და დასაძინებლად მოემზადა, იგი სიამტკბილობას ძილშიაც არ იკლებდა და ვიდრე ჩათვლემდა, დუბაიში დამზადებულ იაპონურ ფერად სიზმრების მომგვრელ-მასტიმულირებელ აპარატს Hypno-color 420 kr ჩართავდა, სასურველ პროგრამაზე დააყენებდა და დილით ოპტიმისტურ ხასიათზე დგებოდა. იმ საღამოს მეფე სიზმრებში დადგმულ, ანტიკურ ორგიებში აპირებდა მონაწილეობას, მაგრამ ხელსაწყო მოულოდნელად მწყობრიდან გამოვიდა, მეფ-

ეს კი დაეზარა ვაჭრობის მინისტრის გამოძახება ხელსაწყოს გამოსაცვლელად, ამიტომ გადაბრუნდა და ფიზიოლოგიურ ძილს მისცა თავი.

სიზმარში უცნაური არსება ნახა – დიდი ზომის ლამაზი კატა, რომელსაც ადამიანის ხელის მტევნები ჰქონდა და წიგნები ეჭირა, იგი ქართულ ენაზე გამართულად მეტყველებდა. რევან მეექვსე შეშინდა, გაღვიძება გადაწყვიტა, მაგრამ ვერ მოახერხა და იძულებული გახდა, კატისთვის თვალი გაესწორებინა.

– მე ვარ კრუტუნ პირველი დიდი, L პლანეტის მეცხრე კუნძულზე მცხოვრები კეტმენების პირველი მეფე – უთხრა კრუტუნ დიდმა.

– მე კი ჩვეულებრივი მოლაპარაკე კატა მეგონე, ფისო იაბედა ან იმის მსგავსი, თუმცა მას შენნაირი ხელის თითები არა აქვს. მითხარი, რა გინდა, ხომ იცი, რომ მე ადამიანების მეფე ვარ დედამიწაზე, საქართველოში!

– რა თქმა უნდა ვიცი, ჩემო ძვირფასო, მე დიდი ხანია გიცნობ და ყველა შენს საქმეებს და აზრებს ვაკვირდები ყურადღებით.

– მეცხრე კუნძული, მეცხრე კუნძული, L პლანეტაზე, ჰო, ჰო, ჩვენ იქ ორი კაცი გავგზავნეთ – აირტონი და მძლემინისტრი – გამოსასწორებლად და ჭკუის სასწავლად, რადგან მათ დავალება ჩააფლავეს. ორმოცდაათი წელი სწრაფად გავა, მერე ჩამოვლენ, კვლავ დავასაქმებთ...

– მართალს ბრძანებთ, ისინი მეფე კრუტუნ მეხუთის პირადი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან, წარმატებით დაასრულებენ მონანიება-რეაბილიტაციის კურსს, შემდეგ თავს გამოიჩენენ გმირული და შრომითი საქმიანობით, მიიღებენ დამსახურებულ ორდენებს და მედლებს, და ბოლოს მორიდებით მოითხოვენ კეტმენებად გადაქცევას. ეს დიდებული გარდაქმნა-ტრანსფორმაცია იქნება, ძვირფასო რევან! მაგრამ ამჟამინდელი შენთან მოსვლის მიზეზ-ამოცანა გახლავთ ხანგრძლივი საუბრები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მორალურ-ზნეობრივ პრობლემებზე. ახლა შენ ბუნებრივი ძილით გძინავს და გინდა თუ არა, გულახდილი იქნები.

– მე არ მინდა არავითარი საუბრები და პრობლემები! მე ახლავე გავიღვიძებ! როგორ, შენ ჩემს ქვეცნობიერ ფსიქიკურში შემოიჭერი და ხელებს აფათურებ?! ვინ მოგცა ამის უფლება! მე გიჩივლებ იუპიტერისა და ურანის საპლანეტთაშორისო სასამართლოში! – ამ წუთს რევანმა ინანა, რატომ დამეზარა მინისტრთან დარეკვა, მოეტანა ახალი Hypno-color 420 kr და

რეკვნ მეფის ღაძის სიზმარი

მშვიდად ვნახავდი შერჩეულ სიზმარს, ეს დამთხვეული კრუტუნ მეფე თუ ჩემი ფეხები ხომ ვერ გამომეცხადებოდაო, მაგრამ ახლა გვიან იყო, მიხვდა, გაღვიძების შანსი არ ჰქონდა, სიზმარი ბოლომდე უნდა ენახა.

– ვერსადაც ვერ მიჩივლებ, მე ჩემს ქმედებებში ვეყრდნობი არა მარტო ჩვენი ჰემიგალაქტიკის, არამედ სრულიად სამყაროს ზაკონ-კანონებს, რომლებიც დიდი აფეთქებიდან მეცხრე წუთზე დაიწერა და მათ ყველა ემორჩილება. რაც შეეხება იუპიტერის და ურანის მექრთამე, დესპოტ და მილიტარისტ მმართველებს, ნუ ღელავ, მათთვისაც მოიცლიან!

– ვაი, ვაი, ეს რა მითხარი, ნუთუ ჩემს მფარველებს, მხნე-გულად ასატურს და პირმოცინარე მასატურს ვინმე დააკნინებს და ძალას გამოაცლის? მაშინ მე რაღა მეშველება, ჩემს საათივით აწყობილ სამეფოს ვინ-ღა მიხედავს? ნუთუ-ღა დავიღუპებით?

– არამც და არამც, შენ უნდა გამოსწორდე, მხნე-გულადს და პირმოცინარეს სხვები მიხედავენ!

– მე რა მჭირს გამოსასწორებელი, მშვენივრად ვცხოვრობ! – ხმას აუწია რევან მეექვსემ.

– აი, ხომ ხედავ, რომ ვერაფერს ხედავ! მე ახლავე შევუდგები საქმეს! დარწმუნებული ვარ, შვიდ ღამეში მივაღწევ მიზანს. მაშ ასე, დავიწყოთ, მე შეკითხვებს დაგისვამ, შენ მიპასუხებ.

– კარგი, რაღა გაეწყობა, გისმენ – ფაქტობრივად სრული კაპიტულაცია გამოაცხადა რევან მეფემ.

– პირველი შეკითხვა – ღალატობ ცოლს?

– რას ბრძანებთ, რას ნიშნავს ღალატი! მე ჩემს საყვარელ გულსუნდას ვაფოფინებ და თავს ვევლები, თვალ-მარგალიტი მაგას არ აკლია, ოქრო-ვერცხლი და საკუთარი კოსმოსური ხომალდები.

– რასაც ამბობ, ეს მისი ხორციელ-ეკონომიკური გაძლიერებაა, თუ ვერ მიხვდი, უფრო მარტივად გკითხავ, დაგისექსავს სხვა ქალბატონი ან ქალბატონები?

– რადგან ბუნებრივ-ფიზიოლოგიურ სიზმარში ვარ, შენ კიდევ ჩემს ქვეცნობიერში ხარ შემოხეტებული, ტყუილს ვერ გეტყვი, დამისექსავს, ოღონდ იმ დროს გულსუნდაზე ვფიქრობდი.

– ეს არაა დიდი შედავათი, რაზე ფიქრობდი, თუ მეტყვი, რამდენ ქალთან ხარ ნამყოფი?

– აი, ზუსტად ვერ გეტყვი, დაახლოებით ორ-სამთან კვირაში, თითოსთან თითოჯერ. ახლა გაამრავლე და ნახავ, წელიწადში რამდენიც გამოვა. მაგარი ვარ!

– არა, ჩემო კარგო, შენ თვითონ უნდა დაიანგარიშო და მომახსენო!

რევან მეფემ კალკულატორის ძებნა დაიწყო, ანერვიულებულმა სიჩქარეში ვერ იპოვა, იძულებული გახდა, ხელში კალამი აეღო და ქაღალდზე ქვეშმიწერით ეანგარიშა. ცოტა კი იწვალა, მაგრამ გაარკვია, რომ ოცი წლის მეფობის განმავლობაში ორიათას ექვსას ქალბატონთან ჰქონია საქმე.

ვისაც ეს გაანგარიშება ეეჭვება, შეუძლია თავად გადაამოწმოს თუნდაც კალკულატორით ან ექსელით, მე პირადად ამ ასტრონომიული ციფრების გაგებაზე ცუდ ხასიათზე დავდექი და დაზუსტების არავითარი სურვილი არ გამჩენია.

– ახლა რას იტყვი, რევან, ნუთუ არა გრცხვენია?

– რათა, რათა, ძალიანაც კარგი იყო!

– რადგან ვერ ხვდები, რომ აღვირახსნილობა ცუდია და მომაკვდინებელი, ერთ მარტივ განმარტებას მოგცემ. როგორც კი პირველი ღალატი მოხდება ცოლ-ქმარს შორის, ზუსტად აქტის დამთავრების შემდეგ ნაღალატევის თავზე ჩნდება ერთი სანტიმეტრი სიმაღლის წყვილი რქა. ისინი თვალით არ ჩანს, ხელითაც არ შეიგრძნობა, მაგრამ საუბედუროდ, არსებობს. შემდგომი ღალატის დროს ეს რქები კვლავ თითო სანტიმეტრი მატულობს და ნებისმიერი სიმაღლისა შეიძლება გახდეს. ნაღალატევის თავზე გაჩენილი რქები მის ფსიქიკაზე დამთრგუნველად მოქმედებს, ასევე მოძრაობაშიც უშლის ხელს, იძულებულია თავი დახაროს, რომ კარში შესასვლელს ან ჭერს არ შეეხოს.

– ეს რა მითხარ, კრუტუნ პირველო დიდო, ნუთუ ეს ყველაფერი მართალია? ესე იგი, ჩემი საყვარელი ცოლი დედოფალი გულსუნდა ჩემი მიზეზით არის ხოლმე თავჩაქინდრული და წელში მოხრილი? ო, მაი გათ! ეს რა მიქნია მე უგუნურს! ახლა უკვე ყველა ის ქალი მეზიზღება, ვინც საბრალო გულსუნდა ამ მდგომარეობამდე მიმაყვანინა. ეტყობა, ყველაფერი იცოდნენ და დამიმალეს, მე მათზე ჯავრს ვიყრი, საკონცენტრაციო ბანაკებში ჩავყრი და მომწამვლელი გაზებით ამოვახრჩობ მაგ ჩათლახებს მაგათ! – აღშფოთებული ღრიალებდა რევან მეექვსე და თან გონებაში ამაოდ ცდილობდა გამოეთვალა გულსუნდას რქების სიმაღლე მეტრებში.

– არა, ჩემო კარგო, არაა საჭირო ახალი სისასტიკე და ამდენი ტრუპები!

– მაშ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რითი ვუშველო ჩემს თავს და ჩემს ცოლს?

– ეს უკვე სხვა საკითხია, არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა. მე მოგიტანე ჩემი ანდერძი, განმარტებებით და ტესტებით. გადაშლი პირველი თავის მეცხრე პარაგრაფს – „როგორ ვებრძოლოთ ბოზობას“. რომ გაიღვიძებ, ვიდრე საჭმელს მიირთმევდე, ეს პარაგრაფი ორჯერ კარგად წაიკითხე და ყველაფერს მიხვდები. ტესტებს ჯერ ხელს ნუ მოჰკიდებ, მე როცა გეტყვი, მაშინ დაიწყებ. აბა გემშვიდობები, ხვალ ღამემდე, ბაი-ბაი!

დილით რევან მეფემ გაბრუებულმა გაიღვიძა, ყველაფერი დეტალურად ახსოვდა, მთელი დიალოგი. თავის თავს ორჯერ გაუმეორა გუშინდელი სიზმარი, მერე საწოლიდან წამოხტა და დაიღრიალა – არა! არა! მაგრამ როდესც საწოლთან ტუმბოზე დადებული ანდერძი, განმარტებები და ტესტები დაინახა, თავი დახარა და წარმოსთქვა – გაუმარჯოს კრუტუნ პირველ დიდს!

მთელი დღე არეული იყო, ხუთჯერ გადაწყვიტა hypno-color 420 kr გამოეცვლა, ხუთჯერვე გადაიფიქრა, რადგან გულსუნდას რქები ახსენდებოდა, იმასაც შიშობდა, რქებთან ერთად კუდიც ხომ არ ამოუვიდაო, ნეტავი გუშინღამ მეკითხაო, დარდობდა ძლიერ. დილით მეცხრე პარაგრაფი, როგორც კრუტუნ პირველმა ურჩია, ორჯერ წაიკითხა. მეცხრე პარაგრაფი საოცარი ენით იყო დაწერილი, მკითხველს მოუთხრობდა პატიოსნების და ერთგულების სულიერ-ხორციელ უპირატესობებზე გარყვნილობისა და ორგულობის მიმართ. თეორიული მსჯელობები პრაქტიკული მაგალითებით იყო გაძლიერებული. ისიც კი ამოიკითხა, რომ მეუღლის გამოსწორების შემთხვევაში რქები უკუგანვითარებას იწყებენ ჯერ არითმეტიკული, შემდეგ გეომეტრიული პროგრესიის ტემპებით, ასე რომ, სავსებით რეალური ჩანდა ერთ-ორ წელიწადში, რევანის მონდომების შემთხვევაში, გულსუნდას თავაწეულს და წელში გამართულს დაეწყო სიარული!

როდესაც რევანმა პარაგრაფი ორჯერ გადაიკითხა, იგრძნო, რომ უკვე ზეპირად იცოდა და ძალიან გაუკვირდა. სკოლაში რომ ცუდად სწავლობდა, მხოლოდ თვითონ იცოდა, მოწმეები აღარ იყვნენ, ზოგი დაიღუპა, ზოგი გადასახლდა, ინფორმაცია დამალული იყო, სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა. მას სკოლაში უჭირდა როგორც მშობლიური ენა-ლიტერატურა, ანუ მოთხრობა-ლექსების თქმა, ასევე ცუდად ითვისებდა მათემატიკა-ფიზიკა-ქიმიას. ამიტომ მეორე წაკითხვით სასწაულად დამახსოვრებული ტექსტი მისთვის ის ნიშან-შეტყობინება გახდა, რომ გულსუნდასთვის არასდროს ეღალატა და გამოსწორებულიყო. რევან მეექვსემ ამის თაობაზე მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო

და საღამოს ფიზიოლოგიური ძილისთვის მოემზადა, თანაც აპირებდა კრუტუნ პირველისთვის მადლობა გადაეხადა.

* * *

საღამო გაიწელა, ღამე მოსვლას აგვიანებდა, მაგრამ ეს მხოლოდ მეფის სუბიექტური შეგრძნება გახლდათ, საათები კი ჩვეულებრივად მოძრაობდნენ და დედამიწასაც არ შეეცვალა ტრადიციული სიჩქარით ბრუნვა. ბოლოს, როგორც იქნა, დაღამდა და მეფემაც შვებით ამოისუნთქა. ჩაიძინა თუ არა, სიზმარში კრუტუნ პირველი დიდი გამოჩნდა, თავზე სამეფო გვირგვინი ედგა, რევან მეფეს გულიანად გაუღიმა და ხელი ჩამოართვა. რევანი კმაყოფილებას ვერ მალავდა.

– რა კარგია, რომ მოხვედი, შენთვის მადლობა მინდოდა მეთქვა, ჩემი და გულსუნდას გადარჩენისთვის!

– სამადლობელო არაფერია, გენაცვალე, როგორც დაგპირდი, ამ ღამის გარდა კიდევ ხუთჯერ მოვალ შენთან სასაუბროდ.

– დიდებულია! ნეტავ ამჯერად რაზე გვექნება საუბარი?

– მიხარია, რომ დაინტერესდი, მოდი, დროს ნუ დავკარგავთ, პირდაპირ შეკითხვით დავიწყოთ! გახასიათებს თუ არა მუცელღორობა, საჭმელებზე ოცნება, როცა მშიერი არა ხარ და გემოთმოყვარება?

– ეს რამდენი რამ მკითხე, აბა, ესე ერთბაშად როგორ გიპასუხო? ხომ უნდა დავფიქრდე! ან ეს გემოთმოყვა... თუ როგორ თქვი? რას ნიშნავს?

– არ გინდა, ჩემო ძვირფასო თვალთმაქცობა, მე ხომ ვხვდები, ყველაფერი გესმის! თუმცა, თუ გსურს, კარგად იფიქრე, მანამადე კი ზუსტად მითხარი შენი წონა და სიმაღლე.

– გეტყვი, ოღონდ არავის უთხრა, ეს სახელმწიფო საიდუმლოა! სიმაღლე 159 სმ. წონა 102 კგ.

– ნუთუ არ იცი, რომ შენი სხეულის მასის ინდექსი ყველა კულტურულ-ზნეობრივ და საჯანმრთელობო ნორმას აჭარბებს!

– მართლა აჭარბებს? როგორ, რამდენით?!

– რამდენითა და 43 კგ-თი.

– არა, არა, ეს დაუჯერებელია! ეს ბევრია!? მაგრამ უნდა გითხრა, რომ ძალიანაც მომწონს ჭამა-სმა. ვიყო ესე, ვითომ რა დაშავდება?

– ბევრი, ანუ ზედმეტი ჭამა ცუდია ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მშივრებს და გაჭირვებულებს არ აძლევ და მათ საჭმელს თვითონ მიირთმევ. მერე, თუ ესე გააგრძელე, ისე გასუქდები, რომ ინვალიდის ეტლით გატარებენ, თუ მანამდე ქოლესტერინმა არ მოგიმატა და ინფარქტით არ მოკვდი.

– მაშ, აღარაფერი ვჭამო? მშიერი მოვკვდე? მე ჩამომხმარ-ჩაყვითლებულმა ვიარო და ჩემი ხალხი მსუქანი იყოს? ეს როგორ? ისედაც გულსუნდამ დიეტაზე გადამიყვანა, დღეში ერთხელ ვჭამ.

– ხომ შევთანხმდით, ტყუილებს არ იტყოდი. გულსუნდას რომ ატყუებ და ჩუმად ასკდები სასმელ-საჭმელს, გგონია, მეც მომატყუებ?

– კარგი, თანახმა ვარ, სხვებსაც გავუნაწილებ ცოტას, მაგრამ ეს ქალასტარინი რაღა უბედურებაა.

– ქოლესტერინი, ზედმეტი ქოლესტერინი ესაა ქონის დაგროვება სისხლის ძარღვებში და შედეგად გულის კუნთის ინფარქტის გაჩენა, გასაგებია?

– იცი რას ვიზამ? ზედმეტ ქონებს ქირურგებს მოვაჭრევინებ, გულზე კი ოპერაციებს გავიკეთებ – ჩემი ერთგული ქვეშემდგომებიდან გადმოვინერგავ! სიამოვნებით დამითმობენ თავისას, რამდენი გულიც დამჭირდება, იმდენს ვიშოვი. ვაუ!

– ეჰ, რევან, რევან, ორგანიზმი სხვის გულს დიდხანს ვერ ეგუება, იმუნური კონფლიქტი მოსდის, რომლის საშველი არაა. ორი კვირა გინდა იქით იყოს, გინდა აქეთ. გარდა ამისა, მსუქნებს შაქრიანი დიაბეტიც ემართებათ, ხშირად ბრმავდებიან, ისიც ხომ გაგიგია, დიაბეტიანებს ექიმები ფეხებს რომ ჭრიან!

– სერიოზულად? არ მინდა დაბრმავება, მინდა ჩემს სამშობლოს ვუყურო, მისი წარმატებებით გავიხარო და ორ ფეხზე ვიარო. მაშინ – აქ რევანმა თავი დახარა, თვალები აუწყლიანდა, გუნებაში გემრიელ საკვებს გამოემშვიდობა და განაგრძო – მაშინ, მართლა ხომ არ სჯობს, ჭამას მოვუკლო, დავჯდე უგლავას დიეტაზე **(ტრიფონ უგლავა ოცდამეერთე საუკუნის გამოჩენილი ქართველი დიეტოლოგი),** გულის გადანერგვებიც აღარ დამჭირდება, ქვეშემდგომებიც ცოცხლები დარჩებიან, ყველა თავისი გულით გააგრძელებს ცხოვრებას, ჩემზე კი იტყვიან, რა კეთილია, ხალხი როგორ დაინდოო.

– ეს უკვე კარგი ნათქვამია, მოდი, ჯერჯერობით დავშორდეთ ერთმანეთს ხვალამდე. დილით, როგორც კი ადგები და ტუალეტს მოითავებ, პირველი თავის მეათე პარაგრაფი დაამუშავე

– „როგორ დავძლიოთ ღორმუცელობა“. კარგად იყავი, ბაი-ბაი!

რევანს დილით კარგ ხასიათზე გამოეღვიძა. შუადღის თათბირი ჩაატარა, ყველა მინისტრი და მოსამართლე, სამთავრობო მედიის შეფები და არასამთავროები იხმო. მოკლე და ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა – დედამიწაზე კლიმატი იცვლება, თუ გინდათ, ცოცხლები გადარჩეთ, ყური უნდა დამიგდოთ. ჩვენ უნდა დავგმოთ ქვეყანაში არსებული ღორმუცელობა და ცოლქმრული ღალატი. ეს შეეხება მთელ მოსახლეობას, ჩემი ჩათვლით. დღესვე გამოვცემ ახალ კანონს „მრუშობისა და გემოთმოყვარეობის შესახებ“. კანონდამრღვევებს პირველ ხანებში სასტიკი სანქციები დაეკისრებათ (შერცხვენა, სამარცხვინო ბოძებთან ატუზვა, კედლის გაზეთებში, მედიასივრცეში გამოჭენება და სხვ.). შემდგომში ხალხი მიეჩვევა ახალ რეალობას და დამსჯელი ღონისძიებები აღარ იქნება საჭირო. ნგრევისა და მშენებლობის მინისტრს ევალება სამეფოში არსებული მრუშობისა და ღორმუცელობის ინსტიტუტების, უნივერსიტეტების და ტაძრების საყოველთაო ნგრევა-განადგურება. პროცესი დაიწყება დედაქალაქიდან და გავრცელდება ოთხივე მიმართულებით ქვეყნის საზღვრებამდე. თუ სამუშაო ძალები არ გეყოთ, შესაძლებელია მოხალისე მუშახელის ჩართვა პროცესში, ოღონდ მათ თავიანთი ჩაქუჩები, ურიები და პნევმატური საბურღები უნდა მოიტანონ. ნაგვის და დასუფთავების მინისტრი თავისი ხალხით ტერიტორიას მოალამაზებს, ისე, რომ ამ დაწესებულებებიდან აღარაფერი დარჩეს!

დარბაზში უკმაყოფილო ბუტბუტი გაისმა, მაგრამ ისეთი ჩუმი, რომ ვერავინ გაიგო. სამთავრობო ელიტამ სხდომა დატოვა, გადაწყვიტა, ბედს შეგუებოდა, უსიტყვოდ დამორჩილებოდა მეფის ახალ კანონს. ელიტის წარმომადგენლები დამძიმებული გულით მიადგნენ თავიანთ სახლებს, გამოემშვიდობნენ საყვარლებს და ქუჩის ქალებს, მაცივრებიდან ზედმეტი პროდუქტები მეზობლებს დაურიგეს და ბავშვებთან თამაშს შეუდგნენ.

* * *

ამასობაში მესამე ღამე ახლოვდებოდა. რევან მეფე იმის ამოხსნას ცდილობდა, ამაღამ რა თემაზე იქნებოდა საუბარი, მაგრამ ვერ გამოეცნო.

მესამე ღამის სასაუბრო თემა გახლდათ მრისხანება.

– ხარ თუ არა მრისხანე? – ჩვეულ სტილში დასვა შეკითხვა კრუტუნ პირველმა.

– მრისხანე რა არის? გაჯავრებული თუ დარდიანი? აბა კარგად მითხარი!

– თავს ნუ იკატუნებ! – დატუქსა კეტმენების მეფემ. მშვენივრად იცი მრისხანება, მისი გარეგანი და შინაგანი გამოვლინებები და კატასტროფული შედეგები. შენ რომ მაღალი თანამდებობის მინისტრებს უცხო პლანეტაზე ასახლებ, ყველას იჭერ და ხალხს წლობით ციხეში აყურყუტებ, ეს არაა მრისხანება და სისასტიკე? შეარბილე კანონები, მოსპე ეს საშინელი პრაქტიკა, როცა ფიქრებზე და ჩუმად საუბარზე ადამიანებს კამერებში ამწესებ! რამდენი კაცია არასწორად მომუშავე გნომოგრაფის **(ფიქრმწერი აპარატი)** მსხვერპლი. ან ამ გნომოგრაფიების მასობრივი დანერგვა, თანაც გაფუჭებულების, რა უბედურებაა. მე შენს ადგილას ერთ დღეს მათ ყველას ერთად გავანადგურებდი. გგონია, რაც მეტ ხალხს დაიჭერ, რამეს მოიგებ? საქმე ისე მიგყავს, რომ გარეთ აღარავინ დაგრჩება, ვინღა მოიყვანს პურს, ვინ დაიცავს სამშობლოს, ვინ გააჩენს ბავშვებს და ვინ გაზრდის მათ!

ასე მგზნებარე მოლაპარაკე კრუტუნ პირველი დიდი რევანს ვერ წარმოედგინა. რევანი ღრმად ჩაფიქრდა. მის ფიქრებში ეჭვმა დაისადგურა, მგონი რაღაც ვერ გავაკეთე სწორედო, უთხრა საკუთარ თავს.

– სულ ჩემი ნაზირ-ვეზირ-მინისტრების ბრალია – სხვებზე გადაიტანა აქცენტი რევანმა – ისეთნაირად მიყვებიან, ისეთს გამაბრაზებენ, რო მერე უკან ვეღარ ვიხევ ხოლმე!

– აი, ხომ ხედავ, რა არის მრისხანება, შენ თვითონ კარგად ამბობ, განრისხებული კაცი გონებადაკარგულია, გონებადაკარგული კი მხეცს ემსგავსება აგრესიაში. ისე, რომ იცოდე, სხვებზე გადაბრალება კარგის მომტანი არ არის! ერთიც მინდა დავაზუსტო, გაქვს ხოლმე ბოროტი ენერგიის მოზღვავება, გიჩნდება სურვილი ვინმე სცემო და აწამო?

– სურვილი კი არა, ყოველდღე ვცემ ცუდ კაცებს, ოღონდ წკეპლებითა, მუშტების დაშენა და სილაქების გაწვნა ძალიან არ მიყვარს, მერე ხელები მტკივდება. ახლა კი ვრწმუნდები, შენ მართალი ხარ, ვერაა სანაქებო ჩემი საქციელი, ვაღიარებ!

– გახსოვს ფრანგული ანდაზა – **ლა ფოტ ავუე ეტ ადემი პარდონე** – აღიარებული შეცდომა ნახევრად მიტევებულია. რევანმა გაიფიქრა, უყურე ამ ოხერს, ფრანგულიც სცოდნიაო და უპასუხა:

– ესე იგი, ნახევარი მეპატია, მეორე ნახევარს რა ვუყო?

– სანამ მეთერთმეტე პარაგრაფს წაიკითხავ, გირჩევ, გამოსცე საყოველთაო ამნისტია. ციხეში პირადად მიაკითხე ყველა პატიმარს, ბოდიში მოუხადე და გარწმუნებ, შენს ქვეყანაში ციხეები აღარ იქნება საჭირო! ახლა კი ნახვამდის, ბაი-ბაი!

რევან მეექვსემ მეორე დილით თორმეტ საათზე კვლავ თათბირი მოიწვია იმავე შემადგენლობით, წინა დღის მსგავსად, მხოლოდ გარე ეზოში პატიმრების ოჯახის წევრებს მოუხმო, დაახლოებით ორ მილიარდ ადამიანს. ეზო გაივსო, ხალხი ღელავდა, არ იცოდნენ, რაზე იბარებდნენ. რევანმა ხალხს გადახედა და ხმამაღლა წარმოსთქვა:

– დღეს სერიოზულ განცხადებას ვაკეთებ. დღეს მოხდება დიდი პატიება და შერიგება. დღეიდან ცხადდება დიდი ამნისტია და ყველა პატიმარი წავა თავის სახლში. დღეს დაიხურება ყველა ციხე და რკინის გისოსები გაიგზავნება ჯართის ჩასაბარებელ პუნქტებში.

ყველამ გაიხარა, ატყდა ხვევნა-კოცნა და მილოცვა, სიხარულისგან ზოგი ტიროდა. განსაკუთრებით ჯართის ჩასაბარებელი პუნქტების თანამშრომლებმა ისიამოვნეს, მათ მომენტალურად გათვალეს მოსალოდნელი შემოსავალი. სავარაუდოდ, ერთ პატიმარზე სულ ცოტა ათი კილო ლითონი უნდა ეანგარიშათ. აბა გაამრავლეთ ორ მილიარდზე და მიხვდებით მათი მხიარულების საფუძველს.

– დაიწყება ციხეების დაშლა-გადაკეთება, რაზეც იზრუნებს ნგრევის და მშენებლობის მინისტრი. – განაგრძო მეფემ – მე პირადად მივალ და მოვუბოდიშებ ყველა განთავისუფლებულ პატიმარს, ჩვენ მათ ჩავუტარებთ სრულ ფსიქო-ფიზიკურ რეაბილიტაციას და მივცემთ მათთვის სასურველ სამუშაოს.

ამით მეფის სიტყვა დამთავრდა. იგი დაჯდა თავის საოცრად დიდ და ლამაზ ავტომობილში და ციხეების შემოვლას შეუდგა. შემოვლა გვიან საღამოს დამთავრდა, პატიმრები ცეკვა-თამაშით გამორბოდნენ ციხეებიდან და პირობას დებდნენ, რომ წესიერად იცხოვრებდნენ და იქ აღარ მოხვდებოდნენ, თუმცა ისიც იცოდნენ, რომ რამდენიმე საათში ციხეები საერთოდ აღარ იარსებებდა.

სასახლეში რევანი დაღლილი დაბრუნდა, ხუმრობა საქმე იყო, ერთ დღეში ამდენი ხალხის მონახულება?

* * *

ღამის დადგომას გულისფანცქალით ელოდა. მეოთხე ღამეს, როდესაც კრუტუნ პირველს უსმენდა, თავი იმ ფრიადოსან პირველკლასელად წარმოედგინა, საყვარელი მასწავლებლის თითოეულ სიტყვას ღრუბელივით რომ ისრუტავს.

– რაზე უნდა ვისაუბროთ, მეფეო? გამოიჩინა ინიციატივა რევანმა.

– გიპასუხებ. ამ ღამეს ვისაუბრებთ ანგარებაზე და სიხარბეზე. გაქვს ესეთი სისუსტეები? კრუტუნ პირველმა სიტყვა „სისუსტე“ სპეციალურად გამოიყენა, რადგან მთელმა ჰემიგალაქტიკამ იცოდა რევანის აუწერელი სიმდიდრის შესახებ, ყველამ ისიც იცოდა, რა დაემართათ კალკულატორებს, როდესაც ქონების მინისტრმა მეფის დავალებით ქონების დათვლა დაიწყო – ყველა გამომთვლელი მანქანა გადაძაბვისგან ერთდროულად აფეთქდა და დაიწვა, მათი გადარჩენა, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელი გახდა. უცხოეთიდან შემოტანილ ახალ აპარატურაზე ინსტრუქციაში ეწერა, რომ მომავალში უკეთესი იქნებოდა, ასეთი დავალებების მოცემისგან თავი შეეკავებინათ. მოკლედ, რევანის ქონება შეუფასებელი დარჩა.

– სიხარბე, ანგარება... სიმდიდრე კი მაქვს, რამდენია, ზუსტად არ ვიცი! რა, ესეც არ შეიძლება?

– თავისთავად ფული, ისევე, როგორც ქონება, როგორც ასეთი, არაფერს აფუჭებს, საკითხი ისაა, როგორ აღმერთებ, რაზე ხარ წამსვლელი მის საშოვნელად, და რაც მთავარია, როგორ იყენებ მას.

– ფულით კარგ საჭმელებს ვჭამ, კარგ დროს ვატარებ – ღვინო, დუდუკი, ქალები, – წამოსცდა რევანს, მაგრამ გაახსენდა, რომ ეს უკვე წარსულისთვის ჩაებარებინა. არა, ეს ადრე იყო, განაგრძო მან – ჩემო კრუტუნ, ახლა, კაცმა რომ თქვას, რა თავში ვიხლი ამდენ მაყუთს. მოდი, ხელფასებს გავუზრდი მშრომელებს, პენსიონერებს კი პენსიებს. ახლა გადავწყვიტე, სოციალურ პროგრამებს ფრთები შევასხა, სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიულ სექტორებს გავაძლიერებ, ერთი მეფის ეკონომიკას სახალხო ეკონომიკად გარდავქმნი, ხო კარგია?

– მშვენიერია, მშვენიერი, კულტურა, მეცნიერება, სპორტი და თავდაცვაც არ დაგავიწყდეს, ხომ იცი, შენს მტრებს არ სძინავთ! შპიონს შპიონზე გიგზავნიან!

– მე მაგათ მოვუვლი, არ შემეშლება, ჩემი დიდი ვეზირი

მყავდეს კარგად. ყველა ჯაშუშს ვამხელთ, შევარცხვენთ და ატირებულებს გავაგზავნით იქ, საიდანაც შემოიპარნენ! ესე იგი, ხვალ რას ვაკეთებ? ვღებულობ ახალ ბიუჯეტს და ჩემს ქონებას ვუნაწილებ მშრომელებს!

რევან მეფე თვითონაც ვერ გრძნობდა, როგორ შევიდა აზარტში, ბოლო დღეების ცვლილებებმა ფრთები შეასხა, ასეთ რამეს ვერასდროს წარმოიდგენდა, მისი ცხოვრება და სამეფოს მომავალი ძირფესვიანად შეიცვალა.

მეორე დღეს გაოგნებულ პარლამენტს და მინისტრთა კაბინეტს პროგრამა რომ გააცნო, ყველა დამუნჯდა, რევანის ავტორიტეტი, განმტკიცებული მრავალწლიანი შიშით ჯერ კიდევ კარგად მუშაობდა, თუმცა უქონებოდ დარჩენილებს როგორ უნდა ეცხოვრათ, ამაზე ვედარც კი ფიქრობდნენ. ბოლოს კი გადაწყვიტეს, სადაც ჩვენი მეფე, იქაც ჩვენაო.

რევანის სამეფოში განვითარებულ მოვლენებს უცხოეთში თავდაჭერილი გაოცებით შესცქეროდნენ, უმეტესი ქვეყნები მიიჩნევდნენ, რომ ეს რევანის მორიგი ახირება იყო და ყველაფერი სწრაფად გაივლიდა. მხოლოდ იუპიტერზე და ურანზე არ მოეწონათ რევანის რეფორმები. რევანს სრული ინფორმაცია ჰქონდა გარშემო ქვეყნების რეაქციებზე, მაგრამ შეჩერებას არ აპირებდა და მეხუთე ღამეს სულმოუთქმელად ელოდა.

* * *

მეხუთე ღამეს საუბარი მიეძღვნა შურიანობას და სიყვარულს.

– შურიანი ხარ?

– არა მგონია, ვისი უნდა მშურდეს?

– აბა, კარგად გაიხსენე, ჩემო კარგო!

– მაღალი საგარეო საქმეთა მინისტრი რომ სამსახურიდან გავაგდე და მერე ციხეში რომ ჩავსვი ეგ აყლაყუდა, მაგას გულისხმობ?

– თუნდაც.

– ო, ეგ სულ მეტრაბახებოდა, მაღალი ვარ, მაღალიო და იმიტომაც დავსაჯე. რა იქნებოდა, ესეთი დაბალი რომ არ ვყფილიყავი! მაშინ არავისი არ შემშურდებოდა!

– სხეულის გაბარიტებს არა აქვს ისეთი ღირებულება, რომ იღელვო და შეგშურდეს. კიდევ რამეს ხომ არ გაიხსენებდი?

– ჩემი ბიძაშვილი კუკურის ცოლი მომწონდა და ამიტომ კუკური ციმბირში გადავასახლე, ცოლი კი ჩემს ჰარამხანას მივუმატე, ახლა ვხვდები ჩემს საბედისწერო შეცდომას. ხვალვე ყველაფერს გამოვასწორებ.

– ვინ გიყვარს?

– მხოლოდ ის, ვისაც მე ვუყვარვარ, უფრო გულახდილად რომ გითხრა, არავინაც არ მიყვარს, მხოლოდ ჩემი თავი მიყვარს.

– იცი, რომ ყველა რეფორმა თუ გულით და სიყვარულით არ გააკეთე, ჩაგიფლავდება, არაფერი აღარ გამოგივა.

– რათა, რა სიყვარული უნდა რეფორმებს, არ გეთანხმები!

– ახლავე აგიხსნი. თუ სიკეთეს აკეთებ, უგულოდ და ვალის მოხდის მიზნით, მადლობელი არ გეყოლება, თუ სიყვარულით ჩუქნი ადამიანს რაიმეს, საჩუქარზე მეტად შენი გულით მიძღვნილი ფასობს. მიგახვედრე?

– მგონი ვხვდები. ჩემი თავი აღარ უნდა მიყვარდეს?

– არა, ამას არავინ გიშლის, მაგრამ შენს სიყვარულს სხვებს რომ გაუზიარებ, მაშინ იგრძნობ თავს ბედნიერად.

– ბედნიერება რა არის?

– ბედნიერება სულიერი და ფიზიკური სიკეთის ჰარმონიაა. სიკეთეა ზრუნვა გვერდით მყოფებზე და ამ პროცესის ხორცშესხმა, შესრულებული საქმის ხილული და უხილავი შედეგები. როდესაც გამუდმებით მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობ, ამას უკვე სხვა სახელი ჰქვია – ჰედონიზმი ანუ მატერიალური და ხორციელი სიამეებით ტკბობა. ბედნიერი მარტო ვერ იქნები. თუ ირგვლივ უბედურები გახვევია, შენს ბედნიერებას ვერ მოიხმარ!

– ესე იგი, ჰედონიზმი ცუდია? მე ხომ არა ვარ ჰედონიზმი?

– ან ცუდად მისმენ, ან მე ვერ გაგაგებინე. ჰედონიზმი არის მოვლენა. შენ არ უნდა მისდიო ასეთ ცხოვრებას, მხოლოდ სიტკბოებაზე არ უნდა ფიქრობდე! სხვათა შორის, შენ უკვე დაიწყე დიდი მოძრაობები ამ სენის დასამარცხებლად, ისე, რომ ვერც გააცნობიერე. განა შენი კანონი „მრუშობის და გემოთმოყვარეობის შესახებ” ამის დასტური არაა?

– ჰო, მართალი ხარ, უნდა დავგმო შური და სიყვარულით უნდა ვაკეთო ყველაფერი, ხვალიდანვე შევუდგები ამ საქმეს!

დილიდან რევანი მეტად აქტიური იყო, ყველა იმ ადამიანს დაუკავშირდა, ვისაც შურის გამო რაიმე ზიანი მიაყენა, ბოდიში მოუხადა, რაც ყველასთვის სასიამოვნო მოულოდნელობა

აღმოჩნდა. შემდეგ იფიქრა, მოდი, დღეს აღარ გამოვცემ ახალ კანონს, როგორც წინა დღეებში, ამაღამ ვნახავ, რაზე გვექნება საუბარი და სავარაუდო თემებს გავაერთიანებო. ხალხისთვის კი ელექტრონული და ბეჭვდითი მედიით გავავრეცელებ ინფორმაციას. მართლაც, მთელი დღე მოსახლეობა ინფორმაციას ღებულობდა მეფის ქმედებებზე და სიხარულის ცრემლებს ღვრიდა, როცა რევანი მხურვალე პატიებას ითხოვდა იმ ადამიანებისგან, რომლებიც მისი შურიანობით დაზარალდნენ.

* * *

მეექვსე ღამეს რევან მეექვსეს კრუტუნ პირველი ლამაზ მეფურ სამოსში მოევლინა. უხდებოდა ლურჯი მოსასხამი და ოქროს გვირგვინი.

– სასოწარკვეთილი ხომ არ ყოფილხარ როდესმე?

– ანუ იმედგადაწურული? დააზუსტა რევანმა. კი, როგორ არა.

– კარგი, აბა მოყევი!

– ყველაზე დიდი სასოწარკვეთა მაშინ ვიგრძენი, იუპიტერის გამგებლის მხნე გულადი ასატურის ჯარები რომ მოადგნენ ჩვენს საზღვრებს და თხუთმეტი კილომეტრით შემოიჭრნენ ჩვენს ტერიტორიაზე! ჩემმა ყველა მოკავშირემ რეალურ დახმარება-კავშირებზე უარი თქვა და მხოლოდ აღშფოთებული და შეშფოთებული შინაარსის განცხადებების გაკეთებით დაკმაყოფილდა. იმედი დავკარგე, წამოვიდგინე, რა მელოდა, მტერი დამამარცხებდა და მონად წამიყვანდა თავის ცივ პლანეტაზე. გაგონილი მაქვს, როგორ ეპყრობიან ტყვედ ჩავარდნილ მეფეებს – საშინლად! დასცინიან, ცოტა საჭმელს აძლევენ და აიძულებენ, მტარვალი მეფის სადიდებლები იგალობოს. ვიჯექი და ნერვიანობისგან თითებზე ფრჩხილებს ვიკვნეტდი.

– მერე რა მოხდა?

– ყველასთვის მოულოდნელად, ასატურმა ელჩები გამომიგზავნა და მეგობრობა შემომთავაზა, სულ მთლად კარგი მეგობრობა არ გამოდიოდა, ბევრ ფულს ითხოვდა, მაგრამ ფულს ვჩიოდი? ყველაფერზე თანახმა ვიყავი. მოკლედ, მოვილაპარაკეთ და ამის შემდეგ იგი ჩემი მფარველი გახდა. რაღაცას კი ზოგჯერ მაიძულებს ხოლმე გავაკეთო, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავი.

– ხალხი გაგახსენდა იმ დღეებში, საფრთხე რომ ელოდა?

– კარგი, რა დროს ესეთები იყო, დამცინი? თუ მართალი გინდა გითხრა, გულსუნდაც არ გამხსენებია. რახან გულახდილად ვლაპარაკობ, ისიც კი ვიფიქრე, ნეტა გულსუნდა მთხოვოს, წაიყვანოს და თავი დამანებოს-მეთქი, მაგრამ დედოფალი არ აინტერესებდა. გთხოვ, არ უთხრა არაფერი ჩემს ცოლს, შეიძლება ეწყინოს.

– არა, არ ვეტყვი, წასული ამბავია. კიდევ რას მოიგონებ, ჩემო რევან?

– კიდევ, ჩვენი ფეხბურთელები რომ აგებდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე ავსტრალიის ნაკრებთან, ხომ იცი, ის თამაში, პირველ ტაიმს ნულით სამს რომ ვაგებდით, აი, მაშინ გადამეწურა იმედი, ჩუმად ტირილი დავიწყე და გადავწყვიტე, თერთმეტივე ფეხბურთელი ჩამომეხრჩო თამაშის შემდეგ. მაგრამ მათდა გასახარად, მსაჯმა პენლები მოგვცა, სამართლიანად, თვითონაც ორი გოლი გაიტანეს და ჩემპიონები გახდნენ. ასე იყო ეს ამბავი. კიდევ მახსენდება...

– აღარ გინდა, ყველაფერი ნათელია, მე აგიხსნი შენივე მაგალითებზე, რა შეიძლება დაემართოს სასოწარკვეთილ ადამიანს. ჯერ მინიმუმ შეიძლება თითები შემოგეჭამოს, შემდეგ შეიძლება საყვარელი ქალი გაწირო და უცხო მტარვალს გაატანო. სასოწარკვეთილი ადამიანი ხდება მშიშარა და პანიკიორი, ასჯერ მეტი ეჩვენება, ვიდრე შეიძლება მოხდეს. საშინელების მოლოდინი ნებისმიერ საშინელებაზე უარესია, აქ ავადმყოფურ ფანტაზიებს უახლოვდები და ვიდრე რამე მოხდება, უკვე საცოდავ ძაღლის ლეკვს ემსგავსები, რომელიც შიშისგან ქვეშ იფსამს, წკმუტუნსაც კი ვერ ახერხებს. სასოწარკვეთა ისეთი სულმოკლეობაა, რომ სისასტიკისკენ გიბიძგებს. შეიძლებოდა ფეხბურთელების ჩამოხრჩობაზე ფიქრი? მოკლედ, მე დავამთავრე, შენ ხვალ კითხულობ ანდერძის შემდეგ პარაგრაფს და საკუთარი გადაწყვეტილებით, კანონიც შეგიძლია გამოსცე. ვფიქრობ, დადგა დრო, მორალ-ზნეობის ტესტების კეთება დაიწყო, ასორმოცდაათ ტესტზე საათნახევარი უნდა დახარჯო. ხვალ იქნება მეშვიდე და ბოლო ღამე ჩვენი შეხვედრებისა, იგი შემაჯამებელი იქნება.

დილიდან რევანი საქმეს შეუდგა, ჯერ ტესტებს ჩაუჯდა. ტესტები თავიდან არ მოეწონა, ასეთ ტესტებს ერთი კვირის წინ ახლოსაც არ გავიკარებდი, შემდგენლებს სულ კუდით ქვას ვასროლინებდიო. შემდეგ კარგად რომ ჩაუღრმავდა, თავისი და ქვეყნის ბოლო დღეების ცხოვრება გაიხსენა და მიხვდა, რომ

ის ახალი კაცი გამხდარიყო. შემდეგ საათზე დრო მონიშნა – ოთხმოცდაათ წუთში სიგნალი ჩაირთვებოდა. ტესტები წინ დაიწყო და თანამიმდევრულად შეუდგა ამოხსნას. მუშაობამ ძალზე გაიტაცა. სხვადასხვა სიტუაციების ანალიზიც მოეწონა. როცა გაუჭირდებოდა, შემდეგ ტესტზე გადადიოდა, რომ დრო არ დაეკაგა და რთულს შემდეგ უბრუნდებოდა. ბოლოს მუშაობა დაამთავრა, საათს დახედა, ათი წუთი ჰქონდა დარჩენილი, დრო კიდევ ჰქონდა, ტესტებს კიდევ გადახედა, თან საყვარელი გულსუნდა გაახსენდა მტვერსასრუტით ხელში, მოახლეები ხომ ყველა უკვე დაეთხოვა! შემდეგ პასუხების წიგნი გაშალა და დაადგინა, რომ ერთი შეცდომა ჰქონდა, ერთიც, არასწორად გადახაზული, ანუ სულ ორი.

არასწორად გადახაზული იყო ტესტი № 1937 – „შენ მიდიხარ ესკორტით, მანქანის შუშიდან ხედავ ლამაზ მოკლეკაბიან ახალგაზრდა ქალს. შეკითხვა – შენი მოქმედებაა: ა) დაადგენ ქალის ვინაობას; ბ) დაუპატიმრებ ქმარ-შვილს, დედ-მამას და ბებია-ბაბუას; გ) მიიღებ ქალს შენს საწოლ ოთახში, სადაც მუხლმოდრეკილი შეგეხვეწება ახლობლების გაშვებას; დ) ქალს აჩუქებ ფულს გრძელი კაბისთვის.

რევანმა თავიდან მექანიკურად შემოხაზა პასუხი გ), მაგრამ სწრაფად გაახსენდა საკუთარი და თავისი ქვეყნის რეფორმები და შეცვალა პასუხი დ)-თი. მეფე შედეგებით კმაყოფილი იყო, და ღამის შეხვედრისთვის მოემზადა. ტესტების ამოხსნის შემდეგ თათბირი მოიწვია და ქვეყნის მორალურ-ზნეობრივი მდგომარეობით დაინტერესდა. მან დიდ ვეზირს მიმართა:

– აბა, დიდო ვეზირო, როგორ არიან ჩემი საყვარელი ქვეყნის საყვარელი მცხოვრებნი? რა ულხინთ და რა უჭირთ? როგორ ეგუებიან ახალ კანონებს?

– ფაქტობრივად, ყველა კმაყოფილია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე პერიფერიულ რეგიონს, სადაც კიდევ დაგვჭირდება მუშაობა. ესაა მთიანი ტიბეტის რეგიონი და ურლის ქედი, სადაც იატაკქვეშა საძმო და ვოდკას კულტი კვლავ ძლიერია. დედაქალაქი კი შეძრულია, ბედნიერი ადამიანები სახლებში ვეღარ ჩერდებიან, გამოდიან პარკებში, ბაღებში, სკვერებში და შენზე ლაპარაკობენ. მცირე მიტინგებსაც აწყობენ შენი სურათებით ხელში!

– მართლა? რას ამბობენ?

– ყველა ამბობს, ეს დაუჯერებელი ჩვენთვის სასიკეთო ამბავი, საოცარი კანონები ერთი-მეორეზე უკეთესი, როგორ, რა-

ნაირად მოხდა, ჩვენს ქვეყანას რომ ეღირსაო, მოკლედ თავი სიზმარში ჰგონიათ!

– სიზმარში?

– დიახ სიზმარში, ასე ამბობენ!

რევანს ჯერ არ ჰქონდა გამხელილი თავისი სიზმრების ისტორიები, ისიც კი იფიქრა, მოდი, კრუტუნ მეფეს არც ვახსენებო, მაგრამ შინაგანი ხმა ტუქსავდა, ამიტომ ჯერჯერობით სრულად ვერ იყო ჩამოყალიბებული, როგორ მოქცეულიყო, მეშვიდე ღამის დადგომას ელოდა.

– მიხარია, დიდო ვეზირო, ახლა მე გადმოგცემ ახალ კანონს „შურიანობისა და სასოწარკვეთის წინააღმდეგ“, შენ გააცანი ჩვენს მოსახლეობას, იმედია, ესეც მოეწონებათ და სრულ ბედნიერებას მიუახლოვდნებიან.

დიდმა ვეზირმა კითხვა კანონით დაიწყო, ხმა მშვიდი და დაშაქრული გახდომოდა, ეს ის ხმა აღარ იყო, მძლე მინისტრს, და არა მარტო მას, რომ ათაყვანებდა და მუხლებზე ხოხვას აიძულებდა. დიახ, დიდი ვეზირი აბსოლუტურად გამოცვლილიყო, ხალხის წინ სხვა პიროვნება იდგა, ტანისამოსიც კი უბრალო და მოკრძალებული ეცვა. ყველა ძვირფასი სამკაული, ოქროს საათი, ბრილიანტის საწერი კალმისტარი, პლატინის სამაჯური და მარგალიტის ძეწკვიც კი სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდისთვის ეჩუქებინა. იდგა ასეთი ლაღი, ტკბილმოუბარი, ბედნიერი, სრულიად არაშიშისმომგვრელი დიდი ვეზირი და შემართებით კითხულობდა ახალ კანონს, მსმენელებს კი სიხარულის ცრემლებით უვსებდა მისკენ ყურადღებით მიპყრობილ ლამაზ თვალებს.

* * *

მეშვიდე ღამე ყველაზე საოცარი აღმოჩნდა. რევანი, აღფრთოვანებული ასეთი სწრაფი შედეგებით, ბედნიერი საკუთარი თავის და ერის სულიერი გარდაქმნით, სიამაყეს ვერ მალავდა, ენაწყლიანობდა, საკუთარი თავით კმაყოფილი, კრუტუნ პირველთან ტრაბახობდა:

– გაიგე? ხალხი სპონტანურ მიტინგებს აწყობს აღფრთოვანების გამოსახატავად, საკუთარი სურვილით, ჩვენ ეს არავისთვის დავიძალებია, ჩემი სურათები უჭირავთ ხელში და ჩემს სახელს გაჰყვირიან, მადღეგრძელებენ და მადიდებენ. ახლა მწერლების,

პოეტების, საზოგადო მოღვაწეების, მუშა-მოსამსახურეების, ინ-ტელიგენციის, გლეხობის და მეცნიერ-გამომგონებლების დაწ-ერილი წერილები რომ წაიკითხოთ, აღფრთოვანდებით. არა, ძლიერი ვარ, ერთ კვირაში, ცოტა უფრო ნაკლებშიც კი, როგორ მოვახერხე ამხელა სამუშაოს ჩატარება, თუ გავითვალისწინებთ ჩემი სამშობლოს დღევანდელ უშველებელ ტერიტორიას, ანუ ევრაზიის კონტინენტს და მის ხუთმილიარდიან მოსახლეობას. ევრაზია წინათ სხვადასხვა ერებით იყო დასახლებული და ასე რომ დარჩენილიყო, დღეს ალბათ გარდაქმნებს ასეთი ტემპებით ვერ შევძლებდი. ჩემი სამეფო უდიდესია პლანეტა დედამიწაზე – მას ესაზღვრება – აღმოსავლეთით წყნარი, ჩრდილოეთით ჩრდილოყინულოვანი, სამხრეთით ინდოეთის და დასავლეთით ანტლანტის ოკეანეები.

მე როგორც ვიცი, ორასი წლის წინ ევროპაში გადაწყვიტეს არატრადიციული გზით, ანუ ხელოვნურად გამრავლება, რა-მაც არ გაამართლა და მოსახლეობა დარჩა უშვილოდ. აზიაში კი პირიქით, ძალზე გამრავლდნენ, შედეგად საკვები დააკლ-დათ, განსაკუთრებით ის ვიტამინები, გამრავლებისთვის რომაა საჭირო. ამიტომ მათაც იგივე ბედი გაიზიარეს. საქართველომ კი ეს პრობლემები თავიდან აიცილა, რადგან იმ პერიოდში ქვეყნის სათავეში მოვიდა ქვევრის ღვინის, მინერალური წყლებისა და ცეკვა-სიმღერის პარტია. პარტიის ლიდერებმა, შექმნეს ახალი დროშა, ჰიმნი და გერბი. ეროვნული გადარჩენისთვის დანერგეს აუცილებელი წესი – ყველა ოჯახს ცხრა შვილი. ორას წელი-წადში ჩვენ ხუთ მილიარდს გადავაჭარბეთ!

აი, ასეთი დიდი ქვეყანა დამრჩა საპატრონო. ეს კი არა, ჩვენ თავის დროზე უფრო ჭკვიანურად რომ მოვქცეულიყავით, მარტო ევრაზია კი არა, პლანეტა იუპიტერი თავის თანამგზავრებთან ერთად ჩვენი იქნებოდა. ქართველები ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ იუპიტერის აბორიგენი მოსახლეობა პროტოქართული იყო. არგუმენტებად ზეპირი გადმოცემები და ლეგენდები მოგვყავდა, აგრეთვე ხალხური სიმღერების მისამღერები იაო-უაო-იუ, რაც ღრმა ლინგვისტური ანალიზით იუპიტერის მოფერებით ფორ-მას წარმოადგენდა. ამავე საკითხზე საკუთარი პრეტენზიები ჰქონდათ რომაელ მეცნიერებსაც, მათ მიაჩნდათ, რომ მხოლოდ სიტყვა იუპიტერიც სავსებით საკმარისი საფუძველი გახლდათ ყოველგვარი დისკუსიების შეწყვეტისთვის.

ვიდრე ქართველები და რომაელები ამ კინკლაობაში იყვნენ და ვერ თანხმდებოდნენ, სომხებმა, როგორც ყოველთვის, იმ-

არჯვეს და მეცხრე საერთაშორისო ყრილობა-კონფერენციაზე, რომელიც პლანეტა იუპიტერს და მის ყველა თანამგზავრს ეძღვნებოდა, ურყევ-დამაჯერებელი ფაქტები მოიტანეს. მათ ჩაუტარებიათ არქეოლოგიური ექსპედიცია იუპიტერზე და მის ერთ-ერთ თანამგზავრ განიმედზე. იუპიტერზე გათხრების შედეგად აღმოუჩენიათ საშუალო სკოლის ნანგრევები, სადაც აგურის ქვაზე ამოკაწრული იყო წარწერა В етом школе училса Арам. IX век до нашей ери. როდესაც სომეხმა დელეგატებმა ეს ლაპიდარული ძეგლი ოპონენტებს წინ დაუდეს, რომაელებს შერცხვათ, თავები დახარეს და ხმაგაკმენდილებმა დარბაზი დატოვეს.

ქართველები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდნენ და თავიანთი ჭკუით ჩამჭრელი შეკითხვა დაუსვეს – ეს არამი იქნებ არის გვარამი, ანუ გურამი, გვარი რომ არა წერია?!

სომხები ამ შეკითხვას ელოდნენ, გაიღიმეს და შეხვედრის ორგანიზატორებს სთხოვეს დარბაზში შავი ყუთის შემოტანა. პოპულარული მუსიკის თანხლებით შავ ფრაკში გამოწყობილმა გამხდარმა გრძელცხვირა თანამშრომელმა შემოიტანა შავი ყუთი და მრგვალ მაგიდაზე დადო. ყუთი გახსნეს. შიგ იუპიტერის თანამგზავრ განიმედზე ჩატარებული გათხრების შედეგად ამოღებული სახლის მუხის კარები იდო, რომელზეც გარკვევით ეწერა: Ми, мама Ануш и папа Гаик отправили лубимово сина Арама на планету Иупитеру учица в 51 ои школе имени Дж . Маркаряна. Ануш и Гаик Погосяни.

ქართველები ამას კი აღარ ელოდნენ, თუმცა ვაჟკაცურად აღიარეს სომხების პრიორიტეტი, ხელი ჩამოართვეს და გამომშვიდობებისას შეახსენეს – ჩვენ ხომ ძმები ვართ ქართლოსი და ჰაოსი.

აი, ესეთი ამბავი იყო, ნაღვლიანად თქვა მეფემ.

– მე ყველაფერი ვიცი დედამიწის ისტორიის შესახებ, რევან, დავუბრუნდეთ დღევანდელობას. ეს ბოლო დამეა ჩემი შეგონებებისა შენს მიმართ და ყველაზე მთავარი საკითხი – ამპარტავნობისა და მისი მკურნალობის – თავმდაბლობის შესახებ ამ წუთებისთვის შემოვინახე, რადგან ეს ყველაზე ვერაგი გადახრაა, ხშირად უხილავიც, ადამიანი მას სამწუხაროდ ზოგჯერ ვერც ამჩნევს ხოლმე. აი, მაგალითად, შენ ყურს გიგდებ – უკვე ათი წუთია შენს თავს აქებ და ვერ ხვდები, რომ ტრაბახით ამპარტავნობაში ვარდები!

– მე ხომ ტყუილი არ მითქვამს, რაც მოვყევი, ეგრე ხდება!

– მართალია, არ სტყუიხარ, მაგრამ შენს გაკეთებულ სიკე-

თეზე ვინ უნდა ისაუბროს, შენ თუ მან, ვისაც სიკეთეს უკეთებ და შენი მადლიერია? რა გგონია, რა არის ამპარტავნობაში ცუდი?

– ჰო, რა არის?

– ის, რომ ძალიან ადვილად შეიძლება ძველ გადახრებს დაუბრუნდე, დაიწყო საკუთარი თავის განდიდება, სულიერად დაბრმავდე, საკუთარი ნაკლი ვეღარ დაინახო, თავი ყოვლის შემძლედ წარმოიდგინო, რომელსაც ყველაფრის უფლება აქვს. თან არ დაივიწყო, მეფე ხარ, მართლაც ბევრი შეგიძლია. ამპარტავნობა ყველას ღუპავს, უბრალო ადამიანებსაც და დიდებულებსაც. ხოლო ამპარტავანი მეფე ხალხს და საკუთარ თავს ისე გაანადგურებს, მიზეზსაც ვერ მიხვდება, რა დაემართა, ყველა უკეთურებას სხვებს გადააბრალებს. თან იცოდე, ამპარტავნობა გარედან ისე ნათლად არა ჩანს, როგორც სხვა მანკიერებები, რაზეც წინა ღამეებში ვილაპარაკეთ, ამიტომ შენ გჭირდება ღრმა ჩაფიქრება, რომ ეს ვერაგი პათოლოგია არ გამოგეპაროს. წამალი და სალბუნი ამ დაავადებისა არის თავმდაბლობა და მხოლოდ თავმდაბლობა. შენ გინახავს ასეთი პიროვნება?

– არ ვიცი, შეიძლება მინახავს, მაგრამ ვერ მივხვედრილვარ, ამაზე არასდროს მიფიქრია. შენმა ლაპარაკმა შემძრა. ნუთუ ყველაზე დიდი განსაცდელი ამპარტავნობაა! უხილავი მანკი, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება გამომჟღავნდეს, თუ ფხიზლად არ ვიქნი!

– ჭეშმარიტებას ღაღადებ, რევან მეფევ, ჭეშმარიტებას. მე უკვე ყველაფერი გითხარი. ერთი მინდა გირჩიო, თუ გინდა თავმდაბალი პიროვნება ნახო, თანაც მეფე, მეცხრე კუნძულს უნდა ეწვიო. როდესაც კრუტუნ მეხუთეს პირადად გაიცნობ, დარწმუნებული ვარ, მორალ-ზნეობის ისეთ მწვერვალებს მიაღწევ, ბევრ მეფეს რომ არ დასიზმრებია!

– გამოდის, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა, უხილავი და ცბიერი ამპარტავნობა ყოველთვის ჩასაფრებულია. რა ჭკვიანურად მოიქეცი, რომ ამ საკითხზე საუბარი ბოლო ღამისთვის შემოინახე! ამით რომ დაგეწყო, ალბათ ვერაფერს მივხვდებოდი, რადგან მზად არ ვიყავი. არ ყოფილა ადვილი ასეთი ძირეული გამონათება-გარდაქმნა-გასუფთავება. მაგრამ ვგრძნობ, რომ კარგად იქნება ყველაფერი! შენს რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ, იქნებ ოდესმე მეცხრე კუნძულს მივაკითხო.

თავი მეთოთხმეტე
დიდი სტუმრობა

მთელი კვირა მეცხრე კუნძულის მოსახლეობა ორშაბათი დღის დადგომას ელოდა. მეფის განცხადების შემდეგ სატელევიზიო ნიუსებში ინტენსიურად შუქდებოდა აირტონისა და ექსმინისტრის ბიოგრაფიები. ამას მოჰყვა მეტად საინტერესო გადაცემათა ციკლი – „პლანეტა დედამიწა, მისი ისტორია, მცხოვრებნი და მათი ზნე-ჩვეულებანი“, „აირტონის ცხოვრება სამშობლოში და მისი ღვაწლი მეცხრე კუნძულზე“, „დედამიწა და პლანეტა L – ჩვენი საერთო მომავალი“.

კეტმენები ოჯახებში, სტუმრად, კაფე-ბარებში, კინო-თეატრებში, სასწავლო დაწესებულებებში, ყველგან ძირითადად მოახლოებულ ორშაბათზე საუბრობდნენ. უკვე ორ საუკუნეზე მეტი ხანი იყო გასული, რაც ჯადოსნურ ჭადრებს შორის ადამიანს არ გაეარა, გაკეტმენების ცოცხალი თვითმხილველებიც აღარ იყვნენ, არსებობდა მხოლოდ დოკუმენტური კადრები. დედაქალაქის მთავარ პარკში კუნძულის ყველა მცხოვრები, ბუნებრივია, ვერ მოთავსდებოდა, ამიტომ მოსახლეობის უმრავლესობა ტელევიზიით აპირებდა ეცქირა ამ ისტორიული მოვლენისთვის.

მაგრამ კვირა დილით მეცხრე კუნძულზე ისეთი მოვლენები განვითარდა, რომ ორშაბათის მოლოდინი ყველას გადაავიწყდა. დიახ, ბატონებო, დიახ, თქვენ უკვე მიხვდით! მეცხრე კუნძულს დილის ცხრა საათზე მეფე რევან მეექვსე, დიდი ვეზირი, ზაირა, გოგია, იაბედა, მინისტრთა კაბინეტი და კიდევ რამდენიმე საპატიო სტუმარი ეწვია.

ძვირფას სტუმრებს აეროკოსმოდრომზე თავად მეფე კრუტუნ მეხუთე და კუნძულის წარჩინებული კეტმენები დახვდნენ. გულითადი სალამ-მილოცვის და ჩახუტებისთანავე სტუმარ-მასპინძლები მეფის სასახლისკენ დაიძრნენ. მსუბუქი საუზმის შემდეგ მეფეები რომბისებურ დარბაზში მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. დარბაზი რეპორტიორებით გაივსო, ფოტოაპარატების მორიდებული ჩხაკუნი და ნათურების ნათება-ციმციმი საზეიმო ატმოსფეროს ჰქმნიდნენ. პროტოკოლის მიხედვით, პირველი სიტყვა კრუტუნ მეხუთემ წარმოთქვა.

– ჩემთვის, და მთელი მეცხრე კუნძულისთვის, დიდი ბედნიერებაა თქვენი აქ ჩამობრძანება. თქვენი ვიზიტი, იმედია, საფუძველს ჩაუყრის ჩვენი სამეფოების დაახლოებას და დაძმაკაცებას.

ამის შემდეგ რევან მეექვსემ მიაპყრო მზერა კამერებს:

– ძვირფასო კრუტუნ მეხუთევ! სამი თვეა სულმოუთქმელად ველოდი აქ ჩამოსვლას და ეს საოცარი დღეც გამითენდა. ვაშა ჩვენს შეხვედრას, ვაშა ძმობას, თანასწორობას და თავისუფლებას!

როდესაც მისალოცი სიტყვები დამთავრდა, ფოტორეპორტიორებმა, ტელეჟურნალისტებმა და მედიის სხვა წარმომადგენლებმა დარბაზი დელიკატურად დატოვეს და მეფეები პირისპირ დარჩნენ.

– ძვირფასო კრუტუნ მეფევ, ეს ცხოვრება ფანტასტიკურ-საოცნებო-დიდებული რამ ყოფილა! სულ იმას ვფიქრობ, რა გვეშველებოდა მე და ჩემს მამულიშვილებს, იმ იისფერ ღამეს კრუტუნ პირველ დიდს რომ არ ენება და ჩემთან არ მობრძანებულიყო? ალბათ არც არაფერი, ვიცხოვრებდით ძველებურად, თუ კი ამას ცხოვრება ერქმეოდა. ახლა კი, ახლა ბევრს სხვა ქვეყნებში, არ სჯერათ ჩემი ქვეყნის აღორძინება, ამიტომ ჩამოდიან, რომ საკუთარი თვალით ნახონ და გაერკვნენ რეალობაში. რეალობა კი ასეთია:

ჩვენთან ციხეები დაიხურა და დაინგრა, დავტოვეთ მხო-ლოდ ერთი, როგორც ისტორიული მუზეუმის ექსპონატი, იქ თვეში ერთხელ შეჯიბრებებსაც ვატარებთ მკლავჭიდში;

ცოლ-ქმრული ღალატი და სხვა სახის სიძვა-სიმრუშე წარსულს ჩაბარდა. ჩვენი ქვეყნის ხუთმილიარდიან მოსახლეობაში დარჩა ერთადერთი ქუჩის ქალი, ნაზი ფეფო, რომელსაც კლიენტები შემოელია და ახლა იუპიტერის ვიზაზე ჩალიჩობს, მაგრამ ვიზას უჯანჯლებენ, რადგან საკუთარ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს ვერ აუდიან. იუპიტერზე მხოლოდ სომხებით დასახლებულ კონტინენტზეა შედარებით პატიოსანი ცხოვრება, მთელ დანარჩენ პლანეტაზე ისეთი აღვირახსნილობაა, გული შეგიწუხდება;

ადამიანებმა დასძლიეს ღორმუცელობა, ჭარბწონიან ადამიანს ვეღარსად ნახავ;

მრისხანე, შურიანი, ხარბი ადამიანებიც აღარ ჩანან, თითქოს გაქრნენ, უფრო სწორად, სადმე კი არ წასულან, არამედ გარდაიქმნენ, გამოიცვალნენ, ახალ ადამიანებად იქცნენ. ერთი სიტყვით, მე და ჩემი ქვეყნის მოსახლეობა მორალში კეტმენებს ვემსგავსებით, თან ადამიანურ გარეგნობას ვინარჩუნებთ. მე მადლობის სათქმელად ჩამოვფრინდი, თქვენი გაცნობა მინდოდა, როგორც გამორჩეულად თავმდაბალი მეფისა. მინდა აგრეთვე კრუტუნ პირველი დიდის სახლ-მუზეუმი დავათვალიერო და თუ

შესაძლებელია, რაიმე სუვენირი შევიძინო. გარდა ამისა, თუ რამე წინააღმდეგობას არ წავაწყდებით, გვინდა შევხვდეთ აირტონს და მძლემინისტრს, მათთვის ბოდიში გვაქვს მოსახდელი, ამხელა შარში რომ გავხვიეთ, ვგულისხმობ გოგია მასწავლებლის და გაიოზიკის ისტორიას. ვფიქრობ, გამოიჩენთ გულისხმიერებას და ხელს შეგვიწყობთ ჩვენს კეთილშობილურ მისიაში!

– ძვირფასო რევან, მე კრუტუნ პირველმა დიდმა ყველაფერი მიამბო, ბედნიერი ვარ, თქვენი წარმატებები რომ მესმის. მოდი, დროს ნუ დავკარგავთ, ჯერ სახლ-მუზეუმს ვეწვიოთ, შემდეგ აირტონს და ექსმინისტრს შეგახვედრებთ.

კრუტუნ პირველი დიდის სახლ-მუზეუმი ქალაქის განაპირას მდებარეობდა, მისი განლაგება, არქიტექტურა და სულისკვეთება ერთ ტკბილ რაფსოდიას წარმოადგენდა. ყოველ გამოფენილ საგანში მეფის სულისა და გულის ნაწილი იყო ჩადებული. რევანმა ექსპონატები დაათვალიერა, შემდეგ მუზეუმის დირექტორს მიმართა, მოწიწებით სთხოვა ჯადოსნური წიგნის ყდის ვირტუალური ასლი და კრუტუნ პირველი დიდის ერთი საწერი კალამი, იმ მრავალთაგან, რომელიც საექსპონატო მაგიდის შუშის ქვეშ იწონებდა თავს.

– მე შორიდან ჩამოვფრინდი. ეს ექსპონატი, კალამი 9 ჩემთვის მეტად ძვირფასია, ჯერ ერთი, იგი კრუტუნ პირველ დიდს ეჭირა ხელში, ცხრიანი კი მეცხრე კუნძულს მომაგონებს ჩემი ცხოვრების ბოლომდე.

დირექტორი გაოგნდა, ასეთი რამ კუნძულის ორასწლიანი ისტორიის განმავლობაში არ მომხდარიყო. მიმოიხედა, თითქოს გამოსავალს ეძებსო და მეფე კრუტუნ მეხუთის კეთილ თვალებს შეეფეთა. მეფემ დასტურის ნიშნად გაიღიმა და წყნარი ხმით წარმოსთქვა:

– შენ ეს შეგიძლია, გახსოვს, ანდერძის ბოლო თავის მეცხრამეტე პარაგრაფი „გამონაკლისების შესახებ“ – დღეს სწორედ ეს შემთხვევაა.

* * *

საჰაერო კედელ-ტელევიზორის ეკრანს მიშტერებული აირტონი და ექს-მინისტრი თვალებს არ უჯერებდნენ:

– ჩვენი მეფე, სასტიკი რევანი, მზაკვარი დიდი ვეზირი კრუტუნ პირველის სახლ-მუზეუმში! დირექტორმა მეფეს კრუტუნ პირველის კალმისტარი აჩუქა, მათ გვერდით ჩვენი დიდებული და საყ-

ვარელი კრუტუნ მეხუთე დგას! არა, ეს ნამდვილად გვეჩვენება, ან იმიტირებული ქრონიკაა, ან ბოროტი მონტაჟი ხვალინდელი დღის წინ. მაგრამ კეტმენებში ბოროტება აღმოფხვრილია, ორ ადამიანს კი შეუძლებელია ერთი და იგივე მოელანდოს! კი, კი, ეს სიმართლეა, სიმართლე! ნეტავ რა ხდება, რა გველოდება? ნუთუ...

მეგობრები მძიმე ფიქრებიდან სკაიპის ზარმა გამოაფხიზლა. რეკავდა თვითონ კრუტუნ მეხუთე:

– შვილებო! გაისმა მისი ტკბილი ხმა – ჩემს სტუმრებს, მეფე რევანს და მის დიდ ვეზირს თქვენთან შეხვედრა სურთ! იმედია, დათანხმდებით და საღამოს 9 საათისთვის მიიღებთ მათ. წინასწარ მინდა გითხრათ, რომ ისინი აბსოლუტურად გამოცვლილ-გარდაქმნილები არიან!

აირტონს აკანკალებული ხმით აღმოხდა:

– როგორ, მეფე რევანი და დიდი ვეზირი აქ მოვლენ, ფრემისმანში, ჩვენს სასათბურე მეურნეობაში, წარმოუდგენელია, ამხელა გზა რისთვის გამოიარეს, რისთვის? რას აპირებენ?

– ნუ ღელავთ, ჩემო კარგებო, გარწმუნებთ ყველაფერი ჩინებულად იქნება!

მართლაც, იმავე საღამოს, 9 საათზე აირტონისა და ექსმინისტრის სახლთან რევამ მეფე და დიდი ვეზირი გამოჩნდნენ. მეფეს წონაში დაეკლო, მოხდენილად გამოიყურებოდა, უბრალოდ ეცვა, არც ჰალსტუხი ეკეთა, არც გვირგვინი ედგა თავზე, ნაიკის შავ-თეთრი სპორტული ფორმა ამშვენებდა, ერთი შეხედვით, კალათბურთელთა ნაკრების ტანმორჩილ მწვრთნელს წააგავდა. დიდი ვეზირიც სპორტულად იყო გამოწყობილი – ბოტასებში და შორტებში. მათ დანახვაზე აირტონს და ექსმინისტრს ხმა ჩაუვარდათ, მაგრამ ორიოდე წუთში გონს მოეგენ, რადგან სტუმრებიდან სითბო-სიყვარულით მოსილი აურა გადმოვიდა და მასპინძლებს მოეფინა. ტყუილად კი არ წერდა XXI საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი აურისმწმენდი და ასტროლოგი მაიკ ცაგარსონი „კეთილი აურის პირველი შეხება საქმის ნახევარიაო“.

– ძვირფასებო! – წარმოთქვა მეფემ, ჩვენ ბოდიშის მოსახდელად ჩამოვფრინდით. თქვენ დიდი ტკივილი მოგაყენეთ, გაიძულეთ, ერთი უდანაშაულო კაცი გაგესამართლებინათ, მეორესთვის კი ჩამშვების იარლიყი მიგეწებებინათ, ერთ შეცდომას მეორე მოჰყვა და ამ არაადამიანური პროექტის ჩაშლისთვის, მეორე დანაშაული ჩავიდინეთ, გადაგასახლეთ, თქვენს ახლობლებს

მოგწყვიტეთ. მაგრამ ამჟამად მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. თქვენ ჩვენს საყვარელ სამშობლოს ვეღარ იცნობთ, ყველანაირი მორალურ-ზნეობრივი მაჩვენებლებით და ინდექსებით პრაქტიკულად მეცხრე კუნძულს მივუახლოვდით და ეს ყველაფერი კრუტუნ პირველი დიდის დამსახურებაა.

– როგორ, თქვენ საიდან იცით კრუტუნ პირველი დიდი, მისი ცხოვრება, ანდერძ-განმარტებები, რანაირად მოხდა ეს სასიკეთო გარდაქმნები ჩვენს ქვეყანაში, სწრაფად გვითხარით, თუ შეიძლება, ცნობისმოყვარეობისაგან სული გველევა!

– ეს ყველაფერი საოცრად უბრალოდ მოხდა, – ღამით სიზმრებში ჩემთან დიდი მეფე კრუტუნ პირველი მობრძანდებოდა, და დაწვრილებით მასწავლიდა ადამიანურად ცხოვრებას. მე მას მივენდე და, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ქვეყნის ცხოვრება უმაღლეს ზნეობრივ მდგომარეობას მიუახლოვდა, ამის ერთ-ერთი შედეგი ჩვენი აქ ჩამოსვლაა. და საერთოდ, რას ფიქრობთ, ბიჭებო, სამშობლოში დაბრუნებაზე?

– ესე იგი, ყველაფერი მართალი ყოფილა, ჩვენი საყვარელი ქვეყანა და მისი ლიდერები მეცხრე კუნძულს გაუსწორდნენ მორალ-ზნეობაში! ამას ვინ იფიქრებდა, ჩვენო მეფევ და დიდო ვეზირო! ჩვენ კი გადაწყვეტილი გვქონდა ხვალ დილით ორ ჯადოსნურ ჭადარს შორის გასვლა და გაკეტმენება! რა გამოდის, ხედავთ, შესაძლებელი ყოფილა ჩვენი ბედკრული სამშობლოს გამონათება. როგორ მოვიქცეთ ექსმინისტრო, გავკეტმენდეთ, თუ კვლავ ადამიანებად დავრჩეთ, ვადის მოხდამდე რაღაა დარჩენილი!

– აირტონ, ეს ყველაფერი სიზმარივითაა, მაგრამ როგორც ხედავ, ნამდვილად ასეა. ჩვენი სამშობლოს შვილებად და ადამიანებად დარჩენა ნამდვილად აჯობებს, მაგრამ ჩვენს განცხადებას და თხოვნას კრუტუნ მეხუთის მიმართ რა ვუყოთ?

უეცრად ტელევიზორის ეკრანი თავისით ჩაირთო და იქ კრუტუნ მეხუთე გამოჩნდა.

– შვილებო! თქვენ თავისუფლები ხართ არჩევანში, რადგან თქვენს სამშობლოში დიდი გამონათება მოხდა, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეგიძლიათ განცხადება უკან წაიღოთ. დამილოცნიხართ! თუ სურვილი გაქვთ, დღესვე დაუბრუნდით სამშობლოს – თქვა მან და ეკრანი ჩაქრა.

– როგორ მოვიქცეთ, წავიდეთ თუ დავრჩეთ? კაცმა რომ თქვას, იქაც კარგია და აქაც! – ერთმანეთს ეკითხებოდნენ გაოგნებული აირტონი და ექსმინისტრი.

– არიოლ-რეშკა ხომ არ ავაგდოთ? – წამოიკნავლა ემოციებისგან დათრგუნულმა აირტონმა.

– გამოსავალი კი იქნება, მაგრამ ეს არასერიოზულია მსგავსი გადაწყვეტილებისთვის! მე მაინც სამშობლოში დაბრუნებისკენ ვიხრები – მიუგო ექსმინისტრმა.

– მეც – მიუგო უკვე დამშვიდებულმა აირტონმა – სამშობლოში და რა სამშობლოში! **გამონათებულში!**

– ბარაქალა, ბარაქალა თქვენს გადაწყვეტილებას! – სიხარულით შესძახა მეფემ.

ოთხივე ერთმანეთს გადაეხვია, თვალებში სიხარულის ცრემლებს გაჭირვებით მალავდნენ!

* * *

კრუტუნ მეხუთემ სტუმრები ბანკეტზე მიიწვია. წვეულება მხიარულად მიმდინარეობდა, ისმებოდა გულითადი და მხიარული სადღეგრძელოები, სტუმრები უპირატესობას მუხრანულ ღვინოს ანიჭებდნენ, მასპინძლები – რძის კოქტეილს, შარტრეზის ლიქიორით. დელეგაციის წევრებიდან ზოგს მოეფიქრებინა და განსხვავებული სასმისებიც ჩამოეტანა. ჩვენებმა კეტმენებს აჩვენეს, როგორ უნდა წინაპრების პატივისცემა, ოთხივე წასული მეფის მოსაგონარი-სადღეგრძელო ფეხზე ადგომით შესვეს სპეციალურად შერჩეული კრამიტებიდან. მათ გაოცებულ კეტმენებს აუხსნეს, რომ კრამიტი არის გამომწვარი თიხა, ამიტომ მეფეებს აქედან შესმული სადღეგრძელო ეამებათო. ეს აბდაუბდა კეტმენებმა, რა თქმა უნდა, ვერ გაიგეს, მაგრამ, როგორც კარგად აღზრდილებს, შეკითხვები არ მიუციათ.

შემდეგ კრუტუნ მეხუთემ რევან მეფე სამეფო ნადირობაზე დაპატიჟა. ეს ტრადიციული რიტუალი ჯერ კიდევ კრუტუნ პირველის დროიდან დამკვიდრდა. ზაზუნებს, საკვებად, რა თქმა უნდა, არავინ იყენებდა. ზაზუნები მეცნიერების სამსხვერპლოზე მიჰქონდათ შესაწირად. სწორედ ამ პაწაწინა მღრღნელების ჰისტო-ციტო-მოლეკულური შესწავლის შედეგად ჩამოყალიბდა გენური ინჟინერიის ახალი დარგი – კოსმოგენეტოზაზუნოლოგია. ამ დარგის ფუძემდებლებმა, მეცხრეკუნძულელმა ვირტუოზმა კეტმენებმა, ცოლ-ქმარმა ჟან და ჟანეტა მიაუნდელებმა შექმნეს საოცარი ეკო პრეპარატები, რომლებმაც საბოლოოდ დაამარცხეს ისეთი მრისხანე დაავადებები, როგორიცაა ქათმისა

და ღორის გრიპი, მარჯვენა ფეხის განგრენა და ვულგარული ტრიპერი.

მეფე რევანმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა მიპატიჟებაზე, მაგრამ უდროობა მოიმიზეზა, იგი დედამიწაზე უნდა დაბრუნებულიყო, ამიტომ სამწუხაროდ, მონაწილეობას ვერ მიიღებდა ნადირობის ორკვირიან რიტუალში.

რევანმა მეფეს მიმართა:

– ძვირფასო კრუტუნ-მეფევ, მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი თანამემამულეები, ცოლ-ქმარი – გოგია მასწავლებელი და ზაირა ქიმიკოსი, ქალიშვილებთან ერთად. ჩვენ უკვე მოვუხადეთ ბოდიში ცოლ-ქმარს იმ უსიამოვნებებისთვის, რაც მათ თავს დავატეხეთ, გოგიამ კი დაამსხვრია ჩურჩხელების კერპები და შერისხა ღორმუცელობის ვნება. ჩვენ უკვე კარგი მეგობრები გავხდით.

რაც შეეხება პატივცემულ ზაირას, ახალი პრეპარატების შექმნაში მისი დიდი წარმატებების გათვალისწინებით, მის ეზოში განთავსებული ლაბორატორია გავიტანეთ გარეთ, გადავაქციეთ მსხვილ სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ უნივერსიტეტად, მივანიჭეთ მისი პაპის-პაპის კოლას სახელი. ამჟამად იქ დასაქმებულია ასი ათასი ადამიანი – სპეციალისტები, პედაგოგები, და დამხმარე პერსონალი. ორიოდ თვეში ქალბატონი ზაირას უნივერსიტეტმა ჰემიგალაქტიკური მასშტაბის წარმატებას მიაღწია, ისეთი პრეპარატების სინთეზი მოახდინა, რომ დასახელებაც კი მიჭირს.

– რატომ?

– არა, განა გამოთქმა მიჭირს, უბრალოდ მერიდება მოქმედების მექანიზმების და დანიშნულების გახმოვანება.

– ნუთუ? მე ძლიერ დავინტერესდი!

– ეს მეტად დელიკატური და სათუთი საკითხია, გვერდით ხომ არ გავსულიყავით? – მეფეები გვერდით ბუდუარში შებრძანდნენ და საუბარი განაგრძეს.

– მე რომ ანდერძი ბოლომდე არ წამეკითხა და ყველა პარაგრაფი არ დამეზეპირებინა, ვერ გავკადნიერდებოდი და ამ საკითხზე ფიქრსაც ვერ გავბედავდი. დიახ, ზაირამ აღმოაჩინა პრეპარატი GAMOK-69, რომელსაც ნებისმიერი კეტმენისთვის კვლავ ადამიანის გარეგნობის მიცემა შეუძლია!

– ოჰ, ეს საოცრებაა – აღმოხდა კრუტუნ მეფეს. როგორ იწინასწარმეტყველა კრუტუნ პირველმა დიდმა ორი საუკუნის წინ ეს აღმოჩენა! მე მეტსაც გეტყვით, თუ გახსოვთ, ამ პარაგრაფში ქიმიკოს-ნოვატორის სქესი და სახელიცაა მინიშნებული

– „აირა“. გულის სიღრმეში კი ველოდი ამის აღსრულებას, მაგრამ თუ ჩემი მეფობის დროს მოხდებოდა ეს ყველაფერი, ამაზე არც მიოცნებია!

– თუ თქვენი თანხმობა და სურვილი იქნება, ზაირა თავის ლაბორატორიასთან, ოჯახთან და იაბედა შტულცბერგთან ერთად მზად არიან აქ დაფუძნდნენ და თქვენი ყველა განკარგულება შეასრულონ!

– რა თქმა უნდა, ჩემო რევან, შეძრული ვარ თქვენი გულისხმიერებით და სიკეთით. თქვენ, რასაკვირველია, გახსოვთ, პარაგრაფში მითითებულია, რომ საჭირო იქნება თითოეული კეტმენის თანხმობა-სურვილი, ამიტომ მოგვიწევს რეფერენდუმის ჩატარება, რისთვისაც თანხებს არ დავიშურებთ. აუცილებელი იქნება დიდი მუშაობის ჩატარება, ერთ თვეში უნდა ჩავეტიოთ! მანამდე თუ შეიძლება, მინდოდა ქალბატონ ზაირასთან გასაუბრება.

– სიამოვნებით, მიუგო რევან მეფემ და ბუდუარში ზაირა მოიწვია.

* * *

ზაირას მწვანე მაქსი ეცვა, ზომიერი დეკოლტეთი და მომხიბვლელად გამოიყურებოდა. მან იცოდა, რაც აინტერესებდა მეფეს და პირდაპირ საქმეზე გადავიდა

– დიდო მეფეო, როგორც კი ჩვენს საყვარელ სამშობლოში დიდი **გამონათება** მოხდა და თავისუფლების სიომ დაჰბერა, მაშინვე დავინტერესდი ჯადოსნური ჭადრების ციტო-გენეტიკით. ამასთანავე მოვიძიე ჩემი საოჯახო-საიდუმლო არქივები, რომელიც უმაგრეს, ვერცხლის დარიშხნისგან ჩამოსხმულ სეიფში იყო შენახული. მე თქვენგან დასამალი არაფერი მაქვს და მინდა ინფორმაცია დეტალურად მოგაწოდოთ. ცნობილია, რომ ყოველი დაფარული ოდესმე გაცხადდება, თუნდაც საუკუნეების შემდეგ. აი, სწორედ, გაირკვა, რომ ჩემი პაპის პაპა, ობელიანტი კოლა და დიდი ვეზირის ბაბუის ბაბუა საშა, იგივე შაშა, ჯერ საბავშვო ბაღის ამხანაგები ყოფილან, შემდეგ – თანაკლასელები და ამიტომაც განუყრელ მეგობრებად ითვლებოდნენ. სკოლა რომ დაამთავრეს, კოლა ბიოლოგიით და ქიმიით დაინტერესდა – იგი უკვე ინსტიტუტში ახდენდა საცრებებს ორგანულ ქიმიასა და მოლეკულურ ბიოლოგიაში. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი პროფესორად აირჩიეს და დიდი ლაბორატორია ჩააბარეს.

რაც შეეხება შაშას, მან პარალელურად ორი ფაკულტეტი დაამთავრა უსაფრთხოება-სპეცსამსახურისა – საქართველოს დემოკრატიის უნივერსიტეტში და ფუტუროლოგიისა – სტოკჰოლმის სამეფო უნივერსიტეტში. ასეთი ბრწყინვალე განათლების შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა სპეციალურად მისთვის შექმნილ აწმყოსა და მომავლის სამინისტროს. შაშა მინისტრის უწყებას ევალებოდა ქვეყნის უსაფრთხოება, სახელმწიფოს მოსახლეობის მომავალზე ზრუნვა, მათი მომავალი ადგილსამყოფლის მოძიება, განსახლება-დასახლების ვარიანტების მეცნიერული გათვლები, და ხალხთა ფიზიკური გარდაქმნების ალტერნატიულ გზებზე ფიქრი. ვინაიდან სამწუხარო პროგნოზების სამინისტროს წამყვანი სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ სავსებით რეალური ჩანდა, პლანეტა დედამიწას დაეკარგა ადამიანების გამოკვების უნარი, ხოლო თავად ადამიანებს – ზნეობრივი სახე.

ამრიგად, შაშას დიდი თავსატეხი გაუჩნდა, ქვეყნის პრეზიდენტი მისგან ითხოვდა საკითხის რაც შეიძლება სწრაფად მოგვარებას და ამისთვის ინვესტიციებს ზრდიდა. ყოველდღიური და განუწყვეტელი ფიქრისგან შაშას სხეულის საშუალო ტემპერატურა ცელსიუსის სკალით 0,5 გრადუსით მოემატა, ხოლო თავის ტვინის რუხი ნივთიერებისა – 1,5 გრადუსით; ამდენ ფიქრს იგი დიდხანს ვერ გაუძლებდა და ალბათ მალე გადაიწვებოდა, როგორც კოოპერატივში აწყობილი რობოტი.

მაგრამ მას ბედად, ხელში ჩაუვარდა რუსი პოეტის ა.ზარბაზნინის პოემა „რუსლანი და ლუდმილა“. როდესაც იგი ნაწარმოებს ღრმად ჩაუკვირდა, მისი ყურადღება დაფიქსირდა ლუკომორესთან მდგარ მწვანე მუხის ირგვლივ შემოხვეულ ოქროს ჯაჭვზე, რომელზეც სწავლული-მეცნიერი კატა – Кот ученый განუწყვეტლივ მიმოდიოდა და თუ ავტორს დავუჯერებდით, მარჯვნივ მოძრაობისას სიმღერებს მღეროდა, ხოლო მარცხნივ გავლისას ზღაპრებს ყვებოდა.

შაშა მინისტრი სულით ხორცამდე შესძრა სწავლული კატის გონიერ-დინამიურმა ფენომენმა. ესე იგი – ფიქრობდა შაშა, – გამოდის, რომ ხარ კატა, მაგრამ ინტელექტუალი, გაქვს შემოქმედებითი წვა. ისედაც მოქნილს, შეგიძლია როგორც ოქროს ჯაჭვზე სიარული, ისე მწვანე მუხაზე შეხტომა, თავის მოწონება სიმღერითაც გეხერხება და ლიტერატურაც გიყვარს. თან გრანდიოზული მორალურ-ზნეობრივი უპირატესობა გაქვს ორივე სქესის ადამიანებთან, რომლებიც წელიწადში 360 დღე სექსით არიან დაკავებულები.

იქნება ხალხთა დროებითმა გარდასახვა-გადაკეტებამ შეღავათი მისცეს ჩვენს პლანეტა დედამიწას? თუ გარდასახვისას კიდურებზე თითებს შეინარჩუნებენ, მაშინ არა მხოლოდ ინტელექტუალურ, არამედ ფიზიკურ შრომასაც შეძლებენ. კარგი, გადაწყდა, მაგრამ სად უნდა ჩატარდეს ეს ისტორიული ექსპერიმენტი? ალბათ რაც შეიძლება შორს, თუნდაც ნკვამე იჯანას აღმოჩენილ L პლანეტის მეცხრე კუნძულზე, მუტაცია-გარდასახვის საშუალებებზე საჭიროა კოლასთან კონსულტაციები, ვინაიდან ამის გამკეთებელი სხვა არავინაა, ფიქრობდა შაშა მინისტრი.

კოლასთან მოლაპარაკება შედეგიანი აღმოჩნდა, გაირკვა, რომ მას უკვე საიდუმლოდ სინთეზირებული ჰქონია ექსტრა-მუტაგენური საშუალება MUT-100, რომელიც ისეთ ცვლილებებს იწვევდა ადამიანებში, როგორიც შაშას ჰქონდა წარმოსახული. პრეპარატის სინთეზი კოლას ნახევარი წლის წინ დაუსრულებია, ამ პერიოდში იგი სარფიან შეთავაზებას ელოდა, არა, ფული მას ნაკლებად აინტერესებდა, მაგრამ ობელის განმეორებით პრემიაზე კი უარს არ იტყოდა. ამ საქმეში შაშამ დახმარება აღუთქვა, ვინაიდან ობელი მისგან პირადად იყო დავალებული – ჭაბუკ ობელს შაშამ ერთხელ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დასასწრები წლიური აბონემენტი აჩუქა. დიახ, ბატონებო, სიკეთე არ იკარგება!

იმის შემდეგ, რაც შაშა რესპუბლიკის პრეზიდენტთან შევიდა და ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა, გეგმა მოწონებულ იქნა. ამის შემდეგ, 2060 წლის 5 დეკემბერს საიდუმლო ზონდმა L პლანეტის მეცხრე კუნძულს მიაღწია და მის პერიმეტრზე MUT-100-ის თესლები მიმოფანტა. თესლებმა იხარეს, კუნძულზე ერთ წელიწადში ჯადოსნური ჭადრები აშრიალდნენ და რაც მოხდა ამის შემდეგ, ყველას შესანიშნავად მოგეხსენებათ. ეს რაც შეეხება წარსულს.

მეფეო, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ძალზე დავინტერესდი ჭადრებით. სამწუხაროდ, სეიფში მოძიებული დოკუმენტებიდან ვერ მივაკვლიე MUT-100-ის ფორმულებს და დამზადების ტექნოლოგიას, ამიტომ იძულებული გავხდი, ჩემი კოლეგებისთვის მეცხრე კუნძულიდან, მეთხოვა, გამოეგზავნათ ჯადოსნური ჭადრების ფოთლები, ყლორტები და ფესვები უმტკიცესი ელექტრონულ-პოზიტრონული ბანდეროლებით. ამის შემდეგ ჩვენი ლაბორატორია შეუდგა მასალის მოლეკულურ-ატომური თვისებების შესწავლას. თავიდან ანტინაწილაკების გამოყენების ვერსიას ვცდილობდით, თუმცა შემდეგ კვლევის მიმართულება

შევცვალეთ და გაირკვა, რომ ჯადოსნური ჭადრების ადამიანებზე გამაკეტმენებელი მოქმედების საფუძველი მათ ქრომოსომებში ტრისომული გამოსხივება ყოფილა. ჩვენთან, დედამიწაზე ტრისომული დაავადებები ლიკვიდირებულია, ამჟამად საქართველოში ერთ ადამიანსაც ვერ იპოვით დაუნის სინდრომით – ეს კი, მორიდებით უნდა მოგახსენოთ, პაპაჩემის პაპის კოლას დამსახურებაა, სწორედ მან დაასინთეზა უებარი წამალი „ანტიკიკა“, რომელმაც მილიონობით ადამიანს მოჰგვარა შვება.

რაც შეეხება ჯადოსნური ჭადრების ქრომოსომებს, ჩვენ ისინი მოვათავსეთ მაღალი სიმძლავრის ელექტრომაგნიტურ მინდორველში და საოცარი მოვლენის მოწმენი გავხდით – ქრომოსომებმა სვლა დაიწყეს საათის ისრის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით დედამიწის ღერძიდან +9 გრადუსით! დიახ, დიახ, მეფეო, თქვენ ინტუიცია არ გღალატობთ, სწორედ ასე მოხდა, მაშინ შევქმენი ახალი საოცარი პრეპარატი GAMOK-69, რომელსაც ძალუძს გაკეტმენებული ადამიანის გამოკეტმენება, ანუ კვლავ ადამიანად გადაქცევა!

დიდო მეფეო, თუ თქვენ გსურთ, მზად ვართ მე, ჩემი ლაბორატორია და ოჯახი თავდადებით გემსახუროთ, დავნერგოთ ამ ახალი საოცარი პრეპარატის – GAMOK-69-ის მოქმედება პრაქტიკაში. ჩვენ დავალებული ვართ კრუტუნ პირველი დიდისაგან და პირადად თქვენგან, ვალს კი გადახდა უნდა!

– ძვირფასო ზაირა! მე ვხედავ თქვენს უანგარო მზადყოფნას, განახორციელოთ კრუტუნ პირველი დიდის ანდერძში დაწერილი წინასწარმეტყველების ასრულება. ეს მართლაც დიდი პასუხისმგებლობა იქნება – მილიონობით კეტმენის გამოკეტმენება! ჩვენ, რა თქმა უნდა, როგორც რევან მეფეს მოვახსენე, რეფერენდუმს ჩავატარებთ, ამას გარკვეული დრო დასჭირდება, მანამდე თქვენ, თქვენი ოჯახი და ლაბორატორია კუნძულზე განთავსდებით. ბავშვებს დაწყებით სკოლაში მიაბარებთ, პატარა კეტმენებთან ერთად იქნებიან, ვფიქრობ, მოეწონებათ. თქვენ კი შეუზღუდავი საშუალებები გექნებათ მუშაობისა და დასვენებისთვის.

ამასობაში ბანკეტი დასასრულს მიუახლოვდა და სტუმრები თავიანთ სასტუმროებში მიაბრძანეს, რადგან მეორე დღეს გასამგზავრებლად უნდა მომზადებულიყვნენ.

* * *

დილით ადრე, რევან მეფე, დიდი ვეზირი, აირტონთან, ექსმინისტრთან და მთელ ამალასთან ერთად, უკვე კოსმოსურ ხომალდთან – „შორეთი 001“ – იყვნენ მისულნი და ჩასხდომას აპირებდნენ. მათ გასაცილებლად მეფე კრუტუნ მეხუთე, დიდებულები, რიგითი კეტმენები, გოგია მასწავლებელი და ზაირა, ყველანი ერთად შეკრებილიყვნენ.

ზაირას ხელში ცისფერი ცხვირსახოცი ეჭირა, მიმავალ მგზავრებს უქნევდა და ეძახდა, მშვიდობით, მშვიდობით, უი, არა, ნახვამდის, ნახვამდის, მომავალ შეხვედრამდე, ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!

ხომალდი მგზავრებით შეივსო, შემდეგ ამოიხვნეშა, დაიღმუილა და საოცარი სისწრაფით მოსწყდა მეცხრე კუნძულის ასაფრენ მოედანს, წინ გრძელი გზა ელოდა ...

ცვლილებები მთავრობაში

მეცხრე კუნძულიდან ჩამოსვლისთანავე რევან მეფემ მთავრობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა.

დიდი ვეზირის პოსტი გაუქმდა, დიდ ვეზირს ეწოდა მეფის პირველი მოადგილე, რამაც უფრო დემოკრატიული ჟღერდობა შეიძინა. მისი ფუნქციები კი ბუნებრივია იგივე დარჩა.

აირტონი დაინიშნა დაზვერვის და კონტრდაზვერვის მინისტრად და ამავე უწყების უმაღლესი სკოლის დირექტორად. ამ უწყებამ ბევრი სახელოვანი ჯაშუში გაუზარდა ქვეყანას.

ექსმინისტრი მეფეს საშინაო და საგარეო მდგომარეობის თავდაცვის და თავდასხმის მინისტრად დაენიშნა. მას ზაური ერქვა, ზაურ აბჯარჯანიძე, უძველეს მეომართა გვარის ბოლო წარმომადგენელი. მკითხველს ბოდიშს ვუხდით, მოვლენები ისე სწრაფად და დრამატულად ვითარდებოდა, რომ ექსმინისტრის სახელის მოხსენებაც დაგვავიწყდა. ამრიგად, ექსმინისტრს ახლა კვლავ მინისტრის პოსტი ეკავა, ოღონდ სხვა უწყების. ზაური სამხედრო საქმეს სწრაფად გაეცნო და ორიოდე კვირაში საქმიანობის ყველა ნიუანსი ზედმიწევნით იცოდა.

ადვოკატ ბრაიანს ლოგიკური აზროვნების და სოციალურ

მოვლენათა პროგნოზირების მინისტრის პორტფელი ერგო, მთელი სამეფო დიდი სიხარულით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას, ამ პოსტზე ტვინიკოსი ბრაიანი მართლაც შეუცვლელი იქნებოდა და დიდ სარგებელს მოუტანდა სამშობლოს.

ბიოქიმიის, ბიოფიზიკის და კოსმოსური გენეტიკის მინისტრად მეფემ, რა თქმა უნდა, ზაირა დანიშნა და ლაბორატორიის ხელმძღვანელის ფუნქციაც დაუტოვა. ამ დანიშვნის შემდეგ ზაირა გაათმაგებული ენერგიით აგრძელებდა მუშაობას მეცხრე პლანეტზე. გოგია, ანუ, როგორც მას ხალხი მოიხსენებდა ხოლმე, გულღია გოგია მეფემ სკოლის დირექტორად დანიშნა, ზოოლოგიაში საათებიც დაუტოვა, ამიტომ იგი, როგორც ყოველთვის კმაყოფილი იყო. მეფემ გოგიას ასევე მისცა ნახევარი განაკვეთი ჩურჩხელების ქარხნის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე.

გაიოზიკს კულტურის, კინოს და ოპერა-ბალეტის მინისტრის პოსტი ერგო, ყველას ახსოვდა მისი მოხდენილი სიარული და მსუბუქად მოძრაობის მანერა, როცა გოგიას ოთახში შევიდა და ქრთამი შეაჩეჩა. მრჩეველმა ნაზირ-ვეზირებმა ამ ფრაგმენტზე შეაჩერეს მეფის ყურადღება, მიხვდნენ, რომ მას ბალეტთან რაღაც უხილავი ძაფები აკავშირებდა. გაიოზიკს ცეკვა უყვარდა, მაგრამ ხალხის ერიდებოდა და სახლში მარტო როკავდა ხოლმე, სარკის წინ, ამიტომაც მინისტრის პოსტზე დანიშვნას დიდი სიხარულით შეხვდა. ნიჭმა თავისი გზა-კვალი არ დაკარგა და ნახევარ წელიწადში დიდი თეატრის სცენაზე პრიმა ბალერინასთან იცეკვა უძლური მიხო ეროვნულ ბალეტში „ბებერი მამის ისრები”.

ალბათ ყველამ არ იცის, რომ მეცხრე კუნძულიდან აირტონმა გაიოზიკს ბარევ-დეშან-მენდელსონის სინდრომის სამკურნალო უებარი სალბუნი ჩამოუტანა. მეცხრე შეზელვის შემდეგ გაიოზიკი სრულიად განიკურნა, მეტიც, შორსმშარდავთა შეჯიბრებზე დაიწყო გამოსვლები, სპარტაკიადიდან და უნივერსიადიდან მედლების გარეშე არასდროს ბრუნდებოდა.

მოსამართლე ბელაფონტე ჯერ კიდევ დიდი გამონათების დაწყებამდე იქცა პატიოსნების, კომპეტენტურობის და სამოქალაქო შეუპოვრობის სიმბოლოდ, ანუ სახალხო გმირად. იმ ავადსახსენებელ დროში, როდესაც დიდი ვეზირი ბელაფონტეს წინააღმდეგ შავი პიარის აგორებას ცდილობდა, მის კაბინეტში იწერებოდა ბელაფონტეს დაპატიმრების და მასზე ტერაქტის განხორციელების გეგმები. მაგრამ ყველასთვის საბედნიეროდ

დაიწყო დიდი გამონათება და ეს საზარელი გეგმები ჩაიფუშა. გამონათებულ რევანს ბელაფონტე გაახსენდა და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი შესთავაზა. მცირე ყოყმანის შემდეგ მან წინადადება სიამოვნებით მიიღო, თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, თუმცა ბევრი ჯაფა არ დასდგომია, რადგან კრიმინალი სამეფოში თვალსა და ხელს შორის შემცირდა და ნულს მიუახლოვდა.

თავი მეთხუთმეტე
საოცარი ექსპერიმენტი

სიმართლე რომ ითქვას, გოგიას, როგორც ზოოლოგს, კეტმენები არ მოეწონა. ადამიანურადაც, იაბედას შემყურეს, კატები აღარ ხიბლავდნენ იმ საძაგელი ისტორიის შემდეგ, რაც კინადამ მრავალწლიანი კატორღის ფასად დაუჯდა. იაბედა ხომ ნერვებს უშლიდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა, წინაპრების მიერ ჰერტა მასწისთვის მიცემულ პირობას ვერანაირად დაარღვევდა, თან რაც მთავარია, რევან მეფემ და დიდმა ვეზირმა ბოდიში მოუხადეს, ამიტომაც გოგია იყო მორჩილი და ზომიერად ბედნიერი, თანაც ახალ სიტუაციაში, როგორც ყოველთვის ზაირასთან ერთად თავს მშვიდად და დაცულად გრძნობდა, როგორც ახლადგამოჩეკილი წიწილა კრუხის ფრთებს ქვეშ.

რაც შეეხება კეტმენებს, გოგიამ მათ ვერც ერთ კლასიფიკაციაში ვერ მოუნახა ადგილი, პირველად რომ შეხედა, ცოტა შეშინდა კიდეც, განსაკუთრებით დიდი ზომის და მხარბეჭიან კეტმენებს რომ შეეფეთა, შეშფოთებული უყურებდა ადამიანის მაგვარ თითებს, ისმენდა მათ ფართო დიაპაზონის ხმას. გაჯგიმულად მოსიარულე კეტმენების ყურების დროს გოგიას აზრად მოუვიდა კეტმენებისთვის ეწოდებინა Ketmen Erectus, და ხერხემლიანთა კლასიფიკაციაში Homo Sapiens–ის გვერდით მოეთავსებინა. ეს იდეა მან ჰემიგალაქტიკის ზოოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტს კარლ ინეის მიაწოდა, პრეზიდენტს ბევრი არ უფიქრია, საკითხი კომიტეტის ბიუროზე გაიტანა და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაამტკიცებინა. ამრიგად გოგიას მეოხებით კეტმენებს მათი დამსახურებული ადგილი მიუჩინეს და შესაბამისი პინ კოდიც მიანიჭეს – Ket 0011 99 99.

პანტერვილში ჩასვლისთანავე ოჯახი შესანიშნავ ორსართუ-

ლიან სახლში დააბინავეს. სახლი ქალაქის ცენტრიდან მოშორებით, ლამაზ ხეივანში იდგა. ქალაქის დაგეგმარება და არქიტექტურა აღფრთოვანებას იწვევდა მნახველებში და სანიმუშო იყო არა მხოლოდ მეცხრე კუნძულისათვის, არამედ მთელი L პლანეტისთვის. პანტერვილის ცენტრში თავს იწონებდა კრუტუნ პირველი დიდის მოოქროვილი მონუმენტი, იგი თეთრ ხარირემზე იყო ამხედრებული, მარჯვენა ხელში ეროვნული დროშა ეჭირა, მარცხენაში ანდერძი, ხოლო კისერზე ნკვამე იჯანას თვითნაკეთი ჭოგრიტის ასლი ეკიდა. ქანდაკების ირგვლივ ცხრა შადრევანი იყო წამომართული, საიდანაც შვიდი ძირითადი ფერის წყალი მოძრაობდა და ერთმანეთში შერევისას, რა თქმა უნდა, თეთრდებოდნენ, შემდეგ კვლავ სხვადასხვა ფერებს ღებულობდნენ, ეს მეტად სასიამოვნო საყურებელი გახლდათ. ცხრავე შადრევანს შეეძლო ნებისმიერი კომპოზიტორის, ნებისმიერი ჟანრის მუსიკის აჟღერება, როგორც დედამიწელი, ისე მეცხრეკუნძულელი მომღერლის შესრულებით, საკმარისი იყო შადრევანთან მიახლოვება და სურვილის ხმამაღლა თქმა, შადრევანი ყველა თხოვნას შეგისრულებდათ.

შენობები ქალაქის ცენტრიდან რადიალურად იყო განლაგებული, ყველაზე დიდი, ბოლო, მეასე წრე გახლდათ. გარდა ამისა, შენობები სხივის ფორმითაც ვრცელდებოდნენ ცენტრიდან და ასე კვეთდნენ ერთმანეთს. თუ გაინტერესებთ, ზუსტად გეტყვით ზაირას და გოგიას სახლის მისამართს – 90-ე წრის და 48-ე სხივის გადაკვეთა სალობიესა და № 4 პროფტექნიკური სასწავლებლის პირდაპირ.

ზაირას და გოგიას ტყუპი გოგონები ბაკუნა, თაკუნა და ცაცუნა მერვეკლასელები იყვნენ. სკოლა ახლოს იყო და ფეხით დადიოდნენ. ბავშვებს კეტმენები პირველივე დღეს მოეწონათ, ყველას დაუმეგობრდნენ და ეფერებოდნენ, მასწავლებლებსაც კარგად შეეწყვნენ. კეტმენების ენა ისეთი ადვილი აღმოჩნდა, რომ ნიჭიერი დები პირველივე კვირის ბოლოს გამართული კეტმენურით ლაპარაკობდნენ. კეტმენური დამწერლობა მეტად რაციონალური იყო, ყოველი ასო ერთ ბგერას შეესაბამებოდა, ყოველგვარი დიფტონგების და ტრიფტონგების გარეშე, ა – ა-ს, ბ – ბ-ს და ასე შემდეგ, როგორც ქართულში, თუმცა ასობგერები ცოტა იყო, სულ ოცი – ათი ხმოვანი და ათი თანხმოვანი, ამის გამო, კეტმენები რომ ლაპარაკობდნენ, გეგონებათ, მღერიანო. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აქცენტებს, აქცენტს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა შეეძლო, აი, როგორც მაგალი-

თად რუსულში – Замок, ხან კლიტეა, ხან ციხე-სიმაგრე. ეს ყველაფერი, სხვათა შორის, სასწაულებრივ თანხვდება კეტმენურ სიტყვას – **„ასუნა",** რომელიც იგივე მნიშვნელობებს იღებს აქ-ცენტის განსხვავებულად დასმის დროს. რას ნიშნავს ეს? ნუთუ ოდესღაც ეს ხალხები ერთ საერთო ენაზე მეტყველებდნენ? არავინ იცის! იმედია, ამ გამოცანას მეცნიერება როდესმე აუცილებლად ამოხსნის!

მეფემ ოჯახს პერსონალური ავტომობილიც დაუნიშნა. ბოლო გამოშვების „ტოიოტა სეკვოია" სრული ელექტროპაკეტით, მფრინავი. თავიდან ცოლ-ქმარს ასეთი პატივი ოდნავ ეუხერხულა, მაგრამ შემდეგ მიეჩვივნენ სიტუაციას, მითუმეტეს, ზაირას ხშირად უწევდა პანტერვილის ტყეში გამგზავრება ბალახების დასაკრეფად. ბარამბოს, მრავალძარღვას და სიმინდის ულვაშის მტვერი GAMOK-69-ს აძლიერებდა და სასიამოვნო არომატს უმატებდა.

მეცხრე კუნძულზე ბოლო აღწერით ცხრა მილიონ ცხრაასი ათას თერთმეტი კეტმენი ცხოვრობდა. ზაირას ამდენი ამპულა არ ჰქონდა წამოღებული, ასეთი რაოდენობის წარმოებას ცხრა თვე მაინც მოუნდებოდა, ამ პერიოდში რანაირი ცვლილებები მოხდებოდა კეტმენების ფსიქიკაში, მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო. ნამდვილად აჯობებდა, ყველა კეტმენის გარდაქმნა და ადამიანის გარეგნობის მიღება მომხდარიყო ერთდროულად და საყოველთაოდ. აქ პროცესების დაყოვნება და პროცესის გაჭიანურება შეიძლება დამღუპველი აღმოჩენილიყო.

– არა, ესე არ გამოვა, ფიქრობდა ზაირა, სხვა რამ უნდა მოვიფიქრო! მაქვს ორი ვარიანტი: პირველი – GAMOK-69-ს მივცემ აეროზოლის ფორმას, მოვათავსებ ცხრა გიგანტურ დირიჟაბლში და ინჰალაციური სახით ღამით გავავრცელებ კუნძულის ატმოსფეროში, დილით ყველა კეტმენი ადამიანის ფორმას მიიღებს. მეორე – ვაკეთებ უმაღლესი ჰიპერ-სუპერ კონცენტრაციის GAMOK-69-ის ხსნარს და ვასხამ ჩუმაკის ფინჯანში, ვდებ ტელეკამერების წინ, კუნძულის მთელი მოსახლეობა საღამოს ცხრა საათზე რთავს სატელევიზიო მიმღებებს, თვალებდაჭყეტილი უყურებს ეკრანს და ცხრა წამში ღებულობს ადამიანის სახეს. მაგრამ ამ საერთო-სახალხო აქტამდე ერთი ცდა უნდა ჩავატარო, რომ ასი პროცენტით ვიყო დარწმუნებული ამ გრანდიოზულ ექსპერიმენტში. დრო მაქვს, ჯერ რეფერენდუმზე არ გასულა პრინციპული საკითხი, არის თუ არა კეტმენთა საზოგადოება მზად იმისთვის, რომ ადამიანური სახე მიიღოს.

ზაირას წარმოდგენილი ჰქონდა თავისი ადგილი ამ გრანდიოზული გარდაქმნის შემთხვევაში – იგი ისტორიაში ჩაეწერებოდა მეფე კრუტუნების დინასტიის გვერდით, ეს კი ნამდვილად დიდი საოცრება იქნებოდა.

ზაირა პრესას თვალს ადევნებდა და გრძნობდა კუნძულზე დაძაბულობის გაჩენას. ჩანდა, რომ კეტმენები ამ სერიოზულ საკითხზე არ იყვნენ ერთი აზრის, ეს კი ზაირას შინაგანად ძაბავდა და სიმტკიცეს უსუსტებდა.

ზაირამ მუშაობა დაამთავრა, ყველანაირად მზად იყო, ცდის ობიექტი აკლდა. მაგრამ ვინ იქნებოდა ის პირველი კეტმენი, რომელიც გაბედავდა და დათანხმდებოდა ექსპერიმენტზე, ამიტომ ზაირამ გადაწყვიტა, დალოდებოდა რეფერენდუმის შედეგებს, მაგრამ ქალური მოუთმენლობა და ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, შინაგანად აფორიაქებული იყო, რატომღაც სულ იაბედაზე ფიქრობდა.

იაბედას საერთოდ საოჯახო საქმიანობა – ჭურჭლის რეცხვა, დაუთოვება და სხვა ყველაფერი ძალზე ეხალისებოდა, ზაირას ხელს არ აკარებინებდა, ახლა კი საქმე მოთავებული ჰქონდა, იატაკზე იჯდა და სათამაშო წრუწუნას ლოკავდა, დაფიქრებულ ზაირას რომ შეხედა, ჰკითხა:

– ზაირა დეიდა, რატომ ხარ ჩაფიქრებული? საჭმელი ხომ არ შემოგაკლდა, გოგია ძია ხომ არ გაბრაზებს?

– არა, რას ამბობ, ძვირფასო, რა სისულელეა, იცი რას ვფიქრობ, GAMOK-69 პირველად შენზე რომ გამომეცადა, რა იქნებოდა, მართალია, კეტმენი არა ხარ, მაგრამ მოლაპარაკე კატა ხომ ხარ!

– ეს რას ნიშნავს? როგორ გამოცდი, ოპერაციას გამიკეთებ?

– არა, არა, არავითარი ოპერაცია, მხოლოდ ერთი ჩხვლეტა, სულ არ გეტკინება!

– კი მაგრამ, რა საჭიროა, რაში მჭირდება ამპულის შეშხაპუნება!

– იმიტომ, რომ ლამაზ გოგონად გადაიქცე!

– კი, მაგრამ, ხომ ვარ გოგონა!

– შენ ხარ გოგონა-კატა, ნემსის გაკეთების შემდეგ გახდები გოგონა-ადამიანი!

–აუ, შენნაირი?

– კი, ჩემნაირი.

– ვიშ! რა კარგია! მერე როგორ გავთხოვდები? ხვადი-ადამიანი წამიყვანს ცოლად?

– კი, გათხოვდები, ოღონდ ხვადები არიან ცხოველები, შენი მომავალი ქმარი, კაცი-ადამიანი იქნება.

– კაცი-ადამიანი! ლუარსაბი?

– არა, პატარავ, რას ამბობ, რა ლუარსაბი, ეგ მოთხრობაა!

– ააა! მაშინ რა ერქმევა, ვინ იქნება? კოლმეურნე? მუშა თუ ინჟინერი? ინტელიგენტი თუ პოლიციელი? ბიზმესმენი თუ პოლიტიკოსი? იცი როგორ მაინტერესებს?

– იაბედა, მოდი ნუ ჩქარობ, ჯერ ექსპერიმენტი დავამთავროთ, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. და ეს ბიზმესმენი რით ვერ მოიშალეთ, თქვით, რა ნორმალურად – ბიზნესმენი! – გაუწყრა ზაირა.

– კარგი, მართალი ხარ, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ზაირა დეიდა, ძალზე აღტკინებული ვარ, ეს რა კარგი რაღაცა მითხარი.

– რადგან თანახმა ხარ, მოდი დავიწყოთ!

იაბედამ სათამაშო თაგუნას თავი მიანება, ტახტზე დასკუპდა, ზაირას ტაკუნები მიუშვირა და თვალები დახუჭა.

ზაირამ შპრიცი შეავსო, იაბედას თმები გადაუწია და ნემსი ბოლომდე ჩაარჭო. იაბედა გატრუნულიყო და სასიამოვნო ფიქრები უტრიალებდა თავში. ზაირამ პრეპარატი შეიყვანა, შემდეგ ნემსი გამოიღო, მინის მაგიდაზე დადო და სკამზე ჩამოჯდა.

პროცედურას ცოცხალ რეჟიმში თვალს ადევნებდა მთელი მეცხრე კუნძული L პლანეტაზე და რევან მეფის სამეფო დედამიწაზე, ანუ ორი დაძმობილებული სახელმწიფო ერთდროულად. დაგვეთახმდებით, მეტად ამაღელვებული წუთები და დაძაბული მოლოდინი იყო. მილიონობით სუნთქვაშეკრული მაყურებლის წინ თხუთმეტმა წუთმა, როგორც თხუთმეტმა საათმა, ისე გაიარა, – აი, ფარდობითობის თეორიის სიღრმე და სიგანე. აბა ყანწით ხელში ხომ დრო სამწუხაროდ სასწრაფოდ ილევა. ასე იყო, თუ ისე, გაოგნებული მაყურებლების წინ იაბედას გარეგნობა შეეცვალა, ბალანი გასცვივდა, სლიკინა ქათქათა კანი გამოუჩნდა, შემდეგ სრულიად გარდაიქმნა და ეკრანზე უკვე მშვენიერი ქალიშვილი იწონებდა თავს. სავარძელზე დედიშობილა იწვა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ზაირაშობილა, კიდევ უფრო ზუსტად – სავსებით შიშველი, დაიხ, შიშველი და მომხიბვლელი ოციოდე წლის ქალიშვილი, ზომებით 90-60-90, მართლაც ტოპ-მოდელი. გოგონამ გაიღიმა, ტკბილად ჩაისუნთქა, წამოდგა და ზაირას მომზადებული ტანსაცმლის ჩაცმას შეუდგა, რითაც მაყურებელთა დიდ ნაწილს გული დასწყვიტა. ოქროსფერი

სათაური ექვრიმეტლი იწყება

თმები მხრებამდე სწვდებოდა, წითელი ტუჩები ხურდნენ, იაბედასთვის ახალი ცხოვრება იწყებოდა.

ეკრანზე მსხვილი ხედით ზაირა გამოჩნდა, მაყურებელს თავი დაუკრა, გაიღიმა და უსიტყვოდ დაემშვიდობა.

ამრიგად, გარდაქმნა-გამოადამიანება ტრიუმფით დამთავრდა, ზაირამ თვალსა და ხელს შორის ფისოსგან ადამიანი მიიღო, მაგრამ თაფლში ორი წვეთი კუპრი მაინც გამორეულიყო, პირველი – მარცხენა თვალი ცისფერი გამოვიდა, მარჯვენა ბაცი ყავისფერი, მეორე წვეთი უარესი იყო, – იაბედას კუდი გამოჰყოლდა, მართალია, მოკლე, დაახლოებით ხუთი სანტიმეტრის, მაგრამ აშკარად ზედმეტი და ატავისტური.

ზაირამ როგორც კი კუდი შეათვალიერა, მაშინვე პლასტიკური ქირურგიის მამას, აივან კუზანელს დაურეკა.

– ვიცი, ზაირა, რაზე მირეკავ – არ დააცალა ზაირას აივანმა – მაგ კუდუნას ისე ამოვიღებ და ამოვძირკვავ, ვერავინ შეატყობს, ახალიც არ მგონია ამოუვიდეს, თუ არა და, აქ არ ვარ? მეორედ კაპიკს აღარ გამოგართმევ.

ზაირა იაბედას მიუბრუნდა:

– იაბედა, არ იწუხო, დედამიწაზე დავბრუნდებით თუ არა, მაგ კუდს მოგაშორებ, უკვე ველაპარაკე ძია აივანს, მანამადე ორმაგად ნაქსოვი ფოხანა ჩაიცვი და არ გამოგიჩნდება.

– ზაირა დეიდა, ეს რა კარგი ნემსი გამიკეთე! მადლობის სიტყვები არ მყოფნის, ბედნიერი ვარ! ამ კუდზე რას დარდობ, იყოს, არაფერს მიშლის, ბავშვობას მომაგონებს. თუ შეიძლება დატოვება, დავიტოვებ, როგორც შენ იტყვი, ისე იქნება. რაღა დაგიმალო და ეს ტრუსიკები, ბიკინები და ნიფხვები სულ არ მაინტერესებს, არ შეიძლება უმაგისოდ?

– არა, არა, წესიერი გოგოები ტიტლიკანები არ დადიან, უნდა შეეგუო!

– და ეს ბიუსტჰალტერიც აუცილებელია?

– კი, რა თქმა უნდა, ხომ იცი, ყველას უკეთია. აი მეც. და ზაირამ თავისი ვარდისფერი ბიუსტჰალტერი დაანახა.

– კარგი, რახან ასეა, მეც თანახმა ვარ!

იაბედას მაგიდაზე მოუნდა ახტომა ძველებურად, მაგრამ მიხვდა, რომ არ გამოუვიდოდა და გადაიფიქრა.

– იაბედა, გინდა სახელი გამოგიცვალო, მაინც ახალ ცხოვრებას იწყებ, ჯობს ქალის სახელი გქონდეს!

– უი, რა კარგია! რას დამარქმევ?

– მე მგონი, იაბედა აღარ უნდა გერქვას, უკვე ადამიანი

ხარ, არ მოგიხდება. რამდენიმე სახლზე ვფიქრობდი, ძალიან მომწონს მაგალითად მზაღო, ეროვნულიცაა და ოდნავ ეგზოტიურიც, ლიტერატურული ელფერი დაჰკრავს... ყაზბეგი, მოხევეები, მაგრამ შენს გვარს არ მოუხდება, შტულცბერგად კი უნდა დარჩე, აუცილებლად, ჰერტა მასწს ვერ გავუტეხავთ სიტყვას, იაც მომწონს, კარგია, სულ გაზაფხულს მომაგონებს, მაგრამ იაბედასთან მექნება ასოციაცია, მე კი მინდა შენი კატობა წარსულს მივცე, მოდი, დაგარქმევ ტერეზას, შტულცბერგს მოუხდება, ევროპელებსაც ჰქვიათ და თბილისშიც ვიცი ერთი ტერეზა, სხვათა შორის, ციტო-გენეტიკოსია, მოხდენილი ქალია, ცუნცულა. აბა როგორია, ტერეზა შტულცბერგი, თბილისელი, ვერელი!

– ქუულ, ჯიგარი ხარ, ზაირა, ჯიგარი! კარგად მოგიფიქრებია, თბილისში რომ ჩავალთ, ჩვენი იადვიგა, რა თქმა უნდა ვერ მიცნობს, არცაა საჭირო, კატაა, რაში სჭირდება იცოდეს, ვინაა ტერეზა შტულცბერგი! ეს ძალიან კარგი, სახელი რომ დამარქვი. მაგრამ თუ არ გეწყინება, იქნებ ჩემი თხოვნა გაითვალისწინო?

– გისმენ, საყვარელო, გისმენ!

– იცი, მახსოვს პატარობისას ჩვენთან ძალიან ლამაზი დეიდა მოდიოდა სტუმრად, დასავლეთში ცხოვრობდა, სულ მეფერებოდა, ვუყვარდი, მეც მიყვარდა, ფოთოლა დეიდა ერქვა სახელად, იქნებ... შეიძლება მეც რომ ფოთოლა ვიყო?

– ფოთოლა? რა თქმა უნდა, რადგან შენ ასე მოგწონს, იყოს, როგორც შენ გაგიხარდება, ამ სახელით აგიღებ ბიომეტრიულ პასპორტს, ჩემო ძვირფასო ფოთოლა!

– დიდი მადლობა, ახლა მინდა ვიცოდე, ვიდრე გავთხოვდები რა უნდა ვაკეთო, სად ვიცხოვრო, სად ვისწავლო, რითი ვჭამო პური! კიდევ თქვენ ხომ არ შეგაწუხებთ.

– ნუ ღელავ, საცხოვრებელს სახელმწიფო მოგცემს, მაინც უნიკალური ხარ და გეკუთვნის, პროფესიასაც შეგირჩევთ, სკოლას ექსტერნად დაამთავრებ და მერე ინსტიტუტში წახვალ, იცი, რა კარგია სტუდენტობა? შენ თვითონ ხომ არ გსურს რაიმე სპეციალობა?

– კი, დეიდა ზაირა, მე მინდა მზვერავი გამოვიდე და სამშობლოს ვემსახურო, ჩემნაირი ლამაზი გოგონები ან მზვერავები არიან ან კონტრდაზვერვაში მუშაობენ, სიამოვნებით ვიმსახურებდი! კინომსახიობობა არ მომწონს, ვიცი როგორ უღირსად იქცევიან, მე ასეთებს არ ვიკადრებ, წესიერი ქალიშვილი ვარ!

– კარგი, მეცოდინება, როგორც კი დავბრუნდებით დედამიწაზე, ყველაფერს მოგიგვარებ, ახლა კი რეფერენდუმს უნდა დაველოდოთ, ხომ ხედავ, რამხელა საქმე ვიტვირთე!

თავი მეთექვსმეტე
რეფერენდუმი

ცნობა, ზაირას ლაბორატორიის კუნძულზე ჩამობრძანებაგანთავსების შესახებ, სწრაფად მოედო მეცხრე კუნძულს. ამით კიდევ ერთხელ გაცხადდა კრუტუნ მეხუთის უკიდეგანო შემწყნარებლობა ყველა კეტმენის აზრის მიმართ, როგორც დემოკრატიის და ტოლერანტობის პირუთვნელი მაგალითი – დაიწყო საყოველთაო სჯა-ბაასი კუნძულელი კეტმენების მომავალი სახეცვლილების შესახებ.

სჯა-ბაასი კონსტიტუციით გათვალისწინებული ფორმატით მიმდინარეობდა – ქვედა დონე-ეშელონებიდან თანდათანობით უმაღლეს დონე-ეშელონებამდე. განმარტებისთვის – სჯა-ბაასს კეტმენები იწყებდნენ საკუთარ თავთან, შემდეგ გადადიოდნენ ოჯახის წევრებთან მოთათბირებაზე, ამას მოჰყვებოდა გარჩევები ჯერ უბნებში, რაიონებში და სოფელ-ქალაქებში, საბოლოოდ კი შეჯერებულ ვარიანტს ამტკიცებდნენ ქალაქის თავები და შეჰქონდათ მეფის კანცელარიაში.

პარალელურად ყალიბდებოდა ორი პარტია სახელწოდებებით „ო, არა” და „დიაღ-დიაღ”. პარტიებს ევალებოდათ საკითხზე ცალსახა პასუხი და წევრების რაოდენობის მითითება. სჯა-ბაასის ორივე მეთოდის შედეგებს დაამუშავებდა სუპერ-ჰიპერ-მეგა ყოვლისმთვლელი კომპიუტერი აისი 5 (IC-5), რომელიც დაისი 5-ის (DIC-5) ბევრად გაუმჯობესებულ მოდელს წარმოადგენდა.

პარტიაში „დიაღ-დიაღ” ყოვლისმომცველი დებატები არ ტარდებოდა, კეტმენები მოკლედ ამბობდნენ თავის სურვილს – მინდა და მინდა...

რაც შეეხება მეორე პარტიას, აქ სრულიად განსხვავებული სიტუაცია იყო. ამის დასადასტურებლად წარმოგიდგენთ ფრაგმენტს პარტია „ო, არა”-ს კრების ამონაწერიდან. სიტყვით გამოდიოდა კუნძულის ჩრდილო რეგიონის აქტივისტი, კონსერვატული პარტიის ვეტერანი ბატონი მიუ-სიუ.

– ძმებო და დებო, ჩვენ ვართ გამორჩეული კუნძულელები

პლანეტაზე, უნიკალურნი, ჯადოსნური ჭადრების წყალობით. რომ არ ყოფილიყო ჭადრები, ვიქნებოდით ისეთივენი, როგორც პლანეტის სხვა კუნძულელი ჰომო საპიენსები, გავითქვიფვებოდით ერთმანეთში, გავიზიარებდით მათი ცხოვრების წესს და ჩავეშვებოდით გარყვნილების სტანდარტულ ჭაობში. ახლა მე თქვენ გეკითხებით, ზაირას ლაბორატორიაში დამზადებული პრეპარატების მიღების შემდეგ, შევინარჩუნებთ კი თითქმის სამასწლიან მორალურ-ზნეობრივ ისტორიას? კრუტუნ პირველი დიდის საფუძველჩაყრილ სახელმწიფოებრიობას, შემწყნარებლობას სხვა ერების და ეროვნებების მიმართ? ხომ არ გადავიქცევით ჩვეულებრივ იმპერიალისტურ ქვეყნად და ნეოკოლონიალიზმის უღლის ქვეშ არ მოვაქცევთ ჩვენი პლანეტის სხვა კუნძულელებს?

მიუ-სიუს პირველი გამოსვლა მეტად ემოციური იყო, თუმცა თავიდან თითქოს არადამაჯერებლად ჟღერდა, მაგრამ შემდგომში თანდათანობით მოხდა მისი მომხრეთა რაოდენობის გაზრდა, რასაც ხელი ზაირას პირველმა ექსპერიმენტმაც შეუწყო. „ო არა” პარტიის წევრებად ანუ არაისტებად უკვე იმდენი კეტმენი გაერთიანდა, რომ მათ „დიად-დიად” პარტიის წევრებს, ანუ დიადისტებს ბევრად გადააჭარბეს. ამის შემდეგ პარტიაში გამოიკვეთა უკიდურესად რეაქციული ფრთა, რომლის ლიდერებმა შექმნეს ფრაქცია „ძირს” და არა მხოლოდ კეტმენებად დარჩენას, არამედ მეფის მმართველობის შეცვლას მოითხოვდნენ. მათი ლოზუნგი იყო – მთელი ძალაუფლება პარლამენტს და მშრომელებს. ისინი გადავიდნენ ღრმა იატაკქვეშეთში, ავლაბარში შექმნეს არალეგალური სტამბა და დაიწყეს მეამბოხე სულისკვეთების გაზეთის „ნაპერწკლის” გამოცემა. ფრაქციამ პარალელურად დაიწყო იარაღის უკანონო გზით შეძენა მეცხრე კუნძულისადმი არამეგობრულად განწყობილი მეოთხე კუნძულის აგრესიული წრეებიდან.

ამ აგრესიული წრეების სანუკვარი ამოცანა იყო, კრუტუნ მეფეების დინასტიის დამხობა, ოღონდ, თვით კეტმენების ხელით. ფრაქციას მიაჩნდა, რომ გამოკეტმენება-გაადამიანების იდეა ზაირასგან მოდიოდა, ამიტომ იგი გამოცხადდა ნომერ პირველ ტერორისტად, რომელსაც მეცნიერ-ქიმიკოსის მანტია ჰქონდა მორგებული. .

* * *

ერთ საღამოს გოგია სახლში მარტო დარჩა, ბავშვები კლასელის დაბადების დღეზე იყვნენ, ზაირა კი ლაბორატორიაში შეფერხდა. გოგია უსაქმოდ იყო და ვერ მიმიმხვდარიყო, რა გაეკეთებინა. უეცრად ხმა ჩაესმა, რომელიც ჯერ გარედან შემოსული ეგონა, შემდეგ მიხვდა, რომ ეს მისი აზრები იყო, ოღონდ ხმიანი. ხმამ კი სამჯერ მონოტონურად გაიმეორა – მახათი, მახათი... უსაქმური... კაცი... გოგია დაფრთხა და დაიბნა, არ იცოდა რა მოემოქმედებინა. ტირილი დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო, ტელეფონის ხმა გაისმა, ზაირა რეკავდა.

– ტკბილო, მოდი საღამო ეგზოტიურ გამოქვაბულში გავატაროთ, 51-ე კვადრატში რომაა განლაგებული. დღეს სარეკლამო ფურცელი მომიტანეს, შესანიშნავი ადგილი ყოფილა, თავი თბილისში გეგონება, პეროვსკაიაზე. ერთ საათში შემოსასვლელთან გელოდები, საყვარელო.

გოგია აპირებდა იმ ჰალუცინაციის თუ რაღაც ჯანდაბის მოყოლას, მაგრამ გადაიფიქრა და უპასუხა:

– მოვდივარ, მოვდივარ, ერთ საათში მანდ ვარ.

კარები გამოხურა, ქუჩაში გავიდა და ტაქსის გაჩერებაზე დაიკავა რიგი. ლოდინმა დიდხანს არ მოუწია, მწვანე ფერის ტაქსში ჩაჯდა და მისამართი უთხრა. ტაქსისტმა თავი მოაბრუნა, ჩაიცინა და უთხრა:

– ვიცი, ზაირასთან გინდა!

– ო, სიდან გაიგე, რა იცი? ვინ გითხრა, რომ ჩემს საყვარელ ზაირასთან მივდივარ ეგზოტიურ გამოქვაბულში გასართობად და დროის გასატარებლად?

– ვიცი, იმიტომ, რომ ეს მე დაგირეკე ზაირას ხმით, ეს მე შევუშვი შენს ტვინში შესაშინებელი შეტყობინებები მახათებზე, მე მართლა ტაქსისტი ხომ არა გგონივარ?

– არა, აღარ მგონიხარ, მაგრამ ვინ ხარ, ვინ, ნუთუ მეცხრე კუნძულზე ასეთი კეტმენებიც არსებობენ, რომლებიც ხალხს ჯერ აშინებენ, შემდეგ კი მწარედ ატყუებენ, სადაა ზაირა! საფრთხე რამე ხომ არ ელოდება?

– ზაირას მალე ნახავ. ეხლა ოფიციალურად ვაცხადებ – თქვენ მოტაცებულ-გატაცებულები ხართ. ეს ჩვეულებრივი ტაქსი არ გეგონოს, მას ყუმბარა გაუმტარი მინები აქვს, კარები კი ისეა ჩარაზული, რომ გადმოხტომაზეც არ იფიქრო, თუმცა რად უნდა გადმოხტე, ხომ გინდა ზაირას ნახვა?

– ეჰ, რას მეკითხები, ჩემზე უკეთ იცი ჩვენი სიყვარულის ამბავი. ახლა მითხარი, ვინ ოხერი ადამიანის გამტაცებელი ხარ და თანამზრახველები თუ გყავს?! – რატომღაც რიხიანად წარმოთქვა გოგიამ, გაახსენდა ბავშვობაში წაკითხული წიგნები, სადაც ეწერა, წამებამდე ვაჟკაცურად უნდა გეჭიროს თავიო.

ტაქსისტმა მიუგო:

– მე ვარ ოპოზიციური არაისტული პარტიის უკიდურესად რეაქციული ფრაქცია „ძირს”-ის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მისანი კეტმენი ანდუყაფარი. მოკლედ გეტყვი ჩვენს პოზიციას: ფრაქციის ამოცანაა კეტმენებად დარჩენა, კონსტიტუციური ცვლილებები, სოციალური საკითხები და სხვა, რომელთაგან უმთავრესის წინააღმდეგ თქვენ ხართ აქ ჩამობრძანებულები. ჩვენ ახლა გამოქვაბულში მივფრინდებით და დანარჩენს იქ მოისმენთ.

მართლაც ტაქსმა თავისი ლამაზი ფრთები გაშალა და ხუთიოდე წუთში გამოქვაბულში შეფრინდა. გამოქვაბულიდან დიდ საკონცერტო დარბაზში გადავიდნენ, რომელიც ფრაქციის წევრებს გაევსოთ და ცისფრად იყო განათებული. კეტმენებს ზაირა ესტრადაზე აეყვანათ და სავარძელში დაესვათ. როგორც გოგიამ პირველივე შეხედვით შეატყო, ზაირა ნაცემ-ნაწამებს არ ჰგავდა, პირიქით, ბედნიერად გამოიყურებოდა, თვალები უჭუჭუნებდა და მომხიბლავად იღიმებოდა.

– მომიწამლეს ამ არაკეტმენებმა, მომიწამლეს ჩემი საყვარელი გოგო! ბაბროვკა ხომ არ დაგალევინეს! – ხმამაღლა გაჰყვიროდა გოგია.

ზაირას გვერდით თვით კომიტეტის თავმჯდომარე ქაიხოსრო იჯდა ტყავის დივანზე. თავმჯდომარემ გოგიას უკმაყოფილოდ შეხედა და უთხრა:

– ნუ სულელობ, გოგია, რაღა დროს საწამლავები და ბაბროვკებია, მეოცე საუკუნე ხომ არ გგონია. ნეიროტროპული ცირკულარული ემისოტრონი და მაგის ჯანი. შეხედე შენს ბედნიერ ცოლს.

ზაირა მართლაც იმდენად იყო გახურებული, რომ გოგიას გარდა ვერაფერს ხედავდა და ამხელა საზოგადოება რომ არა, პირდაპირ კისერზე ჩამოეკიდებოდა საყვარელ ქმარს, მაგრამ საბედნიეროდ, როგორც კახელები იტყვიან, თავკანტროლი ბოლომდე არ დაეკარგა, ალბათ ემისოტრონის ზუსტი დოზირების მეოხებით.

– ახლა გაგაცნობთ ჩვენს მოთხოვნებს – წარმოთქვა მან:

1) გვინდა ათი მილიონი კრუ 100-იანი ბანკნოტებით. მაყუთი გამოქვაბულში უნდა მოიტანოს 52-ე სკოლის ფრიადოსანმა ხუთმა მეათეკლასელმა.

2) უნდა აუნცვათ აქედან თქვენ ლაბორატორიასთან და კუდმოსაკვეთ იაბედასთან ერთად.

– რამდენი? ათი მილიონი? სად ვიშოვო მე ამდენი ფული, აქ მეფის მეტს არავის ვიცნობ! – ყვიროდა გოგია.

– ვიცით ყველაფერი, ჰოდა მეფეს უნდა სთხოვო, თუ არა და, ზაირას სულ დაგიშტერებთ, ქრონიკულ დაუკმაყოფილებლობას შევყრით.

გოგიამ ზაირას შეხედა და მიხვდა, რომ მისი ცოლის მდგომარეობა თვალსა და ხელს შორის მძიმდებოდა.

– ოი, ოი, ამას ვერ გავუძლებ! გაგვიშვით აქედან, დღესვე გადავფრინდებით თბილისში, ჩვენ ჩვენთვის და თქვენ თქვენთვის.

– „გადავფრინდებით" რა ჭკვიანი ხარ! ჩვენ არჩევნების წინ თანხები გვჭირდება, საწვავი, საეთერო დრო, პიარი, ხალხთან მუშაობა, უფულოდ არაფერი გამოვა! ჯერ ფული, შემდეგ გადაფრენა.

გოგიამ ხმა გაკმინდა, იფიქრა, დამთავრდაო ყველაფერი, მაგრამ უეცრად ტელეფონის ხმა გაისმა, რეკავდა კრუტუნ მეხუთე, მისი ხმა მთელ დარბაზში გაისმა.

– საცოდავებო, ტერაქტის ჩატარებაც არ შეგიძლიათ წესიერად! ფულს მიიღებთ, ოღონდ პატივისცემით მოეპყარით სტუმრებს, დააბრუნეთ ბინაზე, ვეჭვობ მათ კუნძულზე დარჩენა ისურვონ!

დარბაზში სიხარულის ყიჟინა დასცხეს:

– ჩვენ ეს გავაკეთეთ! იეს! გაიმოდა ყურისგამხვრეტი სტვენა, რომელიც „ვაუ" - „ვაუ" შეძახილებსაც კი ახშობდა. გამარჯვებულმა და ბედნიერმა არაისტებმა ზაირა და გოგია შინ მიიყვანეს.

ყოფილმა მძევლებმა სახლში იგრძნეს რომ ემისოტრონის მოქმედება კიდევ ორ დღედამეს გაგრძელდა, რამაც გოგიას მთელი წლის ენერგია შეიწირა.

* * *

ამრიგად, ნაშოვნი ფულით ოპოზიცია შეიარაღდა, გაძლიერდა და სამეფო რეალური საფრთხის წინ დადგა. ამ კრიტიკულ ვითარებაში კრუტუნ მეხუთემ ერთადერთი სწორი გადაწ-

ყვეტილება მიიღო – იგი ხალხის წინ გამოვიდა დიდ მიტინგზე, რომლის პირდაპირ ტრანსლაციას მთელი კუნძული ადევნებდა თვალს. მიტინგს ესწრებოდნენ როგორც „არაისტები", ისე „დიადისტები", დაახლოებით ერთი მილიონი კეტმენი.

მეფემ მარჯვენა ასწია და ხალხს მიმართა:

– მე ვერ დავუშვებ დაპირისპირებას და სამოქალაქო ომს, ამისთვის არ დაგვიტოვა ანდერძი კრუტუნ პირველმა დიდმა. ჩავატაროთ სამართლიანი არჩევნები. მოვუწოდებ პანტერვილის ტყეში გახიზნულ კეტმენებს, ჩააბარონ იარაღი! არჩევნებამდე მე გადავდგები, ხალხმა გადაწყვიტოს კუნძულის მომავალი.

გაისმა ტაში.

ამის შემდეგ სიტყვა მიეცა „არაისტების" პარტიის თავმჯდომარეს მიუ-სიუს:

– ამხანაგებო! ძმებო კეტმენებო! მეფევ, ჩვენ გვაქვს სამი მოთხოვნა-წინადადება:

1) დავრჩეთ კეტმენებად.

2) შემოვიღოთ სოციალ-დემოკრატიული საპარლამენტო მონარქია, სადაც პარლამენტს ექნება გადამწყვეტი ხმა, და ბოლოს.

3) მორალ-ზნეობის ტესტები ჩაგვიტარდეს მხოლოდ თვეში ერთხელ, ყოველი თვის ბოლო კვირა დღეს. დავიღალეთ ყოველდღე ტესტების ჩაბარებით და შედეგებზე ნერვიულობით!

ეს იყო პარტიის პროგრამის არსი, ანუ როგორც შემდგომში უწოდეს, მაისის თეზისები. კვლავ გაისმა ტაში. კმაყოფილი კეტმენები დაიშალნენ, მეორე დღეს მათ რეფერენდუმის და არჩევნების ჩატარება ელოდათ.

* * *

არჩევნები ლეგიტიმურად ჩატარდა, მრავალრიცხოვან უცხოელ დამკვირვებლებს უმნიშვნელო დარღვევებიც არ დაუფიქსირებიათ. საღამოს ტელეეკრანზე გამოჩნდა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კეტმენი ჯუმბერი. მოსახლეობა სულმოუთქმელად ელოდა მის სიტყვას. ჯუმბერმა გამოაცხადა:

– ვიცი, ყველას გაინტერესებთ არჩევნების შედეგები, პირდაპირ გადავალ საქმეზე, სხვა საკითხებზე დროს არ დაგაკარგვინებთ. საარჩევნო უბნებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა 99.1%. შედეგი იმავე საღამოს გახდა ცნობილი. კეტმენების 77% -მა მხარი

დაუჭირა „არაისტების“ პარტიას. მათ მოიპოვეს საპარლამენტო უმრავლესობა, გილოცავთ, ამხანაგებო!

ამრიგად, მეორე დღიდანვე კუნძულზე განახლებულმა ცხოვრებამ დაიწყო ჩქეფა. შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული საპარლამენტო მონარქია, პარლამენტის თავმჯდომარე გახდა მიუ-სიუ, მეფედ კვლავ კრუტუნ მეხუთე დარჩა, აბა მეფობაში ვინ შეეცილებოდა! ფრაქციამ „ძირს“ გამოაცხადა თვითლიკვიდაცია და არაისტებში გადაბარგდა. დეკლარირდა დიდი შერიგება. მთელი მოსახლეობა ერთმანეთს ულოცავდა მშვიდობიან დასასრულს, კეტმენმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა. დღის წესრიგში დადგა ზაირას მომავლის მოგვარება.

არაისტებმა ზაირა-გოგიას წყვილის და მათი ოჯახის ბედი ოპერატიულად გადაწყვიტეს. ისინი შვილებთან და ფოთოლასთან ერთად ფართო ადრონულ კოლაიდერში მიიწვიეს, რომელიც შვეიცარიულ დიდ ადრონულ კოლაიდერზე ათჯერ მძლავრი იყო. უახლესი ტექნოლოგიით კეტმენებს დედამიწელების საკუთარ სახლში დაბრუნება შეეძლოთ ყოველგვარი კოსმოსური ხომალდების გარეშე. როგორ? მარტივად, მათი ელემეტარულ ნაწილაკებად დაშლა-გადაწყობა-აწყობის საფუძველზე. ამ ყველაფერს რიჩი-კეტმენის ტექნოლოგიით, რომელიც ყველაზე პროგრესული გახლდათ, ცხრა წუთი სჭირდებოდა. ოჯახმა სიხარულით მიიღო ეს წინადადება, ერთმანეთს ჩაეხუტნენ და კრუტუნ მეფეს მადლობა შესწირეს. შემდეგ ისინი ლიფტის კაბინამ ასი მეტრის სიღრმეზე ჩაიყვანა, როდესაც კაბინიდან გარეთ გამოვიდნენ, კოლაიდერის სპეცბაქანზე აღმოჩნდნენ. ოჯახი იმედით შეჰყურებდა ერთმანეთს, ყველას შინ უნდოდა დაბრუნება. ოპერატორმა ხელსაწყო აამუშავა, ირგვლივ ყველაფერი განათდა და ვარდის სასიამოვნო სურნელმა მოიცვა. ჩვენებურები ზუსტად ცხრა წუთში თბილისში, ვერაზე, საკუთარ სახლში აღმოჩნდნენ.

ბევრ დიაღისტს ზაირას გამგზავრებამ გული დასწყვიტა, მაგრამ რა გაეწყობოდა, შეურიგდნენ ბედს. სწორედ ამ დღეებში დაიწერა სულში ჩამწვდომი ხალხური ლექსები ზაირაზე, მის წამალზე, და, რა თქმა უნდა, ფისო იაბედაზე.

რად მიგვატოვე ზაირა?
რა უყავ ჩვენი წამალი?
ისევ კატებად დაგვტოვე?
ვტირივართ დედა-მამანი!

ჰოი! წამალო-ოცნებავ
ვის გიშხაპუნებს ზაირა?
კეტმენებს შანსი მოგვეცა,
მაგრამ გაგვიქრა იმედი –
არაისტებმა გვაჯობეს
არ გაგვიხარეს შვილები!
იაბედავ, იაბედავ,
ბედნიერო ფისო,
კეტმენების სილამაზევ,
კოხტავ, ანცო, გიჟო!

ხალხური პოეზია მეცხრე კუნძულზე ჩვენგან განსხვავებით სულ სხვანაირად იქმნებოდა. დიდი ცაცხვის წინ ჩაცუცქდებოდნენ პოეზიის მოყვარული კეტმენები, ყველაზე გაბედული ლექსის სათაურს იტყოდა, შემდეგ რიგრიგობით თითო სიტყვას შეაწევდნენ და ბოლო კეტმენი ლექსს კომპიუტერში შეიტანდა. ასეთივე ხერხით იქმნებოდა პოემები და უსათაურო ლექსები, რომლის მაგალითებიც აქ მოვიყვანეთ.

* * *

ასეთი საოცარი მოგზაურობის მიუხედავად, ზაირა-გოგიას და მათ ოჯახს დაღლილობა არ ეტყობოდა. ყველა კარგ ხასიათზე იყო, ბედნიერი მომავლის იმედით იყვნენ ავსებულნი. მხოლოდ ზაირას მოეძალებოდა ხოლმე კაეშანი, იაბედას კუდი გაუჩნდა, კეტმენებმაც ფაქტობრივად უარი უთხრეს. როგორ ხასიათზე შეხვდებოდა მეფე? ძველი დრო რომ ყოფილიყო, მაშინ კაცმა არ იცის, რითი დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ახლა, **დიდი გამონათებიდან** ცხრა თვის შემდეგ, ზაირას თითქოს აღელვების მიზეზი აღარ უნდა ჰქონოდა...

მეორე საღამოს 9 საათზე ზაირა მეფის ბინას მიადგა. მეფეს თავისი სასახლე უკვე კარგა ხნის დატოვებული ჰქონდა, იქ მზრუნველობამოკლებული ბავშვები და მათი აღმზრდელები ცხოვრობდნენ. რევან მეფეს თემქაზე, მეცხრე მიკრორაიონში საკმაოდ იაფად ნაქირავები ჰქონდა სამოთახიანი კუთხის ბინა – 90 კვმ. საცხოვრებელი ფართი, მაღალი ჭერით, ტუალეტი და აბაზანა კაფელ-მეტლახით, ატმორით, ორი აივნით, თითო 9-9 კვმ. იქ გულსუნდასთან და უფლისწულებთან ერთად მშვიდად ცხოვ-

რობდა. კარზე ქაღალდი იყო მიწებებული, რომელზეც ხელით ლამაზად ეწერა – „რევან მეხუთე მეფე სრულიად ევრაზიისა. მიღების საათები ყოველდღე 14-დან 24 საათამდე“.

ბოლო ხანები რევანს უცნაური შეტევა დასჩემდა, რომელიც დაახლოებით ათ წამს გრძელდებოდა. იგი ჯერ ფითრდებოდა, შემდეგ წამოწითლდებოდა, ეჩვენებოდა, თითქოს კვლავ თავის სასახლეში იყო და ტახტზე იჯდა. შეტევის ბოლოს უცნაურად დაბალი ხმით ამოსთქვამდა „უჰ, მაგის“ და შემდეგ თავის საქმიანობას უბრუნდებოდა. ბოლო ხანს შეტევა გაუხშირდა, თითქმის დღეგამოშვებით ემართებოდა, თუმცა ექიმისთვის არ მიუმართავს.

იმ საღამოს, როდესაც ზაირა ჰყავდა დაბარებული, ცუდ ხასიათზე იყო, ყველაფერი ხომ თავისი თვალით ნახა პირდაპირ ეთერში – მისი ექსპერიმენტი კუდმობმული იაბედათი, ამის შემდეგ რეფერენდუმი, ოპოზიციის გამარჯვება. ამ ფიქრებში კარზე კაკუნის ხმა გაისმა, ეს ზაირა იყო.

რევანმა კარი თვითონ გაუღო, გულსუნდა მეზობელთან იყო ასული მერვე სართულზე, ძმრიანი ბადრიჯნის მომზადებაში ეხმარებოდა. მეფემ ზაირა რატომღაც საწოლ ოთახში მიიწვია, თვითონ ფეხზე იდგა, წინ და უკან დადიოდა და წარუმატებელ მისიაზე საუბრობდა საოცრად მშვიდად. ზაირა ჩუმად იყო, გატრუნული თითქოს რაღაცას ელოდა. რევანი ლაპარაკობდა, სულ უფრო და უფრო ხმადაბლა, ბოლოს ზაირას უკან აღმოჩნდა. იგი გაჩუმდა. შეტევა არ მოსვლია, მაგრამ წყნარად ჩაილაპარაკა: „მაგათი დედაც, ყველასი, მომაბეზრეს თავი“ და ხელები ზაირას დეკოლტეში ჩაუცურა...

* * *

მეფის ხელების გულმკერდზე ერთჯერადმა შეხებამ ზაირას თავდაჯერება განუმტკიცა, თანაც ბუნდოვანი ოცნებები აღუძრა. მაინც რაზე ოცნებობდა, რა ფანტაზიები დატრიალდა მის გულში? ცუდი არაფერი იფიქროთ, ზაირა მორალურად მდგრადი გახლდათ, მისი ერთადერთი ლტოლვა და სიყვარული გოგია და ისევ გოგია იყო! მისგან სრულყოფილ და ყოველმხრივ ბედნიერება-კმაყოფილებას გრძნობდა. ხოლო რაც შეეხება ამ ეპიზოდს მეფესთან, ზაირამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მეფის შეხება მისი საქმიანობის მოწონების და პროფესიონალიზმის

აღიარება, მის გულთან და სულთან მისალმება და ჩახუტება იყო მხოლოდ, გულსუნდას კომენტარები კი აბსოლუტურად არაკორექტული ჩანდა. ზაირა საკუთარი თავით ამაყობდა, რადგან დიდი გამონათების შემდეგ მეფეს ასეთი მანერით არსად, არავისთვის გამოუხატავს მსგავსი გრძნობები.

რევანის აბობოქრებულ ვნებათა ვულკანის მოთუხთუხე ლავა გულსუნდას საბოების პაკაპუკის ხმამ გააცივა. გულსუნდას მეზობელთან სამზარეულოში საქმე მოეთავებინა და კმაყოფილი კიბეებზე მოკაკუნებდა. კარი რომ შეაღო, რევანის გაფითრებულ და გაოცებულ სახეს შეეფეთა.

– გულსუნდა, შეენ? აბა ეს ქალი ვინაა? ვაჰმე, რა მჭირს? როგორ ამერია გონება! – წამოიძახა რევანმა.

– ჰო, ჩემო კეთილო, მართლაც აგრევია ჭკუა, პირველ ლედის და ზაირას ერთმანეთში რომ ურევ!

რევანი უცბად დამშვიდდა:

– არა, სასაცილოა, ეს როგორ მომივიდა, მოდი, მაინც ნურავის ვეტყვით, რამე არ დაგვაბრალონ!

– კარგო, დროზე ჩამოვედი, თორემ რა მოხდებოდა, ვინ იცის! რევან, შენ მკურნალობა და დასვენება გჭირდება, ძალიან გადაიღალე, ეს დიდი გამონათებაო, ამდენი მოგზაურობა ამხელა გზებზე, მოდი, გაგიშვებ მინერალურ წყლებზე, კისლავოცკაში, მოგიხდება, ესეთი შეცდომებიც აღარ მოგივა, თუ გინდა, ერთად წავიდეთ!

– რა ჭვიანი ხარ, გულსუნდა, წავიდეთ, დავისვენოთ, ყველას გვჭირდება დასვენება, დიდ ვეზირსაც, აირტონსაც, გოგიასაც და ზაირასაც, ყველამ ბევრი იშრომა.

– ზაირა, იაბედას რა ვუყოთ, ანუ ფოთოლას? – ახლა ზაირას მიმართა მეფემ.

– მას უნდოდა მზვერავი გამოსულიყო, ამიტომ სპეცსკოლაში დაჩქარებულ კურსებზე ვატარეთ. ურანზე ჩასანერგად მოვამზადეთ, ცალკბილა ეფოსთან ერთად, ასე გადაწყდა უშიშროების საბჭოზე, თუ გახსოვთ!

– კი, რა თქმა უნდა, ყველაფერი მახსოვს, ამიტომ დასვენება არ გამოვა, თქვენ რომ ჩემი და მასატურის საიდუმლო მიმოწერები გაიგოთ, გული გაგისკდებათ, მემუქრება ეგ ბებერი მახინჯი. გოგოებო, უშიშროების საბჭოს სხდომაა კვლავ მოსაწვევი, მანამადე ეფოს და ფოთოლას ინფორმაციები ერთად უნდა ვნახოთ.

მეფემ რიგგარეშე და საგანგებო თათბირი მოიწვია. რა საიდ-

უმლო მიმოწერაზე ამბობდა რევანი? ვისაც ეს აინტერესებს, გთავაზობთ ზუსტ ასლებს.

თავი მეჩვიდმეტე
სრულიად საიდუმლო მიმოწერები

პირმოცინარი მასატური – მეფე რევან მეექვსეს

2299 წ. 1 დეკემბერი

ამხანაგო მეფე რევან, მომივიდა ინფორმაცია თქვენს ქვეყანაში ეგრეთ წოდებული გამონათების შესახებ. მე მინდა პირადად თქვენგან გავიგო, რა ხდება მანდ, ნუთუ ეს ყველაფერი სიმართლეა?

რევან მეექვსე – პირმოცინარ მასატურს

2299 წ. 2 დეკემბერი

არაფერი, დიდო მეფევ-თავადო, პირმოცინარო მასატურ, არაფერიც არ ხდება, ყველაფერი ძველებურადაა, რა გითხრეს, რა მოგახსენეს ასეთი? რას ჰქვია გამონათება! აქ როგორც ყოველთვის, დილით თენდება და ნათდება, შემდეგ ბნელდება და ღამდება. ჩანს, მტრები მყავს და ცილს მწამებენ!

პირმოცინარი მასატური – მეფე რევან მეექვსეს

2299 წ. 3 დეკემბერი

კარგი, დაგიჯერებ, მაგრამ, როგორც რონი მეფე იტყოდა, დოვერიაი, ნო პროვერიაი. მე ჩემს მოადგილეებს გამოვგზავნი, სრულუფლებიან წარმომადგენლებს, იგინი ყველაფერს დამიტოჩნებენ!

სრულუფლებიანი წარმომადგენლების ანგარიში

2300 წლის 3 იანვარი

დიდო მეფევ, დიდო მასატურ! ჩვენ ვართ გაოგნებულ-შეშფოთებულები. რევანის სამეფოში პირველად არ ვართ, მაგრამ რაც აქ დღეს ვნახეთ, ვერ დავიჯერეთ, სიზმარში გვეგონა თავი. არა, გარეგნულად თითქოს აქ არაფერი შეცვლილა, იგივე ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ რად გინდა, ქვეყანაში აღმოფხვრილია კორუფცია, უმუშევრობა, ნარკომანია, მრუშობა, ქურდობა-ყაჩაღობა, ღორმუცელობა, მრისხანება და ყველა ის სიკეთე-სიამტკბილობა, რითიც ჩვენ ასე ვამაყობთ! წარმოიდგინეთ, დანგრეულია სასჯელაღსრულების დაწესებულებები, აღარაა სასამართლო და მოსამართლეები, რადგან მოისპო კრიმინალი, დაუჯერებელია და ამ ყველაფერს დიდ გამონათებას ეძახიან! რა გვეშველება? თვითონ რევანი სასახლეში აღარ ცხოვრობს, სამოთახიანი კუთხის ბინა აქვს ნაქირავები დედაქალაქის გარეუბანში, და არის იქ ბედნიერად, თავის გულსუნდასთან და უფლისწულებთან ერთად.

მეფევ ბატონო, რევანი ურცხვად ტყუის, თითქოს აქ დიდი გამონათება არ დაწყებულიყოს, ეშმაკი ეგ! ალბათ გეგმავს ამ ყველაფრის ჩვენს პლანეტაზე გადმოტანას, ეს რომ მოხდეს, დევიღუპებით, მთელი ჩვენი დედა ურანი თავზე დაგვემხობა, ამის გაფიქრებაც გვზარავს!

დიდ გამონათებაში დიდი ალბათობით L პლანეტის მეცხრეკუნძულელი კეტმენები უნდა იყვნენ გარეულები, თუმცა დღესდღეობით, ამის საბუთი არ მოგვეპოვება. ვფიქრობთ ამ მიმართულებით გავაგრძელოთ მუშაობა.

პირმოცინარი მასატური – მეფე რევან მეექვსეს

2300 წ. 10 იანვარი

ტყუილს მოკლე ფეხი აქვს! ჩემმა წარმომადგენლებმა სრული სიმართლე მითხრეს! გირჩევ, აღადგინო ცხრა თვის წინანდელი სტატუს-კვო, პატივი სცე ჩვენს 2262 წლის 3 ივნისის შეთანხმება-ხელშეკრულებას „დესპოტიზმის უკვდავობის შესახებ ჩვენს სამეფოებში“ და 2270 წლის 3 იანვრის ერთობლივ დეკლარაცია-

მანიფესტს „ინტერპლანეტური ბოროტების გალაღების თაობაზე“.

რევან მეექვსე – პირმოცინარ მასატურს

2300 წ. 15 იანვარი

ჩვენო ძველო თანამოაზრევ და ძველო ამხანაგო, ჩვენ დიდი გამონათების მონაპოვარს ვერ შეველევით, გირჩევთ თქვენც შემოგვიერთდეთ. გაცნობებთ: საკითხი ჩვენი სამეფოს ბესაო-ში (ბედნიერ სახელმწიფოთა ორგანიზაცია) შესვლა-გაერთიანების შესახებ უახლოეს ხანში დადებითად გადაწყდება. მოგეხსენებათ, რომ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ჰააგ ეშ ამუნდსენმა განაცხადა „თქვენი სამეფო აუცილებლად შევა ორგანიზაციაში და ამას ხელს ვერავინ შეუშლის“. აი, ასეთია მდგომარეობა, მოდი, დავრჩეთ ძველ მეგობრებად ახალი მენტალიტეტით!

პირმოცინარი მასატური – მეფე რევან მეექვსეს

2300 წ. 15 იანვარი

რევან, რევან, ეს შენ სდებ თავს მორალზე და პატიოსნებაზე, ქიმიკოს-გენეტიკოსს კინაღამ კაბა რომ შემოახიე, რას აპირებდი, გულსუნდა რომ არ გამოჩენილიყო? არა, არა, შენ ისევ ძველი რევანი ხარ, ესეთი მომწონხარ, როგორც ადრე იყავი, ესეთს გცემ პატივს. მოდი დაივიწყე ეს ბედკრული ბესაო, მას დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია, გთხოვ, განვაახლოთ ძველებური ტკბილი ცხოვრება, ჩვენ ყველაფერს დავივიწყებთ და გაპატიებთ. ქვანახშირს, ტორფს, სამშენებლო მასალებს, შოკოლადებს და კაკა-კუილებს, ყველაფერს ორჯერ მეტს გამოგიგზავნით, ჩვენი ცისფერთვალება და ოქროსქოჩრიანი ლამაზი, ტანადი გოგოები კვლავ გაახარებენ თქვენს ბიჭებს. **ნუ შეხვალთ ბესაო-ში!**

რევან მეექვსე – პირმოცინარ მასატურს

2300 წ. 15 იანვარი, საღამოს საათები

არა, არა, არა, ااااا! ჩვენ ჩვენი გზა უკვე ავირჩიეთ, ჩვენ უნდა შევიდეთ ბესაო-ში, სამეფოში ჩატარებული პლებისციტის შედეგებიც ამის დასტურია. ძმაო მასატურ, ორგანიზაციის კარი ღიაა ჩვენთვის. სამეფოს ხალხებს უნდათ გამონათებულად და დემოკრატიულად ცხოვრება, ბესაო-ს სრულუფლებიანი და ღირსეული წევრობა, აი ჩვენი ცხოვრების მიზანი, ჩვენი მომავალი. თქვენც გირჩევთ, დაიწყეთ გამონათება და შემოგვიერთდით!

* * *

ამ წერილის მიღების შემდეგ მასატურს კონვულსიები დაეწყო, აკანკალდა და სახე მოექცა, კალამი მოისროლა, ტელფონი ჩართო და შიგ ისტერიულად ჩაყვირა:

– რევან, შენ უზდელო, შენ! აბსოლიუტურად გაუნათლებელო არაინწილიგენტო, ლილიპუტო! ეს მე მთავაზობ ბესაო-ში შესვლას? მე, ყინვის მეფეს, სადაც ტემპერატურები ცელსიუსის სკალით მინუს 224 გრადუსია და ქარები 240 მეტრი წამში სიჩქარით ქრიან? ვფიცავ ჩემ 27 ბუნებრივ თანამგზავრ-მთვარეს, ჭკვას გასცავლი, დედიკოსაც გიტირებ და ნახე რა მოგივა, მზე დაგიბნელდება. თუ ბიჩი ხარ, მოემზადე ომისთვინ!

იმავე დღეს მასატურმა პოლიტბიუროს კრება ჩაატარა და მინისტრებს განკარგულებები მისცა. ასტრონომიის მინისტრს დაევალა ურანის თანამგზავრების – ბელინდას, როზალინდას და მირანდას ორბიტიდან მოწყვეტის და დედამიწაზე გადაადგილების პროექტის შედგენა. თანამგზავრები უნდა ჩამდგარიყვნენ მზესა და რევანის სამეფოს ანუ ევრაზიას შორის და მუდმივი მზის დაბნელება გამოეწვიათ. თანამგზავრებს არ უნდა ეტრიალათ დედამიწის გარშემო, როგორც ამას მთვარე აკეთებს ხოლმე, არამედ უძრავად უნდა დაკიდებულიყვნენ მითითებულ ადგილას და ნერვები აეშალათ სამეფოში მცხოვრები ხალხისთვის, უკმაყოფილო ხალხს შეიძლება თვითონ ეთქვა უარი დიდ გამონათებაზე და პლებისციტის შედეგების ანულირებაც მოეთხოვათ. აი, მასატურის მზაკვრული ჩანაფიქრი.

გრავიტაციის და სამხედრო მინისტრებს უნდა განეხორციელებინათ მზაკვრული ჩანაფიქრის აღსრულება. მინისტრებმა თავები მორჩილად დახარეს და საქმეს შეუდგნენ. ორ დღეში დავალება შესრულდა. ურანის თავზე სამი მთვარით ნაკლები ანათებდა, ურანელები ვერაფერს მიხვდნენ, სად შეიძლება

გამქრალიყვნენ ისინი, ხალხი ღელავდა. მთავრობა კი რევანის რეაქციას ელოდა და ამიტომ არ ახმაურებდა ომის დაწყებას. აბეზარმა ჟურნალისტებმა თავიანთი მთვარეები მოიკითხეს, მოიძიეს და მიაკვლიეს კიდევაც – ისინი მოწყენილად ეკიდნენ დედამიწაზე, რევანის სამეფოს თავზე და მზეს უბნელებდნენ მშრომელებს. ჟურნალისტებმა ჯერ იფიქრეს, მთვარეები ნამდვილად მასატურმა გაგვიყიდაო, მაგრამ სასოწარკვეთილ დედამიწელებს რომ შეხედეს, მიხვდნენ, რომ ეს არასწორი აზრი იყო. ურანის თანამგზავრებს დედამიწის მთვარის გვერდით რომ ემოძრავათ და ღამის ცა გაელამაზებინათ, კიდევ ჰო, მაგრამ საქმე ნამდვილად სხვანაირად გახლდათ, აქ რაღაც საშინელება იმალებოდა.

ამ დაძაბულ დღეებში გაზეთში „ურანის ხმა“ გამოქვეყნდა ღვაწლმოსილი ჟურნალისტების დატოჩელლოს და კურც გურამბუს სტატია „სად წავიდნენ ჩვენი საყვარელი თანამგზავრები ანუ ომი ხომ არ დეიწყო?“ სტატიას დიდი რეზონანსი მოჰყვა, ურანელები შეშფოთდნენ, ყველას აწუხებდა გაურკვევლობა, რა ხდება ჩვენს თავს, რა! ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

იმავე საღამოს სამთავრობო ტელევიზიით ხალხის წინ მასატურ მეფე გამოვიდა:

– საყვარელო ურანელებო, ჩვენს ქვეყანას დიდი საფრთხე ემუქრება. მეფე რევანმა გვიღალატა. ამიტომ რევანი კაცი არაა, ნადირი არის ტყისაო... დიახ, მან ფეხქვეშ გათელა ჩვენი სამასწლიანი ძმობა და თანამშრომლობა, ტერიტორიების მითვისებაში რომ ვეხმარებოდით, კარგი იყო? ახლა რევანმა გამოაცხადა დიდი გამონათება, ესე იგი, მოსპო ქეიფი და დროსტარება ანუ ღვინო და დუდუკი, აკრძალა სადღეგრძელოები. მრუშობასთან ბრძოლის საბაბით შეავიწროვა და გაანადგურა თავისუფალი სიყვარული, დაანგრია ციხეები, ყველაფერი ღირებული მოაშთო და ახლა კი გამონათება-რევოლუციის ექსპორტს აპირებს ჩვენს საყვარელ ურანზე. უქმად ყოფნა დანაშაულის ტოლფასია. ჩვენ უკვე დავიწყეთ აქტიური მოქმედებები, როგორც შეატყეთ, საყვარელი თანამგზავრები ბელინდა, როზალინდა და მირანდა რევანის სამეფოს თავზე ჩამოვკიდეთ და მზე დავუბნელეთ მოღალატეს. ახლა ჭრან ხე-ტყე და ანთონ ნავთის ლამფები, მაგ ბნელებმა მაგათ! იქნებ მოვიდნენ ჭკუაზე!

ჩვენ ვაცხადებთ სრულ და საყოველთაო მობილიზაციას, არმიაში გავიწვევთ 16-დან 85 წლამდე ასაკის მამაკაცებს, დედაკაცებს და ქალაბიჭებს, როგორც თეთრკანიანებს, ისე ყვითელ და ლურ-

ჯკანიანებს, მთელ ურანის მოსახლეობას. ამრიგად, დღეის იქით თქვენ ყველანი სამხედროები ხართ, ნაწილი კვლავ იმუშავებს თავის პოსტზე, ნაწილს შევატყობინებთ, რა უნდა გააკეთონ. ვინაიდან არის ომი, თქვენი ხელფასი განახევრდება რევანის საბოლოო განადგურებამდე, ანუ ომის დამთავრებამდე. ახლა მე მივდივარ, თათბირი მაქვს გენშტაბში. აბა, კარგად იყავით, ჩაო, ჩვენ გავიმარჯვებთ!

ვინ იყვნენ და საიდან მოვიდნენ ურანელები ამის გასახსენებლად ისტორიის სახელმძღვანელოში ჩავიხედოთ.

ცოტა რამ ისტორიიდან

ოცდამეერთე საუკუნის დედამიწელებისთვის ურანის დღევანდელი მაცხოვრებლების არსებობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი, მაშინ ურანი, ისე როგორც სხვა პლანეტები, სიცოცხლისთვის უვარგისი ეგონათ. კაცობრიობას, ისევე, როგორც ცალკეულ ადამიანს, ახასიათებს ცდომილებები, ანუ არასწორი ცოდნა, შეცდომები, რომელიც, სამწუხაროდ, თაობიდან თაობას გადაეცემა როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტება. ასე იყო მაგალითად საკითხი მზის ბრუნვის შესახებ დედამიწის გარშემო. ეს ფაქტი ისეთი უეჭველი ეგონათ, არავის აზრადაც არ მოსდიოდა საპირისპირო ეფიქრა. ასე მოხდა ურანის შემთხვევაშიც, იგი დიდხანს განიხილებოდა, როგორც ცივი და ქარიან-გრიგალიანი პლანეტა, სადაც სიცოცხლეს არანაირი ფორმით არ შეეძლო არსებობა. მაგრამ 300 წლის შემდეგ სრულიად საპირისპირო და საოცარი რამ გაირკვა – ურანი დასახლებული ყოფილა და სიცოცხლე პირდაპირ ადამიანების გაჩენით დაიწყო, განსხვავებით დედამიწისგან, სადაც ადამიანის შექმნას წინ ფლორის და ფაუნის შექმნა უძღოდა. საიდან მოხვდნენ ურანელები ურანზე? დღეს ეს ისტორია ყველა სკოლის მისწავლემ იცის. ამბავი კი თავისთავად მეტად საინტერესო და ჭკუის სასწავლია.

როდესაც კოლუმბის გემები ამერიკის კონტინენტს უახლოვდებოდნენ, მეოთხე გემის „სანტა ლუჩია დე ოსასუნას“ კაპიტანმა დიეგო არმანდო იდალგო ფუენტეს დე ლოს ლანოსმა იმეტიჩრა და პირველმა მოინდომა ამერიკის მიწა-წყალზე ფეხის დადგმა. იგი რაციით შეეხმიანა ქრისტეფორე კოლუმბს და თვალთმაქ-

ცურად სთხოვა, ნება დაერთო მისთვის, კურსიდან გადაეხვია ჩრდილო-დასავლეთით და ბერმუდის სამკუთხედში გაევლო აღმოსავლეთის კუთხის ბისექტრისის მიმართულებით. რა თქმა უნდა, მაშინ არავინ იცოდა ბერმუდის სამკუთხედის შესახებ, გაზეთები მხოლოდ თბილისში დასაპროექტებელ ცალმხრივი მოძრაობის სამკუთხედზე ლაპარაკობდნენ და იმის გამოცნობაში იყვნენ, როდის შეისხავდა ხორცს ეს დიდებული პროექტი. ბერმუდის სამკუთხედი კი არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელი მას ჯერ არ ერქვა. კოლუმბი გაოცდა და დიეგოს უპასუხა:

– დიეგო, აბა რას ლაპარაკობ, რას ჰქვია ბერმუდის სამკუთხედი, რად უნდა გადაუხვიო კურსს, რა სისულელეა, მომყევი უკან და რაღაცას ნუ იგონებ, თუ ძმა ხარ!

– არა კოლუმბო, სამკუთხედი არსებობს, შეიძლება ბერმუდის არც ჰქვია, ეს უბრალოდ ჩემი ფანტაზიაა. კურსს გადავუხვევ, სულ რაღაც ერთი გრადუსით გავცურავთ მარჯვნივ, აქედან ლამაზი ხედია, მერე ისევ უკან ჩაგიდგები კვალში!

– კარგი, ჯანდაბას შენი ეშმაკები, ძალიან ნუ გაუტევ, დროზე დაბრუნდი და გამომყევი – უპასუხა ქრისტეფორემ. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ დიეგოს გულში ღალატი ედო და ამერიკის აღმოჩენას აპირებდა!

დიეგომ როგორც კი ნებართვა მიიღო, წამსვე საჭე მარჯვნივ მიაბრუნა, ეჩქარებოდა გულისწადილის ასრულება. ამის შემდეგ არც დიეგოს გემი, არც ეკიპაჟი არავის უნახავს. სად წავიდნენ ისინი? ამ კითხვას აქვს ერთადერთი და ცალსახა პასუხი – ატლანტიდაში! რა თქმა უნდა – ბერმუდის სამკუთხედი, ატლანტის ოკეანე, ჩაძირული მატერიკი ატლანტიდა, აბა სხვაგან სად გაქრებოდნენ? გემის კაპიტანი და მისი ეკიპაჟი ატლანტების მეფის მისაღებ ოთახში აღმოჩნდნენ.

მოგზაურებს ატლანტთა მეფე ჯამ-ლეტი გულღიად შეეგება: – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პატივცემულო სტუმრებო ჩვენს მატერიკზე, მიხარია, რომ ბედისწერამ ჩვენსკენ გადმოგაგდოთ. იცხოვრეთ და იხარეთ ჩვენთან ერთად. თქვენს ეკიპაჟში მე ვხედავ ბანოვან ქალბატონებსაც და მონა ქალებსაც, ასევე ძლიერ ვაჟკაცებს, ეს საშუალებას მოგცემთ სწრაფად გამრავლდეთ და პლანეტა ურანი სრულფასოვნად აითვისოთ. გადაპორტირება და აუცილებელი აპარატურა ჩვენზე იყოს, ყველაფრით დაგეხმარებით!

დიეგომ ამის გაგონებაზე მეფეს შესძახა:

– რა ურანი, რა ათვისება, რა გამრავლება! ჩვენ ამერიკის აღმოსაჩენად მივემგზავრებით, ძალიან გთხოვთ, გაგვიშვით, ჩვენ საქმეს მივხედავთ.

– მოსვლა თქვენი საქმე იყო, გაშვება – ჩვენი. საბედნიეროდ, ვერსადაც ვერ წახვალთ, ამერიკას უთქვენოდაც აღმოაჩენენ, თქვენ წილად გხვდათ ბედნიერება, გახდეთ ურანის ამთვისებლები. მთელი პლანეტა თქვენი იქნება, ვერ ხვდებით, რა პერსპექტივაა, მთელი პლანეტა!

– რა, იქ არავინ ცხოვრობს? თუ საომრად გვიშვებთ, გვითხარით, რა ხდება ჩვენს თავს.

– არავითარი ომი, იქ მშვიდობიანი ხალხი ცხოვრობს, ოღონდ უჭირთ ეკონომიურად, ყოველ დღე მიგზავნიან წერილებს, გამოგზავნეთ დამხმარეებიო. დენი არა, გაზი არა, წყალი – გრაფიკით, ერთი სიტყვით, გაიტანჯა მოსახლეობა, საცოდავი მთავრობა, გაღლეტილი ბიუჯეტი, ხელფასებსაც ვერ უხდიან მშრომელებს!

– დიდია ურანის სამეფო, რამდენია მოსახლეობა?

– ათასი კაცი, აქედან შვიდასი ბომჟი, ორასი მუშა-მოსამსახურე და ასი მინისტრ-პარლამენტარი. აი, მაგათი სამეფო.

– ჩვენ რა უნდა მოვიმოქმედოთ?

– ეს ყველაფერი მე უკვე გაწერილი მაქვს პუნქტობრივად. თქვენ, როგორც კი ჩახვალთ, შეერევით ადგილობრივებს და იწყებთ ინტენსიურ გამრავლებას. სამიზნე ციფრი არის ცხრა მილიარდი მოსახლე, კარგი მუშაობის შემთხვევაში, ყველაფერს ას წელიწადში მიაღწევთ, მანამდე ნერგავთ უახლეს ტექნოლოგიებს, ააწყობთ ბირთვულ რეაქტორებს, სითბოს და სინათლეს მისცემთ პლანეტას, გამოიყენებთ მოწინავე ნანოტექნოლოგიებს, ფართო გზას მისცემთ გენურ ინჟინერიას.

– ვიშ, რა კარგია! ესე იგი, ჩვენ ურანს ავაყვავებთ, აღარც ამერიკის აღმოჩენა გვინდა, და მგონი აღარც დედამიწა დაგვჭირდება, იქ მეფეები ჩვენ გავხდებით!

– კი, რა თქმა უნდა, ოღონდ ერთი გაფრთხილება – არასდროს უღალატოთ დემოკრატიას, მორალ-ზნეობას, დაიცავით ადამიანის უმთავრესი უფლებები და თავისუფლებები, პატივი ეცით გაეროს დეკლარაციებს!

– რა თქმა უნდა, ძვირფასო ჯამ-ლეტ, ჩვენ დაგეგმილ კურსს არ გადავუხვევთ. დღესვე შევუდგებით გზას!

დიეგო და მისი ეკიპაჟი, ხუთასი ადამიანი, პირველ მოადგილე მისტერ არტურთან ერთად მეორე დღესვე შეუდგნენ ატლანტთა

მეფის გაკარგულებების შესრულებას. ოცი წლის შემდეგ პლანეტას ვეღარ იცნობდით, დაეტყო დედამიწელების ხელი, მაგრამ მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, დიეგოს ცათამბჯენის მშენებლობიდან ჩამოვარდნილი აგური თავზე დაეცა, საუბედუროდ იმ დღეს დამცავი ჩაფხუტის დახურვა დავიწყებოდა, დიეგო დაიღუპა, მისი ადგილი მისტერ არტურმა დაიკავა და იგი გახდა ურანის ერთპიროვნული მმართველი. ბოროტი ენები ამბობდნენ, მისტერ არტურმა აგურის მოძრაობა შენიშნა, მაგრამ ხელი არ გაატოკაო, ზოგი იმასაც ამბობდა, აგური ჩუმად თვითონ გადმოაგდოო. ასე იყო, თუ ისე, ურანზე დამყარდა მისტერ არტურის, ანუ როგორც შემდგომში დაირქვა, მასატურის მრავალსაუკუნოვანი დიქტატურა. დიეგოს დაკრძალვაზე, სასაფლაოდან მობრუნებულ მასატურს დღეგრძელობის ვირუსი შეეყარა, არ იმკურნალა და აი, უკვე ექვსას წელს უკაკუნებდა. მისი ცხოვრების დროს მრავალი თაობა აღესრულა, ზოგი ისტორიკოსი მას უკვდავსაც უწოდებდა, თუმცა მასატურმა თავისთვის ტიტული პირმოცინარი მოიგონა და ამით ამაყობდა. პირმოცინარი დესპოტი, აი, ვინ იყო იგი სინამდვილეში! ურანელები ცუდი კლიმატის გამო დიდი სილამაზით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ მეფემ სიმახინჯეში ყველა თავის ქვეშევრდომს, ერთად აღებულს, ბევრად გადააჭარბა – წარმოიდგინეთ გადაბეხრეკებული შიმპანზე, მუმიის ელფერით, ბუკიოტის სულისკვეთებით და მსოფლიოს მპყრობლის პრეტენზიით. მისი შეხედვა და თვალის გასწორება ყველაზე გულად ურანელებსაც უჭირდათ.

* * *

... ცალკბილა ეფოს და ფოთოლას ურანზე ჩანერგვა მაღალპროფესიულად და უპრობლემოდ მოხდა. ურანი ცივი პლანეტა იყო, ამიტომ გონიერმა ქალებმა, ვიდრე სახლიდან გამოვიდოდნენ, სისხლში გასარევი უმაღლესი ხარისხის ორგანული გერმანული წარმოების მწვანე ანტიფრიზი შეიშხაპუნეს ვენებში.

ჩვენი მზვერავები ერთმანეთს იუპიტერის თანამგზავრ განიმედზე შეხვდნენ, სწორედ იმ სოფელთან, სადაც სომეხ მეცნიერთა ისტორიული არქეოლოგიური გათხრები კვლავ გრძელდებოდა. რატომ მაინცდამაინც განიმედზე? იმიტომ, რომ ამ ადგილას შეხვედრა პრესტიჟულად ითვლებოდა, იგი უდიდესი თანამგზავრი იყო მზის სისტემაში, ჩვენებურ მთვარეზე ორჯერ

მძიმე, ზომებით პლანეტა მერკურსაც აღემატებოდა, აქ შეყვარებულებიც ისვენებდნენ, მოსწონდათ პოლარული ციალის მზერა. განიმედზე დიდხანს შეჩერება არ იყო დაგეგმილი, ერთმანეთის მოკითხვის, სალამ-ქალამის შემდეგ, მზვერავები მდელოზე ჩაიცუცქნენ და გეგმები დაალაგეს.

ასაკისა და გამოცდილების მიხედვით ჯგუფის უფროსად ეფო დაინიშნა. ფოთოლას დედამიწიდან წამოღებული ჰქონდა ორი შპრიცი – ერთი გამზადებული GAMOK-96 -ის 5%-იანი 10 მლ ხსნარით (მას GAMOK-69-ის საპირისპირო მოქმედება ჰქონდა), მეორე შპრიცში კი ჩვენთვის კარგად ცნობილი GAMOK-69-ის იგივე კონცენტრაციის ხსნარი, აგრეთვე ჭყინტი ყველი, ერთი სადგისი და ნაცარი პატარა ცელოფანის პარკით. ეფო კი შეიარაღებული იყო კოსმოსელი მზვერავის ულტრათანამედროვე სრული აღჭურვილობით – spion.ru-თი.

განიმედზე ჩინებული ამინდი იდგა, ცაზე იუპიტერი კაშკაშებდა, მისი ბუნებრივი თანამგზავრები – ოქროსფერი იო, ცისფერ-მონაცრისფრო ევროპა და იისფერ-ზურმუხტისფერი კალისტო მოხდენილად ცურავდნენ ღრუბლებში. ეფომ ტელეპორტაციული მოწყობილობა ჩართო და ისინი მყისიერად ურანის ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის რემბო მუსტაფას საცხოვრებელი სასახლის აბაზანაში აღმოჩნდნენ. მინისტრი ბერბიჭა იყო და თავის საყვარელ ფისოსთან ერთად ცხოვრობდა, მას დედ-მამა ადრე მოუკვდა და გზა ცხოვრებაში თვითონ გაიკაფა, მუჯლუგუნების გამოყენებით. როგორც კი რემბო მუსტაფა აბაზანაში შევიდა, ფოთოლამ თვალებში ნაცარი შეაყარა და სადგისი ბარძაყში ჩაასო. სასოწარკვეთილმა მინისტრმა დაიყმუვლა და მაშინვე დანებდა მამაც მზვერავებს.

– ბატონო მინისტრო – უთხრა ეფომ მინისტრს, ჩვენ ვიცით, რომ გენშტაბის საგანგებო სხდომაზე მიგეჩქარება, სადაც დედამიწის დაპყრობის გეგმა უნდა მოისმინო მხედარ მინისტრ სარდიონისაგან, მაგრამ ამას ვერ ეღირსები, შინ დარჩები.

– არა, რომ არ მივიდე და გავაცდინო, პირმოცინარი მასატური თოკზე ჩამომკიდებს კვერცხებით, მერე შვილები აღარ მეყოლება! ასე იცის მაგან, რამდენი მინისტრი ჰყავს გამწარებული!

– ნუ გეშინია, შენს მაგივრად მე წავალ და გადარჩები.

– როგორ, ეფო, რას ნიშნავს ჩემს მაგივრად, ხომ მიხვდებიან, რომ მე არა ვარ! არ გამოვა ესე, გამიშვით და რომ დავბრუნდები, ყველაფერს წვრილად მოგიყვებით, გპირდებით!

– არა, მოდალატეებს არ ვენდობით, მე შენს სხეულში ჩავინერგები, შენ კი დროებით შენი საყვარელი ფისო იქნები, მერე ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება.

– ზნაჩიტ, რა გამოვა, მე ვიქნები ჩემი ფისო, შენ გახდები მე, ანუ რემბო მუსტაფა და მერე სხდომა რო დამთავრდება – პირიქით, ხომ? დაიცა, ცოტა დავფიქრდე, რამეში არ შევცდე.

– რა უნდა შეცდე, ყველაფერს ჩვენ ვწყვეტთ, შენ არაფერს გეკითხებით, ძმაო!

– კი მარა, ფოთოლა, ის რას გააკეთებს? მაგას ხო იცნობენ! ე, დაგერხათ გოგოებო! – შვებით წამოიძახა მინისტრმა.

– ვაჰ, შენნაირებს მინისტრად როგორ ნიშნავენ, პატარა ტვინის განძრევა არ შეგიძლია. ფოთოლა დროებით ფისო იაბედა გახდება, გაიგე? იქ შენ ყოველთვის ფისოთი დადიხარ ხოლმე.

– მართალია, მართალი, ერთად დავდივართ. ეს როგორ მოიფიქრეთ, ან რანაირად გააკეთებთ ასეთ კომბინაციას?

– შენ ნუ სწუხარ, ყველაფერს ნახავ, ოღონდ ფრთხილად იყავი, ვინმე ძაღლუკამ არ შეგაშინოს, როცა ფისო იქნები.

– კარგი, მეტი რა გზაა, ყველა კარს დავკეტავ, მართლაც მეზობლის ძაღლი არ შემოვიდეს, მერე მომაკითხეთ რა, არ დამტოვოთ ასე კატად!

აქ ეფომ ლაპარაკი შეწყვიტა და საქმეზე გადავიდა. დიპლომატიდან ექსტრაკორპორალური ანიმ-ტრანსფორმატორი ამოიღო და მინისტრის საუბედუროდ ტოლფერდა სამკუთხედი შეკრა, ერთი წვერი მას შეახო, მეორე მის საყვარელ ფისოს, მესამე კი თვითონ მიიერთა ყრონტთან. ამის შემდეგ ეფომ წინა პანელზე წითელ ღილაკს თითი დააჭირა და აპარატმა მუშაობა დაიწყო, იგი უხმოდ ირჯებოდა, სამ წუთში გადაქაჩვა დამთავრდა და აპარატი ავტომატურად გამოირთო. ყველაფერი წარმატებით განხორციელდა, ეფოს გონი რემბოს სხეულში გადავიდა, რემბოსი – ფისუნიასში, ხოლო ფისუნიასი კი ეფოს სხეულში. ასეთი მანიპულაციებით ყველაზე ნასიამოვნები, რა თქმა უნდა, ფისო აღმოჩნდა, ყველაზე უბედური – რემბო მუსტაფა.

ამასობაში ფოთოლამ მარცხენა მკლავზე ცხვირსახოცი გადაიჭირა, წვერები კბილებით შეკრა, მარჯვენით ვენაში GAMOK-96-ის 10 მილილიტრი სწრაფად შეიყვანა და სიამოვნებისგან თვალები მოჭუტა. ორიოდე წუთში ფოთოლასგან მხოლოდ ფისო იაბედა დარჩა. იგი გრაციოზულად გაიზმორა და რემბო მუსტაფას სხეულში მოყუჩებულ ეფო ბებიას მკერდზე შეახტა.

ერთ საათში ჩვენი თავგადადებული მზვერავები უკვე საბჭოს

სხდომაზე ისხდნენ. საბჭოს წევრებისთვის რემბო მუსტაფას ფისოსთან ერთად გამოჩენა უკვე ჩვეული მოვლენა იყო, მასატურიც ამას უპრობლემოდ ღებულობდა. ეკონომიკის მინისტრს ყველა მოწიწებით ეპყრობოდა და პატივს სცემდა, ვინაიდან საკუთარი ხელფასის შემცირება არავის ხიბლავდა, ამის გაკეთება კი მინისტრს ნამდვილად ხელეწიფებოდა, ისევე როგორც მომატება. რემბო მუსტაფაც სიამოვნებით სარგებლობდა ამ პრივილეგიით.

თავი მეთვრამეტე
ამონაწერი ურანის პოლიტბიუროს გენშტაბის საგანგებო სხდომიდან. ომის დამთავრება

2300 წ. 25 იანვარი

სხდომას ესწრებოდა 15 მუდმივი წევრი და 2 მოწვეული სპეცსტუმარი. კრების თავმჯდომარე იყო თვით მეფე, პირმოცინარი მასატური. მდივანი – ვიცე-პოლკოვნიკი ელელა ალალო.

სიტყვით გამოვიდა გენშტაბის უფროსი და მხედარ-მინისტრი, გენერალ-მარშალი სარდიონი:

– დიდო მეფეო, საყვარელო მასატურ. მოგახსენებთ, რომ ბელინდას, როზალინდას და მირანდას რევანის სამეფოს თავზე ჩამოკიდების ოპერაცია წარმატებით დამთავრდა! ერთი ნახეთ, რა დღეში არიან რევანისტები, მთელი ქვეყანა პანიკაშია, ხე-ტყე უთავდებათ, ნავთის მარაგიც არა აქვთ ნამეტნავად სამყოფი. ჩვენ შემუშავებული გვაქვს დესანტის გადმოსხმის გეგმა. მოგახსენებთ დაწვრილებით ყველაფერს. მობილიზებული გვყავს ათას-ათასკაციანი ოთხი ჯგუფი, რომელიც შედგება ელიტური ჯადოსან-მისან მედესანტეებისგან. ჯგუფები განთავსდებიან რევანის სამეფოს ოთხივე უკიდურეს წერტილებში – დასავლეთით აზორის კუნძულებზე, ჩრდილოეთით – ფრანც-იოსების მიწაზე, სამხრეთით – ქოქოსის კუნძულებზე და აღმოსავლეთით – ბერინგის სრუტეში, დიომიდეს კუნძულზე. ამრიგად, ჩვენ ევრაზიას მოვაქცევთ მისანთა ალყაში.

მისნებს ეხურებათ უჩინ-მაჩინის ქუდები და თავისუფლად იმოძრავებენ, მანამადე კი რევანს ყველა ელექტრონულ დეტექტორს გამოვურთავთ და იგი მისნების პოვნას ვერ მოახერხებს.

რაც შეეხება ქუდებს, თუ გახსოვთ, ისინი ლესელიძეზე შევაკერინეთ ამ ორასი წლის წინ და შავი დღისთვის ვინახავდით. როგორც კი მოხდება მისნების რეკოგნოსცირება ადგილებზე, ჩემი ბრძანებისთანავე, ოთხივე ჯგუფი მოსახლეობის ტვინში ერთდროულად გააგზავნის წერტილოვან შეტყობინებებს β სიხშირის რიტმზე ისეთი მანერით, რომ მათ ყველა გზავნილი აზრი საკუთარი ეგონებათ. ბაზისური შეტყობინებები იქნება:

1. ურანი და მასატურ მეფე კეთილები არიან და საყვარლები;
2. რევან მეფე ცუდია და ქიხია და ლილიპუტია კიდევ;
3. ჩვენ გვინდა მასატურის მფარველობა, არ გვინდა დიდი გამონათება.

ამის შემდეგ რევანის სამეფო დაირაზმება, მოხდება დიდი იანვრის რევოლუცია, რევანს გადააგდებენ და ურანის ლოიალურ მთავრობას დასვამენ, ბესაო კი არავის ემახსოვრება.

ჩვენ ამას არ დავჯერდებით და გამოვიყენებთ საპლანეტთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალულ ბაქტერიოლოგიურ იარაღს – აქ სარდიონმა ხმას დაუწია და თითქმის ჩურჩულით განაგრძო – ჩვენ რევანისტებს დავასნევობნებთ ერთდროულად სამი ვენერული დაავადებით – სიფილისტით, შიდით (აქ აღელვებულ სარდიონს ქართული სიტყვა შიდსი და რუსული спид -ი ერთმანეთში აერია და ახალი სიტყვა გამოუვიდა) და, რა თქმა უნდა, გონორეით. ისინი ავად გახდებიან ყოველგვარი სქესობრივი კონტაქტების გარეშე. როგორ? იკითხავთ თქვენ. ჩვენმა სასიქადულო მიკრობიოლოგებმა ამ დაავადებათა გამომწვევი მიკრობები შეაჯვარეს ჩიტის გრიპის ვირუსს, ამიტომ დაავადება გავრცელდება ჰაერწვეთოვანი გზით. მტერი ორმაგ ზარალს მიიღებს, ჯერ ერთი – ეჭვიანობის ნიადაგზე დაინგრევა ოჯახები, მეორე – დაავადების გამომწვევი რეზისტენტული იქნება დედამიწაზე არსებული ყველა ანტიბიოტიკის მიმართ. ამიტომ ჩვენს მტრებს თავიდანვე დაემართებათ სიფილისტის ბოლო სტადია, დასძვრებათ ცხვირები და სხეულის ზოგიერთი პიკანტური ნაწილები! ჰა, ჰა, ჰა... – ამაყად ჩაიხითხითა მინისტრმა.

– და ეს კიდევ არაა ყველაფერი, განაგრძობდა აზარტში შესული სარდიონი. საქმეში ჩაერევა ცეცხლმსროლელი იარაღი, რომელიც აგრეთვე აკრძალულია, თუმცა ჩვენ ამას ფეხებზე დავიკიდებთ! ვინაა ხმის ამომღები, მაგნებს მხოლოდ ლაპარაკი შეუძლიათ. ბესაო უძლურთა კრებულია! დედამიწის მთვარეზე განვალაგებთ სწორედ ამ აკრძალულ ფოტონურ იარაღს,

წყალბად-ატომურ-ნეიტრონულ ბომბებთან ერთად. მასატურ მეფის პირველივე ბრძანებისთანავე ბომბებს სეტყვასავით თავზე დავაყრით რევანისტებს და მათ ქვეყანას ნაცარტუტად ვაქცევთ. ნაცარტუტად ქცევის შემდეგ, ჩვენ იქ განვალაგებთ ოთხ მილიონ ურანელ მშვიდობისმყოფელ ჯარისკაცს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც იქ მშვიდობას დაიცავენ!

პოლიტბიუროს გენშტაბის სხდომის დამთავრებისთანავე მთავრობის წევრები დაიშალნენ და თავიანთ საქმეებზე დაიწყეს ფიქრი. სარდიონის ჰეროიკული სიტყვა კვლავ მსმენელთა ყურებში ტრიალებდა და გონებას ტკბილ ფანტაზიებს აღუძრავდა – რევანის დამხობა, დედამიწაზე გაბატონება, ფოტონური იარაღის ბრძოლაში შემოწმება – ცხადი იყო თუ სიზმარი, ვედარც გაეგოთ.

* * *

... როგორც კი სარდიონმა ლაპარაკი დაიწყო, ეფომ წამსვე რემბო მუსტაფას მარცხენა ხელის გრძელფრჩხილიანი ნეკა თითი ანტენასავით გაჭიმა და ორატორისკენ მიმართა.

დედამიწაზე ჩართვა მყისიერად მოხდა, რევანის ოთახში მსხდომი უშიშროების საბჭოს წევრები ეკრანს შესცქეროდნენ და პერიოდულად კომენტარებს აკეთებდნენ:

– გესმით, რას ამბობს, რა გვეშველება? – შეშინებულმა წამოიძახა გაიოზიკმა.

– უმაღლესი ხარისხის სიგნალია, ყოჩაღ ეფო! ძლიერი ხარ! – აღტაცებულმა წარმოთქვა აირტონმა.

– უი, იაბედა, – სიხარულისგან აცმუკუნდა ზაირა, – საყვარელი, როგორ წარმოვიდგენდი ურანზე თუ გავამგზავრებდით მზვერავად, ჩემი ენაჭარტალა, როგორაა გატრუნული, უყურეთ, ისე იქცევა, ყველას მინისტრის კატა ჰგონია, თვალებიც როგორ მილულა მაგ ეშმაკმა, თვალის ფერმა რომ არ გასცეს.

– არა მგონია, ვინმეს იაბედასთვის ეცალოს, ვერ ხედავთ, როგორ არიან აწრიალებულები და გამძვინვარებულები. ერთი სული აქვთ, როდის დაგვარტყან! – დაიძახა ზაური მინისტრი.

ჩართვა დამთავრდა. ჩამოვარდა სიჩუმე. მეფე წამოდგა. იგი შინაგანად აღგზნებული იყო, მაგრამ უშფოთველი და წყნარი ხმა ჰქონდა. მსმენელები დამშვიდდნენ.

– ძმანო, დაო ზაირა! საპანიკო არაფერია. სიტუაციას ვაკონ-

ტროლებთ, რადგან ძვირფასი ინფორმაცია უკვე ჩვენს ხელთაა. ვიცით მტრის გეგმები და ვიცით, როგორ მოვიქცეთ. მე ვარ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, ჩემი განკარგულების გარეშე არაფერი არ მოხდება. წინასწარ გაფრთხილებთ, ბრძოლა იქნება დაუნდობელი და სასტიკი, შეიძლება გვექნეს დანაკარგებიც, მაგრამ გარწმუნებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ!

ახლა მოგახსენებთ დეტალურ გეგმას, პირველ რიგში, უნდა მოვიშოროთ არამკითხე თანამგზავრები ბელინდა, როზალინდა და მირანდა, რომლებიც მზეს გვიბნელებენ. რა უნდა ვქნათ ამისთვის? ისინი უნდა ჩამოვაშოროთ იმ ადგილებს, სადაც ჩამოგვიკიდეს! და სად უნდა გავგზავნოთ ეგ მატრაკვეცები? ისინი უნდა გავგზავნოთ ჩვენს მთვარეზე! ამით ჩვენ ორნაირ ხეირს ვნახავთ – ჩვენი სამეფო კვლავინდებურად განათდება, მზის სხივები გაათბობენ ჩვენს გულებს და ველ-მინდვრებს, გარდა ამისა, ჩვენ გაგვიხდება უდიდესი ზომისა და სილამაზის მთვარე მთელს მზის სისტემაში, რაც ჩვენს ტურისტულ პოტენციალსაც გაზრდის. ასეთი ზომის მთვარე ყოველ წელს სამჯერ მეტ ინტურისტს მიიზიდავს, რაც ჩვენს ბიუჯეტზე დადებითად აისახება. იმისთვის, რომ სამივე თანამგზავრი მთვარეს მივაწებოთ, საჭიროა მთვარის მიზიდულობის სამჯერ გაზრდა, ამ საპატიო საქმეს დავავალებთ კოსმოსის ათვისების მინისტრს ახალტონს, რომელიც მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმომჩენი დიდი მეცნიერის შთამომავალია. ახალტონი ამ ამოცანას სამ დღეში მოაგვარებს.

ახლა საომარი მოქმედებების შესახებ. იდეოლოგიურ ფრონტზე, პირველ რიგში უჩინმაჩინქუდდახურულ მისან-ჯადოქრებს შევებრძოლებით ისეთი ხერხით, რომელიც ღონეს ჯობია – გამოვიყვანთ სააშკარაოზე, ანუ ჩამოვხსნით ქუდებს. უქუდო და ყველასთვის ხილული მისანი – ცუდი მისანია. ამის შემდეგ ისინი შედრკებიან, შეშინდებიან და ჩვენს მხარეზე გადმოვლენ. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით მე მქონდა საიდუმლო მოლაპარაკებები ძვირფას კრუტუნ მეხუთესთან და პარლამენტის თავმჯდომარე მიუ-სიუსთან. მათ გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი გაჭირვება და დამპირდნენ, რომ ჩვენთან მოავლენენ ოთხ უმაღლესი კატეგორიის ნათელმხილველ კეტმენს, რომელთაც უხილავი მტრის დანახვა ძალუძთ. ისინი უკნიდან მიეპარებიან ვერაგ მტერს, ჩამოგლეჯენ უჩინ-მაჩინის ქუდებს და ჩაყრიან დიდ გუდაში, თავად მისან-ჯადოქრებს კი გამოგვიგზავნიან თბილისში. მათ ჩვენ დავავერბოვკებთ და შემდგომში უკან გავ-

აგზავნით საიდუმლო დავალება-ინსტრუქციებით ურანზე, ჩვენი დავალების შესრულების შემდეგ ყველა ურანელი მშრომელი ჩვენი მოკავშირე გახდება.

რაც შეეხება ურანიდან წამოსული დამანგრეველი იარაღის ზემოქმედების თავიდან აცილებას. ჩვენ ვიცით, რომ ისინი აპირებენ მთვარეზე განლაგებას და იქიდან დარტყმას! ამიტომ მათ დავასწრებთ, მთვარეზე დავუხვდებით, იქ გავუმართავთ ფიცხელ ბრძოლას, ვნახოთ, ვისი აჯობებს! – რევანის ხმაში მისი გმირი წინაპრების ალესილი იარაღის ჟღერის ექო ისმოდა, რევანს აშკარად სიმაღლეც მოემატა. მეფემ სხდომა დამთავრებულად გამოაცხადა.

მარტო რომ დარჩა, თავში მშვენიერი აზრი მოუვიდა და მაშინვე ეფოს დაუკავშირდა:

– ეფო, ჩურჩულით უთხრა რევანმა წარმატებულ მზვერავს, რომ არავის არ გაეგო, პირველ რიგში, მტერ-ურანელებს – რას ფიქრობ, მასატური რომ გამოიტაცო და აქ ჩამოიყვანო ეგ ცუდი კაცი! აქ ყოფნა მოუხდება! ჩვენ მივხედავთ, გავასამართლებთ და რაიმე სასჯელს მოვუძებნით, ამაზე უკვე ვიფიქრე. აბა, რას იტყვი, ეფო?

– დიდო მეფეო – ასევე ჩურჩულით უპასუხა ეფომ, – მე და ფოთოლამ გატაცების გეგმაც მოვიფიქრეთ, იმედია, წარმატებას მივაღწევთ.

* * *

მეფე მასატურს ბუასილი ჰქონდა გამწვავებული და დილიდანვე ცუდ ხასიათზე გაეღვიძა, ექიმს აღარ ეძახდა, იცოდა, რასაც ეტყოდა, ოპერაციის ეშინოდა საერთოდ გულადს. დილითვე მოახსენეს, რომ გრავიტაციის მინისტრს უნდოდა მისი სასწრაფოდ ნახვა. მასატური დაიჯღანა და მდივანს ანიშნა, შემოვიდესო, თვითონ ფეხზე დადგა, რადგან დაჯდომა არ სიამოვნებდა. მინისტრი შემოვიდა, ფერმიხდილი, გაუბედავად მოაბიჯებდა, ცუდი წინათგრძნობა ეწერა სახეზე. მასატურმა საჩვენებელი თითი ასწია, ლაპარაკის ნება მისცა.

– ო, დიდო მასატურ, უბედურება გვეწვია! ჩვენი საყვარელი თანამგზავრები ბელინდა, როზალინდა და მირანდა დედამიწის მთვარეზე აღმოჩნდნენ და მას მიეწებნენ. რევანის სამეფოს მზე მოეფინა! ვაი, ვაი, ვაი!

მასატურმა მაგიდაზე დახატულ ანბანს დახედა, ასო „ქ“-ზე მოძებნა მისთვის საჭირო სიტყვა და თითი დააჭირა. წამსვე კარი გაიღო და ორასათი სანტიმეტრის სიმაღლის ხოტორა დიდულვაშიანი ქონდაქარი შემოვიდა. მან გრავიტაციის მინისტრს გაუღიმა, შუბლზე აკოცა, ხელი გადახვია და გარეთ გაიყვანა ...

მასატურს ეს ქონდაქარი გამორჩეულად მოსწონდა, მის მუშაობას ყოველთვის სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს ცისფერ ეკრანზე, ახლაც, როგორც კი გავიდნენ, ეკრანი ჩართო და ცოტათი მოხასიათდა.

დღე მართლაც მძიმედ დაიწყო, ათ წუთში დაზვერვის მინისტრი შემოვიდა, ფეხებს ძლივს მოათრევდა.

– მისან-ჯადოქრები, უჩინმაჩინის ქუდები! კეტმენები! კეტმენები!

– თქვი, რა, წესიერად, რა მოხდა, შე ჩემა!

– დიდო მეფეო, რაღა რა მოხდა! რაღა რა! მეცხრე კუნძულიდან ოთხი საზიზღარი კეტმენი ჩამოფრინდა, ჩვენს მისან-ჯადოსნებს უჩინმაჩინის ქუდები მოპარეს, გამოააშკარავეს, ტყვედ აიყვანეს და ახლა თბილისის ზოოპარკში ჰყავთ დამწყვდეულები, აბა ციხეები მაგათ აღარ აქვთ და სად უნდა წაეყვანათ?

– ზოოპარკში? უყურე შენ! კი მარა, ოთხმა კეტმენმა რაფრა დაამარცხა ოთხი ათასი უჩინმაჩინქუდიანი მისანი! შეგვარცხვინეს ურანელები, თავი მოგვჭრეს, მაგათ დავაჭრი თავებს, რო ჩამოვლენ უკან, გაუბრწყინდა თვალები მასატურს – ერთი ეს მითხარი, ზოოპარკში როგორ მოთავსდა ამდენი ხალხი?

– მხეცები ზოოპარკის დირექტორმა ტყეებში გაისტუმრა, ზოგი ბორჯომ-ხარაგოულის ნაკრძალში, ზოგი ტაიგაში, ზოგიც ტუნდრაში. ასე დააცარიელეს ვოლიერები. სასოწარკვეთილი ვარ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე!

– მე ვიცი, ჩემო მინისტრო, მე ვიცი – ხმა დაუწვრილდა მასატურს და ხელი კვლავ ასო „ქ“-სკენ გაექცა.

არა, ეს დღე მართლაც კატასტროფული აღმოჩნდა, ნახევარ საათში ჭრილობებგადახვეული, მარცხენა თვალდაზიანებული თავდაცვის სამხედრო მინისტრი გენერალ-მარშალი სარდიონი შემოვიდა, მეფეს მიესალმა და რაპორტი ჩააბარა:

– მთვარეზე დავმარცხდით! როგორც კი ჩავფრინდით და აღჭურვილობა განვალაგეთ, მოვემზადეთ რევანის სამეფოზე შესატევად, მაგრამ მთელი ელექტრონული საკომანდო მოწყობილობები მწყობრიდან გამოვიდა. თურმე ჩვენს ჩამოფრენამდე რევანს ჰიპერ სუპერ რობოტ-დივერსანტები დაუხვედრებია ჩვენ-

თვის. ისინი მთვარის გრუნტში ჩამძვრალან. იქიდან გაგვამ-წარეს. მთელი ჩვენი კოდები გაუხსნიათ. დიდო მეფეო, ბოროტმა რობოტებმა ჩვენი იარაღი ჩვენივე მებრძოლების საწინააღმდე-გოდ მომართეს და სასტიკი ზარალი მოგვაყენეს. მთვარე ჩვენი შეიარაღების და გმირების სასაფლაოდ გადაიქცა. ორნი გად-ავრჩით მხოლოდ, მე და ჩემი ადიუტანტი. მან უკვე დაამთავრა სიცოცხლე თვითმკვლელობით. ახლა ჩემი ჯერია, მშვიდობით, ჩემო მეფეო! გენერალ-მარშალმა პერანგის საყელოს მარცხენა წვერში ჩაკერებული კალიუმის ციანიდის ამპულა პირში ჩაიდო და კბილებით გატეხა...

მასატური მართლაც შეწუხდა, აღარ იცოდა, რა მოემოქმედა, წაგება არ უყვარდა, იმედი მაინც არ ჰქონდა გადაწურული. გად-აწყვიტა, პოლიტბიუროს მორიგი სხდომა მოეწვია, ეგებ იქ რამე ჭკვიანური მოეფიქრებინათ!

პოლიტბიუროს წევრებმა იცოდნენ პირველი დამარცხების შესახებ და მჟავე სახეებით ისხდნენ დარბაზში.

ვიდრე სხდომა დაიწყებოდა, მასატურ მეფეს რემბო მუსტაფას ტყავში გამოწყობილი ეფო (რმტგე) მიუახლოვდა და ტკბილი ხმით უთხრა:

– დიდო მეფეო, ამ დრამატულ წუთებში თქვენთვის სასია-მოვნო სიურპრიზი მაქვს, მნიშვნელოვან ინფორმაციას გად-მოგცემთ!

– კარგია, მიყვარს სიურპრიზები, აბა გისმენ!

– მე მაქვს ჩვენი ძველი აგენტურის მიერ მოგროვებული კომ-პრომატები რევან მეექვსეზე, რომ ნახოთ, ვერც კი წარმოიდ-გენთ, რას ლაპარაკობს და რას აკეთებს ეგ, მითომ გამონათე-ბული ეგა!

– უი, რას მეუბნები, რა საინტერესოა! მოდი, ჩქარა მანახე და გავავრცელოთ ინფორმაცია ბესაო-ში! მერე ვნახოთ, კიდევ მიიპატიჟებენ? ყველა მიატოვებს და ჩვენს პირისპირ მარტო დარჩება და აი, მაშინ დამარცხდება მწარედ და საბოლოოდ – იმედი ჩაესახა მასატურს.

– წავიდეთ ჩემთან, ყველაფერი ჩემს კომპიუტრში მაქვს შე-ნახული, აქ შეგნებულად არ წამოვიღე, ვინმეს ეჭვი არ გასჩენ-ოდა, სიფრთხილეს თავი არა სტკივა!

– ყოჩაღ რემბო მუსტაფა, შენ მარტო ეკონომიკაში არ ყო-ფილხარ ძლიერი! ინფორმაციების შეგროვებაც შეგძლებია. ახ-ლა ყურებით დავითრევ რევანს, მთელ ბესაო-ს მოვდებ მაგის საქციელს, ეს პატარა მოგებული ბრძოლები ოხრად დარჩება.

მესაფრინის საბედისწერო შეცდომა

ბესაო-ს ქვეყნები ნახავენ, ვისთან აქვთ საქმე! ჩქარა წავიდეთ, სასწრაფოდ! სახლში მოსაწევი ხომ არა გაქვს, მოგეხსენება, ასეთი რამეების ყურებას უხდება!

– კომპლიმენტისთვის გმადლობთ, მეფეო, სახლში ყველაფერი მომეძებნება თქვენისთანა სტუმრისთვის. მოდით, ისე გავიდეთ, ვერავინ დაგვინახოს, ეჭვი არ აღეძრათ ამ კომენდანტის საათის დროს. ტაქსით გავფრინდეთ.

– კარგი, მართალი ხარ, ჩუმად გავიპაროთ!

მეფემ შავი სათვალე გაიკეთა, ლაბადის საყელო აიწია, სახეზე შარფი მოიხვია ცხვირამდე, ვერავინ მიხვდებოდა, ვინ იყო ეს კაცი. რემბო მუსტაფამაც თავზე ქუდი ჩამოიფხატა, მწვანე სათვალე გაიკეთა, მეფეს ხელკავი გაუყარა, ქუჩაში ტაქსი გააჩერა და ხუთიოდე წუთში თავის სასახლეში აღმოჩნდა მასატურთან და ფისო იაბედასთან ერთად.

რემბო მუსტაფას ტყავში გამოწყობილმა ეფომ მეფეს ლამაზი შავი სავარძელი შესთავაზა, მოსაწევი გამოუტანა, „ყაზბეგის“ პაპიროსის კოლოფიდან ორი ცალი ამოიღო და შეუკეთა. ერთ პაპიროსში მეფის უჩუმრად ჩასასუნთქი საძილე წამალი და ჰალუცინოგენი გაურია. მასატურმა მეორე ნაფაზი რომ დაარტყა, ეფომ ტელევიზორი ჩართო. ეკრანზე სახელგანთქმული იაპონელი მხატვრის პორტრეტი გამოჩნდა – „რევანი ცხენზე“, რევანს გამარჯვებული და ბედნიერი სახე ჰქონდა, ცხენს კი – გადაღლილი.

– შეხედეთ მეფეო, რევანი ზაირას რას უშვება! – მიუთითა ეფომ ცხენზე.

– ვა, უყურე მაგ ყურუმსაღს, თავი წესიერ კაცად რომ მოჰქონდა, ჩვენზე უარესად იქცევა, თან რა სასაცილოდ! ე, ზაირა მოწვი, ბიჭო! – მასატურს ჯერ გაედიმა, შემდეგ უნებლიე სიცილი დაეწყო, ბოლოს ახარხარდა და ჩაბჟირდა, კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა, ამასობაში ჩაეძინა კიდეც.

რომ გაეღვიძა, უკვე დედამიწაზე იყო, რევანის წინასწარი გამოძიების იზოლატორში იჯდა სკამზე და გამომძიებელ სლავიკ ბარაბანოვს გაოცებული უყურებდა, რომელიც ფეხზე იდგა და მის დოსიეს გამომეტყველებით კითხულობდა.

დავიღუპე – გაიფიქრა მასატურმა და სასოწარკვეთილმა დაიღრიალა – ადვოკატი, ადვოკატი მინდა!

– აკ ადვოკატები არა სცხოვრობენ – ცისფერი თვალები მიანათა სლავიკმა – ჩვენტან კრიმინალები არ ხდება და იმიტომ! ტუ შეგიძლია, ტვიტონ დაიცავი საკუტარი ტავი!

– კარგი, რა გაეწყობა, მითხარით, რას მედავებით, რას მიყენებთ ბრალად!

– მოგახსენებტ, – ხალისიანად წარმოსთქვა გამომძიებელმა – ომის პროპაგანდას, ომის დაწყებას, ტანამგზავრების გადაადგილებას, დესანტის გადმოსხმას მტვარეზე და მისი ოკუპაციის მცდელობას, ჩვენი საყვარელი მეპის აუგად მოხსენიებას, აგრეტვე ბევრ სხვა შავბნელ საკმეებს, რომლებსაც ურანზე სჩადიოდიტ ომამდე!

ამ სიტყვებზე სლავიკმა მის უკან ჩამოკიდებული ფარდა გადასწია და მასატურმა დაინახა ათასობით ფეხზე მდგარი მომიტინგე რევანისტი, ხელში ტრანსპარანტებით, დროშებით და რეზინის გაბერილი საჰაერო ბუშტებით. მასატურს მიტინგებისა ყოველთვის ეშინოდა, ამიტომ გამომძიებელს სხარტად და სრულიად გასაგებად უპასუხა:

– ადვოკატი არ მჭირდება, თავს დამნაშავედ ვაღიარებ ყველა წაყენებულ პუნქტში.

ეს სიტყვები მომიტინგეებსაც ესმოდათ, ამიტომ იქიდან კმაყოფილი შეძახილები გაისმა.

გამომძიებელს ისღა დარჩენოდა, რომ საქმე უმაღლეს სასამართლოში გადაეცა მოსამართლე ბელაფონტესთვის.

სასამართლოს გადაწყვეტილება

2300 წ. 22 თებერვალი

მიიღო რა მხედველობაში განსასჯელის, ურანის მეფე პირმოცინარი მასატურის გულწრფელი აღიარებითი ჩვენება და მისი ხანდაზმული ასაკი, სასამართლო ადგენს:

1. მიესაჯოს დესპოტ მასატურს 72 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2. სასჯელი მოიხადოს მხოლოდ ქვევით ჩამოთვლილ დაწესებულებებში და მითითებულ თანამდებობებზე:

ა) ქ. სემიპალატინსკის რესპუბლიკური საავადმყოფოს მორგში პათანატომის მოადგილის დამხმარედ და შეასრულოს სამედიცინო პერსონალის მითითებები გვამების გაკვეთის დროს და მის შემდეგ. სამუშაოს ხანგრძლივობა 25 წელი;

ბ) საზოგადოებრივ ტუალეტებში, ქ. ბანგკოკში, მთავარი დამლაგებელ-სანიტრის მოადგილედ – 24 წელი;

გ) საფლავის მთხრელად ქ. პაჩუნდაში, ძირითადი მუშაკის ასის-

ტენტის თანამდებობაზე – 23 წელი;
3. ამის შემდეგ ჩააბაროს მორალ-ზნეობის ტესტები და წარმატების შემთხვევაში მიეცეს ზავგარის თანამდებობა ქალაქ ზემო ბაღვში პენსიამდე.

თავი მეცხრამეტე
მეცნიერისა და მზვერავის სიყვარული

ვაკის პარკში თებერვლის ღამის ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ორი შეყვარებული ახალგაზრდა უჭოგრიტოდ აკვირდებოდა. ასტრონომიაში დიდად გათვითცნობიერებული არც ერთი არ იყო, მაგრამ ცაზე იუპიტერის და ურანის პოვნა ორივემ იცოდა.

– რა ლამაზია ღამის ცა, მოწმენდილი, უღრუბლო, მგონია, მეც მისი ნაწილი ვარ – თქვა ვაჟმა.

– კი, ლამაზია, მაგრამ მე ღრუბლების ცქერა უფრო მიყვარს.

– მშვენიერია, მე და ჩვენ ოცდაოთხი საათი ვიქნებით ბედნიერები, დღისითაც და ღამითაც, ერთმანეთს შევავსებთ – უპასუხა ვაჟმა.

– ჰო, მართალი ხარ, ამაზე არც მიფიქრია, ორნი ერთი გავხდებით, საუკუნოდ მივეწებებით ერთმანეთს.

– იქნებ როდისმე იუპიტერზე მოვხვდეთ, ამბობენ ლამაზიაო.

– ჩვენთან ღამის 11 საათია, ნეტავ იქ რა დროა?

– იუპიტერს თავისი დრო აქვს, ჩვენ ჩვენი.

– დრო რაზეა დამოკიდებული?

– იმაზე, როგორ სწრაფად ვიტრიალებთ დედამიწის ღერძის გარშემო. თუ სწრაფად ვიტრიალებთ, დღე და ღამე ჩქარა გავა, და თუ ნელა, მაშინ პირიქით, დღე-ღამე გახანგრძლივდება.

– რა საინტერესოა! დედამიწის ღერძი სადაა, როგორია?

– სინამდვილეში ის არ არსებობს, შაურმა კი არაა, შამფურზე რომ იყოს წამოცმული!

– აბა, რომ მითხარი, საკუთარი ღერძის ირგვლივ ტრიალებსო დედამიწა, მომატყუე?

– არა, მართალი გითხარი და თანაც მოგატყუე!

– ეს როგორ, ნესტორ?

– ღერძი წარმოსახვითია, ანუ სინამდვილეში არაა, მაგრამ მას ჩვენ წარმოვიდგენთ, თითქოს არსებობს.

– რად გვინდა წარმოდგენა და ფანტაზიები.

– იმიტომ, რომ გავიგოთ, რაზეა დამოკიდებული დღე-ღამის ხანგრძლივობა, ანუ რაზეა დამოკიდებული დრო.

– წარმოუდგენლად არაფერი არ გამოდის? თვითონ დრო რა არის?

– ამაზე ყველა ფიქრობს, განსაკუთრებით ფიზიკოსები და ფილოსოფოსები, მაგრამ ზუსტად მაინც არ იციან, რა არის დრო. მხოლოდ მისი გაზომვა იციან, ამისთვის გამოიგონეს სხვადასხვანაირი საათები. თავიდან მზის საათები იყო, ამიტომ დასჭირდათ დედამიწის ღერძის წარმოდგენა, სხვანაირად ვერ ხვდებოდნენ, რანაირად ტრიალებდა ეს პლანეტა.

– რადგან დროის გასაზომად წარმოსახვები დასჭირდათ, ალბათ თვითონ დროც ესეთია, წარმოსახვითი, ანუ რეალურად არ არსებობს. თუ მზე არ იქნა, დროც არ იქნება! მაგრამ ხომ არ გამოდის, რომ დრო მზისგან მოდის ან მისი შვილია?

– არა მგონია, თუმცა შეიძლება. სანამ მზე და მთვარე გაჩნდებოდა, დრო იყო?

– ახლა მე მეკითხები, ნესტორ? შენ ხომ ჭკვიანი ხარ და მეცნიერი.

– რაღა დაგიმალო და მეცნიერები, რაც მეტს სწავლობენ, ნაკლები იციან, თუმცა ამის აღიარება არ უყვართ, სამაგიეროდ, უყვართ თეორიები და რაღაცის წარმოდგენები, ვერსიები, ერთმანეთში კამათზე ხომ სულ ჭკუას კარგავენ, ოღონდ თავისი დაამტკიცონ! აი, მათემათიკა, საინტერესო რამაა, აქ არის წარმოსახვითი რიცხვები. შეგიძლია წარმოიდგინო, როგორია კვადრატული, ან კუბური ფესვი რიცხვიდან? ის არსებობს მხოლოდ წარმოდგენაში, ანუ ფანტაზიაში. მათემატიკოსები მას ისე ექცევიან, როგორც შენ მზესუმზირის მარცვლებს – უნდათ გაყოფენ, უნდათ გამოაკლებენ, ანუ უყურებენ, როგორც რეალურ ნივთს. მათემატიკა რკინის ლოგიკის ფანტაზიაში ეხვევა და შემდეგ ამის აღიარებაც არ სურს. ფანტაზიებით ხელოვნებას ემსგავსება, მაგრამ ამას უარყოფენ. ხელოვნება კი ლოგიკას არ სცნობს.

– დავიღალე, მოდი უფრო ადვილი რამე მითხარი, აი, მაგალითად, ნიუტონის ბინომი როგორ ამოვხსნა?

– ხუმრობ, გოგო?

– ვხუმრობ, მაშ! ახლა სერიოზულად, როდის ვიქორწინოთ?

– მე მგონი, გამაჯვების აღლუმს უნდა დავამთხვიოთ, სტუმრებიც აღლუმის მონაწილეები იქნებიან, ასიათასი კაცი.

– იფ, რა ქორწილი გვექნება! კეტმენებიც ჩამოვლენ?

– რა თქმა უნდა, მეფე, პარლამენტის თავმჯდომარე და ყველა წარჩინებული კეტმენია დაპატიჟებული, მეფემ მითხრა, ბესაო-ს ხელმძღვანელობაც მობრძანდებაო.

– ეჰ, ნეტავ როდის შევალთ ბესაო-ში? მართლა, სად ვატარებთ ქორწილს?

– თანამედროვე პრესტიჟულ კურორტზე, ალპებში, შესანიშნავი ადგილია გრენობლიდან ათ კილომეტრში.

– მიყვარხარ, მიყვარხარ.

– საქორწინო მოგზაურობა სად გვექნება?

– სადაც შენ გინდა!

– აუ, ესე იგი, იუპიტერზე! ვიშ! რა მაგარ რამეებს ვნახავთ!

– მეცხრე კუნძულზეც ხომ არ გაგვესეირნა?

– არა, მადლობთ, აღარც კატები მინდა და აღარც კეტმენები. რა არის ცხოვრება! წარმოვიდგენდი, ზაირა ასეთ სიკეთეს თუ გამიკეთებდა, ჭკუაც მომემატა, გარეგნობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მზვერავობა როგორი ვიცი? ეფოს სკოლაა, ეფოსი! მეფეც აღფრთოვანებულია ჩემით. თავს ვიქებ, რა ვქნა, სიტყვამ მოიტანა, მაგრამ, ხომ იცი, ტყუილი არ მითქვამს.

– მართალი ხარ, ჩემს სიყვარულს საზღვარი არა აქვს, მაგრამ თან როგორ გაფასებ! საოცარი პროფესიონალი ხარ, ეს რა უქენით იმ საცოდავ რემბო მუსტაფას!

– მაგარი იყო, სულ გამოვაშტერეთ საწყალი, ბოლოს გვთხოვდა, თქვენთან წამოვალ, რევანისტი უნდა გავხდეო, მააშ! ახლა სხვა საკითხი, მინდა წინასწარ შევთანხმდეთ, რამდენი შვილი გინდა, რომ გაგიჩინო?

– შვიდი ან რვა.

– უი, რა კარგია! თანახმა ვარ, იმიტომ, რომ მითხრეს, მეცხრე შეიძლება კატა გეყოლოსო.

– ე, რა პრობლემაა, მე ისე მიყვარხარ, ამაზე არც ვფიქრობ, ოდესღაც ფისო რომ იყავი, ჩემო ტკბილო მეგობარო! ბიძაჩემმა ლაპარაკი რომ გასწავლა, მაშინ პირველად მე მომიყვა ყველაფერი. ძალიან ვუყვარდი ცხონებულს, მაგრამ რა უცნაურია, ტექნოლოგია არ დამიტოვა, არც სხვას. ერთხელ კი წამოსცდა, აირტონი რომ არა, ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებდიო, შეიძლება ამიტომაც არავის გაანდო საიდუმლო. შენ თუ გახსოვს, რა გაგიკეთა?

– აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი, თუ გინდა ზაირაზე გიამბობ კიდევ!

– ჰო, ეს ბევრჯერ მაქვს მოსმენილი, კარგი იყო.

– მომავალზე ვიფიქროთ, მეფე გვწყალობს, მთელი ქვეყანა ჩვენს მხარეზეა. მე ომის ვეტერანი ვარ, ათასნაირი შედავათები, მაღალი პენსია, უფასო სამედიცინო მომსახურება, როგორც ამბულატორული, ისე ჰოსპიტალური. თუმცა, მუშაობა მინდა დავიწყო, მზვერავობა კარგია, მაგრამ ათი წელი შეიძლება სახელმწიფოს არ დავჭირდე, დიზაინერობა მომწონს, სალონები უნდა გავხსნა, სახელიც მოვიფიქრე **ნესტორი & ფოთოლა**, პრესტიჟულია, შემოსავალიც გვექნება. რას ფიქრობ?

– კი, ჩემო ფოთოლა, მშვენიერია, მე თან ჩემს ფიზიკა-მათემატიკა-ფილოსოფიას მივაწვები, იქნებ რამე ახალი აღმოვაჩინო! უკვე მაქვს ერთი იდეა, მინდა დავამტკიცო, რომ აწმყო არ არსებობს!

– როგორ, ხომ არის სიმღერა „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!“

– არა, პოეზიაში და ხელოვნებაში კი. მე სხვა რამის თქმა მინდა. აი, როდესაც გელაპარაკები, ყოველი სიტყვა და ბგერა, რასაც გეუბნები, უკვე წარსულში გადავიდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ დაუსრულებლად გადავდივართ წარსულში, აწმყოში ყოფნას ვერ ვასწრებთ, რაც შეეხება მომავალს, ეს ხომ საოცრად წარმოდგენითია, ის მოვა, ყველა ამაში ვართ დარწმუნებული, მაგრამ როგორი იქნება, ამას უკვე წარსულში ვხედავთ, ანუ ვიხსენებთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, მომავალი ეს სხვადასხვა სიჩქარით წარსულში გადაბარგებული რადაცაა. სიჩქარეში ვგულისხმობ, რომ ზოგი მოვლენის მისაღწევად ბევრი დროა საჭირო, ზოგისთვის ნაკლები, მაგრამ საერთო ისაა, რომ მომავალი არის წარმოსახვითი. როგორც რეალური მოვლენა, იგი მხოლოდ წარსულში ჩნდება როგორც უკვე შემდგარი, ანუ მომხდარი ფაქტი.

ამრიგად, ვფიქრობ, რომ რეალურად არსებობს მხოლოდ წარსული, მომავალი წარმოსახვაა, აწმყო კი საზღვარია მათ შორის და სხვა არაფერი, ფაქტობრივად აწმყოც არ არსებობს!

– უჰ, ნესტორ ტვინი გამეხვრიტა, არ მაინტერესებს შენი იდეები, მოდი წავიდეთ შენთან სახლში, მომეფერე, აქ მერიდება, ამდენი ტურისტი და სტუმარია, არაფერი იფიქრონ ცუდი! იქ მოვიგონოთ ჩვენი პარკში ჯდომა და ჟღურტული.

– კარგი, წავიდეთ და მოვიგონოთ, საყვარელო!

წავიდნენ და მათი პარკში ყოფნა-საუბარი სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს.

ნერსეფონი და ფოთოლი

* * *

თემქის მეცხრე მიკრორაიონის იმ კორპუსს, სადაც რევან მეფეს ჰქონდა ნაქირავები ბინა, უცნაურად ჩაცმული ადამიანები მოადგნენ, ერთი შეხედვითაც ეტყობოდათ, რომ დედამიწელები არ უნდა ყოფილიყვნენ. მათ წინ ერთი დიდი ზომის და წონის ბუმბერაზი კაცი ედგათ, რომელიც უეჭველად მათი მეთაური უნდა ყოფილიყო. ამ მსვლელობის ყველა მონაწილეს, დაახლოებით ათას კაცს, ერთნაირი ძველმოდური ჩანთა ეჭირა, საბუთებით გადავსებული. რევან მეფე ამ დროს ფანჯრიდან იყურებოდა, კევს ღეჭდა და მზის ამოსვლის დაწყებას მოუთმენლად ელოდა, უყვარდა მეფეს აისი. რევანის ყურადღება დელეგაციამ მიიპყრო და უნებლიედ მის მეთაურზე გაუშტერდა თვალი. ოჰო, ჩაილაპარაკა თავისთვის რევანმა, იუპიტერის გამგებლის, მხნე-გულადი ასატურის პირველი მოადგილე, ჰელიოს მაგნუსი, ნეტავ რა ქარმა გადმოაგდო ასე მოულოდნელად? ურანთან დაწყებული სისხლისმღვეელი ომის შემდეგ ასატური არავის შეხმიანებია, საერთოდ დუმდა, აირტონის უწყებას – დაზვერვის და კონტრდაზვევრვის სამინისტროს არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა, თითქოს იუპიტერზე ახალი არაფერი არ ხდებოდა, ეს კი მართლაც საინტერესო და ცოტა უცნაურიც კი იყო, რადგან მასატურთან ასატურს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული ურთიერთდახმარების შესახებ. ესე იგი, ასატურმა თავისი პარტნიორი, ძველებური ტერმინი რომ ვიხმაროთ „დაიკიდა“? ახლა კი მისი მოადგილე მომადგა კარს ათასკაციანი დელეგაციით. ნეტავ რა უნდათ?

– აქ რამ მოგიყვანა ძმაო, ამდენ ხალხთან ერთად! სამტროდ მოსულხართ თუ სამოყვროდ? – გადმოსძახა რევანმა ფანჯრიდან.

– რა თქმა უნდა, სამოყვროდ, მეფე ასატურმა გამოგვგზავნა!

– ამოდით, ბიჭებო!

რევანმა ჰელიოს მაგნუსი მისაღებში მიიწვია. მაგნუსი სავარძელში მოთავსდა და რევანს მიმართა:

– დიდო მეფეო, ბოდიშს ვიხდით ასეთი მოულოდნელი ვიზიტისთვის. ჩვენმა საყვარელმა მეფემ გამოგვაგზავნა საგანგებო, სპეციალური და გადაუდებელი დავალებით. გვინდა ყველაფერი წვრილად მოგახსენოთ.

– ბრძანეთ, ბრძანეთ.

– ჩვენი მთავარი ღირსება გულახდილობაა! მართალია, ჩვენი

ურთიერთობები ხშირად არ იყო ია-ვარდით მოფენილი, მართალია, ჩვენ ერთმანეთთან პატარა ომიც გადავიტანეთ, მართალია, ჩვენ ყოველთვის ვიყავით მქუკის გაფართოვება-გაძლიერების მომხრენი და ბესაო-ს მოწინააღმდეგები, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვნახეთ თქვენი არმიის, ავიაციის და ფლოტის ძლევამოსილი გამარჯვება მასატურის ვერაგ ურდოებზე, თქვენი დაზვერვის და კონტრდაზვერვის ფილიგრანული მოქმედება საომარი ოპერაციების დაწყების წინ, ჩვენმა ქვეყანამ გადაწყვიტა:

1. შეცვალოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორი და გამოვიდეს მქუკის რიგებიდან;
2. მოგმართოთ თხოვნით, გაგვიწიოთ სასწრაფო იდეოლოგიური, პოლიტიკურ-მორალური და მეთოდოლოგიური დახმარება იუპიტერზე დიდი გამონათების დასაწყებად;
3. დააყენოთ ბესაო-ს მომავალ სამიტზე ჩვენი ამ ორგანიზაციაში გაერთიანების საკითხი, წესის და რიგის დაცვით.

რევანს ეს სიტყვები ეამა. მას პათოლოგიური პატივმოყვარეობა უკვე კარგა ხნის წინ დაეკარგა და მაგნუსის თხოვნა თავმდაბლურად მიიღო.

– ძვირფასო მაგნუს, გეთანხმებით და მესმის თქვენი გადაწყვეტილების, ეს არის ბუნებრივი ფინალი ადამიანური აზროვნების ტრიუმფისა, ჩვენი და მთელი მსოფლიოს მომავალი არის საყოველთაო გამონათება. გადაეცით თანხმობა და სალამი, აგრეთვე ძვირფასი სუვენირები და სამშვენის-ბეზდელუშკები საყვარელ მხნე-გულადს, ველოდები აღლუმზე სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად.

თავი მეოცე
ფინალი

მასატური კამერაში იჯდა და უაზროდ შესცქეროდა კედელს, პირმოცინარობა არ ეტყობოდა. ამ დროს საიდანღაც სიმღერა მოესმა:

ხვალ ეტაპით გამგზავნიან ალბათ,
მხოლოდ შენთან განშორება მიჭირს!

ამ ნაწყვეტით ტექსტის შინაარსი ვერ გაიგო, მაგრამ ძალიან სევდიანად კი მოეჩვენა ეს მელოდია, ტანში ჟრუანტელმა

დაუარა, რატომდაც ის აგური გაახსენდა, ყველასგან უჩუმრად ხარაჩოებიდან რომ გადმოაგდო და დიეგოს სული მოუსწრაფა. ღრმად ამოიხვნეშა. ამ ისტორიას ადრე ყოველთვის სიხარულით და სიამაყით იხსენებდა, ახლა კი... იჯდა საკანში და სემიპალატინსკის მორგზე ფიქრობდა, რა უნდა გაეკეთებინა იქ, არ იცოდა. მკვდრების ყოველთვის ეშინოდა, შიშველი და გაკვეთილი გვამი არსდროს ენახა. წინასწარ დრტვინავდა მასატური, მოესაჯათ ჩვეულებრივი, ნორმალური სასჯელი ამ ცუდ კაცებს, ჩავჯდებოდი ციხეში, ბოლოს და ბოლოს, ვინ არ მჯდარა იქ – მაგალითად, კამო, გამოვიდოდი და ვიტყოდი – სროკი მოვიხადე, ბრატ, მაგრამ ახლა რა? ასეთი დამცირება, საიდან მოიგონა ამ ბელაფონტემ ასეთი სისასტიკე? რომ კითხოთ, გამონათებულები არიან, მაგათი დედაც. ისე, ჩემი ბრალია, ეს რა პლანის მოწევა ამიტყდა ამ დროულ კაცს, ახია ჩემზე, ახი. ამ ფიქრებში იყო, როდესაც საკანში ზედამხედველობის თანამშრომელმა შემოყო თავი. კმაყოფილი სახე ჰქონდა.

– გინდა, ტელევიზორი შემოგიტანო?

– კი, მინდა, რომელ არხებს აჩვენებს?

– მხოლოდ აქაურ სამთავრობოს, გინდა?

– შემოიტანე, ჯანდაბას, რაც არის, არის.

ორიოდე წუთში საკანში, მასატურის გასაკვირად, ძველისძველი საბჭოური ტელევიზორი Рубин Ц-266 შემოათრიეს. მასატურმა ეკრანი ჩართო და გამარჯვებისადმი მიძღვნილი საზეიმო აღლუმის პირდაპირ რეპორტაჟს დაუწყო ცქერა. ტრიბუნაზე რევან მეფე, დედოფალი გულსუნდა, მინისტრთა კაბინეტის სრული შემადგენლობა და მოწვეული სტუმრები იდგნენ, მათ შორის მხნე-გულადი ასატური. პროსპექტზე ჩამოატარეს სამხედრო ტყვეები, თავდახრილები და შერცხვენილნი, შემდეგ გამოჩნდა რევანის ულტრათანამედროვე შეიარაღება, რომელმაც საზეიმო მუსიკის თანხლებით გაიარა. მასატურს მარცხენა თვალიდან კურცხალი გადმოუვარდა და მეორე არხი ჩართო.

გადაცემას აქაც პირდაპირი ეთერში აჩვენებდნენ. ეს იყო ქორწინების ცერემონია, ბედნიერდებოდა ახალგაზრდა წყვილი, ასპირანტი ნესტორ დალასი და მზვერავი ფოთოლა შტულცბერგი. სტუმრებში მასატურმა ერთ ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი, სად მინახავს ეს ასაკოვანი ქალბატონი, ხმამაღლა ჰკითხა თავის თავს, ქალბატონი აშკარად დედოფლის ხელისმომკიდე იყო. ვიცანი, გაიფიქრა მასატურმა და იგრძნო, როგორ აეწია არტერიული სისხლის წნევა – კეფაში რაღაცამ დაქაჩა ზევიდან

ქვევით – ეფო, ეფო, ჩემი შემარცხვენელი, იაბედას ქორწილშია, ზეიმობენ არამზადები და მასატურს ახლა მარჯვენა თვალიდან ჩამოუვარდა კურცხალი.

მასატურმა ტელევიზორი მესამე არხზე გადართო და იქ, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო დიდი კოშმარი დაინახა. აღლუმი დამთავრებულიყო, მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ბესაო-ს მაღალჩინოსნები და რაც მთავარია, თვით ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე ჰააგ ეშ ამუნდსენი. ამუნდსენმა გაიღიმა და მოსახლეობას მიმართა:

– ძვირფასებო, მინდა გაგახაროთ სასიამოვნო სიურპრიზით, გუშინ ჩატარდა ბესაო-ს წევრთა გაერთიანებული საგანგებო და რიგგარეშე ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება თავის რიგებში ჩარიცხოს ორი ახალი წევრი – პირველი რევან მეექვსის სამეფო და მეორე – მხნე-გულადი ასატურის იუპიტერის სამეფო! ვაშა, მეგობრებო, ვაშა!

ამ სიტყვების გაგონებაზე მასატურ მეფეს ორივე თვალიდან ცრემლები წამოუვიდა, ტელევიზორი გამორთო და ზედამხედველს გასძახა:

– წამიყვანეთ აქედან საჩქაროდ, წამიყვანეთ სემიპალატინსკში! გევედრებით!

სამწუხაროდ, ტელევიზორი თავისით ჩაირთო და მასატურის გულის გასახეთქად გამოაცხადა: ძმებო-ამხანაგებო! მეფის გადაწყვეტილებით, აგვისტოს თვეს დააკლდება ერთი დღე და დაემატება თებერვალს. 30 თებერვალი იქნება უქმე დღე. მას დაერქმევა **ვერაგ ურანელ მასატურზე ძლევამოსილი გამარჯვების, ბესაო-ში შესვლის და ნესტორის ფოთოლასთან ქორწინების დღე. უქმე დღეს გაიმართება 24-საათიანი ფურშეტი მთელი სამეფოს მასშტაბით, უცხოელ სტუმრებთან ერთად. ვაუ!!!**

მოგზაურობა

თავი პირველი
სუფრა

გაზაფხულის შხაპუნამ თავისი საქმე გააკეთა – ბინაში წვიმის სურნელი და სიხალისე შემოიტანა. წვიმამ რომ გადაიღო, სასიამოვნო სიგრილეში და სიმწვანის საამო სურნელში თავი ყველამ მხნედ იგრძნო.

სუფრაზე ჯერ სიჩუმე სუფევდა, ლაპარაკით თავს არავინ იწუხებდა. სტუმრები სუფრაზე გაწყობილ სხვადასხვა ზომის თეფშებზე იყვნენ მიშტერებულნი, უფრო ზუსტად, რაც მათზე ელაგა, ის იპყრობდა საერთო ყურადღებას. სრული სურათის შესაქმნელად ამის აღწერა ნამდვილად ღირს: ცივად მოხარშული სოფლის დედლები, ნერწყვის მოსადენად დაჭრილი თონეში შემწვარი გოჭი, რაჭული ლორი, წითელი ხიზილალა (შავზე უკაცრავად იყვნენ), ლოქო ძმარში და შემწვარი კალმახი, ორაგულისა და ინდაურის საცივი, კახური ღვინო, შოთის პური, მჭადი და ხაჭაპური და სხვა მადის აღმძვრელი საჭმელ-სასმელი.

ასე სუფრის თვალიერებაში იყვნენ, დანა-ჩანგლის თეფშებზე წკარუნის ხმები მხოლოდ კანტიკუნტად და ისიც მორიდებით თუ გაისმოდა, როცა მასპინძელი ფეხზე წამოდგა და საზოგადოებას მიმართა.

– მეგობრებო, როგორც ყველა სუფრას, ჩვენს დღევანდელ პურის ჭამასაც თამადა სჭირდება. ალბათ ყველა მხარს დამიჭერს, თამადობას ბატონ დავითს თუ ვთხოვთ.

ბატონმა დავითმა ოდნავ უკმაყოფილო სახე მიიღო, მასპინძელს შეხედა და მიუგო:

– ოჰ, ეს რა იცი ხოლმე, ლევან, ადამიანს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებ, ყველას გავაგებინო ჩემი წნევის ამბავი?

ბატონმა დავითმა ბოლო სიტყვები ისეთი ხმით წარმოთქვა, რომ მხოლოდ ახლოს მჯდომმა ოთხიოდე კაცმა თუ გაიგო.

– გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, არ გვიღალატოთ, ბატონო დავით! – გაისმა აქეთ-იქიდან.

ბატონმა დავითმა გაიღიმა, რაც თანხმობის ნიშანი იყო, აღარ დააყოვნა, პირველი სადღეგრძელოს სათქმელად მოემზადა, ფეხზე წამოდგა, ჭიქა მაღლა ასწია – უფალი ღმერთის სადღეგრძელო იყოს! გაუმარჯოს! მადლობა მასპინძელს!

ბატონი დავითი ხუთი წლის განმავლობაში ერთ-ერთი სერიოზული სამინისტროს მინისტრის პირველი მოადგილე ბრძანდებოდა. მას შემდეგ თითქმის ოცდახუთი წელი გავიდა. მისი ძველი ეკონომიური დიდების ნაშთები ჯერ კიდევ საკმარისი იყო იმისთვის, რომ ნაცნობ-მეგობრები არ დაეკარგა, წვეულებებზე თამადად აერჩიათ და ქუჩაში ღიმილით მისალმებოდნენ. ახალ, არასოციალისტურ ცხოვრებასაც თითქოს კარგად აუწყო ფეხი, რამდენიმე სავაჭრო ობიექტის მეპატრონე და მეწილე იყო, შვილიშვილები ეზრდებოდა, თავს უბედურად არ მიიჩნევდა, ერთი სიტყვით, ცხოვრებას არ უჩიოდა. ერთი კია, რელიგიისა ვერაფერი გაეგო და სადღეგრძელოსაც ისეთნაირად წამოისროდა, მორწმუნე სუფრის წევრებს უხერხულობისგან თავის მაღლა აწევა უჭირდათ. ოჯახის წევრები კი უხსნიდნენ, რომ ღვთის მიმართ საჭიროა სადიდებელი, სამადლობელი ან თხოვნითი ლოცვა და მისი ეს „გაუმარჯოს“ და „ადღეგრძელოს“, რბილად რომ ვთქვათ, უზნეობა იყო. ოჯახის წევრებს კი უსმენდა და ეთანხმებოდა, მაგრამ შემდგომი თამადობისას კვლავ და კვლავ ავიწყდებოდა და იგივეს იმეორებდა.

სუფრის წევრები ფეხზე წამოდგნენ და ერთხმად წარმოთქვეს:

– ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა – და უხმოდ დასხდნენ.

ახლა კი მიხვდა ბატონი დავითი თავის შეცდომას, მაგრამ არ შეიმჩნია.

ამის შემდეგ ოთხი-ხუთი წუთი დანა-ჩანგლის და მათი თეფშებზე წკარუნის ხმები თანდათანობით გაძლიერდა. ინტენსიური ლაპარაკის დაწყებას ჯერ არავინ ფიქრობდა. დროის ამ მონაკვეთში იწყებოდა საკვების შეფასება – ო, რა გემრიელია, ეს როგორ მოამზადე? შესანიშნავია და ა.შ. ეს იყო დაპურების შემდგომი პირველი ფაზა, ანუ ფაქტობრივად მოსამზადებელი პერიოდი, ხოლო თუ რისი, ამის შეხსენება ალბათ ზედმეტი იყო. ყველა სუფრის წევრმა შესანიშნავად იცოდა, რა უნდოდა და რა შეიძლება მიეღო ამ ღონის(ღვინის)ძიებიდან!

ბატონ დავითს კი უკვე ორი სადღეგრძელო ჰქონდა წარმოთქმული – პატრიარქის და სამშობლოსი. ამაში აქ ვერავინ შეედავებოდა და თავისუფლად შეეძლო მესამეზე გადასვლა. უკვე სასურველი გახდა სასმისის გამოცვლა. მოითხოვა კიდეც თამადამ და ოჯახის პატრონი და დიასახლისი, ანუ მისი მეორე ნახევარი, ერთად ადღეგრძელა.

ამასობაში სუფრის თვრამეტივე წევრმა სული მოითქვა, ერთ-

მანეთისთვის მოიცალა და საუბარი წამოიწყო. ლაპარაკი ძირითადად ორ ადამიანს შორის მიმდინარეობდა, თუმცა ერთი ადამიანის საუბარსაც გაიგონებდით ორთან, ან ორისას – სამთან. ამაში იყო რაღაც ეგზოტიური, არქაული და ამოუცნობი, როდესაც მთქმელი მსმენელს არ ალაპარაკებდა და მისი აზრები მაინც შესანიშნავად ესმოდა. განსაკუთრებით ქალბატონებს ჰქონდათ საოცარი დიალოგის უნარი, როდესაც მხოლოდ თვითონ ლაპარაკობდნენ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს იყო დიალოგის საფარველში შეფუთული მონოლოგი. კაცმა რომ თქვას, რა აზრი აქვს შეკითხვის დასმას, თუ პასუხს ვერ მოვისმენთ! მაგრამ ეს გულუბრყვილო მამაკაცის შეკითხვაა, რადგან ქალბატონებს ასეთი არასერიოზული შეკითხვები თავში არასდროს მოუვათ. ქალები ყველა დასმულ შეკითხვას თვითონვე პასუხობენ, ამით მრავალ სიამოვნებას ღებულობენ – ჯერ ერთი, საკუთარ შეკითხვაზე პასუხობენ ისე, როგორც თავად სურთ, შემდეგ ეგრეთ წოდებული მოსაუბრის ხმას ახშობენ და ბოლოს თვითონ ხდებიან მდგომარეობის ბატონ-პატრონნი.

აქ იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი გარემოება – თუ ერთ-ერთი „მოსაუბრე“ მამაკაცია, ქალბატონი მონოლოგ-დიალოგს ხუთ წუთს არ აცილებს, რადგან მამაკაცი სწრაფად იფიტება და შეიძლება, რომ თუკი არც ისე ტაქტიანია, უნებურმა მთქნარებამაც კი წამოურიოს. გამოფიტულ მდგომარეობამდე მიყვანილი მამაკაცი ქალისთვის იგივე ღირებულებისაა, რაც ასხინკალმირთმეული კაცისთვის ასმეერთე.

მაგრამ მდგომარეობა მეტად საინტერესოა, როდესაც მსმენელიც ქალია, ამ შემთხვევაში, მოსაუბრე გარკვეული დროის შემდეგ ნებაყოფლობით გადასცემს ინიციატივას და როლები იცვლება. პარადოქსია, მაგრამ ასეთი მონაცვლეობით ორივე ქალბატონი უდიდეს ფსიქოლოგიურ სიამოვნებას ღებულობს.

ერთი სიტყვით, ინტენსიურმა ლაპარაკმა გამოიწვია ხმაური, მართალია, ჯერ ეს ხმაური ასატანი იყო, მაგრამ გამოცდილი თამადა გრძნობდა, სიტუაციაზე კონტროლი შეიძლებოდა დაჰკარგვოდა, ამიტომ ჭიქა მოიმარჯვა და ზედიზედ სამი სადღეგრძელო მიირთვა – მშობელ-წინაპრების (გაერთიანებული), დედმამიშვილების და უახლოესი ნათესავების, და მესამე ასევე გაერთიანებული – შვილების, მომავალ თაობასთან ერთად. ამდენი გაერთიანებული სადღეგრძელოს გამო სუფრაზე კარგი მსმელი ორი-სამი კაცის უკმაყოფილო რეპლიკებიც გაისმა, თუმცა მეტად ხმადაბალი და არაკატეგორიული.

მიუხედავად ჩატარებული ღონისძიებებისა, სუფრაზე ხმაური საშუალოდან ისეთ სიძლიერეს მიუახლოვდა, რომ თამადის ხმა ფაქტობრივად ჩაიხშო, ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, თავი საბჭოთა კავშირში გეგონებოდათ რადიოში „ამერიკის ხმის“ მოსმენისას. ამ სიტუაციის უშუალო შედეგი ის გახლდათ, რომ ინტერესი თამადის მიმართ კატასტროფულად შემცირდა. ბატონი დავითი არ იყო გამოუცდელი ადამიანი, კრიტიკული წუთებისთვის ყოველთვის შემონახული ჰქონდა სათადარიგო მანევრები. ერთ-ერთი ამათაგანი იყო სასწრაფოდ პერსონალურ სადღეგრძელოებზე გადასვლა, ოღონდ აუცილებლად ფეხზე ადგომით.

ამ ხერხით ის რამდენიმე სარგებელს ერთდროულად ღებულობდა; ჯერ ერთი, ფეხზე მდგომი სადღეგრძელოს ადრესატი ლაპარაკს წყვეტდა, სმენად იქცეოდა, მიღებული ქათინაურებით ტკბებოდა, თითოეული სუფრის წევრის მჭერმეტყველებას აფასებდა და ერთმანეთს ადარებდა. ყველაფერი ეს გონებაში სწრაფად ხდებოდა, ემოციები კი მეხსიერებიდან დიდხანს არ იშლება. თუ სადღეგრძელოს მიმღები მეუღლესთან ერთად იყო, ეს ნიშნავდა სულ ცოტა ორი ადამიანის დროებით გაჩუმებას. თამადისთვის მეორე სიკეთე ის გახლდათ, რომ ყოველი სუფრის წევრი, ალავერდის მიმღები და სადღეგრძელოს წამომწყები თავდადებით ცდილობდა მსმენელების ყურადღების მიქცევას, ენამზეობდა და ხშირად მიზანს აღწევდა კიდეც, ანუ სუფრის წევრები დროებით მშვიდდებოდნენ. მაქსიმალური სიჩუმის მიღწევისთვის ბატონი დავითი ხმას დაიბოხებდა და მამაშვილური ტონით ჩაურთავდა ხოლმე – მოვუსმინოთ, მოვუსმინოთ!

სამწუხაროდ, როგორც კი ნადღეგრძელები ადამიანი სამადლობელის თქმას დააპირებდა, სუფრა საწყისი ხმაურის დონეს მიუახლოვდებოდა და მთქმელს საკუთარი ხმა გაჭირვებით ესმოდა. როგორც კი სამადლობელის მთქმელი ლაპარაკს შეწყვეტდა, თამადა სასწრაფოდ შესძახებდა – შევავსოთ, შევავსოთ! და შემდეგი სუფრის წევრის სადღეგრძელოს ამზადებდა. ასეთი მოკლე-მოკლე და ეფექტური დარტყმებით, რაგბის თავდამსხმელების სტილში, ბატონი დავითი წინ მიიწევდა, იგი მარტოდმარტო უპირისპირდებოდა მოყაყანე სუფრას. ხმაურის გრაფიკული ჩანაწერი რომ გაგეკეთებინათ, მიიღებდით სინუსოიდს, სადაც ყველაზე დაბალი წერტილები, ანუ სიჩუმის პიკები შეესაბამებოდა სუფრის მდგომარეობას სამადლობელის წარმოთქმამდე.

როდესაც პერსონალური სადღეგრძელოები ამოიწურა, თამა-

და მიხვდა, რომ სადავეები ხელიდან გაექცა, მოადგილეც სუფრის წევრების მხარეს გადავიდა და თავი ობლად იგრძნო. ამ კრიტიკულ წუთებში თავი იჩინა მისმა დიდმა გამოცდილებამ მსგავსი სიტუაციებიდან თავის გადასარჩენად. მან გადაწყვიტა, მეტად ეფექტური ფანდი ეხმარა, სუფრის წევრებში განხეთქილება ჩამოეგდო – განსხვავებული სასმისი მოითხოვა და სტალინის სადღეგრძელო წარმოთქვა. აქცენტი მის ქართველობაზე გააკეთა, მოღვაწეობის სხვა ასპექტებს ღრმად არ ჩასძიებია. სადღეგრძელო მიზანს მოხვდა, სუფრა უხილავად ორად გაიყო, ხმამაღალი არგუმენტების მოყვანის გარეშე ჭიქები მაინც ყველამ ასწია. თავგამოდებულმა მოწინააღმდეგეებმაც დაბალ ხმაზე, ბორძიკით ამოსთქვეს, ჰო, როგორც ქართველს.

ბატონი დავითის მოპოვებული წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. სადღეგრძელო სწრაფად შეისვა და ხმაური თავის ჩვეულ დონეს დაუბრუნდა. აქ კი თამადა ვა-ბანკზე წავიდა, მასპინძელს 0.7-ლიტრიანი ჯიხვის ყანწი მოატანინა, შეავსებინა, ფეხზე წამოდგა და სუფრას გამომცდელი თვალებით გადახედა. სიჩუმე სწრაფად ჩამოვარდა. თამადა ნათლად გრძნობდა სუფრის წევრთა რეაქციებს, რომლებიც მან გონებაში სამ ჯგუფად დაჰყო. პირველი – ეგ თუ დალევს, მეც დავლევ, მეორე – ამას პრინციპულად არ დავლევ, რაც არ უნდა მოხდეს და მესამე – იქნებ ამაშორონ, ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს, ან მანქანით ვარ.

ყველა ჩუმად იჯდა და მოვლენების განვითარებას ელოდა. ბატონმა დავითმა შეჩერებული წამით ბრწყინვალედ ისარგებლა, მჭერმეტყველების ნიჭი გამოავლინა და სადღეგრძელო ჩამოაყალიბა. მისი სადღეგრძელო ზუსტად სამ წუთს გაგრძელდა, რომელიც მსმენელებს საუკუნედ მოეჩვენათ. ვერავინ ხვდებოდა, თუ რისი ან ვისი სადღეგრძელოს დალევა-დაძალებას აპირებდა იგი. თამადამ დაიწყო საქართველოს გმირული წარსულით, დამარცხებულ-ოტებული მტრებით, შემდეგ გადავიდა გულმოწყალებაზე, ძმობასა და ერთგულებაზე, ზერელედ შეეხო პლატონურ და ხორციელ სიყვარულს, გაიხსენა ყრმობა – ბავშვობა, ბოლოს მიადგა ძირითად სათქმელს და დასჭექა:

– ჩვენი სურვილებისა და ოცნებების ასრულების სადღეგრძელო იყოს! ალავერდი ყველასთან! და ყანწის გამოცლას შეუდგა, რასაც წუთზე ნაკლები დრო მოანდომა.

– გაამოთ, გაამოთ! თამადა ბატონო, გაისმა სუფრაზე.

იძულებითი სიჩუმის შემდეგ ხმაურმა კვლავ იმძლავრა და უწინდელი პოზიცია დაიკავა. ამასობაში თამადამ ყანწი გად-

მოატრიალა და მარცხენა ცერა თითის ფრჩხილზე ჩამოცალა, ჩამოიწვეთა ერთი გალეული წვეთი. სუფრაზე ტაში გაისმა, კმაყოფილმა თამადამ ყანწი გვერდით მჯდომ სუფრის წევრს მიაწოდა, რომელიც სტუმართა იმ ნაწილს მიეკუთვნებოდა, რომელიც ფიქრობდა, დავლევ, აბა რას ვიზამ. იგი მართლაც წამოდგა, ყანწი დაცალა, უნდა ითქვას, თამადაზე ცოტა უფრო სწრაფადაც კი, მანამადე სუფრის წევრებს თავისი ოცნებები გაანდო, რომელთაგანაც უმთავრესად ქვეყნის გაერთიანების სურვილი მიაჩნდა.

ცარიელი ყანწი მის პირდაპირ მჯდომ ფერმკრთალ სუფრის წევრს გადააწოდა, მაგრამ, როდესაც ენერგიული მეუღლის წინააღმდეგობას წააწყდა, ხელი ჰაერში გაუშეშდა.

– ამას ბატონო, ხუთი წელია შაქრიანი დიაბეტი აქვს და დიაბეტის ტაბლეტებს სვამს, თქვენ გინდათ, რომ დამძიმდეს და ინსულინზე გადავიყვანოთ? თუ მოუმატოს შაქარმა, შემდეგ დაბრმავდეს ან ფეხი მოაჭრან? – კატეგორიულად დაუსვა საკითხი ყანწდალეულს დიაბეტიანის ცოლმა.

– არა, რა თქმა უნდა, არ გვინდა ინსულინი, იყოს ისევ ტაბლეტებზე, როგორც თქვენ ბრძანეთ, და საერთოდ, მოირჩინოს ეს დიაბეტი, იყოს ჯანმრთელად! მისი არც დაბრმავება გვინდა და არც დაყრუება. უბრალოდ ეს ოცნებების და სურვილების სადღეგრძელოა და იქნებ ესიამოვნოს შესმა!

– ესიამოვნოს?! მაგან რაც ისიამოვნა, ჩემამდე და მერეც, ისიც ეყოფა. ვერ შეირგო და უყურეთ, რა დღეშია, თან წნევაცა აქვს მაღალი, მეორე სტადიის ჰიპერტონიკია! დარჩენილიყო სახლში და მიეხედა თავისი ჯანმრთელობისთვის.

ყანწდალეული მთვრალი კი იყო, მაგრამ ზრდილობა შენარჩუნებული ჰქონდა, თორემ უპასუხებდა: თუ ავად იყო, აქ რას მოგყავდაო, მაგრამ გაიღიმა და ყანწი გვერდით მჯდომ ულვაშებიანს გადააწოდა, რომელიც უცოლოდ იყო მოსული და ლაღად გამოიყურებოდა. ულვაშებიანმა ყანწი შეავსო და აღტაცებულმა აიტაცა სადღეგრძელო:

– ოცნებებსაც, სურვილებსაც და მათ ასრულებასაც – ყველაფერს ერთად გაუმარჯოს, ჯოს! ჯოს!

ყანწი პირთან მიიტანა, მაგრამ დაასლოკინა, დალევა ვერ დაიწყო და შეჩერდა, შემდეგ მეორედ სცადა პირთან მიტანა, მაგრამ კვლავ სლოკინი აუტყდა. ამიტომ ყანწის პირთან მიტანა შეწყვიტა და სლოკინი განაგრძო, რამაც სუფრის წევრებში საფუძვლიანი შიში და მსუბუქი პანიკა გამოიწვია, განსაკუთრებით

ქალბატონებში. ამ სიტუაციაში მასპინძელმა ულვაშებიანს გადიმებული სახით ყანწი ჩამოართვა, თამადის მოადგილეს გადააწოდა, მოსლოკინე სტუმარს ხელი მოხვია და ოთახიდან გაიყვანა. სუფრამ შვებით ამოისუნთქა და ულვაშებიანის ბედით აღარ დაინტერესებულა.

თავი მეორე
საშა

საშას წინ იჯდა დიდთვალება, ორმოცდაათს ახლადგადაშორებული, ჭარბწონიანი, ენერგიული სუფრის წევრი, ოჯახის ახლობელი. საშას ჭარბწონიანის გვერდით მჯდომი ქალბატონი თავიდან მისი მეუღლე ეგონა, მაგრამ დიდთვალება დათიკოს და აღმოჩნდა. სახელი ვერ დაიმახსოვრა მაგრამ იმით დაამახსოვრდა, რომ საოცრად წყნარად იჯდა და ხმას არ იღებდა.

დათიკო მისახედ-მოსახედად ან ასახედ-დასახედად კისერს პრაქტიკულად არ ხმარობდა, ამის მაგივრად თავის მუქ-ყავისფერ თვალებს იყენებდა, რომელიღაც დამის ჩიტივით. ღია ქერა წვერი სამი-ოთხი დღის გასაპარსი ჰქონდა. ტანზე უცნაურად ნაქსოვი ჯემპრი ეცვა, რომელიც ერთდროულად საშინაო, საგარეო და სპორტული სამოსი გეგონებოდათ. აქედან გამომდინარე, იგი თითქოს სტუმრადაც იყო, საკუთარ სახლშიც და სპორტულ დარბაზშიც. ეს შეუცნობი სამოსი სუფრის სხვა წევრების მიმართ გამოუთქმელ უპირატესობას აძლევდა. ამას დაუმატეთ დიდი თვალების ნებისმიერი გრადუსით გადაადგილების უნარი და ჩათვალეთ, რომ მის ლაპარაკს ყველა ინტერესით დაუგდებდა ყურს. მართლაც, დათიკო და მის ირგვლივ ექვსი კაცი სუფრის მეორე ცენტრად გადაიქცა, თამადა აღარავის ახსოვდა. რა იყო ესოდენ მიმზიდველი დათიკოს ქმედებებში? მისი გარეგნობა-ჩაცმულობა? რა თქმა უნდა, თავისთავად, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაზე მთავარი მის მიერ შეთავაზებული თემატიკა აღმოჩნდა გაძლიერებულ-გამაგრებული ცინცხალი ინფორმაციებით...

– ეს ჩვენი პარლამენტარი როა, კუსუკიძე, თავის ბებიის გვარზე ჩაწერილი, აბა, სხვა ქართველი არ ჰყავდა წინაპრებში! ჰოდა, უყიდია ფეშენ-აგარაკი თბილისთან ათ კილომეტრში, სოფელ სადავითოსთან ახლოს, დასჯდომია ზუსტად მილიონნახევარი დოლარი. არ მოსწონებია წყლის წნევა მაგ ვაუბატონს

და მეზობლების ხარჯზე მოუმატებია. ვინ გაუბედავდა მაგას ხმის გაცემას, ყველა დაუშინებია.

მსმენელებმა ეს ინფორმაცია სიამოვნებით მიიღეს, განსაკუთრებით პირველი ნაწილი, ქართველი ამას როგორ იკადრებდაო, თქვეს თავიანთ გულებში.

დათიკო ამაზე არ შეჩერდა და განაგრძო თხრობა მთავრობის ერთ-ერთი ბობოლა წევრის ქონების შესახებ, რომელიც ცოლის სახელზე ჰქონია გაფორმებული, მართალია, მამის გვარზეა და წინაპრებიც ქართველები ჰყავს, მაგრამ იმდენი აქვს ნაჭამი, კანში ვეღარ ეტევა. ნათესავი მაგან არ იცის და მეგობარი. გუშინ მაგის ბიძაშვილს ველაპარაკე, ჩემი მეზობელია, ფული მასესხეო, უთხოვია. მაგ არაკაცს, უთქვამს, რა გასესხო, ჩემთვის არა მაქვსო.

დათიკომ იგრძნო მსმენელების ყურადღება და განაგრძო თხრობა ერთ-ერთი უნივერსიტეტის გაუნათლებელ პროფესორზე, რომელიც სტუდენტებს ფულებს სძალავდა, თანამშრომლის დეიდაშვილის ცოლ ლამზირაზე, რომელიც საყვარლებით გაიძეძგა, სოფლიდან ჩამოხეტებულ, ახლა უკვე თბილისის საკრებულოს წევრზე, რომელმაც მოპარული ფულებით საკუთარი სახლი აიშენა პრესტიჟულ უბანში, ასევე გაკვრით შეეხო მთავრობის არაადამიანურ პოლიტიკას, ოპოზიციის არაპროფესიონალიზმს და გენმოდიფიცირებულ პომიდორს, რომელმაც საქართველო წალეკა. ამ მონოლოგის შემდეგ საოცარი კმაყოფილება იგრძნო, რაც სახეზეც აღებეჭდა, მსმენელების რეაქციები დააფასა, ყველასთვის შეუმჩნევლად მსუბუქად დააბოყინა და თავი უფრო ლაღად იგრძნო.

იგი კვლავ აპირებდა მოყოლას გამომძალველ ტაქსისტზე, რომელიც ფულს მისამართზე მიყვანის შემდეგ ითხოვს, აგრეთვე, არაკომპეტენტურ ექიმზე, რომელმაც პაციენტს შეცდომით მარცხენის მაგივრად მარჯვენა ფეხი მოაჭრა და ნაკრების უცოდინარ მწვრთნელზე, ჩვენი ფეხბურთის მომსპობზე, მაგრამ ცოტა შეიცადა, ენერგიის შესავსებად მორიგ სადღეგრძელოს დაელოდა.

საშამ ყველაფერი წვრილად მოისმინა, ეგონა, ტელევიზორში საინფორმაციო გამოშვებას უყურებდა, ცუდ ხასიათზე დადგა, თანაც გამოფხიზლდა. იფიქრა, მუხლებში გავიშლები, სიგარეტს მოვწევო და გვერდით პატარა ოთახში შევიდა, რომელიც ზომით ბავშვის სათამაშო ოთახს წააგავდა, თუმცა მასპინძლებს პატარები არ ჰყოლიათ, ამიტომ გაუგებარი იყო ასეთი ოთახის

არსებობა. კედელზე ჩამოკიდებული ძველებური დასაქოქი საათი შენიშნა, რომელზეც ლამაზად ეწერა Le roi a Paris და ზუსტად ცხრას უჩვენებდა. ოთახს ფანჯრები არ ჰქონდა, შუქი კარიდან შემოდიოდა, ნესტის სუსტი, ოდნავ უსიამოვნო სუნი იდგა, გეგონებოდათ, ოთახი ამ ბინას არ ეკუთვნოდა, იგი ბევრად უფრო ძველს ჰგავდა.

მაგიდაზე იდო ძველისძველი საბჭოური ტელევიზორი „Темп-3“, რომელსაც წინ თხელი მრგვალი ფორმის აკვარიუმის მაგვარი შუშის მოწყობილობა ედგა გამოსახულების გასადიდებლად. ოთახის მეორე ბოლოში ტაბურეტზე იდო დამტვერილი რადიომიმღები, უფრო ზუსტად რადიოლა „Дружба“. ამ ნივთებმა საშას ადრეული ბავშვობა მოაგონა. რადიოლაზე ლამაზწარწერიანი ფირფიტები ელაგა. უეცრად დიქტორის ხმა გაისმა. საშა როგორც მიხვდა, რომელიღაც გადაცემა მთავრდებოდა, სწორადაც მიხვდა. დიქტორმა საუბარი განაგრძო – თქვენ მოისმინეთ რადიოინსცენირება კრიშან ჩანდრის მოთხრობისა „დაყირავებული ხე“. როლებს ახმოვანებდნენ მოჰანი – რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჯემალ კასრაძე...

ბავშვობის გახსენებამ საშას გუნება გამოუსწორა. კედელზე მასპინძლის ოჯახის წევრების ფოტოსურათები ეკიდა. ზოგი ბინაში, ზოგი ზდვაზე, ზოგიც ბუნების წიაღში – ტყის პირას მდელოზე გადაღებული. ყველანი ლამაზები იყვნენ.

კედელზე საშას ყურადღება მიიპყრო საპასპორტე სურათის ზომის ფოტომ, რომელიც უზარმაზარ და ძვირფას ჩარჩოში იყო მოთავსებული. ჩარჩოიანი სურათი მთელ ოთახს უცნაურ სახეს აძლევდა არაბუნებრივი პროპორციების გამო. ასეთ ჩარჩოში მიკროსკოპული ზომის ფოტოს ჩადება ვის უნდა მოსვლოდა თავში. მეორე უცნაურობა ის გახლდათ, რომ ფოტოზე დიდთვალება ჭორიკანა დათიკო იყო გამოსახული, რომლის სურათიც არავითარი ლოგიკით ამ ოთახში არ უნდა ყოფილიყო კედელზე ჩამოკიდებული. საშა კვლავ დაიზაფრა, შემდეგ ამოიოხრა – ეკიდოს ეს დათიკო, რა ჩემი საქმეა, ბოლო-ბოლო, კაცმა რომ თქვას, რას მიშავებს!

დათიკოს სურათმა ამის გაგონებაზე დამცინავად ჩაიღიმა, თუმცა საშას ეს არ დაუნახავს.

მეორე კედელზე ლამაზი სარკე ეკიდა. საშამ შიგ ჩაიხედა და საკუთარი თავი დაათვალიერა, კარგად გამოიყურებოდა, შავი კოსტიუმი და თეთრი პერანგი ყოველთვის უხდებოდა, ეს პროცესი საერთოდ ძალინ მოსწონდა, ახლა კი განსაკუთრებული

კმაყოფილება იგრძნო. სარკიდან კიდევ ვიღაც ტიპები იყურებოდნენ, ზოგი იცინოდა, ზოგი ლაპარაკობდა, თუმცა სიტყვები არ ისმოდა, თითქოს ტელევიზორს ხმა გამოურთესო. სარკეში ვიღაცების ყოფნა საშას სრულიად არ გაჰკვირვებია.

ამასობაში საშამ იატაკის სასიამოვნო ჩაზნექილობა შეიგრძნო, მხოლოდ იქ, სადაც თვითონ იდგა. იატაკის დანარჩენი ნაწილი, ისევე, როგორც კედლები და ჭერი, არც მოძრაობდა, არც რაიმე საეჭვო ცვლილებებს განიცდიდა. მის ფეხქვეშ იატაკი ნელ-ნელა ისე ჩაიწია, გეგონებოდათ, ლიფტის კაბინა დაეშვა ქვედა სართულებისკენ. ლიფტში ზევით ასრიალება ყოველთვის უფრო მოსწონდა ხოლმე, ვიდრე დაშვება, მაგრამ ახლა სხვა შემთხვევა იყო. თანდათანობით დაბნელდა, საშას იოტისოდენა შიში არ გასჩენია, პირიქით, გამოუთქმელი სიამოვნება იგრძნო, თითქოს მთელი ცხოვრება ამ წამზე ოცნებობდა და მას ელოდა, თითქოს უკიდეგანო სურვილის მოახლოების ჟამი დაუდგა, ოღონდ კონკრეტულად რისი, არ იცოდა, დანამდვილებით კი გრძნობდა, რომ ეს გარდაუვალი იყო, აუცილებლად და სასწრაფოდ აღსრულდებოდა.

ცხვირწინ გერმანულმა წარწერამ გაუელვა, უფრო სწორად, ერთმა სიტყვამ, რომელიც თეთრი საღებავით კედელზე ბავშვების მიჩხაპნილს ჰგავდა. საშამ გერმანული არ იცოდა, სიტყვა მაინც წაიკითხა unterbewusstsein, თუმცა შინაარსი მაშინ ვერ გაიგო.

* * *

ირგვლივ სწრაფად განათდა, საშა მელიქიშვილის ქუჩაზე აღმოჩნდა, ჩაის სახლის წინ. სუფრიდან ქუჩაში ასეთი მოულოდნელი გადაადგილების შემდეგ გადაწყვიტა, 51-ე სკოლის მიმართულებით გაესეირნა. არავითარ დისკომფორტს არ გრძნობდა, ერთს კი ზუსტად ვერ მიმხვდარიყო, რომელი წელი იყო, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელოდ მიაჩნდა, რომ ფიქრით თავი არ შეუწუხებია. მხოლოდ იმას ფიქრობდა, დროზე მიეღწია სკოლამდე და თავისი ბავშვობისდროინდელი შეყვარებული კარმელა კანდელაკი ენახა. ბოლოს კარმელას ორი დღის წინ შეხვდა და ტკბილად დაშორდა. კინოში იყვნენ ბოლო სეანსზე და „შესანიშნავი შვიდეული“ მგონი მეშვიდედ ნახეს, სახლისკენ რომ აცილებდა, საშამ გაბედა და ხელკავი გაუყარა, სადარბაზოში,

სადაც ნათურა ჩამტვრეული იყო, გოგონას თითქოს უნებლიედ შეეხო. კარმელას უკან არ დაუხევია, გაირინდა, თითქოს მასაც მოეწონა ეს. საშამ ერთი კი იფიქრა, მოდი, ვაკოცებო, მაგრამ ვერ გაბედა, გამოცდილება არ ჰქონდა. ასე დაშორდნენ, მეორე დღეს კარმელა სკოლაში არ მისულა.

საშამ გზაში, ვიდრე სკოლამდე მივიდოდა, გადაწყვიტა – თუ კარმელა კლასში დამხვდა, აუცილებლად ცოლად მოვიყვან! ნამდვილად გამომყვება, რადგან გუშინწინ სადარბაზოში მგონი შევუყვარდიო!

სკოლის ეზოში კარმელა დახვდა მეგობარ-დაქალებთან – მანანასა და მარინასთან ერთად. როცა ახლოს მივიდა, გოგონებმა სიცილ-კისკისი დაიწყეს.

– რაო, საშკა, ცოლის მოყვანა მოგინდა?

– კი. მე ხომ მიყვარს კარმელა.

– კარმელასაც უყვარხარ, მზადაა, ცოლად გამოგყვეს! ჩვენ მეჯვარეები ვიქნებით, თანახმა ხარ?

– რა თქმა უნდა, ოღონდ ამ საქმეს ნუ გადავდებთ.

საშამ კარმელას ხელი მოჰკიდა, უკან გოგონები გამოყვნენ, სკოლის გვერდით შენობის პირველ სართულზე განთავსებულ წიგნების მაღაზია „ჩირაღდანს“ მიადგნენ და შიგ შევიდნენ. დირექტორს მაღაზიის ნაწილი გადაეტიხრა, მეორე სართულზე მმაჩის ბიურო მოეწყო, რათა სკოლიდან შემოსულ შეყვარებულ წყვილებს ხელის მოსაწერად შორს წასვლა არ დასჭირვებოდათ.

სანამ მეორე სართულზე ავიდოდნენ, გოგონებმა წიგნების ძალიან მოკლეკატო გაყიდველის გამასხარავება გადაწყვიტეს, რასაც სკოლელები ტრადიციულად აკეთებდნენ ხოლმე. ბესო გამყიდველი საერთოდ აუღელვებელი ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ როცა სკოლის მოწაფეები „რწყილი და ჭიანჭველას“ ინგლისურ ან გერმანულ თარგმანს ითხოვდნენ, ბრაზისგან გონება ეკეტებოდა და თავის ტოლა სიგრძის კომბლით დაიფრენდა ხოლმე ონავრებს. მანანამ და მარინამაც – „რწყილი და ჭიანჭველაო“, თქვეს და კომბალი რომ აეცილებინათ, სასწრაფოდ მოძურწეს მეორე სართულზე.

მეორე სართულზე ახალგაზრდებს მმაჩის ბიუროს უფროსი, ლამაზი ქალბატონი სოფიკო დახვდათ, გარეგნობით მართლაც საოცრად ჰგავდა სოფი ლორენს. მან ბავშვებს ქაღალდებზე ხელი მოაწერინა, საშა და კარმელა კანონიერ მეუღლეებად გამოაცხადა და სთხოვა, ერთმანეთი გადაეკოცნათ. მათ სოფიკო

დეიდას თხოვნა შეასრულეს, შემდეგ ქუჩაში გამოვიდნენ, მეგობრებს დაემშვიდობნენ და სასტუმროში მოთავსდნენ თაფლობის თვის გასატარებლად.

* * *

საშა დილით სკოლაში წავიდა გაკვეთილებზე, რა თქმა უნდა, უჩანთოდ. მეცხრეკლასელებს ჩანთების თრევა აღარ ეკუთვნოდათ. სკოლის ეზოში უფროსკლასელები ბირჟაზე იდგნენ, სერიოზული სახეები ჰქონდათ, რაღაცას აპირებდნენ. საშა თავისუფლად მიუახლოვდა, მას ძლიერი ცაცია ჰქონდა და ერთი დარტყმით ნებისმიერის დაგდება შეეძლო, ოღონდ პირველს უნდა დაერტყა. ამის გამო დიდ ბიჭებში მიღებულად ითვლებოდა, სიგარეტს აწევინებდნენ (პლანი ჯერ იშვიათობა იყო), ხშირად საჩხუბრადაც იწვევდნენ, როცა თვითონ ეზარებოდათ მუშტების ქნევა. მისცემდნენ დავალებას, გვერდით ედგნენ და უყურებდნენ. საშა ერთს, როგორც წესი, დაუხმარებლად უსწორდებოდა. მთელი ბირჟა კმაყოფილი იყო, ბუნებრივია, ნაცემის გარდა. ახლა, როგორც გაირკვა, პლეხანოველები უნდა ამოსულიყვნენ – ჩიტო და ვოვა. შერიგების ვარიანტი არ არსებობდა, უნდა ეჩხუბათ, გამარჯვებამდე. ჩიტო ყოველთვის კასტეტით ჩხუბობდა, ვოვას კი დანის ხმარება უყვარდა, ურტყამდა ფეხზე და საჯდომზე, სასიკვდილოდ არავის იმეტებდა, ციხეში ჩაჯდომას ერიდებოდა. მარტოები არ მოვიდოდნენ, ხუთ-ექვს ახვარს ამოიყვანდნენ აუცილებლად, ამიტომ ჭკვიანურად უნდა დახვედროდნენ. დათო, მუშტი-კრივში ყველაზე გამოცდილი, ჩაიცუცქა და დეტალური გეგმა ყველას აუხსნა – ვინ სად უნდა დამდგარიყო, როდის და რა უნდა გაეკეთებინა.

ნახევარ საათში პლეხანოველებიც ამოვიდნენ, მაგრამ ბირჟაზე არავინ დახვდათ, სკოლის ეზოში მხოლოდ სამი-ოთხი შინ მიმავალი დაბალკლასელი ბავშვი დაინახეს. ვოვამ მეტოქეები რომ ვერ დაჩითა, განრისხებულმა იღრიალა – გამოდით, სად იმალებით, მე თქვენს დედებს... როგორც კი სათქმელი დაამთავრა, ყურში დიდი ქვა მოხვდა და ჩაიკეცა. სეტყვასავით წამოვიდა ქვები, აგურები, პლეხანოველები თითქოს ჩაიქოლნენ, სისხლი მოსდიოდათ, ზოგი დაეცა, ზოგიც აითესა.

საშა სამალავიდან გამოიქცა, ჩიტოს მისწვდა, საშინელ ხმაზე ბღაოდა – მაგის სისხლს დავლევ, კისერში ხელები ჩაავლო და კბილები დაასო. მერე უფროსებმა საშას ძლივს გამოგლიჯეს

ჩიტო და იქაურობას მოაცილეს. შეტაკება დამთავრდა. პლეხანოველებს გინების თავიც აღარ ჰქონდათ, სასწრაფოდ აახვიეს სკოლის ეზოდან. მხოლოდ ვოვას მოგუდული ხმა მოისმა:
– მაგათ დედას... ხვალვე, მაცალონ!

მეორე დღეს ვოვა საშას ჩაუსაფრდა სადარბაზოში, საშა ცოლთან მიდიოდა, ხელში ლიმონათის ბოთლი ეჭირა. ვოვამ დანა მოუქნია, საშა უკან გაიწია, დარტყმა აიცილა, სამაგიეროდ მარჯვენა ხელით ბოთლი თავზე გადააფშვნა, ცაცია ცხვირში ჩასცხო და მუხლებზე დააგდო, დანა წაართვა, მარცხენა ხელში მოირგო, საძილე არტერია გადაუჭრა, სისხლმა იფეთქა. საშა უყურებდა ვოვას, მერე თვალები გაუშტერდა და ვეღარაფერს ხედავდა, ამოისუნთქა, მიიხედ-მოიხედა, არც ვოვა ჩანდა ვერც სისხლს ხედავდა, ლიმონათის ბოთლიც მთელი იყო.

ერთი ამ პლეხანოველებისაც და ვერელებისაც, გაიფიქრა საშამ, მეორე სართულზე ავიდა, გასაღები ამოიღო, კარი გააღო და ოთახში შევიდა. კარმელა შეახტა, ჩაეხუტა, მაგრამ სახე და თეთრი პერანგი წითელი პომადით დაუთხვარა.

* * *

ახლა საშა უკვე რუსთაველის ძეგლთან იდგა და თავის კურსელ ელგუჯას ელოდებოდა, რომელიც ერთხელ პარტისტორიის ლექტორმა მესამე კურსზე დატოვა. არ უყვარდა ეს პარტისტორია ელგუჯას, უგზავნა პროტექტორები, ნიშანი კი დაუწერეს, მაგრამ მესამე კურსზე ჯდომა ორ წელს მოუწია. ელგუჯას უფრო ღვინო და გოგოები უყვარდა, დუდუკებს არ სწყალობდა. სმენა არ ჰქონდა და არც მუსიკის მოსმენა ანიჭებდა დიდ სიამოვნებას. ელგუჯამ ორი ძმაკაცი მოიყვანა, ოთხივენი სასადილო „ყაზბეგში“, ანუ „ობლებში“ ჩავიდნენ. კარგად რომ შეთვრნენ, ქალები მოუნდათ. იქ ქალები არ იყვნენ, არც გარეთ ელოდათ ვინმე.

– ვაკეში წავიდეთ, სასაფლაოსთან რომ ტურბაზაა, გოგოებს იქ ვიშოვით –თქვა ელგუჯამ.

მართლაც, დასხდნენ რვა ნომერ ტროლეიბუსზე და ოც წუთში ტურბაზას მიადგნენ. ოთხი ტურისტი გოგო ვაკის სასაფლაოს წინ იდგა და ექსკურსიის მოწყობას აპირებდა. ბიჭები მივიდნენ და თავიანთი სამსახური შესთავაზეს. გოგონებს გაუხარდათ, საფლავებზე წარწერებს გადაგვითარგმნიანო. სასაფლაო

სწრაფად მოათავეს, ყველა კმაყოფილი დარჩა. რა გაეკეთებინათ? ბიჭებმა გადაწყვიტეს, გოგონები ელგუჯას მეგობარ ანზორასთან წაეყვანათ სტუმრად, რომელიც ვერაზე, ჯანაშიას ქუჩაზე, 26 თუ 28 ნომერში ნაქირავებში ცხოვრობდა. გოგონებმა სიამოვნებით მიიღეს მიპატიჟება. ოთახი რვა ადამიანმა სრულიად შეავსო. „სტალიჩნისა“ და „ჟიგულიოვსკის“ მირთმევის შემდეგ ყველა რომანტიკულ ხასიათზე დადგა. რომანტიკის გასაძლიერებლად გოგო-ბიჭები რიგრიგობით გარეთ გადიოდნენ და თითო სტუმარ-მასპინძელს ნახევარ-ნახევარი საათით ოთახში ტოვებდნენ. უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. მხოლოდ საშას დაემართა ძილქუში და მელიქ-აზარიანცის სახლში მამიდის ბინაში გაეღვიძა, ვეღარ გაეხსენებინა, ყველაფერი სიზმარი იყო თუ ცხადი.

* * *

გარეთ გავიდა და ფეხით გაისეირნა. სასტუმრო „მარიოტში“ საშას დირექტორის საიუბილეო ბანკეტი იყო დანიშნული ას კაცზე. საშა დირექტორის მოადგილედ უკვე სამი წელი მუშაობდა, ყველასგან სიყვარულს გრძნობდა, თუმცა დირექტორისა ვერ გაეგო, მგონი, არა მარტო საშას, ვერც ერთი თანამშრომელი ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერ გაგცემდათ – ვინ უყვარდა დირექტორს? ალბათ სჯობდა, თვითონ მისთვის გეკითხათ გულახდილ მდგომარეობაში ყოფნის ჟამს! მაგრამ როდის დგებოდა ეს საოცნებო წუთი? არავინ იცოდა.

იქნებ მის სიზმრებში ჩაეხედა ვინმეს, აქ ხომ ვერაფერს დაფარავდა? მაგრამ დირექტორს სიზმრების რეგულაციაც შეეძლო, რომ ვინმეს მის ქვეცნობიერში არ ჩაეხედა. ეს იყო საოცრად ორგანიზებული ადამიანი-სისტემა, მანქანურ-კომპიუტერული გათვლების საკუთარი ალგორითმით. არა, ეს არ იყო მარტივი კალკულატორი. მას წარმატებით შეეძლო გაეთვალა ერთდროულად რამდენიმე ადამიანის მოქმედება მარტივ და ურთულეს სიტუაციებში. ის არ იყო წინასწარმეტყველი, თუმცა საოცარი სიზუტით წარმოიდგენდა ყველა ირგვლივ მყოფის ზრახვებს და ქცევებს და არც ცდებოდა. თანამშრომლებს ზაფრავდა მომავლის ჭვრეტის მისეული უნარი. ირგვლივ მყოფთ ერთადერთი იმედი ასულდგმულებდათ, იქნებ ევგენიჩმა ვერ გამოიცნოს ჩემი მომავალი ქმედება! მაგრამ ევგენიჩი გამოცდილი დიდოსტატივით პრაქტიკულად არ ცდებოდა და თანამშრომლები განწირ-

ულები იყვნენ ედიარებინათ მისი ტალანტი. ამრიგად, დირექტორი მართავდა არა საწარმოს, არა ტექნოლოგიებს, ამისთვის მას სპეციალიტები ეხვია გარს, იგი იყო ადამიანების მარეგულირებელი ძალა, იგი იყო ორგანიზატორი და ყოველგვარი სიახლის მხარდამჭერი და სულის ჩამდგმელი, თავისი ტალანტის წყალობით იგი ნებისმიერი დაწესებულების დირექტორი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ევგენიჩი იმ დღეს ორმოცდაათი წლისა ხდებოდა, საშა მასზე სამი წლით იყო უმცროსი. საშას, როგორც გამოცდილ ქიმიკოსს და მეტალურგს, ორი წელია დავალებული ჰქონდა ვერცხლის დარიშხნის ანუ დარიშხნის მჟავას ვერცხლის მარილის (Ag3AsO4) სინთეზი, მისი თვისებების შესწავლა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების დანერგვა. საშამ ამ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი და სწორედ ევგენიჩის დაბადების დღეზე დაამთავრა ორწლიანი დამქანცველი მუშაობა. სუფრის წევრები განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ საშას სიტყვასადღეგრძელოს. სტუმრები დასხდნენ, გაისმა სადღეგრძელოები, ყველაფერი კულტურულად და აკადემიურად მიმდინარეობდა, თამადად მინისტრის პირველი მოადგილე დაენიშნათ. საშას რიგი რომ დადგა, ფეხზე წამოდგა და დაიწყო:

– პატივცემულო საზოგადოებავ, დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ყველასათვის საყვარელი ევგენიჩის დაბადების ორმოცდამეცამეტე წლისთავს (საშამ უნებურად გაყიდა დირექტორის საიდუმლო). ჩვენ ყველას გვიყვარს ევგენიჩი, მაგრამ მას რატომღაც ყველა ფეხზე ჰკიდია!

სუფრაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ყველა გამოფხიზლდა და საშინელების მოლოდინში სუნთქვაც შეეკრათ. საშა მიხვდა, რომ დიდხანს აღარ ალაპარაკებდნენ და სხაპასხუპით გააგრძელა – მაშ, გაუმარჯოს ძვირფას დესპოტ დიქტატორს, ჭკვიან ორგანიზატორ ევგენიჩს! ჭიქა გამოსცალა, მობრუნდა, გარეთ გავიდა... „დინამოს” სტადიონის წინ აღმოჩნდა.

* * *

საშამ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამოკრულ აფიშას შეხედა: საუკუნის მატჩი **საქართველო – ბრაზილია**. დასაწყისი 16. 00 სთ-ზე.

ბევრი არ უფიქრია, რიგში დადგა, ზაპადნიზე კარგი ბილეთი აიღო, სადღაც მთავრობის ლოჟასთან ახლოს, მზესუმზირა იყიდა, სკამზე გაზეთი დაიფინა და ხალხს დაუწყო თვალიერება. ამასობაში ფეხბურთელები და მსაჯები მოედანზე გამოვიდნენ. სტადიონზე საშინელი ყიჟინა და სტვენა ატყდა. საშას ეგონა, დაფის აპკები დაუსკდებოდა, შეეშინდა და ყურებზე ხელები აიფარა, ღრიანცელი ოდნავ შეწყდა. ხუთი წუთის შემდეგ დიქტორმა ფეხბურთელების გვარების გამოცხადება დაიწყო. თითოეული ქართველის გვარს მაყურებელი ტაშით ხვდებოდა, ბრაზილიელისას – სტვენით. ისმოდა შეურაცხმყოფელი შეძახილები სტუმრების მიმართ. საშას შერცხვა, მაგრამ პროტესტი არ გამოუთქვამს. მის გვერდით მჯდომმა მაყურებელმა ტრანზისტორული რადიომიმღები „სპიდოლა“ ჩართო და ქართველი დიქტორის ხმაზე ააწყო – ყურადღება, ყურადღება, ჩვენი მიკროფონები ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზეა, დღეს ერთმანეთს პრინციპულ ორთაბრძოლაში ხვდებიან საქართველოსა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდები – გაისმა ყველასთვის ნაცნობი სასიამოვნო ბარიტონი – გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობას. საქართველო – მეკარე კოტრიკაძე, დაცვა და ნახევარდაცვა – კალაძე, ხურცილავა, ჩივაძე, ძოძუაშვილი, იამანიძე, ყიფიანი, კობიაშვილი, თავდასხმა – მეტრეველი, პაიჭაძე, მესხი.

ბრაზილია – მეკარე დიდა, დაცვა და ნახევარდაცვა – ლუსიო, ნილტონ სანტოსი, კარლოსი, დუნგა, ტოსტაო, გერსონი, თავდასხმა – პელე, გარინჩა, რონალდო, რონალდინიო...

დაძაბული პირველი ტაიმი ფრედ 2:2 დამთავრდა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კაჩალინმა მეორე ტაიმში ღოღობერიძე და ქინქლაძე გამოიყვანა. ქართველების უპირატესობა აშკარა გახდა, თამაში ცალ კარში მიდიოდა, გოლი მწიფდებოდა, მაგრამ არ ჩანდა. მსაჯმა დამატებითი სამი წუთი დანიშნა, ბოლო წუთზე მესხმა თავისი საყვარელი ფინტით გვერდი აუარა ჯერ რობერტო კარლოსს, შემდეგ ნილტონ სანტოსსაც, ფეხი ბურთის დასარტყმელად მოიქნია, მაგრამ უკნიდან მიპარულმა სანტოსმა იგი ხელში აიტაცა და მოედნის ცენტრისკენ გააქ-

ცუნა. მსაჯმა ჩაჰბერა და თამაში დაამთავრა. რა ხდებოდა სტადიონზე, ძნელი წარმოსადგენი იყო, იქ უნდა ყოფილიყავი და ყველაფერი შენი თვალით გენახა! საშამ დაინახა, რომ ხალხი მინდორზე ჩარბოდა მსაჯის დასასჯელად, მილიციელები თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, რომ ცოცხლად გადარჩენილიყვნენ ბრბოს შემოტევას, დაშავდა ტოსტაო, დასისხლიანებულ თვალზე ნაჭერი მიეფარებინა, ხალხს იარაღი არ ჰქონდა და კარის ძელების ამოგლეჯა დაიწყო, ამოგლეჯილი ძელებისგან შექმნეს ექვსი უშველებელი რკინის მილი – შუბი, რომელზეც ნებისმიერ „კანარეიკას“ წამოაგებდი შამფურივით. მილიცია ავტოტრანსპორტის გარეშე დარჩა. უცებ ხმა დაირხა, პირველი ჩამოვიდა მინდორზეო, ამ ხმამ დიდი ვერაფერი შესცვალა. მანქანების მსხვრევა-ულეტა გოსკინპრომამდე გაგრძელდა. საშა დამარბეველთა პირველ რიგებში აღმოჩნდა, გულმოდგინედ და თანმიმდევრულად გუდავდა მილიციელებს, ხუთი კაცი რომ მოიშორა, ამოისუნთქა, ჩაფიქრდა და თვალები დახუჭა. ხმაური შეწყდა, მიმოიხედა, პარლამენტის წინ იწვა მოშიმშილეებთან ერთად. მზე ახალი ჩასული იყო.

* * *

– ჩვენ უნდა მოვაწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა კომუნიზმის დასამხობად, ამის ნებაც და უნარიც გვაქვს! ძირს რუსეთის ძირმომპალი იმპერია! – რეპროდუქტორიდან გამოსული ერთ-ერთი ლიდერის ხმა მთელ მიტინგს გულს მოეფონა. გაისმა ტაში, ხალხი გაიძახოდა – ძირს! ძირს!

– მეგობრებო, გვაცნობეს, რომ მთავრობა აპირებს ძალის გამოყენებას. ჩვენ მათი არ გვეშინია, ჩვენ აქ ვიდგებით სრულ გამარჯვებამდე. ხალხში აღტაცებული შეძახილები გაისმა. მთელი მიტინგი ერთ კაცად გადაიქცა, ერთ მტკიცე, ამაყ და თავდადებულ ადამიანად.

9 აპრილის დილას ლენინის მოედნიდან რკინის მაჯლაჯუნები შემორახუნდნენ, მათ ჯავშან-მუზარადიანი უფერო სახის მეომრები მოჰყვებოდნენ, რომლებიც ხალხის დასარბევად და დასაჩოქებლად იყვნენ მზად. უიარაღო მომიტინგეებს შორის საშა შეტაკების პირველ ხაზზე აღმოჩნდა. იბრძოლა, მაგრამ ვერაფერს გახდა, უიარაღოს ომი სადა თქმულა, კეფაში რეზინის ჯოხი ჩაარტყეს და გათიშეს. საავადმყოფოში თვალი გაახილა,

ყველაფერი სტკიოდა. ექიმებისა და ექთნების ლაპარაკს დაუგდო ყური – მომწამვლელი გაზებიც, ბასრი ნიჩბებიც გამოიყენეს, ოცი ადამიანია დაღუპული. საშა მიხვდა, თუ რა უბედურება დატრიალებულა. წამოჯდომა მოინდომა, ვერ შეძლო, ექთანმა ნემსი გაუკეთა, საშას დაეძინა, სიზმარში უსინათლო ქალის სიმღერას უსმენდა...

* * *

ვიდრე ფინალამდე მიაღწევდა, ხუთი მეტოქე დაამარცხა. მათგან ორი ცაცია. საშას მკლავჭიდი არასდროს აინტერესებდა, მაგრამ კარმელამ შეაგულიანა, ეს ნამდვილად გამოგივა, ჩემო ძლიერო, აი, ასე უთხრა შეყვარებულმა ცოლმა. ერთი თვე ივარჯიშა, მეორე თვეს საქართველოს ნაკრების წევრი გახდა, ახლა კი მსოფლო ჩემპიონატის ფინალი ელოდა. საშამ ფინალამდე ამერიკელი, მონღოლი, არგენტინელი, კანადელი და ბულგარელი სპორტსმენები მიწასთან გაასწორა.

რჩებოდა ერთი კაცის დამარცხება და საშა მსოფლიოს ჩემპიონი ხდებოდა. მისი მეტოქე რუსეთის სახელით მოასპარეზე ჭორიკანა დათიკო გახლდათ. შეხვედრა მეტად პრინციპული ხასიათისა იყო, ყველაფერთან ერთად საშას გამარჯვების შემთხვევაში ავტომატურად ძიუდოში და სამბოში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც ჰპირდებოდნენ. საშა ღელავდა, მაგრამ გაახსენდა სამი კვირის წინ მომხდარი შემთხვევა და სულ დამშვიდდა. მაშინ თბილისში სანაპიროზე მისეირნობდა და უეცრად მოხუცი კაცის განწირული ხმა მოესმა – ვიხრჩობი, მიშველეთ! ირგვლივ არავინ ჩანდა, მტკვრის ნელი ტალღები მოხუცს კასპიის ზღვის მიმართულებით უპირებდა წაღებას. საშას მოხუცი შეეცოდა, თან გაახსენდა, როგორ ბრჭყვიალებდა და ლაპლაპებდა ოქროსფერი მედალი „წყალწაღებულის გადარჩენისთვის“. ეს მედალი დიდ ენციკლოპედიაში ჰქონდა ნანახი და ყოველთვის ოცნებობდა მასზე. მართალია, საშამ ცურვა არ იცოდა, მაგრამ მოხუცის გადარჩენის სურვილი ვერ დაძლია და მტკვარში გადაეშვა, ფეხქვეშ მიწა იგრძნო, მოხუცს მიუახლოვდა, ხელი სტაცა, და ნაპირზე გაიყვანა. მოხუცი გონზე იყო, საშას რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარება არ დასჭირვებია. მეორე დღეს ტელევიზიაში და გაზეთებში საშა გამოჩნდა გაღიმებული სახით, ხელში მედალი ეჭირა.

ეს ყველაფერი გაახსენდა და დათიკოს წინ დაჯდა, თვალი დიდ თვალებში უტიფრად გაუყარა, მტრული სახელმწიფოს დროშის ფერებში გამოწყობილ სპორტულ სამოსს ზიზღით შეხედა, ხელი მოჰკიდა, მსაჯის ნიშანს დაელოდა და მეტოქის ხელი მაგიდაზე ისეთი სიძლიერით დაახეთქა, რომ ფიცარი ჩაიზნიქა. ატყდა ტაშის გრიალი, მაყურებლები და დელეგაციის წევრები საშას ულოცავდნენ. ნახევარ საათში დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. საშას ოქროს მედალი გადასცეს.

* * *

საშამ იგრძნო, რომ ეს საოცნებო წამები გაილია, იქ ვერაგობაც დახვდა და ერთგულებაც, სიხარულიც და სევდაც, სიყვარულიც და სიძულვილიც, ამ ყველაფრის ნახვა, განცდა და შეგრძნება საოცარი და დიდებული რამ აღმოჩნდა, თუმცა აღარ ფიქრობდა, რომ იგივე როდესმე განმეორდებოდა.

ყველაფერი სწრაფად დამთავრდა. საშა კვლავ სუფრაზე იჯდა დათიკოს წინ, ცარიელი ყანწი გამოართვა, შეავსო, სურვილებისა და ოცნებების სადღეგრძელო წარმოთქვა, ბოლომდე გამოცალა, გვერდით მჯდომს გადაულოცა, თვითონ კი სუფრაზე შემოტანილი შოკოლადის ნაყინი წინ დაიდო და პატარა კოვზით გემრიელად გალოკა.

სარჩევი

ჯადოსნური ჯადრები

ნაწილი პირველი
ფისო იაბედა
თავი პირველი - დავალება....3-6
თავი მეორე - გოგიას საგვარეულო ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი. გოგიას დახასიათება....6-12
თავი მესამე - გაიოზიკი....12-15
თავი მეოთხე - აირტონის ნანატრი დღე. ბუნების აღწერა....15-17
თავი მეხუთე - ადვოკატ ბრაინის ღვაწლი....18-20
თავი მეექვსე - პროცესი....20-27
პირველი ნაწილის ეპილოგი....27-28
ნაწილი მეორე
მეცხრე კუნძულზე კეტმენებთან ერთად
თავი მეშვიდე - ჩამოსვლა....28-32
თავი მერვე - ა) ვინ იყო ნკვამე იჯანა, ანუ რა ისწავლეს აირტონმა და ექსმინისტრმა....33-37
თავი მერვე - ბ) დედამიწელების გადასახლება – დასახლება პლანეტა L-ზე....39-42
თავი მერვე - გ) მეცხრე კუნძულის მოკლე ისტორია....43-49
თავი მეცხრე - კვლავ დავალება....49-53
თავი მეათე - ჯადოსნური წიგნის ძიებაში....53-62
თავი მეთერთმეტე - დახვედრა-დაჯილდოება და შრომითი მოწყობა....62-69
თავი მეთორმეტე - ისტორიული გადაწყვეტილება....69-71
ნაწილი მესამე
დიდი გამონათება
თავი მეცამეტე - შვიდი ღამე, რომელმაც შესძრა ქვეყანა....72-92
თავი მეთოთხმეტე - დიდი სტუმრობა....93-106
თავი მეთხუთმეტე - საოცარი ექსპერიმენტი....106-114
თავი მეთექვსმეტე - რეფერენდუმი....114-124

თავი მეჩვიდმეტე - სრულიად საიდუმლო მიმოწერები **124-135**
თავი მეთვრამეტე - ამონაწერი ურანის პოლიტბიუროს გენშტაბის საგანგებო სხდომიდან. ომის დამთავრება **135-145**
თავი მეცხრამეტე - მეცნიერის და მზვერავის სიყვარული **145-151**
თავი მეოცე - ფინალი **151-154**

მოგზაურობა

თავი პირველი - სუფრა **154-160**
თავი მეორე - საშა **160-172**